



სოფიო კილაძე, ანა ფირცხალაშვილი

სოციალური მუშაობის სამართლის  
სახელმძღვანელო

**FRIEDRICH  
EBERT**   
**STIFTUNG**

სოფიო კილაძე  
ანა ფირცხალაშვილი

სოციალური მუშაობის სამართლის  
სახელმძღვანელო

თბილისი  
2018

წინამდებარე ნაშრომი მომზადებულია ფრიდრიხ ებერტის ფონდისა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის და ა(ა)იპ დემოკრატიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით



**ავტორები:**

*სოფიო კილაძე*

იურისტი, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

*ანა ფირცხალაშვილი*

სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი

**რედაქტორები:**

*რატი იონათამიშვილი*

საქართველოს პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებების და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

*ეთერ ცხაკაია*

სოციალური მუშაკი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს უფროსი

**ტექნიკური რედაქტორი:**

*ლალი ორმოცაძე*

ISBN 978-9941-8-0493-9



პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები. დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

**გამომცემელი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი**

**© Friedrich-Ebert-Stiftung**

**თბილისი, 2018.**

## სარჩევი

წინასიტყვაობა .....	9
ავტორებისგან.....	11
თავი 1. შესავალი .....	16
1.1. სოციალური მუშაობის განსაზღვრება და მისი დანიშნულება.....	16
1.2. სოციალური მუშაობის ისტორია.....	19
1.2.1. სოციალური მუშაობის ისტორია მსოფლიოში.....	21
1.2.2. სოციალური მუშაობის ისტორია საქართველოში .....	29
1.3. ტერმინთა განმარტება .....	38
თავი 2. სოციალური მუშაობის ძირითადი პრინციპები .....	41
2.1. სოციალური მუშაობის პრინციპების არსი და სამართლებრივი ბუნება.....	41
2.2. სოციალური მუშაობის ცალკეული პრინციპები .....	44
2.2.1. ადამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპი .....	45
2.3. სოციალური მუშაკის მიერ ადამიანის უფლებების შეზღუდვის საფუძველი .....	56
2.4. სოციალური სამართლიანობის პრინციპი .....	56
2.5. თანასწორობის პრინციპი .....	59
2.5.1. თანასწორობის პრინციპის არსი .....	59
2.5.2. დისკრიმინაციის სხვადასხვა ნიშანი .....	62
2.6. დარგობრივი კომპეტენციის პრინციპი .....	68
2.7. თანაზომიერების პრინციპი .....	69
2.8. ინდივიდუალიზაციის პრინციპი .....	72
2.9. კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის დაცვის პრინციპი .....	73
2.9.1. კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის დაცვის პრინციპის არსი.....	73

2.9.2. კეთილსინდისიერების პრინციპი.....	74
2.9.3. ეთიკის დაცვის პრინციპი.....	76
2.10. სოციალური მუშაობის სისტემურობის პრინციპი.....	78
2.11. სოციალური მუშაობის პრინციპების სავალდებულოობა.	80
თავი 3. სოციალური მუშაკის ფუნქციები.....	84
3.1. სოციალური მუშაკის ძირითადი ფუნქციები.....	84
3.1.1. პრევენცია.....	85
3.1.2. ადამიანის უფლებათა დაცვა და სოციალური სამართლიანობის ადვოკატირება.....	88
3.1.3. ინფორმაციის მიწოდება, დახმარების დაგეგმვა და მხარდაჭერა.....	92
3.1.4. მხარდაჭერის განხორციელება.....	94
3.1.5. გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა მულტიდისციპლინურ გარემოში.....	97
3.1.6. პროფესიული ზედამხედველობა - სუპერვიზია.....	99
3.2. სოციალური მუშაკის დარგობრივი ფუნქციები.....	101
3.2.1. სოციალური მუშაობა ბავშვზე და ოჯახზე ზრუნვისა და მეურვეობა/მზრუნველობა/მხარდაჭერის სფეროში.....	104
3.2.2. სოციალური მუშაობა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან.....	127
3.2.3. სოციალური მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.....	137
3.2.4. სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.....	140
3.2.5. სოციალური მუშაკის სხვა ფუნქციები.....	144
თავი 4. სოციალური მუშაკის უფლებები და მოვალეობები.....	146
4.1. სოციალური მუშაკის საქმიანობის მხარდაჭერა.....	146
4.2. დამოუკიდებლობა.....	148

4.3. ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება .....	150
4.4. სასამართლოში წარმომადგენლობა .....	151
ა) სასამართლოში წარმომადგენლობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში.....	152
ბ) სასამართლო წარმომადგენლობა შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებით .....	153
4.5. კონფიდენციალურობის ვალდებულება.....	156
4.6. დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულება.....	158
4.7. მონაცემთა გაცემის ვალდებულება .....	160
4.8. ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესით მოქმედება .....	163
4.9. მიუკერძოებლობა.....	165
4.10. ინფორმაციის ანალიზი .....	166
4.11. სოციალური მუშაკის უწყვეტი პროფესიული განვითარება .....	168
4.12. პროფესიული იდენტობის ხელშეუხებლობა.....	169
4.13. სოციალური მუშაკის პასუხისმგებლობა.....	170
თავი 5. სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები.....	171
5.1. სოციალური მუშაკის ღონისძიებების არსი და სამართლებრივი ბუნება.....	172
5.2. პრევენცია.....	173
5.3. ბენეფიციარის საჭიროების შეფასება და პრობლემის განსაზღვრა.....	175
5.4. სოციალური მუშაობის დაგეგმვა.....	178
5.5. მხარდაჭერის განხორციელება .....	180
5.6. სხვა ღონისძიება .....	183
თავი 6. სოციალური მუშაკის პროფესია.....	184
6.1. სოციალური მუშაკის პროფესიული კვალიფიკაცია.....	184
6.1.1. სოციალური მუშაკის პროფესიისთვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები .....	185

6.1.2. სოციალური მუშაკის კომპეტენციები.....	189
6.2. სოციალური მუშაკის სოციალური გარანტიები.....	191
6.2.1. სოციალური მუშაკისთვის სამუშაო პირობების შექმნა.....	191
6.2.2. სოციალური მუშაკის უსაფრთხოება.....	192
6.2.3. სოციალური მუშაკის სამუშაო დრო.....	193
6.2.4. სოციალური მუშაკის სოციალური გარანტიები დალუბვის, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარების დროს.....	197
6.3. სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობა და წახალისება.....	198
6.3.1. სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობა.....	198
6.3.2. სოციალური მუშაკის წახალისება და კარიერული წინსვლა.....	200
6.3.3. სოციალური მუშაკის დისციპლინური პასუხისმგებლობა .....	203
თავი 7. სოციალური მუშაობის შესრულების უფლებამოსილი უწყებები.....	206
7.1. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება და საპარლამენტო კონტროლი.....	207
7.2. საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებანი.....	209
7.3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილება.....	210
7.4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებები.....	219
7.4.1. სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის უფლებამოსილებები.....	221



7.4.2. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილებები .....	224
7.4.3. სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებები ....	225
7.4.4. პენიტენციური სისტემის უფლებამოსილებები.....	228
7.5. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილებები .....	231
7.6. სსიპ - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის უფლებამოსილება.....	233
7.7. მუნიციპალიტეტების უფლებამოსილება.....	235
7.8. კერძო სამართლის იურიდიული პირების უფლებამოსილება.....	238
ბიბლიოგრაფია .....	240
დანართი .....	248
საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ.....	248

## წინასიტყვაობა

### სოციალური მუშაობა მზრუნველ სოციალურ სახელმწიფოში

სოციალური მუშაობა არის როგორც ყველა სოციალური სახელმწიფოს, ასევე სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განუყოფელი ნაწილი.

მას შემდეგ, რაც 1919 წლის 13 დეკემბერს, გერმანიის პარლამენტში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლისა და გერმანიის ქალთა მოძრაობის ერთ-ერთი წამყვანი წევრის, მარი იუჰანის თაოსნობით მუშათა კეთილდღეობის ორგანიზაცია დაარსდა, სოციალური მუშაობა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კულტურის ნაწილად დამკვიდრდა. ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა სოლიდარული თვითდახმარების გზით პირველი მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეული გაჭირვების შემსუბუქებასა და თანამედროვე კეთილდღეობის სახელმწიფოს მშენებლობაში მონაწილეობას. სწორედ ამ ნაბიჯით ჩაეყარა საფუძველი დღესდღეისობით ერთ-ერთ ყველაზე დიდ სოციალურ გაერთიანებას გერმანიაში.

თანამედროვე, პრევენციულად მოქმედი კეთილდღეობის სახელმწიფო ზრუნავს არა მხოლოდ უკვე არსებული გასაჭირის დაძლევაზე, არამედ წინასწარ იღებს ზომებს მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. მხოლოდ ასეთ ვითარებაში ეძლევა თითოეულ ადამიანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური თანამონაწილეობისთვის საკუთარი უნარ-ჩვევების განვითარების და ხანგრძლივად შენარჩუნების საშუალება. „მზრუნველმა სოციალურმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ემანსიპაცია, ჩართულობა და უსაფრთხოება - სამივე მიზანი და არა მხოლოდ ერთი“,<sup>11</sup> ხოლო ამ მიზნების მიღწევა კი სოციალური მუშაობის გარეშე წარმოუდგენელია. სოციალური მუშაობა არის დამაკავშირებელი რგოლი სახელმწიფოსა და დაინტერესებულ პიროვნებას შორის და ასრულებს

---

<sup>11</sup> „სოციალური დემოკრატია - დემოკრატიული სოციალიზმი“ - კურტ ბეკის მოხსენება ჰერბერტ ვენერის სახელობის სასწავლო ცენტრის გახსნისას, 07 ივლისი 2007

მნიშვნელოვან ფუნქციას ინტეგრაციის თვალსაზრისით: სწორედ სოციალური მუშაობის მეშვეობით შეუძლია მომსახურეობის მიმღებს, დამოუკიდებლად განსაზღვროს და განკარგოს საკუთარი ცხოვრება და ამასთანავე, გაიუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი.

სოციალური მუშაობის წარმატებისათვის აუცილებელია გარანტირებული წინაპირობების არსებობა, რომლის მიხედვითაც, მთავარ ამოსავალ წერტილს ადამიანი წარმოადგენს. სოციალური მუშაკების განათლება და საქმიანობა უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ სტანდარტებს, რათა მათ დაინტერესებულ პირებს საუკეთესო ხარისხის მომსახურეობა გაუწიონ. სწორედ აქ იჩენს თავს სახელმწიფოს ვალდებულება, გამოყოს საკმარისი რესურსი და შეიმუშავოს შესაფერისი სამართლებრივი ჩარჩო იმისთვის, რომ უზრუნველყოს სოციალური მუშაკების დამოუკიდებლობა და მათი საქმიანობის მაღალი ხარისხი. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ აუცილებელია არა მხოლოდ ამ მომსახურეობის მიმღებ პირთა, არამედ თავად სოციალური მუშაკების უფლებების დაცვაც. ყველაზე ხშირად სწორედ, სოციალური სფეროს პროფესიებში ვხვდებით გადატვირთულ და მძიმე სამუშაო პირობებს. არასასურველი სიტუაციების აღმოსაფხვრელად საჭიროა სოციალურმა მუშაობამ „ღირსეული შრომის“ მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში იმედოვნებს, რომ სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო თავის წვლილს შეიტანს ქვეყანაში სოციალური მუშაობის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების და განმტკიცების პროცესში.

*ფელიქს ჰეი*

ფრიდრიხ ებერტის ფონდის ხელმძღვანელი  
სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში

## ავტორებისგან

სოციალური მუშაობა ადამიანის უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ დღის წესრიგში დადგა სოციალური მუშაობის სამართლის, როგორც დისციპლინის განვითარება. კანონის მიღების შემდეგ დაგეგმილია საფუძვლიანი რეფორმის ჩატარება სოციალური მუშაობის სფეროში. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს იმ რთული სამართლებრივი კონსტრუქციების გასაგები, მარტივი და იმავდროულად აკადემიური ენით გადმოცემას, რომელიც კანონშია ჩადებული.

სახელმძღვანელო, პირველყოვლისა ორიენტირებული სოციალური მუშაკებისათვის, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ ინდივიდებთან და ზრუნავენ მათ კეთილდღეობაზე. ასევე, სახელმძღვანელო სოციალური მუშაობის სამართლის სფეროში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ყველა იმ პრაქტიკოსისთვის, რომელიც „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით არის დაინტერესებული, მათ შორის ადვოკატები, მოსამართლეები, სამართალდამცავები და სხვა. ეს სახელმძღვანელო დაინტერესებული სტუდენტებისა და აკადემიური წრეებისთვის იძლევა შესაძლებლობას სამეცნიერო კუთხით დაინახონ სოციალური მუშაობის სამართლის ძირითადი თავისებურებები.

ამდენად, სახელმძღვანელო პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება სოციალური მუშაობის სამართლის, როგორც დისციპლინის განვითარებისა საქართველოში. იმავდროულად, ის ემსახურება, როგორც პრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისა და დაინტერესებული სპეციალისტების, ასევე აკადემიური წრეების წარმომადგენელთა ხელშეწყობას სოციალური მუშაობის სამართლის კუთხით. რაც მნიშვნელოვანწილად აამაღლებს სოციალური მუშაობის კანონმდებლობას.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ფრიდრიხ ებერტის ფონდს, რომლის მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა

სოციალური მუშაობის რეფორმის გატარება. ასევე, ანა ფირცხალაშვილს, რომელიც უშუალოდ ემნიდა ამ კანონპროექტს და ა(ა)იპ „დემოკრატიის განვითარების სააგენტოს“. და ბოლოს, მადლობა მინდა ვუთხრა პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის თანამშრომელს, ნიკა სიმონიშვილს, რომლის წვლილი ძალიან დიდია სოციალური მუშაობის რეფორმაში.

*სოფიო კილაძე*

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

2017 წლის გაზაფხულზე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ დაიგეგმა სოციალური მუშაობის საკანონმდებლო რეგულირება. აღნიშნულ სფეროში, საქართველოში, არ არსებობდა საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავდა სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებულ ძირითად მიმართულებებს და სოციალური მუშაკის უფლება-მოვალეობებს. ეს ყველაფერი საბოლოოდ უარყოფით ზეგავლენას ახდენდა სოციალური მომსახურების ხარისხზე და საბოლოო ჯამში, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კეთილდღეობაზე.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ 2018 წლის 13 ივნისის კანონის მიღებამდე, უფლებამოსილი უწყებები კანონქვემდებარე აქტების დონეზე სხვადასხვაგვარად არეგულირებდნენ სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ბაზას, რაც ვერ უზრუნველყოფდა სოციალური მუშაკის საქმიანობის განჭვრეტადობას, როგორც სერვისის მიმღებებისთვის, ასევე, თავად სოციალური მუშაკებისთვის. ეს კი, თავის მხრივ ხელს უშლიდა მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას სოციალური მუშაკის პროფესიასთან დაკავშირებით.

კანონპროექტზე მუშაობის პროცესში, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა ამ სფეროში არსებული ძირითადი პრობლემები, რომლებიც სამად შეიძლება დაჯგუფდეს. **პირველი:** თვითმმართველობის დონეზე სოციალური მუშაკის ინსტიტუტის არარსებობა. სოციალური მუშაობის დეცენტრალიზაციას მხარს უჭერდნენ, როგორც დამსაქმებლები, ისე სოციალური მუშაკები. ამგვარი ინსტიტუტების არსებობა ნაწილობრივ შეამსუბუქებს სოციალური მუშაკის პროფესიასთან დაკავშირებით არსებულ სირთულეებს. **მეორე:** სოციალური მუშაკის, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხი, რომელიც სოციალური მუშაკებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. სოციალური მუშაკები არ გრძნობდნენ თავს უსაფრთხოდ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, რაც თავის მხრივ, ბუნებ-

რევია, რომ პირდაპირპროპორციულად აისახება მუშაობის ხარისხზე და მოტივაციაზე. **მესამე:** ქვეყანაში სოციალურ მუშაკთა მცირე რაოდენობის გამო, მათ არასამუშაო დროს უწევდათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, მრავალ შემთხვევაზე ერთდროულად მუშაობენ, რაც თავისთავად, პროფესიულ გადაწვას იწვევს და ამიტომ პროფესიული ეფექტიანობის შემცირების საფრთხეს ქმნის.

გარდა ამისა, კანონმდებელმა გაითვალისწინა სახელმწიფოს ის ვალდებულებები, რაც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს დაეკისრა. საქმეში, “ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ”, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ბავშვის უფლებასთან მიმართებით - ჰყავდეს კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც არსებითად დაიცავს მის ინტერესებს - ხარვეზიანია და არ შეესაბამება არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს”....სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სოციალური მომსახურების სააგენტოს შესახებ არსებული მომიჯნავე კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რა ფუნქციები და უფლებამოსილებები გააჩნია ბავშვის წარმომადგენელს, რომელსაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს საქმის სასამართლოში განხილვის დროს. ევროპული სასამართლო ადგენს, რომ მოცემულ საქმეში სოციალური მუშაკების მიერ ოქმების შევსება და სასამართლო სხდომებზე მათი მხოლოდ დასწრება არ ნიშნავს ბავშვის ინტერესების სათანადო წარმომადგენლობას.“<sup>2</sup>

ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულებაა, რომ კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდეს იმ სტანდარტთან, რაც მას სტრასბურგის ევროპულმა სასამართლომ დაუწესა.

---

<sup>2</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: „ნ.წ. საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N. 71776/12) ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/news/id/1157>

შესაბამისად, ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, აღნიშნული სფეროს სრულყოფისა და გაძლიერების მიზნით, დაიგეგმა საკანონმდებლო რეფორმა, რომელიც ვიწრო გაგებით, გულისხმობს მხოლოდ არსებული სამართლებრივი რეგულაციების შეცვლას, ან ახალი კანონის მიღებას. თუმცა, რეალურად აღნიშნული პროცესი გაცილებით მრავალმხრივია და სცდება სამართლებრივი ჩარჩოს უბრალო გადასინჯვას, დახვეწას და ან, ახალი კანონის მიღებას. სინამდვილეში საკანონმდებლო რეფორმა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე კანონზე მუშაობა. იგი მოიცავს - პოლიტიკის, საბიუჯეტო და ადამიანური რესურსების გათვალისწინებას, ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასებას, მათ შორის კომუნიკაციის სისტემის სრულყოფას, ასევე პროფესიულ გადამზადებასა, ან სერტიფიცირებას. ყველა ჩამოთვლილი ღონისძიება დაიგეგმა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ჩართულობითა და მისი მონიტორინგის ქვეშ. აღნიშნული რეფორმის ყველა ეტაპზე ჩართული იყო პროფესიული თემი, სახელმწიფო უწყებები. სოციალური მუშაობის საკანონმდებლო რეფორმაში დიდია ფრიდრიხ ებერტის ფონდის წვლილი, რომელიც საქართველოში ამ ფონდის წარმომადგენლობის აქტიურ მხარდაჭერაში გამოიხატა.

*ანა ფირცხალაშვილი*

სამართლის დოქტორი, პროფესორი,  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი



## თავი 1. შესავალი

### 1.1. სოციალური მუშაობის განსაზღვრება და მისი დანიშნულება

სოციალური მუშაობა, როგორც ცნება, მისი მულტიფუნქციური ბუნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებისათვის სავალდებულოდ საერთაშორისო დონეზე, განსაზღვრული არ არის. სახელმწიფოები ცდილობენ სოციალური მუშაობის ცნება წარმოადგენდეს ეროვნული სამართლის ნაწილს. მისი ერთადერთი ინტერნაციონალური განსაზღვრება მოცემულია სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციისა და სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციის გენერალური ასამბლეის 2014 წლის რეზოლუციაში<sup>3</sup>, რომლის მიხედვით: „*სოციალური მუშაობა პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესია და აკადემიური დისციპლინაა, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებასა და განვითარებას, ერთიანობას, ადამიანის გაძლიერებას და დამოუკიდებლობას. სოციალური მუშაობა ეფუძნება სოციალური სამართლიანობის, ადამიანის უფლებების დაცვის, კოლექტიური პასუხისმგებლობისა და მრავალფეროვნების პატივისცემის პრინციპებს. სოციალური მუშაობის, სოციალური მეცნიერების თეორიული და ემპირიული ცოდნის საფუძველზე სოციალური მუშაობის პროცესში მონაწილეობენ ადამიანები და სტრუქტურები, რომლებიც ცდილობენ ცხოვრებისეული გამოწვევების გამკლავებას და კეთილდღეობის გაძლიერებას*“.<sup>4</sup> სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის თანახმად, ამგვარ განსაზღვრებაში მოიაზრება ის მანდატი, რომელიც სოციალურ სამუშაოს გააჩნია.

---

<sup>3</sup> „სოციალური მუშაობის“ საერთაშორისო დეფინიციის შესახებ გერმანულენოვან თარგმანში დისკუსია, მიმდინარეობდა. აღნიშნული დისკუსია ამ სფეროს მეცნიერთა შორის, ჯერაც არ დასრულებულა. მოსაზრებები იხ. <https://www.sozial.de/nur-eine-frage-der-formulierung-neue-globale-definition-sozialer-arbeit-soll-gemeinsame-deutsche-uebersetzung-bekommen-sozialde-fragt-nach.html> [10.10.2018].

<sup>4</sup> ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ifsw.org/what-is-social-work/global-definition-of-social-work/> [25.07.2018].

სოციალური მუშაობა, როგორც პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესია და იმავდროულად აკადემიური დისციპლინა - აღიარებს, რომ სოციალ-ეკონომიკური, კულტურული, სივრცითი, პოლიტიკური და პირადი ფაქტორები განაპირობებენ ადამიანის კეთილდღეობას, განვითარების შესაძლებლობებს, მაგრამ ასევე ბარიერებს.<sup>5</sup> ადამიანის შესაძლებლობების რეალიზაციის პროცესში განვითარებისათვის ხელისშემშლელი გარემოებების და დაბრკოლებების არსებობა, იწვევს ადამიანისათვის დისკრიმინაციულ, ექსპლუატაციურ, ზოგჯერ კი, მოწყვლად მდგომარეობაში ყოფნას.<sup>6</sup> სოციალური მუშაობა, როგორც პროფესია მოწოდებულია შეიმუშაოს და განახორციელოს სტრატეგიული ღონისძიებები სიღარიბის, უთანასწორობის, მოწყვლადი მდგომარეობის შემსუბუქების, ასეთი სხვა დაბრკოლებების გადასალახად.<sup>7</sup>

სახელმწიფოს ხელში არსებული სოციალური ცვლილების განხორციელების მანდატი, ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ინტერვენცია, რომელიც სოციალური მუშაობით კონკრეტულ სიტუაციაში მყოფ ადამიანთან, ოჯახთან, მცირე ჯგუფთან, ან საზოგადოებასთან ხორციელდება, არის აუცილებელი კეთილდღეობის, სოციალური ცვლილებისა და განვითარებისთვის.<sup>8</sup> შესაბამისი სოციალური პრობლემების მქონე პირები, როგორც საზოგადოების წევრები, საჭიროებენ თანადგომას, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც, მოსალოდნელია, პირადად მათთვის და მაგრამ ასევე საზოგადოებისათვის უარყოფითი შედეგები.

სწორედ ამიტომ, სოციალური განვითარების მანდატი კონცეპტუალური თვალსაზრისით გულისხმობს ინტერვენციის (ჩარევის) სტრატეგიას, მისაღწევი შედეგის და მიღწევის პოლიტიკის განსაზღვრას. სოციალური მუშაობის ასეთი მანდატისთვის პრიორიტეტი ენიჭება ბენეფიციარის სოციალურ-სტრუქტურულ და ეკონომიკურ განვითარებას. პირის, ან ოჯახის სოციალური განვითარების

---

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> იქვე.

მიღწევისთვის წინაპირობად არ მიიჩნევა ბენეფიციარის მხოლოდ ეკონომიკური გაძლიერება.<sup>9</sup> მართალია, ფინანსური პრობლემები შეიძლება იყოს, სოციალური პრობლემების მიზეზი, თუმცა იგი არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი ამ მიზეზთაგან.

ამერიკის შეერთებული შტატების სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაციის (NASW) დეფინიციის მიხედვით: “სოციალური სამუშაო წარმოადგენს პროფესიულ მოღვაწეობას, რომელიც გულისხმობს ინდივიდთა, ჯგუფთა, თუ საზოგადოების გარკვეული ნაწილის დახმარებას სოციალური ფუნქციონირების უნარის აღდგენასა და გაუმჯობესებაში და მათი მიზნების შესატყვისი საზოგადოებრივი პირობების შექმნაში.”<sup>10</sup>

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სოციალური მუშაობის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულ დეფინიციას სოციალურ სამუშაოსთან დაკავშირებით. კანონის მე-2 მუხლის ი) ქვეპუნქტი ადგენს, რომ სოციალური მუშაობა არის „*პრაქტიკულ საქმიანობაზე დაფუძნებული სპეციალობით მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში ინდივიდის თავისუფალ განვითარებას, მისი ინტეგრაციის ხელშეწყობას და ინდივიდის გაძლიერებით ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას*“. კანონის მიერ შემოთავაზებული განმარტება, ასახავს პოულობს მთელს კანონში სისტემურად. კანონის მეორე თავი ადგენს სოციალური მუშაობის იმ პრინციპებს, რომელზე დაყრდნობითაც უნდა განხორციელდეს სოციალური მუშაობა. კანონით დადგენილი სოციალური მუშაობის განსაზღვრება, ასევე ადგენს სოციალური მუშაობის სამ ძირითად დანიშნულებას: **პირველი** - საზოგადოებაში ინდივიდის თავისუფალი განვითარება, **მეორე** - ინტეგრაციის ხელშეწყობა, და **მესამე** - საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება. აქედან ნათელია, რომ კანონი ადამიანს განიხილავს, როგორც ინდივიდს და როგორც სა-

---

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

<https://www.socialworkers.org/About/Legal> [25.09.2018].

ზოგადოების, სოციუმის ნაწილს, რომლის თავისუფალი განვითარებითა და ღირსეული ცხოვრებით და პიროვნული გაძლიერებით, მიიღწევა მიზანი - საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება.

სოციალური სამუშაოს დანიშნულებაა, სოციალური პირის, ოჯახის, მოწყვლად პირთა ჯგუფის და მთლიანად საზოგადოების სოციალური ფუნქციის გაუმჯობესება. იგი მოიცავს მუშაობის შემდეგ სამ ძირითად მიმართულებას - პრევენციას, აღდგენას და რემედიაციას. **პრევენცია** გულისხმობს დაუცველი ადამიანების, ან საზოგადოებას მოწყვეტილი, საზოგადოებისაგან უარყოფილი ფენებისათვის სერვისების დროულ მიწოდებას მანამ, ვიდრე თავს იჩენს გარკვეული დისფუნქციები. **აღდგენა** მიზნად ისახავს იმ ბენეფიციართა რეაბილიტაციას, რომელთა ფუნქციონირება უკვე დაქვეითებულია ფიზიკური და/ან ფსიქიკური პრობლემების გამო. **რემედიაცია** კი არის არსებული პრობლემის შემცირება, ან აღმოფხვრა.

შესაბამისად, სოციალური მუშაობის ქართული, სამართლებრივი განსაზღვრება შინაარსობრივად შესაბამისობაში მოდის საერთაშორისოდ დადგენილ დეფინიციასთან. კანონის ნორმათა განმარტებიდან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ აღნიშნულმა კანონმა იკისრა მისია, რომ სოციალური მუშაობის მიზნები და დანიშნულება ქცევის სავალდებულო წესად დაედგინა. კანონი ადგენს სოციალური მუშაობის ფარგლებს, უფლებებსა და ვალდებულებებს ერთის მხრივ სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, ხოლო მეორეს მხრივ, თვით სოციალურ მუშაკთათათვის.

## 1.2. სოციალური მუშაობის ისტორია

სოციალური მუშაობა თანამედროვე მსოფლიოს პროფესიაა, თუმცა, მისი ფესვები იმ ძველი დროიდან მოდის, როდესაც ადამიანებმა დაიწყეს ზრუნვა გაჭირვებულებზე გულმოწყალების, ფი-

ლანტროპული, თუ რელიგიური მოტივებით<sup>11</sup>. სოციალური მუშაობის განვითარების ეტაპები, დინამიკა, ეფექტიანად ფუნქციონირება ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო საზოგადოებაში არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ გამოწვევებთან და სახელმწიფოს მართვის იდეოლოგიასთან. სოციალური მუშაობა, ისევე როგორც დღეს, მისი წარმოშობისა და ადრეული განვითარების პროცესში წარმოადგენდა ერთადერთ ეფექტიან ინსტრუმენტს სოციალური სერვისების მიღებისთვის, შედეგებზე ორიენტირებული სოციალური დახმარების სისტემის ჩამოყალიბებისთვის. იგი თავდაპირველად იყო საზოგადოებრივი რეაქცია მოწყვლადი ადამიანების მდგომარეობაზე და გააჩნდა საქველმოქედო მიზნები. თუმცა, მძიმე სოციალური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებამ, ინდიფერენტული სახელმწიფო პოლიტიკის უშედეგობამ, ადამიანების სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის სახელმწიფოს როლის სხვაგვარად გააზრებამ, მსოფლიო მე-17 - მე-20 საუკუნეებში სოციალური მუშაობის პროფესიად ჩამოყალიბებამდე, ინსტიტუციონალიზაციამდე და სისტემატიზაციამდე მიიყვანა.

ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია სოციალური მუშაობის წარმოშობის ისტორია მსოფლიოსა და საქართველოში. სოციალური მუშაობის მსოფლიო ისტორია მიმოხილულია ეპოქალური მოვლენების რაკურსში. ამ სახელმძღვანელოს კონტექსტში სოციალური მუშაობის მსოფლიო ისტორიაში იგულისხმება პერიოდი, როდესაც სახელმწიფოებმა საკანონმდებლო დონეზე დაიწყეს სოციალური მუშაობის, როგორც სოციალური დაცვის სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, განუყოფელი ელემენტის რეგულირება. ამ თვალსაზრისით, ნაშრომის წინამდებარე ქვეთავის პირველ ნაწილში განხილულია გაერთიანებული სამეფო, როგორც ქვეყანა, რომელმაც პირველმა კანონით განსაზღვრა სოციალური მუშაობის პროტოტიპული ღონისძიებები. ნაშრომის იმავე ნაწილში ყუ-

---

<sup>11</sup> შ. სამაგლიშვილი, ი. შეყრილაძე, ნ. შატერაშვილი, მ. მგელიაშვილი, ს. ნამიჭიეშვილი, *სოციალური მუშაობის მეთოდები დაუცველ ჯგუფებთან, პრაქტიკული სახელმძღვანელო*, თბილისი, 2011, გვ. 13.

რადღებდა ეთმობა სოციალური მუშაობის ამერიკულ ისტორიას, რადგან ა.შ.შ.- ში ყველაზე მასშტაბურად და ეფექტიანად მიმდინარეობდა სოციალური მუშაობის პროფესიად ჩამოყალიბების პროცესი. სოციალური მუშაობის მსოფლიო ისტორიაზე მსჯელობა ამ სფეროს ევროპული ისტორიით სრულდება, რომელიც კაპიტალისტური და სოციალისტური იდეოლოგიების დაპირისპირების ფონზე ვითარდებოდა. ამ თავის შემდგომ ნაწილში მიმოხილულია ქართული სოციალური მუშაობის ისტორია, რომელიც არსებობას მე-20 საუკუნის ბოლოდან იწყებს.

### 1.2.1. სოციალური მუშაობის ისტორია მსოფლიოში

სოციალური მუშაობის წარმოშობასა და განვითარებას ისტორიულად ფილანტროპული მიზნები გააჩნდა. იგი არსებობის საწყის ეტაპზე არ წარმოადგენდა პროფესიას. თავდაპირველად სოციალური მუშაობის მსგავსი ღონისძიებების განხორციელების პროცესში მისი საქველმოქმედო ხასიათიდან გამომდინარე, სახელმწიფო აქტიურად არ მონაწილეობდა. სოციალური მხარდაჭერის აქტივობებს მხოლოდ კერძო პირები ახორციელებდნენ. თუმცა, მდგომარეობა იცვლება და ქველმოქმედებითი ხასიათის სოციალური მუშაობა განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპზე - ინსტიტუციურ სოციალურ მუშაობაზე გადადის, როდესაც გაერთიანებულ სამეფოში 1601 წელს მიღებული იქნა ე.წ. სიღარიბის შემსუბუქების შესახებ აქტი.<sup>12</sup> ამ აქტის საფუძველზე შეიქმნა ფონდი, რომლის შევსების ვალდებულება ინგლისის ეკლესიის მრევლს დაეკისრა, ხოლო მას ადგილობრივი საბჭოები მართავდნენ. ისინი ამ გადასახადს იხდიდნენ სიღარიბეში მცხოვრები მოხუცებისა და ბავშვების, შრომისუუნარო ადამიანების მდგომარეობის შემსუბუქებისთვის. გადასახადის ოდენობა დადგინდა ქონების გათვალისწინებით. გარდა ამისა, აქტით მრევლს დაევალა სიღარიბეში მყოფი პირების დასაქმების ხელშეწყობა ე.წ. სამუშაო სახლებში. 1662

---

<sup>12</sup> ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.workhouses.org.uk/poorlaws/1601act.shtml> [25.07.2018].

წელს გაერთიანებულ სამეფოში მიიღეს კიდევ ერთი სამართლებრივი დოკუმენტი ე.წ. დასახლების აქტი,<sup>13</sup> რომელიც სიღარიბეში მცხოვრები მოხუცებისა და ბავშვებისთვის მდგომარეობის შემსუბუქების ვალდებულებას უცხოელებსაც აკისრებდა, რაც მათ მიერ ასევე გადასახადების გადახდაში გამოიხატებოდა. ამ სისტემის ფარგლებში სოციალური მუშაობა გულისხმობდა სიღარიბეში მყოფი მოხუცებისა და ბავშვების საჭიროებების შესწავლასა და უზრუნველყოფას. გაერთიანებულ სამეფოში სოციალური მხარდაჭერის მიზნით არაერთი აქტი იქნა მიღებული, მაგ.: 1697 წლის აქტი, სიღარიბის შემსუბუქების აქტებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ, 1722 წლის აქტი სიღარიბის შემსუბუქებისა და ღარიბების დასაქმების, საცხოვრებლის შესახებ აქტებში ცვლილების შეტანის შესახებ, 1782 წლის აქტი სიღარიბეში მყოფი პირების მდგომარეობის უკეთესად შემსუბუქებისა და დასაქმების შესახებ (ე.წ. გილბერტის აქტი), 1834 წლის აქტი ინგლისსა და უელსში სიღარიბეში მყოფ პირებთან დაკავშირებული აქტების უკეთესად აღმინისტრირების შესახებ და ა.შ.<sup>14</sup>

გაერთიანებული სამეფო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე დაადგინა სოციალური დაცვის სისტემა, რომელიც თავდაპირველად დაეფუძნა კოლექტიურობის პრინციპს. ამასთან, მან შექმნა სახელმწიფო ორგანოები მისი რეალიზაციისთვის. თუმცა, სოციალური მუშაობის თანამედროვე ბუნებისგან განსხვავებით, მე-17- მე-19 საუკუნეებში ბრიტანული სოციალური დაცვის მექანიზმები იყო ვიწრო და მეტწილად გულისხმობდა მხოლოდ სიღარიბეში მყოფი პირების დახმარებას. სოციალური კეთილდღეობის სისტემის განვითარების შედეგად გაერთიანებულ სამეფოში გაფართოვდა სოციალური მუშაობის შინაარსი და მიღებულ იქნა შემდეგი აქტები: 1989 წლის აქტი ბავშვთა შესახებ; 1990 წლის აქტი ჯანდაცვის ეროვნული სერვისისა და საზოგადოებრივი

---

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> H.-J. Puch, *Einführung in die Geschichte der sozialen Arbeit*  
<http://www.pantucek.com/seminare/200609polizei/geschichteskript.pdf>  
[25.07.2018], Nürnberg, 2005.

მზრუნველობის შესახებ; 2000 წლის აქტი მზრუნველობის სტანდარტების შესახებ; 2000 წლის აქტი მზრუნველებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების შესახებ; 2014 წლის აქტი სრულწლოვანის მზრუნველობის შესახებ და სხვა.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, გაერთიანებული სამეფოს მსგავსად, სოციალური სამუშაოს წყაროს ქველმოქმედება, ფილანტროპია წარმოადგენდა. ამერიკული სოციალური მუშაობა იწყება იმ პერიოდიდან, როდესაც „მაღალი წოდების“ პირები აფუძნებდნენ რელიგიურ და სეკულარულ საქველმოქმედო ორგანიზაციებს (მაგალითად, სიღარიბეში მყოფი პირებისა და ბავშვების პირობების გაუმჯობესების ასოციაცია) სიღარიბის, ურბანიზაციისა და იმიგრაციის შედეგებთან გამკლავების მიზნით. ასეთ ორგანიზაციებში მუშაობდნენ შესაბამისი გადამზადების არმქონე - პროტო-სოციალური მუშაკები, რომლებიც ცდილობდნენ სიღარიბეში მყოფი პირების მორალურ დახმარებას.

ამერიკულ რევოლუციამდე უკვე არსებობდა სიღარიბეში მყოფი პირების დახმარების, ბავშვის კეთილდღეობისა და ფსიქიატრიული დახმარების სისტემა.<sup>15</sup> ამ სისტემას გააჩნდა, როგორც ბენეფიციარის თანაგრძნობის, აგრეთვე დაცვის მიზანი.<sup>16</sup> მე-19 საუკუნის დასაწყისში სახელმწიფომ გააქტიურა საქმიანობა სოციალური მხარდაჭერის, დახმარების მობილიზებისა და განაწილების მიმართულებით. სახელმწიფო პოლიტიკა ამ სფეროში ეტაპობრივად დაეფუძნა ე.წ. „მეცნიერული ქველმოქმედების“ პრინციპს, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალური დახმარების სისტემის სახელმწიფოსგან და რელიგიური ორგანიზაციებისგან მაქსიმალურ განცალკევებას და საქველმოქმედო ორგანიზაციების) ხელში გადასვლას. ამ პრინციპზე დაყრდნობით 1877 წელს ნიუ იორკში დაფუძნდა პირველი გაერთიანება - საქველმოქმედო საზოგადოების ორგანიზაცია, რომლის ბენეფიციარები იყვნენ, როგორც ადგილობრივები,

---

<sup>15</sup> N. Tannenbaum, M. Reisch: *From Charitable Volunteers to Architects of Social Welfare: A Brief history of Social Work*, Michigan, 2001, S. 6.

<sup>16</sup> იქვე.



ასევე ემიგრანტები.<sup>17</sup> ეს ორგანიზაცია ბენეფიციარების, მათი ოჯახების მიმართ იყენებდა ინდივიდუალური მუშაობის პრინციპს და ცდილობდა მათთვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნას. ე.წ. მეცნიერული ქველმოქმედების პარალელურად, აშშ-ში იქმნებოდა სოციალური საცხოვრისები (1910 წლისთვის დაახლოებით 400 საცხოვრისი იყო გახსნილი), რომლებიც ბენეფიციარის ინდივიდუალურ პრობლემებზე მეტად ორიენტირებულები იყვნენ სიღარიბის გამომწვევებზე გარემო-პირობების შესწავლაზე, ბენეფიციარების დასაქმების შესაძლებლობების განვითარებაზე.<sup>18</sup>

საქველმოქმედო საზოგადოების ორგანიზაციის ფარგლებში ბენეფიციარებთან ინდივიდუალურად მუშაობამ მე-20 საუკუნის დასაწყისში განაპირობა სოციალური მუშაობის, როგორც სოციალური დახმარების ერთ-ერთი მიმართულების შექმნა. ამ სფეროსადმი საზოგადოებრივი ინტერესების გაზრდამ საფუძველი ჩაუყარა 1898 წელს სოციალური მუშაობის მომსახურებელი კურსის მომზადებას, რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა (მოგვიანებით დაიხვეწა, განვითარდა და გადაკეთდა კოლუმბიის უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სკოლად). აღსანიშნავია, რომ 1901 წლიდან სოციალურმა საცხოვრისებმაც დაიწყეს სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებული პროგრამების სწავლებმა, მაგალითად 1908 წელს ჩამოყალიბდა ჩიკაგოს ფილანტროპიის სკოლა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალური მუშაობის პროგრამების დაარსება არ უკავშირდება სოციალური მუშაობის პროფესიის ჩამოყალიბებას. დოქტორი აბრაამ ფლექსნერი მიუთითებს, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში სოციალური მუშაობა ჯერ კიდევ არ იყო პროფესია, ვინაიდან იგი განიცდიდა თეორიული ცოდნის ნაკლებობას.<sup>19</sup> იგი აცხადებდა, რომ

---

<sup>17</sup> იქვე. გვ. 7.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> აბრაამ ფლექსნერის მოხსენების ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

<https://socialwelfare.library.vcu.edu/social-work/is-social-work-a-profession-1915/> [25.07.2018].

სოციალური მუშაობის პროფესიად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი იყო დაგროვილი პრაქტიკული ცოდნის მეცნიერული ფორმით სტანდარტიზაცია.<sup>20</sup>

ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალური მუშაობა, როგორც პროფესია, მნიშვნელოვნად განვითარდა პირველი მსოფლიო ომის ე.წ. დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდებში.<sup>21</sup> სოციალური მუშაკები სერვისებს აწვდიდნენ ვეტერანებს, ეკონომიკური დეპრესიის შედეგად დაზარალებულ ადამიანებსა და მათ ოჯახებს. ამ პერიოდში სოციალური სამუშაოს მიწოდების პროცესში სახელმწიფოს ჩართულობა გაიზარდა. თუ აქამდე სოციალური მუშაობა მხოლოდ კერძო პირების მიერ ხორციელდებოდა, მზარდი სოციალური გამოწვევების, ადამიანებზე პირველი და მეორე მსოფლიო ომების მძიმე შედეგების გათვალისწინებით სახელმწიფომ შექმნა მრავალი სოციალური პროგრამა. 1935 წელს მიღებულ იქნა აქტი სოციალური უსაფრთხოების შესახებ, რომელმაც სოციალური სერვისების მიღება დაუკავშირა ადამიანის ღირსებასა და სხვა ძირითად უფლებებს, ასევე განსაზღვრა ფედერალური ხელისუფლების როლი მის ეფექტიანად მიწოდებაში.<sup>22</sup> ამ აქტით სოციალური კეთილდღეობის არსი გასცდა სიღარიბეში მყოფი პირების მატერიალურ დახმარებას და მოიცვა საცხოვრებლის ადგილთან, სოფლის მეურნეობასთან, ბავშვის კეთილდღეობასთან, სოციალურ დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხები.<sup>23</sup> ამ აქტმა საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფო პენსიას, სოციალური დაზღვევის ისეთ მოდელს, რომელიც გროვდებოდა დასაქმებულისა და დამსაქმებლის გადასახადებით.<sup>24</sup> ამასთან, შეიქმნა ფონდი, რომელიც ფედერალური ხელისუფლების გრანტების მეშვეობით

---

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> N. Tannenbaum, M. Reisch, *From Charitable Volunteers to Architects of Social Welfare: A Brief history of Social Work*, Michigan, 2001, S. 8.

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ssa.gov/history/35act.html> [25.07.2018].

სოციალურ დახმარებას გასცემდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმუშევრებზე, მიუსაფარ ბავშვებზე და სხვა. ეს აქტი მნიშვნელოვანი იყო სოციალური მუშაობის განვითარებისთვის იმ თვალსაზრისით, რომ მისი განხორციელება მასშტაბურად დაიწყო ერთი მხრივ, სახელმწიფო ორგანიზაციების ფარგლებში, მეორე მხრივ, ცენტრალურ ქალაქებში, ურბანიზაციულ სივრცეებში, რამაც ხელი შეუწყო ახალი პროფესიული ცოდნის შეძენასა და უნიფიცირებას.

1953 წელს ფედერალური ხელისუფლების დონეზე იქმნება ჯანდაცვის, განათლებისა და კეთილდღეობის დეპარტამენტი, რომელსაც ეკისრება ფედერალური სოციალური პოლიტიკის შემუშავებისა და იმპლემენტაციის კოორდინაცია. 1955 წელს დაფუძნებულ იქნა სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაცია, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სოციალური მუშაობის როგორც პროფესიის, ამერიკული სოციალური პოლიტიკის განვითარებაში, ამ სფეროში საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაძლიერებაში, პრაქტიკული პროფესიული სტანდარტების გაუმჯობესებასა და შენარჩუნებაში.

1960-1980-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტრალურ სამიზნედ კვლავ სიღარიბე გახდა. ამ პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფოს როლი სოციალური მუშაობის განხორციელების პროცესში, გაუქმდა მრავალი პროგრამა. აქედან გამომდინარე, დიდწილად სოციალური მუშაობა კვლავ კერძო დამფინანსებლების მიერ და კერძო ორგანიზაციებში დასაქმებული სოციალური მუშაკების მეშვეობით ხორციელდებოდა.<sup>25</sup> ამასთან, სოციალური მუშაკების წინაშე გაჩნდა ახალი გამოწვევები, რომლებიც უკავშირდებოდა ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვის, აივ ინფექციით დაავადების, ოჯახური ძალადობის, ახალშობილთა მიტოვების შემთხვევების ზრდას და სხვა.

---

<sup>25</sup> N. Tannenbaum, M. Reisch: *From Charitable Volunteers to Architects of Social Welfare: A Brief history of Social Work*, Michigan, 2001, S. 10.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გაერთიანებული სამეფო პირველი ევროპული სახელმწიფოა, რომელმაც სოციალური მუშაობა საკანონმდებლო რანგში აიყვანა. თუმცა, მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოებს აქვთ მცდელობა სოციალური მუშაობის, როგორც პროფესიის ჩამოყალიბების და განვითარებისა. მაგალითად, პირველი სოციალური მუშაობის სკოლები ნიდერლანდების სამეფოში 1899 წელს დაფუძნდა, გერმანიაში 1908 წელს,<sup>26</sup> სოციალური მუშაობის პროგრამები შემოღებულ იქნა რუმინეთსა და უნგრეთშიც.<sup>27</sup>

ევროპული სოციალური მუშაობის პროფესიონალიზაცია იწყება იმ პერიოდიდან, როდესაც კაპიტალისტურმა საზოგადოებებმა გააცნობიერეს, რომ ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევისთვის საჭირო იყო ინსტიტუციური, სტრუქტურული მხარდაჭერა მოწყვლადი ადამიანებისთვის.<sup>28</sup> მეორე მსოფლიო ომის უმძიმესმა შედეგებმა ხელი შეუწყო კეთილდღეობის სეკულარული კონცეფციის გაძლიერებას და ქვეყნების ე.წ. „ევროპული კეთილდღეობის სახელმწიფოებად“ ტრანსფორმაციას.<sup>29</sup> ჰოლოკოსტის შემდეგ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948) და ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (1953) მიღებით აშკარა გახდა ევროპის სწრაფვა ჰუმანურობისკენ. ცოტა მოგვიანებით კი, 1961 წელს მიღებულ იქნა ევროპული სოციალური ქარტია, რომელმაც მიზნად დაისახა ევროპის მასშტაბით მინიმალური სოციალური უფლებების, მათ შორის სოციალური უსაფრთხოების უფლების

---

<sup>26</sup> Ch. Stock, B. Schermaier-Stöckl, V. Klomann, A. Vittr *Soziale Arbeit und Recht.*, Lehrbuch, 2016, S. 31.

<sup>27</sup> D. Zavirsek, S. Lawrence *Regional Perspectives on Social Work: Europe*, in: Lyons, K., Hokenstad, T., Pawar, M., Huegler, N., Hall, N. (eds.) *The SAGE Handbook of International Social Work*, London, 2012, S. 437.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 438.

<sup>29</sup> იქვე; ევროპული კეთილდღეობის სახელმწიფოს კონცეფციაზე ვრცლად იხ.: D. A., Ahmad, H. Harjan (eds.): *Inclusive states: social policy and structural inequalities*. World Bank Publications, Washington, 2008, S. 3-38.

(მე-12 მუხლი), სოციალური და სამედიცინო მხარდაჭერის მიღების უფლების (მე-13 მუხლი) უზრუნველყოფა. სოციალური ქართის მე-14 მუხლში პირდაპირ მიეთითა, რომ სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებით სარგებლობის უფლების ეფექტური განხორციელების მიზნით, სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება უზრუნველყონ ისეთი სამსახურები, რომლებიც **სოციალური მუშაობის** მეთოდის გამოყენებით,<sup>30</sup> ხელს შეუწყობენ, როგორც ცალკეულ პირებს, ისე საზოგადოებრივი ჯგუფების კეთილდღეობას და განვითარებას, ასევე მათ შეგუებას სოციალურ გარემოსთან.

დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოებში სოციალური დაცვის, მათ შორის სოციალური მუშაობის სისტემა დაეფუძნა ლიბერალურ, ჰუმანისტურ ღირებულებებს. იგი მიმართული იყო თითოეული პიროვნების კეთილდღეობაზე და არა კოლექტიური სარგებლიანობის შექმნაზე.

აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება, მისი ფუნქციები, მოვალეობები კომუნისტურ იდეოლოგიაზე იყო აგებული, სოციალური მუშაობა, როგორც სოციალური პოლიტიკის ელემენტი არ არსებობდა. კომუნისტური ქვეყნების ამგვარი მიდგომა განპირობებული იყო სოციალური პოლიტიკის სოციალიზმთან შეუთავსებლობით. კომუნისტებს მიაჩნდათ, რომ სოციალიზმი საკუთარი „უნიკალური“ მიდგომებით აღმოფხვრიდა ყველა სოციალურ პრობლემას და უზრუნველყოფდა თითოეული ადამიანის კეთილდღეობას.<sup>31</sup> აღმოსავლეთ ევროპულ სახელმწიფოებში სოციალური მუშაობის სისტემის ჩამოყალიბება მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ევროპულ სახელმწიფოებში სოციალური მუშაობის სტანდარტების დაახლოებისა და უნიფიკაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროკავშირმა. გამომდინარე იქიდან, რომ 2004 წელს და 2007

---

<sup>30</sup> D. Frings *Sozialrecht für die Soziale Arbeit: Grundwissen Soziale Arbeit*, 2014, S. 47.

<sup>31</sup> D. Završek, S. Lawrence, *Regional Perspectives on Social Work: Europe*, in: Lyons, K., Hokenstad, T., Pawar, M., Huegler, N., Hall, N. (eds.) *The SAGE Handbook of International Social Work*, London, 2012, S. 438.

წელს ევროკავშირში გაწევრიანდა 10 ყოფილი სოციალისტური ქვეყანა, დასავლეთ ევროპული ქვეყნების სოციალური მუშაობის კანონმდებლობამ და სისტემამ გაწევრიანების პროცესში მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების სისტემებზე. ამ პერიოდის განმავლობაში სოციალური მუშაობის ერთიანი ევროპული სტანდარტების დამკვიდრების, ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნების სოციალური სისტემის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიმართულებით აქტიურად მონაწილეობდა ორი ასოციაცია: სოციალურ მუშაობის სკოლების ასოციაცია (დაფუძნებული 1927 წელს) და სოციალური მუშაობის სკოლების ევროპული ასოციაცია (შექმნილი 1995 წელს).

### 1.2.2. სოციალური მუშაობის ისტორია საქართველოში

2018 წლამდე საქართველოში სოციალური მუშაობა, როგორც დარგი, პროფესია და საქმიანობა სამართლებრივი თვალსაზრისით არასდროს ყოფილა ერთიანად, სისტემურად და მასშტაბურად მოწესრიგებული. სოციალური მუშაობის შინაარსი, სოციალური მუშაკის სტატუსი, უფლებამოსილებები, ფუნქციები, მოვალეობები ყოველთვის განისაზღვრებოდა დამსაქმებლის (სახელმწიფო, ან კერძო სექტორის) მიერ. ერთიანი სტანდარტის არარსებობის გამო დამსაქმებელი მას დამოუკიდებლად, შიდა აქტების საფუძველზე ადგენდა. ზოგიერთ შემთხვევაში კი არ არსებობდა სპეციულური დადგენილი სტანდარტები და ნორმები.

საქართველოში სოციალური მუშაობის, როგორც დარგის განვითარება 1999 წელს, „ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“, საქართველოს კანონის მიღებას უკავშირდება. აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტით საკანონმდებლო დონეზე პირველად განისაზღვრა ერთი მხრივ, „სოციალური მუშაკის“<sup>32</sup> ცნება და მეორე მხრივ, სოციალ-

---

<sup>32</sup> აღსანიშნავია, რომ სიტყვები „სოციალური მუშაკი“ ჯერ კიდევ 1996 წელს იყო გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის N841 ბრძანებულებით, რომლითაც ცალკეულ სამინისტროებს დაევალიათ

ური სამუშაოს შინაარსი, რომელსაც სოციალური მუშაკები ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში განახორციელებდნენ. აღნიშნულ კანონს, წინ უძღოდა, საქართველოს მიერ გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის<sup>33</sup> რატიფიცირება. სწორედ, ამ კონვენციის იმპლემენტაციის შედეგად, აიღო საქართველომ, როგორც ხელშემკვერელმა მხარემ ვალდებულება, მოეხდინა მე-20 მუხლით გათვალისწინებული, ბავშვზე ზრუნვის ახალი სტანდარტის დანერგვა საქართველოში. აღნიშნული, პირველ ეტაპზე საპილოტე პროექტების მეშვეობით ხორციელდებოდა.

„ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სოციალურ მუშაკად მიიჩნეოდა „უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელმაც გაიარა სპეციალური მომზადება და რომლის გამოცდილება შეესაბამება სათანადო საქმიანობას და რომელიც საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ შეყვანილია სოციალურ მუშაკთა ერთიან რეესტრში“.

მითითებული კანონით, სოციალური სამუშაო სამართლებრივი თვალსაზრისით გულისხმობდა, შვილობილის აღზრდის მსურველ პირთა განცხადების საფუძველზე სოციალური მუშაკის მიერ ამ პირთა საყოფაცხოვრებო და სხვა პირობების შემოწმებას, მათთვის ბავშვის მოვლისა და აღზრდის სპეციფიკის სწავლებას, ანგარიშის შედგენას და ბავშვის შვილობილად აყვანის საკითხის დადებითად, ან უარყოფითად გადაწყვეტის მიზნით შესაბამისი დასკვნის მომზადებასა და სათათბირო საბჭოებისადმი წარდგენას. გარდა ამისა, სოციალურ მუშაკს აკისრებდა ბავშვის უფლებების დაცვის ერთგვარი მაკონტროლებლის ფუნქციას. სოციალური მუშაკი ახორციელებდა სისტემატურ მეთვალყურეობას, ზედამხედველობას მიმღები ოჯახის საქმიანობაზე, დედობილ-მამობილის მიერ საკუ-

---

სოციალური მუშაკის საშტატო პოზიციების შემოღება (ძალადაკარგულია 2006 წლის 15 აგვისტოდან).

<sup>33</sup> გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> (უკანასკნელად ნანახია 30.10.2018)

თარი მოვალეობების შესრულებაზე. ამ პროექტის ფარგლებში, გარდა გაშვილების საკითხებისა, სოციალური მუშაკები მუშაობდნენ კიდევ ორი მიმართულებით: ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრაცია და პრევენცია.

გამომდინარე იქედან, რომ აუცილებელი იყო „ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“ საქართველოს კანონის ეფექტიანად იმპლემენტაცია, ბრიტანული ორგანიზაცია „EveryChild“-ის დაფინანსებული საპილოტე პროექტის - „ბავშვი და ოჯახი“ - ფარგლებში მოხდა სოციალური მუშაკების შერჩევა, დასაქმება და გადამზადება ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშესაწყობად.<sup>34</sup>

1999-2000 წლებში ბავშვის კეთილდღეობის სფეროსთან დაკავშირებული სოციალური მუშაობის წამოწყების პარალელურად, სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა განხორციელდა სასჯელაღსრულების სისტემაში. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შეიქმნა სოციალური სამსახური, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენდა **სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სოციალური მუშაკების**, სოციალური ადაპტაციის ჯგუფების, სარეაბილიტაციო ცენტრებისა და მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული მომზადების სამსახურების ხელმძღვანელობა და კონტროლი.<sup>35</sup> თავის მხრივ, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სოციალური მუშაკი პატიმარს მხარს უჭერდა სოციალური რეაბილიტაციის პროცესში, რაც გამოიხატებოდა მისი სახელით სოციალურ სამსახურებთან, ადგილობ-

---

<sup>34</sup> სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი, საქართველო, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, 2011, გვ. 5. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.gasw.org/index.php/ka/publications/researchs/116-2016-08-11-19-30-11> [25.07.2018].

<sup>35</sup> „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის №371 ბრძანების მე-14 მუხლი (ძალადაკარგულია 2000 წლის 14 ნოემბრიდან).



რივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობაში, ინფორმაციის გაცვლაში.<sup>36</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლების მინისტრის 2000 წლის ბრძანებაში, რომელიც აფუძნებდა მიუსაფარ ბავშვთა ერთ-ერთ სარეაბილიტაციო ცენტრს, სოციალური მუშაკი მოხსენიებულია სამედიცინო პერსონალის შემადგენლობის ერთ-ერთ ელემენტად, ხოლო აღსაზრდელთა სამედიცინო პერსონალს ევალებოდა სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, სამედიცინო ანკეტების მოწესრიგება და კვების ხარისხის კონტროლი.<sup>37</sup>

საქართველოს განათლების სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთან შედარებით, აბსოლუტურად განსხვავებული სტატუსი გააჩნდა სასჯელაღსრულების სტრუქტურებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2001 წლის ერთ-ერთი ბრძანებით სოციალურ მუშაკებს ენიჭებოდათ სპეციალური წოდებები (მაგალითად, უფროსი სოციალური მუშაკი სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით გახდებოდა იუსტიციის მაიორი, ხოლო სოციალური მუშაკი - იუსტიციის კაპიტანი),<sup>38</sup> რაც გარკვეულწილად ხაზს უსვამდა მის უფრო მჭიდრო კავშირს პენიტენციურ სისტემასთან, ვიდრე სოციალურ სამუშაოსთან. თავის მხრივ, მისი ამგვარი სტატუსი ხელს უშლიდა სერვისების მიწოდების პროცესში ბენეფიციარების მიერ სოციალური

---

<sup>36</sup> მაგალითად იხ.: „ტუსაღობის აღსრულების წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 28 დეკემბრის N368 ბრძანება (ძალადაკარგულია 2012 წლის 28 ივნისიდან).

<sup>37</sup> „მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის „მომავლის სახლის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის 2000 წლის 26 ივნისის N430 ბრძანება (ძალადაკარგულია 2008 წლის 07 აპრილიდან).

<sup>38</sup> „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური წოდებების მინიჭების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2001 წლის 12 თებერვლის N66 ბრძანება (ძალადაკარგულია 2009 წლის 08 აპრილიდან).

მუშაკის, როგორც დამოუკიდებელ, ბენეფიციარის ინტერესებზე ორიენტირებულ პირად აღქმას.

2001 წელს „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის სფუძველზე სასჯელ-აღსრულების სისტემაში სოციალური მუშაკი სერვისებს აწვდიდა, როგორც თავისუფლებადკვეთილ მსჯავრდებულებს, აგრეთვე ე.წ. პრობაციონერ მსჯავრდებულებს.<sup>39</sup> სოციალური მუშაკი მათთან ატარებდა აღმზრდელიობითი ხასიათის ღონისძიებებს და ახორციელებდა იმგვარ მოქმედებებს, რომლებიც ხელს შეუწყობდა მსჯავრდებულის რესოციალიზაციას.<sup>40</sup> ნახსენები აქტით საკანონმდებლო დონეზე პირველად მოხდა სოციალურ მუშაკთან მიმართებაში უმაღლესი განათლების პროფილის განსაზღვრა. სასჯელაღსრულების სისტემაში დასაქმებული სოციალური მუშაკის განათლების პროფილი დაუკავშირდა კონკრეტულ მიმართულებებს, კერძოდ სოციალური მუშაკი უნდა ყოფილიყო უმაღლესი სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ან პედაგოგიური განათლების მქონე პირი.<sup>41</sup>

სოციალური მუშაკის განათლების პროფილის რეგულირების თვალსაზრისით აღსანიშნავია 2005 წელს საქართველოს სასჯელ-აღსრულების სისტემაში დადგენილი მოთხოვნები სოციალური მუშაკისთვის. მაგალითად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთ-ერთი ბრძანება მიუთითებდა, რომ სოციალური მუშაკის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი უნდა ყოფილიყო საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 21 წლიდან 35 წლამდე და სასურველი იყო უმაღლესი განათლება ჰქონოდა იურიდიული, პედაგოგი-

---

<sup>39</sup> მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლიდან სოციალური მუშაკი დასაქმებული იყო სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში და საჯარო სამსახურის კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებდა უფლებამოსილებებს, 2009 წლამდე საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრი სოციალურ მუშაკზე, როგორც საჯარო თანამდებობაზე არ უთითებდა.

<sup>40</sup> „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს 2001 წლის კანონის მე-17 მუხლი (ძალადაკარგულია 2007 წლის 17 ივნისიდან).

<sup>41</sup> იქვე.

ური, ფსიქოლოგიური, ფილოლოგიური, პოლიტოლოგიური, ან სოციალური მიმართულებით.<sup>42</sup>

საინტერესოა სოციალური მუშაკის ის განსაზღვრება, რომელსაც „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თავდაპირველი - 2006 წლის რედაქცია ითვალისწინებდა. იგი მიუთითებდა, რომ სოციალური მუშაკი იყო სერტიფიცირებული, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელსაც გამოჰქონდა დასკვნა მზრუნველობამოკლებული ბავშვის სტატუსის მინიჭების, შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ზრუნვისა და მზრუნველობამოკლებულ სრულწლოვნებზე ზრუნვის სახეების გამოყენების შესახებ, აგრეთვე მშობლის უფლების ჩამორთმევის, ან ამ უფლების ჩამორთმევის გარეშე ბავშვის ჩამორთმევის თაობაზე. გარდა ამისა, ეს კანონი აცხადებდა, რომ სოციალური მუშაკის საქმიანობა ექვემდებარებოდა სახელმწიფო რეგულირებას და სოციალური მუშაკი უნდა ყოფილიყო სერტიფიცირებული. სერტიფიცირებას უქვემდებარებდა პირს, რომელსაც: 1. გავლილი ჰქონდა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა; 2. გააჩნდა შესაბამის სფეროში მინიმალური - არანაკლებ 1 წლის მუშაობის გამოცდილება.

ნიშანდობლივია, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2007 წელს განხორციელებული ცვლილებით სოციალური მუშაკის პროფესია **რეგულირებად პროფესიად იქნა აღიარებული**, თუმცა 2009 წლის ცვლილების საფუძველზე პროფესია რეგულირებად პროფესიათა ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა. ეს ცვლილება საქართველოს მთავრობის მხრიდან იყო ინიცირებული, რაც ემყარებოდა მოსაზრებას, რომ პროფესიის განვითარების ად-

---

<sup>42</sup> „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 საპრობილეში საჯარო მოსამსახურეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 4 ოქტომბრის №1792 ბრძანება (ძალადაკარგულია 2011 წლის 22 თებერვლიდან).

რეულ ეტაპზე რეგულირების მექანიზმის შემოღება ბარიერს შეუქმნიდა პროფესიის განვითარებას.<sup>43</sup>

სოციალური მუშაკის როლისა და მნიშვნელობის გაზრდის აუცილებლობა განაპირობა 2006 წელს მიღებულმა საქართველოს კანონებმა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ და „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, ხოლო 2010 წელს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დანერგვამ სოციალურ მუშაკს კიდევ უფრო საპასუხისმგებლო ფუნქციები დააკისრა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.<sup>44</sup> 2006 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი*, რომლის ფარგლებშიც სოციალური მუშაობა ხორციელდება ძალადობის, ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლებთან.

მიუხედავად სახელმწიფო ძალისხმევისა, როგორც სახელმწიფო, ისე ინსტიტუციურ დონეზე განხორციელებინა სოციალური მუშაობის სხვადასხვა მიმართულებების, სოციალური მუშაკის ფუნქციების რეგულირება, სოციალური სამუშაოს, სოციალური მუშაკების მასშტაბური გაფართოება 2007 წლიდან დაიწყო, როდესაც საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით საქართველოს მთავრობა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის განხორციელებას შეუდგა. ბავშვზე ზრუნვის ერთეული 2009 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაექვემდებარა. აგრეთვე გაიზარდა სოციალური მუშაკების ფუნქციები. გარდა ბავშვზე ზრუნვისა, მათ დაევალებათ ზრდასრულთა მეურვეობასთან, მზრუნველობასთან, ოჯახურ დავებთან, სოციალ-

---

<sup>43</sup> სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი, საქართველო, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, 2011, გვ. 7. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:  
<http://www.gasw.org/index.php/ka/publications/researchs/116-2016-08-11-19-30-11> [25.07.2018].

<sup>44</sup> იქვე, გვ. 7-8.

ურად დაუცველ ხანდაზმულთა იდენტიფიცირებასთან და მათი საჭიროებების შეფასებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.<sup>45</sup>

სოციალური მუშაობა ვითარდებოდა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროშიც. ფსიქიკური და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრებსა და ფსიქო-ნევროლოგიურ დისპანსერებში, ასევე სტაციონარებში გაჩნდნენ სოციალური მუშაკები. ამასთანავე, მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების პრობლემის აქტუალობამ განაპირობა ამ სფეროში სოციალურ მუშაკთა არსებობის აუცილებლობა.<sup>46</sup>

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 2004 წელს დაფუძვნდა სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში სოციალური მუშაობის და გარკვეულწილად სოციალური მუშაობის სამართლის განვითარებაში.

სოციალური მუშაობის დამკვიდრებას და განვითარებას უკავშირდება ასევე წარმატებული რეფორმა მართლმსაჯულების სფეროში, რომლის ფარგლებშიც სოციალური მუშაკების მასშტაბური დასაქმება მოხდა სასჯელაღსრულების, პრობაციის და დანაშაულის პრევენციის სისტემებში.<sup>47</sup> სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა სამართლიანად ითვლება მართლმსაჯულების სისტემის ჰუმანიზაციის წინაპირობად.<sup>48</sup> 2015 წელს მიღებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში სოციალური მუშაკი საკანონმდებლო დონეზე იქნა აღიარებული, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მონაწილე პირი. ამავ კოდექსით მას მიენიჭა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის (მედიაციის) პროცესში მონაწილეობისა და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის ფუნქციები.

---

<sup>45</sup> იქვე, გვ. 5.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>47</sup> იქვე, გვ. 9-10.

<sup>48</sup> სოციალური მუშაობის პროფესიული რეგულირების კონცეფცია, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, სამუშაო ვერსია, თბილისი, 2017, გვ. 6-7.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა, არასრულწლოვნის განცალკევებასთან დაკავშირებით, სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობისთვის, ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი სანქციები. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ამგვარი ქმედებისთვის სანქციის სახით გათვალისწინებული იქნა ადმინისტრაციული პატიმრობა 7 დღემდე ვადით, ან გამასწორებელი სამუშაოები ერთ თვემდე ვადით. ხოლო ამავე ქმედების, უკვე ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული პირის მიერ ჩადენისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა სასჯელის სახით დაადგინა ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სოციალური მუშაობა ახალგაზრდა დარგია, იგი არაერთი წარმატებული რეფორმის განუყოფელი ნაწილია. სოციალური მუშაობის ქართულ ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალური მუშაკების აქტიური მონაწილეობით ბავშვთა კეთილდღეობის, იგივე დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის განხორციელებას, რომლის გამოც საქართველო ამ მიმართულებით რეგიონულ სამაგალითო სისტემად იქცა.<sup>49</sup>

2018 წლის 13 ივნისის „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>50</sup> ამოქმედებამდე საქართველოში არ არსებობდა ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავდა სოციალურ მუშაკთან დაკავშირებულ ძირითად მიმართულებებს და დეტალურად გაწერდა მათ უფლება-მოვალეობებს. ეს თავის მხრივ აისახებოდა მომსახურების ხარისხზე და საბოლოო ჯამში, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კეთილდღეობაზე. უფლებამოსილი უწყებები კანონქვემდებარე აქტების დონეზე სხვადასხვაგვარად არეგულირებდნენ სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ბაზას, რაც ვერ უზრუნველყოფდა სოციალური მუშაკის

---

<sup>49</sup> იქვე, გვ. 7.

<sup>50</sup> შემდგომში - კანონი.

საქმიანობის განჭვრეტადობას, როგორც სერვისის მიმღებებისთვის, ასევე, თავად სოციალური მუშაკებისთვის. სისტემის დიფუზიურობა თავის მხრივ ვერ უზრუნველყოფდა მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას სოციალური მუშაკის პროფესიასთან დაკავშირებით. ამგვარი ნორმატიული გარემო ხელს უშლიდა სოციალური მუშაობის, როგორც დარგის, სოციალური მუშაკის პროფესიის დინამიურ განვითარებას, საერთო პროფესიული სტანდარტებისა და ღირებულებების, პრინციპების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას, სოციალური მუშაკის მყარი ინსტიტუციური მექანიზმის შექმნას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმძღვანელოს კონტექსტში განხილული იქნება, სოციალური მუშაობის სამართლის ნორმების ისტორიული განმარტება. რადგან სოციალური მუშაკის მიერ, კანონის გამოყენების დროს, განმარტების სხვა მეთოდებთან ერთად მნიშვნელოვანია ისტორიული განმარტების მეთოდის გამოყენებაც. აღნიშნული მოიაზრებს ნორმის შემფარდებლის, ან გამოყენებლის მიერ შესაბამისი რეგულაციის ისტორიულ კონტექსტში წაკითხვას,<sup>51</sup> რაც თავის მხრივ ნიშნავს, იმის გაანალიზებას, თუ რა გარემოებებმა განაპირობა აღნიშნული ნორმის შექმნა.

### 1.3. ტერმინთა განმარტება

რადგანაც წინამდებარე სახელმძღვანელო სოციალური მუშაობის სამართლის შესასწავლად არის განკუთვნილი, აუცილებელია, რომ მკითხველისათვის განმარტებული იქნეს კანონში გამოყენებული ტერმინები. მანამდე კი უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა სამართლებრივ ტერმინს, მართალია საერთო სამართლის სისტემაში აქვს ერთიანი განმარტება, თუმცა, სამართლის სხვადასხვა სფეროში მათ სხვადასხვაგვარი, სპეციფიური განმარტება შეიძლება ჰქონდეთ.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი განმარტავს კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ

---

<sup>51</sup> J. Reinhard, *Grundkurs Recht für die Soziale Arbeit*, München, 2016, S. 54.

ტერმინთა მნიშვნელობას, თუმცა, თვით კანონი ამომწურავად რათქმაუნდა ვერ განმარტავს ყველა ტერმინსა და ცნებას. ამიტომ ამ ქვეთავში განმარტებული იქნება რამდენიმე მნიშვნელოვანი ტერმინი.

**შეფასება ობიექტური დამკვირვებლის თვალით** - ტერმინი კანონში გამოიყენება მოვლენათა შეფასების კრიტერიუმად. უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტურ შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს ფაქტი, ან სანდო ინფორმაცია. ე.წ. ობიექტური დამკვირვებლის ინსტიტუტი გვხვდება საპოლიციო სამართალშიც. „ობიექტურ დამკვირვებელში“ იგულისხმება ჩვეულებრივი გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანი, რომელსაც არანაირი ინტერესი არა აქვს კონკრეტული შემთხვევის მიმართ.<sup>52</sup> სწორედ ობიექტური დამკვირვებლის პოზიციიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს ვარაუდი იმ საფრთხეების შესახებ, რომლის წინაშეც შესაძლოა იდგეს ადამიანი.

ობიექტური შეფასება, სწორედ, **საფრთხის** ცნების გაგებას ეფუძნება. კანონი საფრთხეს განმარტავს, როგორც ვითარებას, როდესაც არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ მოვლენების მოსალოდნელი განვითარების შეუფერხებელი მსვლელობის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ზიანი მიადგება ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საფრთხის შეფასება არის არამხოლოდ მოვლენათა ობიექტურად შეფასება, არამედ მისი სუბიექტური შეფასება, როგორცაა მაგალითად მისი ცოდნა, გამოცდილება, პროფესიული ალღო და კომპეტენციები. რაც უფრო მყარია ფაქტობრივი გარემოებები და მნიშვნელოვანი დასაცავი სიკეთე, მით უფრო ნაკლები მტკიცება სჭირდება საფრთხის არსებობას და სოციალურმა მუშაკმა უნდა განახორციელოს შესაბამისი ჩარევა.

**ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესი** – კანონი განმარტავს, რომ ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესი არის სოციალური უსაფ-

---

<sup>52</sup> ავტორთა კოლექტივი, რედ. ლ. იზორია, საპოლიციო სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 119.



რთხოების, მისი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის, კეთილდღეობის განვითარების, ან სხვა ინტერესი. რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს.<sup>53</sup> სოციალური მუშაობის კონტექსტში ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესი არის მისთვის სრულყოფილ და ჰარმონიულ გარემოში განვითარების საშუალების მიცემა. იგი სოციალური მუშაკის მიერ უნდა შეფასდეს ობიექტური კრიტერიუმებით, რომლებიც ეყრდნობა თვით ბენეფიციარის თვითშეფასებას, მის ინტერესებსა და სურვილებს. იმავდროულად აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტერმინი ბავშვთან მიმართებით გამოიყენება გაეროს 1989 წლის ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლით, თუმცა, კონვენციის მიხედვით, ტერმინი მოხსენიებულია, როგორც „ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი“ და იგი უფლებამოსილი პირის მიერ კონკრეტული მდგომარეობის შეფასებისას სხვა სიკეთეზე უფრო პრიორიტეტულად მიიჩნევა.

**გადაუდებელი შემთხვევა** - კანონი გადაუდებელ შემთხვევას განმარტავს როგორც მდგომარეობას, რომელიც მყისიერ საფრთხეს უქმნის ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესს. შესაბამისი ტერმინი გამოიყენება იმ კონკრეტული შემთხვევებისათვის როცა, საფრთხე იმდენად უშუალო და მყისიერია, რომ სოციალურ მუშაკს შეუძლია კონკრეტულ მომენტში, გამონაკლისი წესით იმოქმედოს, მაგალითად გადადგას ნაბიჯები სამოქმედო გეგმის შემუშავების გარეშე.

**სოციალური მუშაკის ქმედების თანაზომიერების შემოწმება**<sup>54</sup> - სოციალური მუშაკის ქმედება, იმ შემთხვევაში არის თანაზომიერი, თუ: 1. მას აქვს ლეგიტიმური მიზანი (ლეგიტიმური მიზანი, არ შეიძლება გამომდინარეობდეს სოციალური მუშაკის, ან ორგანიზაციის კერძო ინტერესებიდან) 2. სოციალური მუშაკის ქმედება გამოსადეგია დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად 3.

---

<sup>53</sup> იხ. ტერმინის განმარტება ასევე ქვემოთ, ქვეთავში - 4.8.

<sup>54</sup> თანაზომიერების პრინციპის განმარტება იხილეთ დეტალურად მეორე თავში, ქვეთავი, 2.7.

თუ კონკრეტული ღონისძიების შესასრულებლად, სოციალური მუშაკის მიერ არ შეიძლება გამოყენებული იქნეს შერჩეულზე უფრო ნაკლებად მზლუდავი საშუალება, რომელიც ნაკლებ ზიანს გამოიწვევდა ბენეფიციარისათვის 4. თუ სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული ღონისძიება იცავს ისეთ სამართლებრივ სიკეთეს, რომელიც აღემატება სხვა ღირებულებებს (მაგალითად ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის დროს ერთმანეთის საპირწონედ დგას ბავშვის საუკეთესო ინტერესი და ოჯახის ერთიანობა. ამ შემთხვევაში, ბავშვის საუკეთესო ინტერესი უპირატესია. თუ ბავშვისათვის უმჯობესია ოჯახიდან გამოყვანა, მაშინ მეორე სიკეთე (ოჯახის ერთიანობა) ნაკლებად მნიშვნელოვანია.

## **თავი 2. სოციალური მუშაობის ძირითადი პრინციპები**

### **2.1. სოციალური მუშაობის პრინციპების არსი და სამართლებრივი ბუნება**

კანონი ადგენს პრინციპებს, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა სოციალური სამუშაოს განხორციელებისას. კანონით დადგენილი პრინციპები სავალდებულოა ყველა სოციალური მუშაკისათვის, მიუხედავად დასაქმების ადგილისა და მისი დარგობრივი კომპეტენციისა.

კანონის მიღებამდე სოციალური მუშაკებისთვის არ იყო დადგენილი სამუშაოს განხორციელების პრინციპები. შესაბამისად, საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული სოციალური მუშაკები სამუშაოს შესრულებისას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი პრინციპებით, კერძო სექტორში დასაქმებული სოციალური მუშაკები კი დამოკიდებულნი იყვნენ იმ დანაწესებზე, რომლებიც გათვალისწინებული იყო შრომით ხელშეკრულებასა და შრომის შინაგანაწესში, ხოლო თვითდასაქმებული სო-

ციალური მუშაკები ყოველგვარი პრინციპის რეგულირების მიღმა რჩებოდნენ.

მართალია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი პრინციპები ვრცელდება საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებზე, მაგრამ ისინი ძირითადად შეეხება დაწესებულებების საქმიანობასა და დაწესებულებაში დასაქმებულის გარანტიებს, ასევე, ზოგად აკრძალვებს. შესაბამისად, აღნიშნულ დებულებებში არ არის მოცემული უშუალოდ სოციალური მუშაობის განხორციელების სპეციფიკა. რიგ შემთხვევებში, კი, ისინი სოციალურ მუშაობასთან საერთოდ არ არის კავშირში. მაგალითად, საქვეყნობის პრინციპი. აქვე, ყურადღებიდან არ უნდა გამოვრჩეს ის საკითხიც, რომ კანონმდებლობით ფაქტობრივად ყურადღების მიღმა იყვნენ დარჩენილი კერძო სექტორში დასაქმებული და თვითდასაქმებული სოციალური მუშაკები, რომლებიც ახალი კანონის მიღებით, დაექვემდებარებიან სოციალური მუშაობის ისეთსავე წესებს, როგორებსაც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული სოციალური მუშაკები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელი იყო საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრულიყო სოციალური მუშაობის პრინციპები, ისევე, როგორც ეს განვითარებული სამართლის მქონე, დასავლეთევროპული ქვეყნების შემთხვევაშია.

სოციალური მუშაობის პრინციპები წარმოადგენს იმ სამართლებრივ სახელმძღვანელო ნორმებს, რომლებსაც ემყარება მთელი სოციალური სამუშაო. ამ მიმართულებით კანონით გათვალისწინებული თითოეული ნორმა ეფუძნება იმ ღირებულებებს, რომლებიც ინსტიტუციონალიზირებულია სოციალური მუშაობის პრინციპების სახით. პრინციპების საფუძველი ღირებულებათა ის სისტემაა, რომელსაც ეფუძნება სოციალური მუშაობა. ეს ღირებულებებია დემოკრატია, პლურალისტური და ტოლერანტული საზოგადოებაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც სოციალური მუშაკი იცავს პრინციპებს, იმავდროულად იცავს ღირებულებათა სისტემას, რომელიც მნიშვნელოვანწილად ემსახურება საზოგადოების გაჯანსა-

დებას. სოციალური მუშაობა, როგორც პროფესია არის ღირებულებებზე ორიენტირებული პროფესია<sup>55</sup>. ღირებულება, თავის მხრივ არის ის, რაც აღიარებულია, როგორც ნაციონალურ, ან სუბკულტურაში. ამდენად, შესაძლებელია სხვადასხვა კულტურებს განსხვავებული ღირებულებები ჰქონდეთ<sup>56</sup>.

დასავლურ კულტურაში, რომლის ნაწილი საქართველოცაა, სოციალური სამუშაო ასრულებს საზოგადოებრივ დაკვეთას. ის არის სახელმწიფოს ინსტიტუტის ფორმა, რომელიც ეხმარება მოწყვლად ადამიანებს ცხოვრება მართონ საკუთარი პასუხისმგებლობით. ეს, თავის მხრივ, გამოხატავს ჰუმანურ და დემოკრატიულ იდეალებს, სადაც სამართლიანობა, ადამიანის ღირსება და მისგან გამომდინარე ადამიანის სხვა უფლებები დიდ როლს თამაშობენ<sup>57</sup>. პრაქტიკაში სოციალური მუშაობა ამ პროფესიის წარმომადგენლებს გამოწვევების წინაშე აყენებს, რომელიც ეფუძნება პასუხისმგებლობას არა მარტო ინდივიდების, არამედ სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე. სოციალური სამუშაო ხშირად ინტერესთა კონფლიქტის გზაგასაყარზეა. სოციალურ მუშაკებს უწევთ გადაწყვეტილების მიღება, როგორც კანონის, ასევე, მორალურ-ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებით. ერთი მრივ, მათ უნდა გაითვალისწინონ ბენეფიციარის ინტერესები, მეორე მხრივ, საზოგადოების და სახელმწიფოს.<sup>58</sup> სოციალური სამუშაოს ძირითადი პრინციპები ეხმარება სოციალურ მუშაკებს სამართლიანი, დაბალანსებული გადაწყვეტილების მიღებაში.

---

<sup>55</sup> Berufsethik der DBSH in Forum Sozial 4/2014, S. 12, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:  
<<https://www.dbsh.de/fileadmin/downloads/DBSH-Berufsethik-2015-02-08.pdf>>

<sup>56</sup> K. Leuthhardt, *Menschenrechtsdiskurs und berufsethische Prinzipien – Eine Herausforderung fuer die soziale Arbeit: Analyse eine stationaeren Kinder- und Jugendhilfeeinrichtung*, 2009, S 9.

<sup>57</sup> იქვე, S. 11-12.

<sup>58</sup> C. Baerwald, *Soziale Arbeit als Menschenrechtsprofession: Menschenrechte als Leitlinie der sozialen Arbeit?* 2004, Nordersterdt, 2014, Nordersterdt, 2014, S. 1.

ამდენად, ღირებულებების განხორციელებისათვის კანონი ადგენს მათზე დაფუძნებულ სამართლებრივ ბაზას, რომელიც სოციალური მუშაობის პრინციპებში გამოიხატება. სოციალური სამუშაოს პრაქტიკისათვის ეს ნიშნავს იმას, რომ სოციალური მუშაკის ფუნქციის ნებისმიერი განხორციელება უნდა დაიგეგმოს და გატარდეს იმ სულისკვეთებით, რომელიც გადმოცემულია სოციალური მუშაობის პრინციპებში. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რომ ეს არ ნიშნავს მის დეკლარაციულ ხასიათს, რადგან სოციალური მუშაობის პრინციპები წარმოადგენს არა მხოლოდ სამუშაოს შესრულების ზოგად სახელმძღვანელო პრინციპებს, არამედ უშუალოდ მოქმედ სამართალს, რომლის გათვალისწინება და დაცვა ყველა სოციალური მუშაკის მოვალეობაა, ხოლო მათი დარღვევა იწვევს შესაბამის სამართლებრივ შედეგს.

## 2.2. სოციალური მუშაობის ცალკეული პრინციპები

კანონის პროექტის ერთ-ერთი პირველი სამუშაო ვერსია ითვალისწინებდა სოციალური მუშაობის 6 პრინციპს: ადამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპს, სოციალური სამართლიანობის პრინციპს, თანასწორობის პრინციპს, დარგობრივი სპეციალიზაციის პრინციპს, თანაზომიერების პრინციპსა და კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის დაცვის პრინციპს.<sup>59</sup> თუმცა, კანონის პროექტზე მუშაობის პროცესში, დამატებით გამოიკვეთა ცალკე გამოყოფილიყო ინდივიდუალიზაციისა და სოციალური მუშაობის სისტემურობის პრინციპებიც, ხოლო დარგობრივი სპეციალიზაცია შეიცვალა დარგობრივი კომპეტენციის პრინციპით.

საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენისას კანონის პროექტმა მოიცვა მითითებული პრინციპებიც<sup>60</sup> და კანონში აისახა სოციალური მუშაობის ისეთი უმნიშვნელოვანესი საფუძვლები, როგორებიცაა:

---

<sup>59</sup> ხელმისაწვდომია ვებ. გვერდზე: <<http://parliament.ge/uploads/other/81/81935.pdf>> [07.07.2018].

<sup>60</sup> ხელმისაწვდომია ვებ. გვერდზე:

- ადამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპი;
- სოციალური სამართლიანობის პრინციპი;
- თანასწორობის პრინციპი;
- დარგობრივი კომპეტენციის პრინციპი;
- თანაზომიერების პრინციპი;
- ინდივიდუალიზაციის პრინციპი;
- კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის დაცვის პრინციპი;
- სოციალური მუშაობის სისტემურობის პრინციპი.

## 2.2.1. ადამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპი

### 2.2.1.1. ადამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპის არსი

სოციალური მუშაკის პროფესია არის ადამიანის უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი. ის ხელს უწყობს ადამიანის უფლებების განხორციელებას<sup>61</sup>. სოციალური მუშაობა არის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პროფესია<sup>62</sup>, რომელიც სათავეს ღირებულებებზე დაფუძნებულ პრინციპებში იღებს. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტიც, რომ სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციამ ადამიანის უფლებების დაცვა აღიარა, როგორც სოციალური მუშაობის ქვაკუთხედი<sup>63</sup>. ადამიანის ღირსების იდეა ეყრდნობა წარმოდგენას სოციუმთან მჭიდრო კავშირში მყოფ ინდივიდზე, რომელსაც აქვს უნარი ავტონომიური მოქმედებებისა. შესაბამისად, ერთი მხრივ, ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთი აღიარონ სოლიდარულ საზოგადოებაში, როგორც თავისუფა-

---

<<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/182047?>> [07.07.2018].

<sup>61</sup> B. Loderbauer, Hrsg. *Recht fuer Sozialberufe*, 4. Aufl. Lexis Nexis Verlag, Wien, 2016, S.1.

<sup>62</sup> J Iffe *Human Rights and Social Work: Towards Rights-Based Practice*, 3<sup>rd</sup> ed. Cambridge University Press, New York, 2012, S.40.

<sup>63</sup> Global Definition of Social Work, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.ifsw.org/what-is-social-work/global-definition-of-social-work/>>

ლი და თანასწორი. მეორე მხრივ, სოციალური მუშაობის გამოყენებით დემოკრატიულ, სოციალურ და სამართლებრივ სახელმწიფოში შესაძლებელია უფრო მეტი სამართლიანობის და ჩართულობის მიღწევა ყველასათვის<sup>64</sup>.

კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სოციალური მუშაობა ეფუძნება თითოეული ადამიანის ღირსებისა და სხვა ძირითადი უფლებების პატივისცემას. საჯარო სექტორში დასაქმებული სოციალური მუშაკები წარმოადგენენ სახელმწიფოს. სახელმწიფო, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, თავის ქმედებებში არის შებოქილი ადამიანის ძირითადი უფლებებით. ამდენად, სოციალური მუშაკი, რომელიც სახელმწიფოს სახელით მოქმედებს ბენეფიციარებთან და სხვა პირებთან საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას, თავად არის ძირითადი უფლებებით შეზღუდული.

კერძო სექტორში დასაქმებული სოციალური მუშაკები სოციალური სამუშაოს განხორციელებისას, კანონის მიხედვით, ასევე, შებოქილნი არიან ძირითადი უფლებებით. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ რადგან ისინი საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს სამუშაოს ასრულებენ, ხშირად მათზეა ადამიანის განვითარების მიმართულება დამოკიდებული. ამდენად, კანონმდებელმა გაითვალისწინა ის მაღალი საჯარო ინტერესი, რომ, ასევე, კერძო სექტორში დასაქმებულმა სოციალურმა მუშაკებმა განუხრელად უნდა დაიცვან ადამიანის უფლებები.

კანონი ადგენს ადამიანის ყველა ძირითადი უფლების პატივისცემის ვალდებულებას სოციალური მუშაკისთვის. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული ნორმის რედაქციაში სხვა ძირითადი უფლებებისგან გამოყოფილი და განსაკუთრებულად აღნიშნუ-

---

<sup>64</sup> Berufsethik der DBSH in Forum Sozial 4/2014, S. 2, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.dbsh.de/fileadmin/downloads/DBSH-Berufsethik-2015-02-08.pdf>

ლია ადამიანის ღირსების პატივისცემის ვალდებულება, რაც რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული.

პირველყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მუშაკი ეხმარება ადამიანებს უზრუნველყოფილ იქნას მათი სოციალური უსაფრთხოება და განვითარება, რაც თავის მხრივ პირდაპირ კავშირშია მისი, როგორც ღირსების მქონე ინდივიდის აღიარებასა და მისგან გამომდინარე უფლებების დაცვასთან<sup>65</sup>. ადამიანის ღირსება, რომელიც სათავეს ქრისტიანულ მოძღვრებაში იღებს, აღიარებულია, როგორც აბსოლუტური უფლება.

მეორე მხრივ, 2017 წლის 13 ოქტომბრის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, კონსტიტუციის მეორე თავი (ადამიანის ძირითადი უფლებები) ახლებურად ჩამოყალიბდა, სადაც ძირითად უფლებათა ჩამონათვალში პირველ ადგილზე განმტკიცებულია ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა. კონსტიტუციის ახალი რედაქცია კონცეფტუალურად ახლებურ მიდგომას აყალიბებს და აღიარებს, რომ ადამიანის ღირსება უფლებათა შორის უპირველესია. მისი ხელშეუხებლობა აბსოლუტური უფლებაა, რომლის შეზღუდვის შესაძლებლობას კონსტიტუცია არ უშვებს.<sup>66</sup>

მხედველობაშია მისაღები „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის მიზნებიც. კერძოდ, მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზანია სოციალური მუშაობის იმგვარი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ემსახურება ინდივიდის მიერ თავისი ცხოვრების წარმატებით წარმართვას, თვითდახმარებისა და თვითგანვითარების გზით მისი დამოუკიდებლობისა და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას. ეს დებულება წარმოადგენს ანარეკლს იმ თანამედროვე, განვითარებული სამყაროს მიდგომისა, რომლის მიხედვით თითოეული ადამიანი არის ინდივიდი, ღირსების

---

<sup>65</sup> D. Androff, *Practicing Human Rights: Human Rights-Based Approach to Social Work Practice*, London, 2016, S.2.

<sup>66</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I.



მატარებელი და შესაბამისად მისი მთავარი ღირებულება მისი ინდივიდუალობის თავისუფალი განვითარებაშია<sup>67</sup>.

ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს, რომ სოციალური მუშაკი თავად არ უნდა არღვევდეს ადამიანის უფლებებს, ასევე, ხელს უნდა უწყობდეს ძირითადი უფლებების განხორციელებას. აღნიშნულ ნორმაში ვლინდება კონსტიტუციით სახელმწიფოსთვის დადგენილი უფლების დაცვის ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულება.

ადამიანის უფლებათა დაცვის ნეგატიური ვალდებულების გამოხატულებაა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი ალტერნატივა: „სოციალური მუშაკი [...] არ უნდა არღვევდეს ადამიანის უფლებებს“. სოციალურ მუშაკს ეკრძალება დაარღვიოს სხვათა უფლებები, არ ხელყოს ისინი და ხელი არ შეუშალოს მათ განხორციელებას<sup>68</sup>.

*მაგალითი: სოციალური მუშაკი დაუშვებელია მოექცეს ბენეფიციარს როგორც ობიექტს, დაამციროს იგი, მოექცეს არაჰუმანურად და ამგვარად შეურაცხყო მისი ღირსება; სოციალური მუშაკი არ შეიძლება ძალადობდეს ფიზიკურად და ფსიქიკურად ბენეფიციარზე; დაუშვებელია სოციალურმა მუშაკმა ხელი შეუშალოს ბენეფიციარს განათლების მიღებაში; სოციალურმა მუშაკმა ხელი არ უნდა შეუშალოს ბენეფიციარს, მიიღოს ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მომსახურება და სხვა.*

ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის პოზიტიური ვალდებულება განსაზღვრულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე ალტერნატივაში: [სოციალური მუშაკი] „ხელს უნდა უწყობდეს ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებას“. პოზიტიური

---

<sup>67</sup> Berufsethik der DBSH in Forum Sozial 4/2014, S. 24 ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.dbsh.de/fileadmin/downloads/DBSH-Berufsethik-2015-02-08.pdf>>

<sup>68</sup> Vgl. Loderbauer Hrsg. *Recht fuer Sozialberufe*, 4. Aufl. Lexis Nexis Verlag, Wien, 2016, S.7.

ვალდებულება სახელმწიფოსაგან ითხოვს, უზრუნველყოს ადამიანის უფლებებით ეფექტიანი სარგებლობა, რაც, უპირველეს ყოვლისა მოითხოვს, რომ სახელმწიფომ აქტიურად იმოქმედოს და მიიღოს ზომები იმისათვის, რომ შესრულდეს კონსტიტუციით განსაზღვრული ძირითადი უფლების მიზნები<sup>69</sup>. მოცემულ შემთხვევაში, საქმე გვაქვს არა ჩარევის, ან ხელის შეშლის აკრძალვასთან, არამედ პოზიტიურ ღონისძიებებთან, რომლებიც სოციალურმა მუშაკმა უნდა გაატაროს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბენეფიციარის ძირითადი უფლებების განხორციელება<sup>70</sup>.

*მაგალითი: სოციალური მუშაკი ვალდებულია ხელი შეუწყოს ბენეფიციარს, მისცეს სათანადო რჩევები, რათა მან დამოუკიდებლად შეძლოს ცხოვრების ღირსეული პირობების უზრუნველყოფა; ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ეს ფაქტი უნდა შეატყობინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მოხდეს ქალის დაცვა მოძალადისგან; სოციალურმა მუშაკმა ხელი უნდა შეუწყოს ბენეფიციარს ზოგადი განათლების მიღებაში, რისთვისაც მას უნდა მისცეს კონკრეტული მიმართულება ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით; სოციალურმა მუშაკმა ხელი უნდა შეუწყოს ბენეფიციარს, მიიღოს ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მომსახურება და მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამისი სერვისების შესახებ.*

### **2.2.1.2. სოციალური მუშაკის ვალდებულება კონკრეტულ უფლებებთან მიმართებით**

კანონი ემსახურება ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვასა და რეალიზებას, რაც გამოხატულებას პოულობს სახელმწიფოს ნეგატიურ და პოზიტიურ ვალდებულებებში. ამდენად, მნიშვნელოვანია განვიხილოთ სოციალურ მუშაკის პოზიტიური

---

<sup>69</sup> V. Epping *Grundrechte*, Berlin, 2014, S. 5.

<sup>70</sup> Vgl. B. Loderbauer Hrsg. *Recht fuer Sozialberufe*, Wien, 2016, S. 9.

და ნეგატიური ვალდებულებები ბენეფიციარის კონკრეტულ რამდენიმე ძირითად უფლებასთან მიმართებით:

**ა) ადამიანის სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება**

საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის თანახმად, ადამიანის სიცოცხლე და ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია. კონსტიტუციის აღნიშნული დებულება მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, არ დაარღვიოს პირის სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება და ამასთანავე, პოზიტიურ ვალდებულებას, შექმნას შესაბამისი კანონმდებლობა მისი ეფექტური აღსრულების მექანიზმით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეს უფლება.<sup>71</sup> აღნიშნული კანონმდებლობის აღსრულება კი, არის სოციალური მუშაკის ვალდებულება.

*მაგალითი: კანონის საფუძველზე, სოციალური მუშაკი ვალდებულია არ გაამჟღავნოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარის ადგილის შესახებ ინფორმაცია და ხელმისაწვდომი არ გახადოს მოძალადისთვის, რათა საფრთხე არ შეექმნას მსხვერპლის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას; სოციალური მუშაკი ვალდებულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი ჩართოს შესაბამის მომსახურებაში და მიაწოდოს ინფორმაცია თავშესაფრის შესახებ, კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად, რათა დაცული იყოს ბენეფიციარის სიცოცხლე და ჯანმრთელობა;*

სუიციდის საშიშროების შემთხვევაში, სოციალურმა მუშაკმა უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, მათ შორის, ფსიქოლოგის ჩართვა, იმისთვის, რომ ბენეფიციარმა სიცოცხლე თვითმკვლელობით არ დაასრულოს;

---

<sup>71</sup> ავტორთა კოლექტივი, ე. გოცირიძე, *საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის კომენტარი*, თბილისი, 2013, გვ. 75.

## **ბ) პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება**

კონსტიტუციის მე-12 მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. აღნიშნული მოიცავს ზოგად თავისუფლებას, პიროვნებამ თავისი ინდივიდუალური გადაწყვეტილებების შესაბამისად იმოქმედოს, ან არ იმოქმედოს<sup>72</sup>, თუ ის კონსტიტუციური წესრიგით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს არ არღვევს.

*მაგალითი:* სოციალური მუშაკი ხელს უწყობს ბენეფიციარს ინდივიდუალური სურვილის მიხედვით აირჩიოს სახელმწიფო სერვისებიდან ერთი ან რამდენიმე.

## **გ) პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება**

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ადგენენ, რომ ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება, ასევე, პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუვალია. შესაბამისად, სოციალური მუშაკი ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელებისას გაითვალისწინოს პირადი ცხოვრების ხელშეუვალობის უფლება. ბენეფიციარის პირადი და ოჯახური სფერო განსაკუთრებით დაცული კონსტიტუციური სიკეთეა. აღნიშნული შეეხება პირის კერძო, ინტიმური და სოციალური სფეროების დაცვას<sup>73</sup>. სოციალური მუშაკი ვალდებულია პიროვნება ოჯახში, საზოგადოებაში, ასევე, იმ სოციუმში გაითვალისწინოს, რომელშიც ის ცხოვრობს და მისი სამუშაო ყველა ამ ასპექტის გათვალისწინებით განახორციელოს. მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს ინდივიდების ძლიერ მხარეებზე და მისი განვითარება სწორედ ამ ძლიერი მხარეების კიდევ უფრო მეტად განმტკიცებით მოხდეს<sup>74</sup>.

---

<sup>72</sup> V. Epping *Grundrechte*, Berlin, 2014, S. 267.

<sup>73</sup> ავტორთა კოლექტივი, ი. კობახიძე *საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის კომენტარი*, თბილისი, 2013, გვ. 180.

<sup>74</sup> Berufsethik der DBSH in Forum Sozial 4/2014, S. 30, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

პირის კონსტიტუციით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობას იცავს კანონის 25-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სოციალური მუშაკი ვალდებულია არ გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი სამუშაოს შესრულებისას. გამონაკლისს წარმოადგენს ის ინფორმაცია, რომლის გაცემის ვალდებულებაც აქვს სოციალურ მუშაკს, ან იმ დაწესებულებას, სადაც ის მუშაობს (მუხლი 26).

მაგალითი: სოციალური მუშაკისთვის ცნობილი გახდა, რომ ბენეფიციარი წარსულში ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადიოდა მკურნალობის კურსს, რომლის შესახებაც მას არ სურს სხვა ადამიანებს ჰქონდეთ ინფორმაცია. დაუშვებელია, სოციალურმა მუშაკმა ასეთი ინფორმაცია გასცეს;

სოციალურ მუშაკს ბენეფიციარმა გაანდოს, რომ პრობლემები აქვს მეუღლესთან და აპირებს მას დაშორდეს. სოციალური მუშაკი ვალდებულია არავის უთხრას ეს ინფორმაცია; დაუშვებელია სოციალურმა მუშაკმა გასცეს ბენეფიციარის პერსონალური მონაცემები, მათ შორის სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი და სხვა მონაცემები, რომლითაც შეიძლება მოხდეს ბენეფიციარის იდენტიფიცირება.

სოციალურ მუშაკს ბენეფიციარმა აჩვენა მეუღლესთან სატელეფონო მიმოწერა, სადაც მეუღლე მას სიცოცხლის მოსპობით ემუქრება. სოციალური მუშაკის ვალდებულებაა საიდუმლოდ შეინახოს ეს მიმოწერა, გარდა სამართალდამცავებთან გამჟღავნებისა.

ამავდროულად კანონი ადგენს ამ ძირითად უფლებაში ჩარევის საფუძველსაც. მაგალითად, კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის და მეურვეობის/მზრუნველობის/ მხარდაჭერის სფეროში სოციალური მუშაობა გულისხმობს ბავშვის ძალადობისა და უგულუბელყოფისგან დაცვის მიზნით ზომების მიღებას. "ქალთა მიმართ ძალადობის, ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა

და დახმარების შესახებ" კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, ეს ღონისძიება შეიძლება იყოს ბავშვის განცალკევება მოძალადისგან, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით დადგენილი წესით.

*მაგალითი: სოციალური მუშაკი ერევა ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში, მაშინ როდესაც ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა მოითხოვს ბავშვის განცალკევებას მოძალადისგან, თუნდაც ეს მოძალადე მშობელი, ან ოჯახის რომელიმე სხვა წევრია. ამ შემთხვევაში ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთეა, ვიდრე ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობა.*

#### **დ) განათლების უფლება**

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით, ხოლო დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სოციალური მუშაობა გულისხმობს მოსწავლის ზოგადი განათლების, ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობის უზრუნველყოფას და მისი სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობას.

*მაგალითი: სოციალური მუშაკი შესაბამის კონსულტაციებს უწევს ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეს, რათა მან შეძლოს საგანმანათლებლო პროცესში სრულყოფილად მონაწილეობის მიღება; ოჯახში, სადაც ერთი მშობელი ალკოჰოლდამოკიდებულია, მეორე მშობელი ნარკოდამოკიდებული, ბავშვი კი უგულვებელყოფის მსხვერპლი, რომელიც სკოლაში არ დადის, სოციალური მუშაკი იღებს ყველა შესაბამის ზომას, რომ ბავშვი დაუბრუნდეს სკოლას და მოახდინოს მისი კონ-*

სტიტუციით გარანტირებული განათლების მიღების უფლების რეალიზება.

ბავშვი, რომელიც ცხოვრობს საოჯახო ტიპის ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებაში, აქვს სურვილი დაეუფლოს კონკრეტულ პროფესიას, იმისთვის რომ 18 წლის მიღწევის შემდეგ არ გაუჭირდეს სამუშაოს პოვნა საზოგადოებაში, სოციალური მუშაკი აძლევს მას რჩევებს, პროფესიის შერჩევის სერვისებთან დაკავშირებით და ეხმარება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში მისი ინდივიდუალური სურვილის და უნარების გათვალისწინებით.

სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სოციალური მუშაკი ხელს უწყობს მათ ჩართვას სხვადასხვა უფასო არაფორმალური განათლების პროგრამებში<sup>75</sup>.

#### ე) ჯანმრთელობის დაცვის უფლება

უკვე ათწლეულებია, სოციალური სამუშაო მსოფლიოში ორიენტირებულია ჯანმრთელობის დაცვასა და ჯანმრთელობის პრევენციაზე<sup>76</sup>.

კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით. კანონის მე-19 მუხლი ადგენს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სოციალური მუშაობა გულისხმობს ბენეფიციართან სოციალურ მუშაობას მისი ჯანმრთელობის დაცვის პროცესში (ქრონიკული, სომატური, თუ სხვა დაავადებები<sup>77</sup>), მათ შორის, მისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მიწოდების კუთხით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოწყვლადი ჯგუფების ჯანმრთელობას.

---

<sup>75</sup> C. Stock, B. Schermaier –Stoeckl, V. Klomann, *A Vittr Soziale Arbeit und Recht*, Lehrbuch, 2016, S. 150.

<sup>76</sup> W. Thole Hrsg. *Grundriss Soziale Arbeit: ein einfuehrendes Handbuch*, Wuerzburg, 2012, S. 500.

<sup>77</sup> იქვე.

მაგალითი: სოციალური მუშაკი ბენეფიციარს უწევს კონსულტაციას ნარკოდამოკიდებულების შემთხვევაში მეტადონით ჩანაცვლების პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობის შესახებ; სოციალური მუშაკი სოციალურად დაუცველ მარტოხელა მოხუც ბენეფიციარს ხელს უწყობს ჩაერთოს ჯანმრთელობის დაცვის უფასო სახელმწიფო პროგრამაში; სოციალური მუშაკი სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს აწვდის ინფორმაციას სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის უფასო სპორტული წრეების არსებობის და მათში ბენეფიციარის ბავშვების ჩართვის შესაძლებლობის შესახებ.

### **ვ) საკუთრების უფლება**

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლება მოიცავს საკუთრების ფლობის, შექმნის, ან გასხვისების უფლებას<sup>78</sup>. ის მოიცავს, ასევე, მემკვიდრეობის უფლებას. მის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა<sup>79</sup>. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინციტივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას<sup>80</sup>.

---

<sup>78</sup> V. Epping *Grundrechte*, Berlin, 2014, S. 216.

<sup>79</sup> ავტორთა კოლექტივი, ა. ფირცხალაშვილი, *საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის კომენტარი*, თბილისი, 2013, გვ. 201.

<sup>80</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის № 1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძე, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძე vs საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სამოტივაციო ნაწილი, მე-5 პუნქტი



*მაგალითი:* სოციალურად დაუცველი მარტოხელა მოხუცი გახდა თაღლითობის მსხვერპლი მეზობლის მხრიდან, რომელმაც მოტყუებით გადააფორმებინა მოხუცს მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა. სოციალური მუშაკი უწევს კონსულტაციას მოხუცს, ვის შეიძლება მიმართოს საკუთარი დარღვეული უფლებების აღსადგენად და აკავშირებს მას იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილობრივ ბიუროში.

### **2.3. სოციალური მუშაკის მიერ ადამიანის უფლებების შეზღუდვის საფუძველი**

სოციალური მუშაკი ვალდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში უფლებამოსილია, შეზღუდოს სხვისი ძირითადი უფლებები ბენეფიციარის უფლებათა დასაცავად, რომელიც აუცილებლად გამართლებული შეზღუდვა უნდა იყოს<sup>81</sup>.

*მაგალითი:* დედის მხრიდან ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, რომელიც იმწუთიერად მიმდინარეობს, ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით მსხვერპლს განარიდებს დედას. ამ შემთხვევაში, სოციალური მუშაკის ჩარევა და დედის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებული და კანონიერია, იმისათვის, რომ დაიცვას ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, შესაძლებელია, ასევე, სიცოცხლეც.

### **2.4. სოციალური სამართლიანობის პრინციპი**

სოციალური სამართლიანობის პრინციპი ემსახურება, ერთი მხრივ, საზოგადოებრივ ურთიერთობებში სოციალური სამართლიანობის მიღწევას. იმავდროულად, სოციალური მუშაკი ხელს უწყობს საზოგადოებაში სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრას და სოციალურ პროგრესს (მუხლი 7).

აღნიშნული პრინციპი გარკვეულწილად წარმოადგენს კონსტიტუციის ახალი რედაქციის გამომახილსაც. კონსტიტუციის პრეამ-

---

<sup>81</sup> იხ. თანაზომიერების პრინციპი, ქვეთავი 2.7.

ბულაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება დაამკვიდრონ სოციალური სახელმწიფო. ამასთან, კონსტიტუციაში განისაზღვრა სოციალური სახელმწიფო, როგორც პრინციპი. აღნიშნული სახელმწიფოს მიერ გამოხატული აშკარა ნებაა, რომ მოხდეს სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის განმტკიცება, რომ სახელმწიფომ უფრო მეტად იზრუნოს იმათზე, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება მისი გვერდით დგომა, რადგან სოციალურ მუშაკს უდიდესი როლი ეკისრება იმაში, რომ ბენეფიციარებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი სოციალურ სიკეთეებზე, სოციალური სამართლიანობა სოციალური მუშაობის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. სამართლის დოქტრინაში, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი თავის ძირითად საფუძველს ღირსებასთან, თანასწორობის და სხვა უფლებებთან მჭიდრო კავშირში იღებს<sup>82</sup>. ამ ურთიერთკავშირის შედეგად მოქალაქე სახელმწიფოს მიმართ მადლობელი, დაქვემდებარებული პირის ნაცვლად არის პასუხისმგებელიანი მოქალაქე, რაც მის სამართლებრივ პოზიციას მნიშვნელოვნად ამყარებს.<sup>83</sup>

სოციალური სამართლიანობა გამოხატავს ისეთ საზოგადოებრივ მდგომარეობას, როდესაც უფლებების, შესაძლებლობების და რესურსების შედარებითი (გათანაბრებითი) განაწილება შეიძლება არსებითად სამართლიანად მივიჩნიოთ.

სოციალური სამართლიანობა დოქტრინალურ დონეზე მოიცავს:

- ა) დისკრიმინაციის აკრძალვას<sup>84</sup>.
- ბ) განსხვავებულის მიღებას. სოციალურმა მუშაკებმა უნდა მიიღონ ეთნიკური და კულტურული განსხვავებები იმ საზოგადოებაში, სადაც მუშაობენ. ისინი ვალდებული არიან არა მარტო მიიღ-

---

<sup>82</sup> D. Frings *Sozialrecht fuer die soziale Arbeit*, 2014, S. 17.

<sup>83</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>84</sup> იხ. თანასწორობის პრინციპი, ქვეთავი 2.5.

ონ, არამედ პატივი სცენ განსხვავებებს ინდივიდების, ჯგუფების და საზოგადოების დონეზე.

გ) სიკეთის სამართლიანი გადანაწილება საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია, ასევე, საზოგადოებაში არსებული სიკეთე სამართლიანად გადანაწილდეს საზოგადოების სხვადასხვა წევრებს და ჯგუფებს შორის მათი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, რასაც სოციალურმა მუშაკმა ხელი უნდა შეუწყოს.

ე) სოლიდარული მუშაობა. სოციალური მუშაკები ვალდებულნი არიან ყველა იმ მანვე პრაქტიკას აღუდგნენ წინ, რომელიც ცალკეულ ინდივიდების, ან საზოგადოებრივი ჯგუფების სტიგმატიზირებასა და ჩაგვრას უწყობს ხელს.<sup>85</sup>

სოციალური სამართლიანობის შესაფასებლად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია იყენებს ისეთ ინდიკატორებს, როგორებიცაა: სიღარიბის პრევენცია, ხელმისაწვდომობა განათლებაზე, შრომის ბაზრის ინკლუზიურობა, სოციალური ინტეგრაცია და დისკრიმინაციის აკრძალვა, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და თანასწორობა თაობათა შორის.<sup>86</sup>

დასახელებული ექვსი ინდიკატორიდან ხუთს პირდაპირ პასუხობს კანონის მიზნები და დებულებები. კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი კანონის მიზანი, ხელი შეუწყოს პირს ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფაში, სიღარიბის პრევენციისა და დამარცხებისკენაა მიმართული. განათლებაზე ხელმისაწვდომობას ემსახურება კანონის მე-18 მუხლი, რომელმაც დაადგინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური მუშაობის სავალდებულობა და შესაბამისი ღონისძიებები. დისკრიმინაციის აკრძალვა სოციალური მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი პრინ-

---

<sup>85</sup> Berufsethik der DBSH in Forum Sozial 4/2014, S. 30-31, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:  
<https://www.dbsh.de/fileadmin/downloads/DBSH-Berufsethik-2015-02-08.pdf> [07.07.2018].

<sup>86</sup> ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:  
<[http://www.sginetwork.org/docs/studies/SGI11\\_Social\\_Justice\\_OECD.pdf](http://www.sginetwork.org/docs/studies/SGI11_Social_Justice_OECD.pdf)> [07.07.2018].

ციპია (მე-8 მუხლი), ხოლო ისეთი სტრუქტურული ცვლილებების დანერგვა, რომლებიც ხელს უშლის მარგინალიზაციასა და სოციალურ დაყოფას, ამ კანონის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობას კანონის მე-19 მუხლი, რომელმაც დაადგინა ჯანმრთელობის, მათ შორის, ფსიქიატრიული ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სოციალური მუშაობის საფუძვლები. თაობათა თანასწორობაზე ზრუნვის გამოხატულებაა ხანდაზმულ პირთა სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ პირთა ჩამონათვალში (მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი) შეყვანა, რომლებთან პრევენციული მუშაობა მუნიციპალიტეტების დონეზე ერთ-ერთი პრიორიტეტია და აგრეთვე, გათვალისწინებულია მათი დღის ცენტრისა და გრძელვადიანი თავშესაფრის, შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებისა და მათში ჩართვის ხელშეწყობის მექანიზმიც (მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი). რაც შეეხება შრომის ბაზრის ინკლუზიურობას, ის ამ კანონის რეგულირების სფეროს სცდება.

## **2.5. თანასწორობის პრინციპი**

### **2.5.1. თანასწორობის პრინციპის არსი**

„სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ სოციალური მუშაობა ეფუძნება თანასწორობის პრინციპს, რითაც ადამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპთან (მე-6 მუხლი) ერთად, ემსახურება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას.

თანასწორობის პრინციპი სოციალური მუშაობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს და კონსტიტუციიდან გამომდინარეობს. კონსტიტუციის თანახმად, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. თანასწორობის პრინციპის დაცვა ადამიანის უფლებების დაცვას, კერძოდ, თანასწორობის უფლების რეალიზებას ემსახურება, თუმცა მისი საზოგადო და სოციალური მუშაობისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მნიშვნელო-

ბიდან გამომდინარე, კანონში ცალკე პრინციპად იქნა გათვალისწინებული.

პროფესიული უფლებამოსილების განხორციელებისას დაუშვებელია დისკრიმინაციული მოპყრობა რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური, ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი, ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ან სხვა ნიშნის მიხედვით (მუხლი 8, პუნქტი 2). ეს ჩანაწერი სიტყვასიტყვით იმეორებს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებას და ამგვარად, დისკრიმინაციის აკრძალვასთან მიმართებით, კონსტიტუციის იდენტურ სტანდარტს ადგენს. საგულისხმოა ისიც, რომ დისკრიმინაციის აკრძალვასთან მიმართებით, უნდა დავვყრდნოთ არა მხოლოდ „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონსა და კონსტიტუციას, არამედ, უნდა გავითვალისწინოთ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიც.

დასახელებული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები კი ადგენენ, რომ დაუშვებელია როგორც პირდაპირი, ისე ირიბი (არაპირდაპირი) დისკრიმინაცია. პირდაპირ დისკრიმინაციად ითვლება ისეთი მოპყრობა, ან პირობების შექმნა, რომელიც პირს უფლებებით სარგებლობისას კანონით რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს. რაც შეეხება ირიბ დისკრიმინაციას, ასეთად ითვლება ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი, ან ქმედება პირს კანონით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.

მაგალითი: სოციალურმა მუშაკმა სამუშაოს შესრულებისას, არაქართულენოვან ოჯახს უარი უთხრა მომსახურების გაწევაზე, რადგან არ იცოდა უცხო ენა და არ მიმართა ზომებს თარჯიმნის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული წარმოადგენს ენის ნიშნით პირდაპირ დისკრიმინაციას, რადგან სოციალურმა მუშაკმა არ მიიღო ზომები თარჯიმნის მონაწილეობისთვის სამუშაოს შესრულებისას (პირდაპირი დისკრიმინაცია).

მაგალითი: სოციალურმა მუშაკმა სოციალური სამუშაოს შესრულებისას განაცხადა, რომ მომსახურებას გაწევდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარები მას წარუდგენდნენ მოქალაქის პირადობის მოწმობას. აღნიშნული წარმოადგენს არაპირდაპირ დისკრიმინაციას უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის, რადგან ბინადრობისა და შესაბამისი საიდენტიფიკაციო მოწმობის წარდგენის შემთხვევაში ისინი ვერ მიიღებენ მომსახურებას (ირიბი დისკრიმინაცია).

კანონის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა, რომ პირდაპირი, ან ირიბი განსხვავება არახელსაყრელ მდგომარეობაში უნდა აყენებდეს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში უნდა აყენებდეს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.<sup>87</sup>

კონსტიტუციის მე-11 მუხლი ადგენს კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს, რომლის მიზანია, არ დაუშვას არსებითად თანასწორის უთანასწოროდ მოპყრობა, ან პირიქით.<sup>88</sup> ამ პრინციპის ფარგლებში სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია ადამიანების სრული გათანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად თანასწორობის იდეასთან, უფლების არსთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში. თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა

---

<sup>87</sup> D. Frings *Sozialrecht fuer die soziale Arbeit*, 2014, S. 19.

<sup>88</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ", II, 1.

თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას.<sup>89</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუშვებელია, როგორც არსებითად თანასწოროთა მიმართ უთანასწორო, ისე არსებითად უთანასწოროთა მიმართ არსებითად თანასწორი მოპყრობა.

## 2.5.2. დისკრიმინაციის სხვადასხვა ნიშანი

როგორც საზოგადოდ, ასევე, სოციალური მუშაობის განხორციელებისას, აუცილებელია დისკრიმინაციის ნიშნის დადგენა. „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოთვლის დისკრიმინაციული მოპყრობის შემდეგ ნიშნებს: რასა, კანის ფერი, სქესი, წარმოშობა, ეთნიკური კუთვნილება, ენა, რელიგია, პოლიტიკური, ან სხვა შეხედულებები, სოციალური კუთვნილება, ქონებრივი, ან წოდებრივი მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი. აქვე საყურადღებოა, რომ აღნიშნული ნორმა უშვებს არსებული ჩამონათვალის გარდა სხვა ნიშნითაც დისკრიმინაციის შესაძლებლობას, რამეთუ კონსტიტუციის მსგავსად უშვებს დისკრიმინაციის ფაქტების არსებობას სხვა ნიშნითაც.

*ა) რასა, კანის ფერი, წარმოშობა, ან ეთნიკური კუთვნილება*

საქართველოს კონსტიტუცია, კანონი და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი ადგენს ყველას თანასწორობას მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, წარმოშობისა, ან ეთნიკური კუთვნილებისა და დაუშვებელია დისკრიმინაცია ამ ნიშნით.

*მაგალითი: სოციალურმა მუშაკმა უარი უთხრა მომსახურების გაწევაზე საქართველოს ნატურალიზებულ მოქალაქეს, რომელიც მანამდე რუსეთის მოქალაქე იყო, რადგან სოციალური მუშაკის აზრით, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია დაბადებით საქართველოს მოქალაქეებისთვის სოციალური სამუშაოს*

---

<sup>89</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები “ახალი მემარჯვენეები” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

გაწევა. ამ შემთხვევაში საქმეთა რაოდენობა ძალიან ბევრი ჰქონდა სამსახურს და შესაბამისად, სანამ ნატურალიზებულ მოქალაქეებს გაუწევდნენ მომსახურებას, მანამდე უნდა ჩაეტარებინათ სამუშაო დაბადებით საქართველოს მოქალაქეებთან.

## ბ) სქესი

კანონი ადგენს სქესის მიუხედავად პირთა თანასწორობას. რაც შეეხება გენდერულ იდენტობას და სექსუალურ ორიენტაციას, ისინი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიხედვით დისკრიმინაციის ცალკე ნიშნებადაა გამოყოფილი.

*მაგალითი: სოციალურმა მუშაკმა სამუშაოს შესრულებისას შეიტყო, რომ ოჯახში ადგილი ჰქონდა ქმრის მხრიდან ცოლის მიმართ ძალადობას. სოციალურმა მუშაკმა ცოლს განუცხადა, რომ ოჯახში უფროსი არის მამაკაცი და მის მოთხოვნებს უნდა დამორჩილებოდა. აღნიშნული წარმოადგენს სქესის ნიშნით დისკრიმინაციას და მიუხედავად სქესისა, ყველა პირი თანასწორია.*

## გ) ენა

კანონმდებლობა დაუშვებლად მიიჩნევს დისკრიმინაციას ენის ნიშნით. ზემოთ განვიხილეთ მაგალითი, სადაც სოციალურმა მუშაკმა უარი თქვა სამუშაოს შესრულებაზე იმ მოტივით, რომ მან არ იცოდა უცხო ენა, ხოლო თარჯიმნის მოძებნა არ ევალებოდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური. მართალია, ადმინისტრაციული წარმოება ტარდება ქართულ ენაზე, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის დანაწესიც, რომლის თანახმად, ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება. აღნიშნული დანაწესისა და თანასწორობის უფლებაზე დაყრდნობით, სახელმწიფოს



აქვს ვალდებულება, შექმნას პირობები ამ პირის წარმოებაში მონაწილეობისა და მისთვის თარჯიმნის უზრუნველყოფისთვის.

დ) რელიგია

კანონი ადგენს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია, მიუხედავად იმისა, თუ რომელ რელიგიურ კონფესიას, თუ გაერთიანებას მიეკუთვნება იგი.

*მაგალითი: სოციალურმა მუშაკმა უარი უთხრა მომსახურების გაწევაზე ბენეფიციარს, რომელიც მისთვის მიუღებელი რელიგიური კონფესიის მრევლი გახლდათ.*

ე) პოლიტიკური, ან სხვა შეხედულებები

კანონით აკრძალულ დისკრიმინაციის კიდევ ერთ ნიშანს წარმოადგენს პოლიტიკური, ან სხვა შეხედულებები.

*მაგალითი: სოციალურმა მუშაკმა უარი უთხრა ბენეფიციარს მომსახურების გაწევაზე, რადგან მას რამდენიმე თვით ადრე დაფიქსირებული ჰქონდა უარყოფითი დამოკიდებულება სოციალური მუშაობისა და სოციალური მუშაკების მიმართ. ასევე, ბენეფიციარი არის ოპოზიციური პარტიის აქტივისტი, რომლის შეხედულებებს სოციალური მუშაკი არ იზიარებს, რადგან თავად მმართველ პარტიას გულშემატკივრობს. აღნიშნული წარმოადგენს საკუთარი პოლიტიკური და სხვა შეხედულებების გამო დისკრიმინაციას და კანონმდებლობით აკრძალულია.*

ვ) სოციალური კუთვნილება

სოციალური ჯგუფის არსებობის დადგენის კრიტერიუმები არ არის ცალსახა და ამომწურავი, თუმცა ზოგადი სურათის შესაქმნელად, პირობითად შესაძლებელია რამდენიმე მათგანის მითითება. საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, 1. ჯგუფის წევრებს უნდა ახასიათებდეთ საერთო, მუდმივი ბუნება, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს პირის არჩევანის, ან მისგან დამოუკიდებელი გარემოებების (ფაქტორების) გამო. მისი შეცვლა არ არის დამოკიდებული ჯგუფის წევრებზე, ან იმდენად ფუნდამენტურია მათი პი-

როვნებისათვის, რომ მისი შეცვლის მოთხოვნა გაუმართლებელია. 2. სოციალურ ჯგუფად შეიძლება მოვიაზროთ პირთა წრე, რომლის წევრებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული მსგავსი იმიჯის, ქცევების, ან/და ინტერესების საფუძველზე. ამავე დროს, ორივე შემთხვევაში ჯგუფის წევრებს უნდა ჰქონდეთ ისეთი ბუნება (თვისებები), რომელიც საშუალებას მისცემდა გარეშე პირებს, მოეხდინათ მათი, როგორც კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრების იდენტიფიცირება. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო არ გამოირიცხავს ისეთ პირთა წრის არსებობას, რომელიც ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების გარეშეც შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ ჯგუფად.

ზ) ქონებრივი, ან წოდებრივი მდგომარეობა.

ქონებრივი კუთვნილების ნიშნის ქვეშ მოაზრებულია არა კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში პირის ქონებრივ მონაწილეობა (მაგ. აქციები სააქციო საზოგადოებაში, ან წილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში), არამედ ზოგადად პირის ქონებრივი სტატუსი.<sup>90</sup>

*მაგალითი: სოციალურმა მუშაკმა მსჯავრდებულ ბენეფიციარს უარი განუცხადა მომსახურების გაწევაზე, რადგან მას კარგი მატერიალური მდგომარეობა ჰქონდა. მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მისი აზრით იგი, არ საჭიროებდა სოციალური მომსახურების გაწევას. აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს ქონებრივი ნიშნით დისკრიმინაციას, რადგან სოციალური სამუშაო ხორციელდება მიუხედავად პირთა ქონებრივი კუთვნილებისა. სოციალური მუშაკის ამგვარი ქმედება ეწინააღმდეგება კანონს.*

---

<sup>90</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის N2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მამია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

თ) საცხოვრებელი ადგილი

საცხოვრებელი ადგილის ნიშნით დიფერენცირება გულისხმობს განსახლების სხვადასხვა გეოგრაფიულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთათვის განსხვავებული უფლებების დადგენას.<sup>91</sup>

*მაგალითი: სოციალურმა მუშაკმა ბენეფიციარებს განუცხადა, რომ სოციალური მუშაობა არ ხორციელდებოდა ამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. აღნიშნული წარმოადგენს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დისკრიმინაციის ფაქტს, რადგან სოციალური მუშაობა ხორციელდება საქართველოს იმ ტერიტორიაზე სრულად, სადაც დე-ფაქტო ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია.*

ი) სხვა ნიშანი

საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებაში იმსჯელა იმაზე, იყო თუ არა ამომწურავი კონსტიტუციაში დასახელებული ნიშნების ჩამონათვალი ამომწურავი, რადგან კონსტიტუციის ძველი რედაქციის გრამატიკული განმარტება არ იძლეოდა ამ ნიშნების ფართოდ განმარტების საშუალებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ადგენს არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის ძირითად უფლებას, არამედ კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს ... ამ მუხლში არსებული ნიშნების ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით, ამომწურავია, მაგრამ ნორმის მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა. მხოლოდ ვიწრო გრამატიკული განმარტება გამოფიტავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14

---

<sup>91</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ", II, 8.

მუხლს და დააკნინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში.<sup>92</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო საქართველოს კონსტიტუციაში შესულ ცვლილებას, რომლითაც დაკონკრეტდა, რომ დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შესაძლებელია, მოხდეს დისკრიმინაცია სხვა ნიშნითაც, გარდა კონსტიტუციაში მოცემული ჩამონათვალისა. კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-11 მუხლის რედაქცია სიტყვასიტყვით არის გადმოტანილი „სოციალური მუშაობის შესახებ კანონის“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში და დადგენილია, რომ დასაშვებია დისკრიმინაცია მოხდეს არა მხოლოდ არსებული ნიშნების, არამედ სხვა ნიშნის მიხედვითაც.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი საქართველოს კონსტიტუციისა და „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონისგან განსხვავებით, უფრო ვრცელ ჩამონათვალს გვთავაზობს დისკრიმინაციის ნიშნებთან მიმართებით და გარდა მითითებული ჩამონათვალისა, ადგენს, რომ დაუშვებელია დისკრიმინაცია, მათ შორის, ასაკის, მოქალაქეობის, დაბადების ადგილის, რწმენის, ეროვნული, ან ეთნიკური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის გამო. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულიც არ არის ამომწურავი და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში გვხვდება მითითება ასევე სხვა ნიშანზე.

ცხადია, „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონთან ერთად, გამოსაყენებლად სავალდებულოა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონიც, რომელიც ერთგვარად შემვსებ ნორმას ადგენს ანტიდისკრიმინაციული თვალსაზრისით სოციალ-

---

<sup>92</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

ური მუშაობის სფეროში და განსაზღვრავს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნით, აგრეთვე სხვა ნიშნითაც დისკრიმინაცია დაუშვებელია.

## 2.6. დარგობრივი კომპეტენციის პრინციპი

დარგობრივი კომპეტენციის პრინციპი სოციალური მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს. კანონით დადგენილია, რომ სოციალური მუშაკი სოციალურ მუშაობას ატარებს დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით. კანონი აქვე განსაზღვრავს, რომ დარგობრივი კომპეტენციის მიღება შესაძლებელია პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში (მე-9 მუხლის პირველი პუნქტი).

დარგობრივი კომპეტენციის არსში უკეთ გასარკვევად, მიზანშეწონილია, იგი განვასხვავოთ დარგობრივი სპეციალიზაციისგან, რაც კანონის პროექტის თავდაპირველი სამუშაო ვერსიით იყო შემოთავაზებული. პირველადი სამუშაო ვერსიით განსაზღვრული იყო, რომ სოციალური მუშაკს პრაქტიკაში სოციალური სამუშაო შეეძლო შეესრულებინა იმ დარგობრივი სპეციალიზაციით, რომელშიც მას შესაბამისი განათლება ჰქონდა მიღებული. ამასთანავე, სოციალურ მუშაკს განათლების პროცესში შეეძლო აერჩია მხოლოდ ორი სპეციალიზაცია. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ვერსიით განსაზღვრული იყო 9 სპეციალიზაცია, რაც საბოლოოდ გამსხვილდა და 4 დიდ დარგობრივ კომპეტენციად გადაიქცა.<sup>93</sup>

ამდენად, კანონის პროექტის პირველი სამუშაო ვერსია ადგენდა, რომ სოციალურ მუშაკს პრაქტიკული საქმიანობა შეეძლო განეხორციელებინა მხოლოდ განათლების პროცესში მიღებული ორი სპეციალიზაციის მიხედვით. საბოლოოდ, ამ მიდგომაზე უარი ითქვა და პარლამენტისთვის წარდგენილ ინიციატივაში განისაზღვრა, რომ დარგობრივი კომპეტენციის შეძენა ხდება არა საგანმანათლებლო პროცესში, არამედ პრაქტიკული საქმიანობის გან-

---

<sup>93</sup> ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:  
<<http://parliament.ge/uploads/other/81/81935.pdf>> [07.07.2018].

ხორციელებისას. შესაბამისად, განისაზღვრა ოთხი დარგობრივი კომპეტენცია - ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის და მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის სფეროში, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, რომელი მიმართულებითაც დასაქმება სოციალურ მუშაკს შეუძლია თავისუფლად და შესაბამის კომპეტენციას იღებს პრაქტიკული საქმიანობის მიხედვით.

აღსანიშნავია ისიც, რომ აკადემიური, ან სხვა საგანმანათლებლო კურსები უზრუნველყოფს სოციალური მუშაკის მიერ დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით განათლების მიღებას და შემდგომ მის გაღრმავებას (მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი). ამ მიზნით, კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ სოციალური მუშაკისთვის კანონით განსაზღვრული კომპეტენციები გათვალისწინებული უნდა იქნეს სოციალური მუშაკის სამსახურში მიღებისას და სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის, ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისას, აგრეთვე ამ კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაკის სერტიფიკატის გაცემისას. აღნიშნული დანაწესები გულისხმობენ მხოლოდ იმას, რომ საგანმანათლებლო პროცესში სოციალურმა მუშაკმა მიიღოს შესაბამისი კომპეტენცია ამა თუ იმ დარგში სოციალური სამუშაოს შესასრულებლად, მაგრამ ეს არ გამოორიცხავს იმას, რომ მან მომავალში პრაქტიკული საქმიანობა სხვა დარგში წარმართოს.

## **2.7. თანაზომიერების პრინციპი**

თანაზომიერების პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. ის ადგენს მკაცრს ზღვარს და ბოჭავს სახელმწიფოს ნებისმიერი ქმედებას, მათ შორის სოციალურ მუშაკებსაც, იმისათვის რათა დაცული იქნას ბალანსი სხვადასხვა ინტერესებს შორის.

თანაზომიერების პრინციპს მკაცრად განსაზღვრული შემდგენელი ელემენტები აქვს. ეს არის ლეგიტიმური მიზანი, გამოსადეგობა, აუცილებლობა და პროპორციულობა. იმისათვის, რომ თანაზომიერების პრინციპი ჩაითვალოს დაცულად, აუცილებელია,

ოთხივე კომპონენტი კუმულატიურად იყოს მოცემული. იმ შემთხვევაში, თუ ერთი კომპონენტი მაინც არ გვაქვს სახეზე, თანაზომიერების პრინციპი ჩაითვლება დარღვეულად, ხოლო ქმედება - გაუმართლებლად.

კანონით განმარტებულია ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრება. ყველა შემთხვევაში სოციალური მუშაკისთვის ამ მიზნის მიღწევა უნდა იყოს მთავარი მიზანი.

*მაგალითი:* ბენეფიციარი ქალის მიმართ ქმრის მიერ ოჯახში ძალადობის შემთხვევისას სოციალური მუშაკი იწყებს ბავშვის დედიდან განცალკევების პროცედურებს, იმისთვის რომ დედა და შვილი დააშოროს ერთმანეთს, რადგან ბავშვის მამა მისი ახლობელია. ამ შემთხვევაში სოციალური მუშაკი ბენეფიციარის, ანუ დედის საუკეთესო ინტერესზე კი არ ზრუნავს, არამედ ემსახურება არალეგიტიმურ მიზანს-მომალადის სუბიექტურ ინტერესებს - რომ დედა-შვილი დააშოროს ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ამის რეალური საფუძველი არ გააჩნია. სოციალური მუშაკის აღნიშნული ქმედება არაკანონიერია, რადგან ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს, არა ბავშვის ან დედის, არამედ მომალადე ქმრის განცალკევება ოჯახიდან.

სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელი ღონისძიება არის გამოსადეგი, თუ ის თეორიულად მაინც უზრუნველყოფს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის დაცვას.

*მაგალითი:* სოციალური მუშაკმა სოციალური სამუშაოს შესრულებისას შეიტყო, რომ ოჯახში მშობლების მხრიდან ბავშვის მიმართ ადგილი ჰქონდა სისტემატურ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. სოციალურმა მუშაკმა მიიღო გადაწყვეტილება ბავშვის ოჯახისგან განცალკევების შესახებ. კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესი არის ბენეფიციარის სოციალური უსაფრთხოების, მისი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის, კეთილდღეობის, განვითარების, ან ამ კანონის მიზნებით გათვალისწინებული სხვა ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და საყოველთაოდ

ადიარებულ ზნეობრივ ნორმებს. ასეთ შემთხვევაში ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესს. ის თეორიულადაც და პრაქტიკულადაც უზრუნველყოფს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. შესაბამისად, ეს ქმედება გამოსადეგია.

თუ ასეთ შემთხვევაში სოციალური მუშაკი ოჯახიდან განცალკევების ნაცვლად მიმართავდა ბავშვის სკოლის პედაგოგს იმისთვის, რომ ბავშვის აკადემიური მოსწრების ამღლებაზე ეზრუნა, ეს ქმედება ვერც თეორიულად და ვერც პრაქტიკულად უზრუნველყოფდა ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას, ანუ ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. შესაბამისად, ის არ იქნებოდა გამოსადეგი და თანაზომიერების პრინციპი დაირღვეოდა.

სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელი ღონისძიება არის აუცილებელი, თუ არ არსებობს უფრო მსუბუქი ღონისძიება, რომელიც უფრო ნაკლები ზიანის შედეგს დააყენებდა.

*მაგალითი:* სოციალურმა მუშაკმა მორიგი ვიზიტის დროს, როდესაც მას სოციალურად დაუცველმა, მარტოხელა მოხუცმა ბენეფიციარმა, რომელსაც თავისუფლად შეუძლია გადაადგილება, შესჩვილა წნევის მომატების შესახებ, გამოუძახა სასწრაფო დახმარების მანქანას, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ მუშაკს ობიექტური თვალსაზრისით არ ჰქონდა გადაუდებელი შემთხვევის ჩათვლის საფუძველი. ასეთი ქმედება არ არის აუცილებელი. მას შეეძლო მოხუცისთვის ერჩია, მიემართა ექიმისთვის, რაც იქნებოდა უფრო მსუბუქი ღონისძიება და სახელმწიფოსთვისაც (ფინანსური თვალსაზრისით) ნაკლები ზიანი დადგებოდა.

სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული ღონისძიება არის პროპორციული, თუ კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის მიყენებული ზიანი არ აღემატება იმ სიკეთეს, რომლის დასაცავადაც ის განხორციელდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალური მუშაკის წინაშე ერთმანეთის პირისპირ დგას ორი (ან მეტი) სამართლებრივი სიკეთე. სოციალურმა მუშაკმა ეს სიკეთე-



ები უნდა შეუპირისპიროს ერთმანეთს, გონივრულად აწონ-დაწონოს და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უფრო მეტად წონადი სამართლებრივი სიკეთის სასარგებლოდ მიიღოს გადაწყვეტილება.

*მაგალითი: სოციალურმა მუშაკმა სამუშაოს შესრულებისას შეიტყო, რომ ადგილი ჰქონდა ბავშვის მიმართ სისტემატურ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, რაც რამდენიმე თვის მანძილზე გრძელდებოდა, რის გამო, გადაწყვიტა, რომ აუცილებელი იყო ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა. მოცემულ შემთხვევაში, სოციალური მუშაკის ქმედება წარმოადგენდა პროპორციულს, ვინაიდან, მართალია, ოჯახზე ზრუნვა და მხარდაჭერა წარმოადგენს კანონის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს, მაგრამ ბავშვის ოჯახში დატოვება იმ პირობებში, როდესაც მასზე სისტემატური ძალადობა ხდება, ეწინააღმდეგება მის საუკეთესო ინტერესს. გამომდინარე აქედან, ასეთ შემთხვევაში, ბავშვის საუკეთესო ინტერესი ოჯახის ერთიანობის პრინციპზე უპირატესი უნდა იყოს და ამ ინტერესის დასაცავად, დასაშვებია, ბავშვის ოჯახიდან დროებით გამოყვანა და ამგვარად, სოციალური სამუშაოს შესრულება.*

## 2.8. ინდივიდუალიზაციის პრინციპი

ინდივიდუალიზაციის პრინციპი სოციალური მუშაობის ერთ-ერთი ძირეული პრინციპია. სოციალური მუშაობა ორიენტირებულია ინდივიდზე. თითოეული ადამიანი არის ღირსების მატარებელი და აქვს უფლება განკარგოს მისი ცხოვრება. ამ საფუძვლით აუცილებელია მაქსიმალურად ხელი შეეწყოს მისი პიროვნების განვითარებას.<sup>94</sup> სოციალური მუშაკი მხარს უჭერს ბენეფიციარის ინდივიდუალურ, სოციალურ საჭიროებებს, ახდენს სოციალური

---

<sup>94</sup> Hrsg. Deutscher Verein für öffentliche und private Fürsorge, *Fachlexikon der Sozialen Arbeit*, Berlin, 1993, S. 939.

პრობლემის მიზეზის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრისკენ მიმართული ქმედებების განხორციელების ხელშეწყობას.

ინდივიდუალიზაციის პრინციპის მაქსიმალურად განსახორციელებლად კანონი ადგენს შესაბამის მექანიზმებს. მაგალითად, სოციალური მუშაკი, ბენეფიციარის ინდივიდზე ორიენტაციის მიზნით, იყენებს კანონით დადგენილ ღონისძიებებს. ბენეფიციარის სოციალური პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით, საფრთხის არსებობის შემთხვევაში, განსაზღვრავს დახმარების საჭიროების მქონე პირის პრობლემას (37-ე მუხლის პირველი პუნქტი) და ბენეფიციარის ინდივიდუალური პრობლემისა და მისი გარემოს შესახებ ამომწურავი ინფორმაციის საფუძველზე სისტემურად შეისწავლის მის მდგომარეობას (38-ე მუხლის პირველი პუნქტი). სოციალური მუშაკი, ინდივიდუალური სოციალური საჭიროების მხარდაჭერისა და პრობლემის გადაწყვეტისთვის, ადგენს სოციალური მუშაობის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას, ან განვითარების გეგმას (39-ე მუხლის პირველი პუნქტი) და მოქმედებს გეგმის განსახორციელებლად და მის შესაბამისად (მე-40 მუხლის პირველი პუნქტი).

## **2.9. კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის დაცვის პრინციპი**

2.9.1. კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის დაცვის პრინციპის არსი

„სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ სოციალური მუშაკი სოციალურ მუშაობას ატარებს ამ კანონის მიზნების, ღირებულებებისა და ეთიკური პრინციპების შესაბამისად. კანონის მიზანია სოციალური მუშაობის იმგვარი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ემსახურება:

- ინდივიდის მიერ თავისი ცხოვრების წარმატებით წარმართვას, თვითდახმარებისა და თვითგანვითარების გზით მისი დამოუკიდებლობისა და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას;

- ინდივიდის საზოგადოებაში მდგრად ინტეგრაციას, მისი ფართო პირადი ავტონომიის შენარჩუნებას და მის მიერ საზოგადოებრივი სიკეთით სრულფასოვნად სარგებლობას;
- ისეთი სტრუქტურული ცვლილებების დანერგვას, რომლებიც ხელს უშლის მარგინალიზაციასა და სოციალურ დაყოფას;
- სოციალური უსაფრთხოების ხელშეწყობას;
- ოჯახისა და საზოგადოების გაძლიერებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

ამ კანონის ღირებულებებს წარმოადგენს ის პრინციპები, რომლებიც გადმოცემულია ამავე კანონის მეორე თავში, ხოლო ეთიკის პრინციპებზე კი საუბარია მე-12 მუხლის მე-3 პუნქტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მე-12 მუხლის პირველი პუნქტი კიდევ ერთხელ ადგენს, რომ ამ კანონის პრინციპებისა და მიზნების შესრულება სოციალური მუშაობის განუყოფელი ნაწილი და შესასრულებლად სავალდებულოა.

## **2.9.2. კეთილსინდისიერების პრინციპი.**

საგულისხმოა, რომ სოციალური მუშაკი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას (მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი). ის, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, რათა ადგილი არ ჰქონდეს სოციალური მუშაკის მხრიდან შესაბამისი ღონისძიების განხორციელებისას უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური მუშაკი გულისხმიერად უნდა მოეკიდოს სამუშაოს და მისი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, ბენეფიციართან მუშაობითა და შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით (აუცილებლობის შემთხვევაში), განახორციელოს სოციალური სამუშაო.

კეთილსინდისიერების დაცვის პრინციპის კიდევ ერთი გამოვლინებაა სოციალური მუშაკის ვალდებულება, იყოს მიუკერძოებელი. კანონის 30-ე მუხლის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სოციალური მუშაკი ვალდებულია უფლება-

მოსილებების განხორციელებისას იყოს მიუკერძოებელი და ხელმძღვანელობდეს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესით, დაუშვებელია, სოციალური მუშაკი იყოს მხარე და მოქმედებდეს სუბიექტური ინტერესებით. ასეთ შემთხვევაში, ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია მუშაკის ვალდებულება, დააყენოს თვითაცილება. სოციალური მუშაკის აცილებისა და თვითაცილების კონკრეტულ საფუძვლად მოცემულია მხოლოდ ის, რომ ის არ უნდა იყოს მხარე, ხოლო მისი სუბიექტურობის დაუშვებლობა წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას. თუმცა კი, აღნიშნულის შემსგებად, საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული სოციალური მუშაკებისთვის გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც: თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში; საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის, ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;<sup>95</sup> საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია; იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან; თვითონ, ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს, ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს; საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის, ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია.

---

<sup>95</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

- ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
- ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
- გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
- დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

### 2.9.3. ეთიკის დაცვის პრინციპი

კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ სოციალური მუშაკი ვალდებულია გაითვალისწინოს პროფესიული ეთიკის ნორმები. აღსანიშნავია, რომ კანონის პროექტის პარლამენტისთვის წარდგენილი ინიციატივა<sup>96</sup> ითვალისწინებდა სოციალურ მუშაკთა გაერთიანების შექმნას (იხ. კანონის პროექტის 45-53-ე მუხლები), ხოლო გაერთიანებას უნდა შეემუშავებინა და დაემტკიცებინა ეთიკის კოდექსი (კანონის პროექტის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი), რომლის ფარგლებში გაერთიანების ეთიკის კომისიას (კანონის პროექტის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) უნდა ემსჯელა სოციალური მუშაკის ქმედებათა ეთიკის კოდექსთან შესაბამისობის საკითხი და გაეცა რეკომენდაცია (კანონის პროექტის 50-ე მუხლის მე-7 პუნქტი). საპარლამენტო განხილვების პროცესში გადაწყდა, რომ ამ ეტაპისთვის სოციალურ მუშაკთა გაერთიანება აღარ შეიქმნებოდა და შესაბამისად, ეთიკის კოდექსსაც ვერ შეიმუშავებდა. გამომდინარე იქედან, რომ ეთიკური ნორმების გათვალისწინება სოციალური სამუშაოს განუყოფელი ნაწილია და მის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს, კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტში აისახა ის ძირითადი ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ეთიკის ნორმები, ხოლო 21-ე მუხლის მე-3 პუნქტში, სოციალური მუშაკის ვალდებულებად გაიწერა, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას ეხელმძღვანელა მომსახურების მიწოდების დადგენილი პროფესიული სტანდარტითა და პროფესიული ეთიკის ნორმებით.

სოციალური მუშაობის, როგორც პროფესიის ერთ-ერთი მახასიათებელი პროფესიული ეთიკაა. საკანონმდებლო საფუძვლის მიღმა ის ეყრდნობა მორალურ ნორმებს და აძლიერებს პროფესიულ ქმედებას. ის ეხმარება სოციალურ მუშაკს ყოველდღიურ საქმიანობაში და იცავს პროფესიული გადაცდომებისგან<sup>97</sup>.

---

<sup>96</sup> ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

<<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/182047?>> [07.07.2018].

<sup>97</sup> Berufsethik der DBSH in Forum Sozial 4/2014, S. 7,8 ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

ეთიკის ნორმები ეფუძნება შემდეგ ძირითად ღირებულებებს:

- კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება;
- ინდივიდის ღირსების პატივისცემის პრინციპზე დამყარებული ურთიერთობა;
- ბენეფიციარის მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლების და მისი თვითგამორკვევის აღიარება;
- სოციალური მუშაობის ჩატარებისას ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის უპირატესობის აღიარება.

კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება უფრო დეტალურად მოწესრიგებულია კანონის 25-ე მუხლში, რომელიც სოციალურ მუშაკს აკისრებს იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სოციალური მუშაობის ჩატარებისას და ეს ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში, იგი სოციალური მუშაობის დასრულების შემდეგაც გრძელდება.

ინდივიდის ღირსების პატივისცემის პრინციპზე დამყარებული ურთიერთობა არა მხოლოდ ეთიკური პრინციპი, არამედ კანონის პრინციპიცაა. სოციალური მუშაკის ამოცანაა ხელი შეუწყოს ინდივიდის მიერ თავისი ცხოვრების წარმატებით წარმართვას, თვითდახმარებისა და თვითგანვითარების გზით მისი დამოუკიდებლობისა და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას.

ბენეფიციარის მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლების და მისი თვითგამორკვევის აღიარება დაკავშირებულია, ერთი მხრივ, მისი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან, ხოლო მეორე მხრივ, ბენეფიციარის ინფორმირებისა და ამის საფუძველზე მისი მხრიდან გადაწყვეტილების მიღების უფლებასთან. აღნიშნული დებულება განმტკიცებულია კანონის 23-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომელიც სოციალურ მუშაკს ავალდებულებს სოციალური მუშაობა ჩატაროს ბენეფიციარისთვის ღიად, მის-

თვის ინფორმაციის მიწოდებით და მისი თანხმობით, გარდა გადაუღებელი შემთხვევისა.

სოციალური მუშაობის ჩატარებისას ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის უპირატესობის აღიარება და გათვალისწინება გამომდინარეობს კეთილსინდისიერების პრინციპიდან და წითელ ხაზად გასდევს მთელ კანონს. ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესი გულისხმობს ბენეფიციარის სოციალური უსაფრთხოების, მისი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის, კეთილდღეობის, განვითარების, ან ამ კანონის მიზნებით გათვალისწინებულ სხვა ინტერესს, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს (მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი ეთიკის ნორმას აქცევს სოციალური მუშაკის ვალდებულებად, რომლის თანახმად, სოციალური მუშაკი ვალდებულია სოციალური მუშაობა ჩაატაროს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესისა და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით.

## **2.10. სოციალური მუშაობის სისტემურობის პრინციპი**

სოციალური მუშაობა დაფუძნებულია მისი განხორციელების სისტემურობაზე. სოციალური მუშაობა მიმდინარეობს სისტემურად, სამ დონეზე: ინდივიდუალურად – მიკროდონეზე, საზოგადოებრივად – მეზოდონეზე, სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის – მაკროდონეზე.

*სოციალური მუშაობის პირველი დონე* - მიკროდონე მიმდინარეობს ინდივიდუალურად, გულისხმობს ბენეფიციარის ინდივიდუალური, სოციალური საჭიროების მხარდაჭერას, სოციალური პრობლემის მიზეზის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრისკენ მიმართული ქმედებების განხორციელების ხელშეწყობას, კანონით დადგენილი ღონისძიებების მეშვეობით. ის მიზნად ისახავს საზოგადოებაში ინდივიდის თავისუფალ განვითარებას, მისი ინტეგრაციის ხელშეწყობას.

*სოციალური მუშაობის მეორე დონე* - მეზოდონე მიმდინარეობს საზოგადოებრივად, სხვადასხვა სისტემის ურთიერთობის

ფარგლებში და ემსახურება ინდივიდის თავისუფალი განვითარებისა და მისი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობით საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას. ის მიზნად ისახავს საზოგადოების გაძლიერებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფას და მის ხელშეწყობას სოციალური განვითარებისკენ.

*სოციალური მუშაობის მესამე დონე* - მაკროდონე მიმდინარეობს სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის. სოციალური მუშაობის სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი (49-ე მუხლის პირველი პუნქტი), ხოლო საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მუშაობის სფეროში შეიმუშაოს საკანონმდებლო აქტებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები (50-ე მუხლის პირველი პუნქტი). მართალია, სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბება და განვითარება მიმდინარეობს უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის დონეზე, მაგრამ კანონი უშვებს შესაძლებლობას, სოციალურმა მუშაკებმა მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სოციალურ მუშაკს შეუძლია მოახდინოს სოციალური კეთილდღეობის სფეროში არსებული პრობლემის იდენტიფიცირება, შეიმუშაოს პროფესიული ინიციატივები და მოიძიოს პრობლემის გადაჭრის გზები. ყურადღებიდან არ უნდა გამოვრჩეს, ასევე, უფლებამოსილ დაწესებულებათა უფლებები სოციალური პოლიტიკის შემუშავებისა და განვითარების საკითხში. ისინი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, სოციალური მუშაკების მონაწილეობით ზრუნავენ სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებასა და შესაბამისი ინიციატივების შემუშავებაზე (51-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, 53-ე მუხლის პირველი პუნქტი, 54-ე მუხლის პირველი პუნქტი).



## 2.11. სოციალური მუშაობის პრინციპების სავალდებულოობა

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ სოციალური მუშაკი ვალდებულია სოციალური მუშაობის ჩატარებისას გაითვალისწინოს სოციალური მუშაობის პრინციპები. კანონში მოცემული პრინციპები საერთოა და შესასრულებლად სავალდებულოა ყველა სოციალური მუშაკისთვის, მიუხედავად მისი დასაქმების ადგილისა, ან დარგობრივი კომპეტენციისა.

სოციალური მუშაობის პრინციპების შესრულების სავალდებულოობა განპირობებულია იმით, რომ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სოციალური მუშაკის მიერ პრინციპების დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

სოციალური მუშაკის პასუხისმგებლობაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, პასუხისმგებლობის ის ფორმა, რომელიც რეგულირებულია „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონით. გამომდინარე იქედან, რომ სოციალური მუშაობის პრინციპების დაცვა და გათვალისწინება სოციალური მუშაკის ვალდებულებაა, კანონის 34-ე მუხლი ადგენს, რომ ამ კანონით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის სოციალურ მუშაკს დაეკისრება ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრულია, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია:

- გაფრთხილება;
- საყვედური;
- ხელფასის (თანამდებობრივი სარგოს) 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;
- სამსახურიდან გათავისუფლება.

მაგალითი: სოციალურმა მუშაკმა სოციალური სამუშაოს განხორციელებისას ბენეფიციართან დაკავშირებული ინფორმაცია, მისი თანხმობის გარეშე მიაწოდა ოჯახის წევრებს. მოცე-

მულ შემთხვევაში სოციალურმა მუშაკმა დაარღვია პროფესიული ეთიკის დაცვის პრინციპი (მე-12 მუხლი), კერძოდ კი, კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ბენეფიციარის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებით. აღნიშნულის გამო, დადგება მისი დისციპლინური პასუხისმგებლობა.

გარდა დისციპლინური პასუხისმგებლობისა, კანონმდებლობით გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებებით. კერძოდ, თუ სოციალური მუშაკის მიერ სოციალური მუშაობის პრინციპების დარღვევამ ბენეფიციარს, ან მესამე პირს მატერიალური, ან არამატერიალური ზიანი მიაყენა, იგი ვალდებული იქნება ანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

*მაგალითი: სოციალურმა მუშაკმა სოციალური სამუშაოს განხორციელებისას ბენეფიციარ „ა“-სთან დაკავშირებული ინფორმაცია ფინანსების შესახებ, მისი თანხმობის გარეშე გადასცა კომერციულ ბანკს, რომელმაც „ა“-ს ვადამდე შეუწყვიტა სესხი, რითაც მას მიაღდა მატერიალური ზიანი. გამომდინარე იქედან, რომ სოციალური მუშაკის ქმედება წარმოადგენს არამართლზომიერს, იგი ვალდებული იქნება აუნაზღაუროს ბენეფიციარს მიყენებული ზიანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის<sup>98</sup> შესაბამისად. ამასთანავე, დადგება სოციალური მუშაკის დისციპლინური პასუხისმგებლობა კანონის შესაბამისად (ბენეფიციარისთვის მატერიალური ზიანის მიყენება).*

*მაგალითი: სოციალურმა მუშაკმა ბენეფიციარი რამდენჯერმე მოიხსენია დამამცირებელი ფორმით, მისი ეროვნებაზე მითითებით და აღნიშნა, რომ მისი ადგილი საქართველოში არ არის. სოციალურმა მუშაკმა დაარღვია ად-*

---

<sup>98</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

ამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპი (მე-6 მუხლი), ბენეფიციარის პატივისა და ღირსების შეურაცხყოფის გამო და ასევე, თანასწორობის პრინციპი (მე-8 მუხლი), ეთნიკური ნიშნით ბენეფიციარის დისკრიმინაციის გამო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი იცავს ადამიანის პატივსა და ღირსებას, ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილი ადგენს, რომ ამ უფლებათა ბრალეული (განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით) ხელყოფის შემთხვევაში, ხელმოყოფმა უნდა აანაზღაუროს არაქონებრივი (მორალური) ზიანი (ბენეფიციარისთვის არამატერიალური ზიანის მიყენება).

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სოციალური მუშაკის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც. სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ამდენად, სოციალური მუშაკის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედება მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს.

მაგალითი: სოციალურმა მუშაკმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ბავშვის შვილად აყვანის პროცესში, რამდენიმე წლის შემდეგ შვილად აყვანის საიდუმლო გაანდო შვილად აყვანილ ბავშვს. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება მშვილეობლის ნება-სურვილის გარეშე, წარმოადგენს დანაშაულს და ისჯება ჯარიმით, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე. ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი იმის მიერ, ვინც ვალდებულია დაიცვას შვილად აყვანის ფაქტი, როგორც სამსახურებრივი, ან პროფესიული საიდუმლოება, წარმოადგენს ამ დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას და ისჯება ჯარიმით, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის

დაკავების, ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

### თავი 3. სოციალური მუშაკის ფუნქციები

იმისათვის, რომ სოციალურმა მუშაკმა მაქსიმალურად ეფექტიანად მიაღწიოს იმ მიზნებს, რომელსაც მისი პროფესია ემსახურება, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს სოციალური მუშაკის ფუნქციებს. ეს დებულებები ხელს უწყობენ სოციალური მუშაობის სრულყოფილად განხორციელებას.

სოციალური მუშაობა თანამედროვე სახელმწიფოებში მომსახურების ფართო არეალს მოიცავს და შესაბამისად, სოციალური მუშაკის როლი და კონკრეტული ფუნქცია დამოკიდებულია იმ სფეროზე, რომელშიც მას უხდება მოღვაწეობა. თუმცა, არსებობს, ასევე, ძირითადი ფუნქციები, რომელიც ყველა სფეროს სოციალური მუშაკისთვის საერთოა, მათი ბუნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, კანონის მესამე თავი გამოყოფს სოციალური მუშაკის ძირითად და დარგობრივ ფუნქციებს.

აქვე, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მუშაკისათვის კანონით განსაზღვრული ყველა ფუნქციის შესრულებისას მნიშვნელოვანია კანონის მე-15 მუხლის მეორე პუნქტის ა) ქვეპუნქტი, რომელიც ავალდებულებს სოციალური მუშაკს, რომ სოციალური მუშაობის ფარგლებში ყველა მის მიერ გატარებული ქმედება, მან უნდა განახორციელოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში. აღნიშნული ამყარებს კანონიერების პრინციპს, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ სოციალური მუშაკი უნდა მოქმედებდეს კანონის შესაბამისად და მის ფარგლებში. ამიტომ კანონის აღნიშნული დებულება ვრცელდება, სოციალური მუშაკის ყველა ქმედებაზე, რომელსაც იგი სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ასრულებს.

#### 3.1. სოციალური მუშაკის ძირითადი ფუნქციები

სოციალური მუშაკის ძირითადი ფუნქციები დადგენილია „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხ-

ლით. იგი ვრცელდება ყველა იმ სოციალურ მუშაკზე, რომელიც აღნიშნული კანონის ფარგლებში ახორციელებს მის უფლებამოსილებას. კანონი ადგენს ზოგად ჩარჩოს სოციალური მუშაკის ფუნქციებისა, რომელსაც ახორციელებს, ყველა მიმართულებით მომუშავე სოციალური მუშაკი, ამ ფუნქციების დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. სწორედ, მისი ფუნქციების შესასრულებლად ხორციელდება „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 თავით გათვალისწინებული ღონისძიებები.

### 3.1.1. პრევენცია

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა იცნობს სოციალური მუშაობის სამ ძირითად ფორმას- პრევენციას, რეაბილიტაციასა და რემედიაციას, „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონი მე-15 მუხლის პირველი პუნქტით მთავარ ფუნქციად გამოყოფს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და სოციალური მუშაკის მიერ პრევენციული სოციალური მუშაობის შესრულებას. სოციალურ მუშაობაში პრევენცია გულისხმობს დაუცველი ადამიანების, ან საზოგადოებას მოწყვეტილი, საზოგადოებისაგან უარყოფილი ფენებისათვის სერვისების დროულ მიწოდებას, მანამ, ვიდრე თავს იჩინს გარკვეული დისფუნქციები<sup>99</sup>, მანამ სანამ ზიანი დადგება.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტი აზუსტებს პრევენციის ფუნქციას და ამბობს, რომ სოციალური მუშაკის ფუნქციაა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაცია გაუწიოს ბენეფიციარს, თავიდან აიცილოს კრიზისი და დროულად ჩაერიოს მასში, მოახდინოს ბენეფიციარის მხარდაჭერა.

მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ დანაშაულთან, გადაცდომასთან, ავადმყოფობასთან, ან ჩაგვრასთან გამკლავების საუკეთესო გზა, მისი ჩადენის პრევენციაა.<sup>100</sup> იგი არის წინასწარი ღონისძიება, ან

---

<sup>99</sup> პრევენციული ინტერვენციის სახელმძღვანელო, მომზადებულია USAID-ის, RTI International-ის და Save the Children International-ის მიერ, 2013, გვ. 4.

<sup>100</sup> H. Mogge-Grotjahn, J. Boeckh, Lexikon der sozialen Arbeit, Bochum, 2002, S. 104.

ლონისძიებები რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად. არსებობს ისეთი ზიანი, რომლის აღდგენაც შეუძლებელია, მაგალითად - ადამიანის სიცოცხლე, ამიტომ პრევენციას სამართლებრივ ჭრილში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რესტიტუციის სამართლებრივი ინსტიტუტის მიუხედავად<sup>101</sup>, ზოგიერთი სიკეთე, მისი ხასიათიდან გამომდინარე არ ექვემდებარება აღდენას. სწორედ, ამიტომ უსვამს კანონი ხაზს, სოციალური მუშაკის პრევენციულ ფუნქციას.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა სოციალური მუშაობის პრევენციულ ფუნქციას სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში აქვს. ამ შემთხვევაში საინტერესოა ე.წ. „ნიუ-იორკის შემთხვევა“. 1990-იანი წლების დასაწყისში მძიმე დანაშაულების მაღალი დონის გამო, ნიუ-იორკს ისეთი რეპუტაცია ჰქონდა, რომ ჰოლივუდის რამდენიმე კრიმინალურ ფილმში სიუჟეტის განვითარების ადგილად სწორედ ეს ქალაქი შეარჩიეს. ეს არ იყო დამახინჯებული ჰოლივუდური ხედვა, ეს რეალობა იყო. 2245 მკვლელობით ერთ წელიწადში. გასაგებია, რატომ დასვა ერთ-ერთმა კომენტატორმა შემდეგი კითხვა: „ნიუ-იორკის მართვა შეუძლებელია“? ასე რომ, დიდი საზოგადოებრივი ინტერესის გამომწვევი მძიმე დანაშაულების მაღალი დონე, არცთუ უსაფუძვლოდ, ამერიკის უმთავრესი ქალაქის სოციალური ნგრევის მაჩვენებლად აღიქმებოდა. თუმცა, ის, რაც შემდეგ მოხდა, გასაკვირიც იყო და სიუჟეტის დრამატულ განვითარებასაც წარმოადგენდა: ორი ათწლეულის განმავლობაში, მკვლელობების მაჩვენებელმა 79%-ით, გაუპატიურებების მაჩვენებელმა – 62%-ით, ყაჩაღობების მაჩვენებელმა – 82%-ით და ქურდობების მაჩვენებელმა კი – 84%-ით იკლო.<sup>102</sup> აღნიშნული შთამბეჭდავი სტატისტიკის მიზეზი პოლიციის მუშაობისა და სოციალური ჩარევის მცირემასშტაბიან ღონისძიებ-

---

<sup>101</sup> Restitution - ძველი უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა, ქონების დაბრუნება, პროცესის აღდგენა.

<sup>102</sup> ავტორთა კოლექტივი, ენდრიუ ბერნჰარდტი, სახელმძღვანელო კურსისთვის: სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში, თბილისი, 2014. გვ. 28.

ებში მდებარეობს. ამგვარი ჩარევები იყო პრევენციული, საკმაოდ ხშირი და მცირემასშტაბიანი.

ამ შემთხვევაში პრევენციული მუშაობა გულისხმობდა, რომ ზოგი, ერთი შეხედვით, ძალიან მცირე დანაშაული დიდი მნიშვნელობის მატარებელია. ესენი, ფაქტობრივად, „სასიგნალო დანაშაულებია“, რომლებიც სხვა მსგავსი, ან უფრო მძიმე დანაშაულების ჩამდენებს გარკვეულ ნიშანს, ან დანაშაულის ჩადენის „ნებართვას“ აძლევს, რითაც ამ დანაშაულებს გზას უკვალავს.<sup>103</sup> შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია პრევენციული მუშაობა სამართალდამრღვევებთან, ან სავარაუდო სამართალდამრღვევებთან. ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასჯელაღსრულების სფეროში მყოფ და გათავისუფლებულ პატიმრებთან მუშაობას. ამგვარ სოციალურ მუშაობისათვის ნიშანდობლივია პრევენციის მიზანი.

*მაგალითი: თემში მომუშავე, მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკი ყურადღებით აკვირდება მის სამოქმედო ტერიტორიაზე ჩადენილ, თუნდაც გამოუძიებელ სამართალდარღვევებსა და ძალადობის ფაქტებს. თუკი მას ეჭვი აქვს, რომ მაგალითად ვანდალურად დაზიანდა საგზაო ნიშნები, ჩამტვრეული, მიტოვებული შენობის ფანჯარა, იგი ცდილობს თემში გააქტიუროს საკითხი, აუხსნას, რომ საზოგადოებრივი სიკეთე ყველას მოქალაქის საკუთრებაა. თვით თანამოქალაქეები უნდა ჩაერთონ მის დაცვაში. ასევე მნიშვნელოვანია სამართალდამრღვევებთან, ან სავარაუდო სამართალდამრღვევებთან შევიდეს დიალოგში, შესთავაზოს დაზიანებული ნივთის გამოსწორება და მიუთითოს განმეორების შემთხვევაში სამართლებრივ შედეგებზე.*

აქვე უნდა აღინიშნოს, სოციალური მუშაკის მიერ, პრევენციული ფუნქციის განხორციელება ხდება ინდივიდებთან, ჯგუფებთან და საზოგადოებასთან.<sup>104</sup> მაგალითად, საზოგადოებრივი ჯან-

---

<sup>103</sup> იქვე გვ. 30.

<sup>104</sup> F. Wettstein, *Prävention im Kontext Sozialer Arbeit*, [http://www.avenirsocial.ch/sozialaktuell/sozial\\_aktuell\\_3720\\_3725.pdf](http://www.avenirsocial.ch/sozialaktuell/sozial_aktuell_3720_3725.pdf) [07.07.2018].



დაცვის სფეროში. მნიშვნელოვანია, არამხოლოდ ინფექციის მატარებელთან, არამედ ჯგუფთან და საზოგადოებასთან მუშაობა.

*მაგალითი: სოციალური მუშაკი პრევენციულ მუშაობას ეწევა მაღალი რისკის შემცველ ქცევის მქონე ჯგუფებში, მაგალითად აივ-ის, B და C ჰეპატიტების ვირუსების პროფილაქტიკის ღონისძიებების მხარდაჭერის მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული ზოგად პოპულაციაში აღნიშნული ინფექციების გავრცელება. მნიშვნელოვანია, პირველ ეტაპზე, სოციალურმა მუშაკმა დაარწმუნოს ბენეფიციარი ურთიერთობის კონფიდენციალურობასა და ანონიმურობაში. სოციალური მუშაობა საშუალებას აძლევს ბენეფიციარს, გაიგოს საკუთარი სტატუსი და მიიღოს ინფორმაცია ქცევის შეცვლის სასურველი მოდელების შესახებ – ვირუსების გადაცემის რისკის შესამცირებლად. სოციალური მუშაკი ბენეფიციარს აწვდის ინფორმაცია აივ-ის, B ან C ჰეპატიტების ვირუსების, გადაცემისა და ინფიცირების თავიდან აცილების გზების შესახებ. ყურადღება მახვილდება, როგორც ნარკოტიკის მოხმარებასთან, ასევე სქესობრივ აქტივობასთან დაკავშირებულ რისკებზე. შემდგომ კი, სოციალური მუშაკი ბენეფიციართან ერთად გეგმავს სარისკო ქცევის შეცვლისა და უსაფრთხო ქცევის შენარჩუნების ინდივიდუალურ სტრატეგიას. მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია პრევენციული სოციალური მუშაობა, უნდა ჩატარდეს, საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებისათვის.*

### **3.1.2. ადამიანის უფლებათა დაცვა და სოციალური სამართლიანობის ადვოკატირება**

სოციალური მუშაკის ძირითად ფუნქციებში შედის ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლიანი სოციალური პოლიტიკის ადვოკატირება. სოციალური მუშაკი, როგორც უფლებადამცველი, ორი განზომილებით უნდა განვიხილოთ. **პირველი**, მან უნდა იზრუნოს ბენეფიციარის, სუბიექტური უფლებების დაცვაზე, რომელიც მისივე საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს. „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის

მეორე პუნქტის ბ) ქვეპუნქტი სოციალური მუშაკის ფუნქციად განსაზღვრავს, რომ მან „უნდა იზრუნოს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის დაცვაზე“. ამავე მუხლის გ) ქვეპუნქტით კი, მისი ფუნქცია იზრუნოს ბენეფიციარის კეთილდღეობაზე, განახორციელოს მისი ადვოკატირება და დაიცვას მისი უფლებები. ამავე კანონით მე-2 მუხლის ბ) ქვეპუნქტით, ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესად განისაზღვრება – „*ბენეფიციარის სოციალური უსაფრთხოების, მისი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის, კეთილდღეობის, განვითარების, ან ამ კანონის მიზნებით გათვალისწინებული სხვა ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს*“. ნორმათა სისტემური განმარტება ქმნის საფუძველს, რომ სოციალური მუშაკი აღვიქვათ, როგორც თითოეული ბენეფიციარის უფლებადამცველი.<sup>105</sup> მისი საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე სოციალურმა მუშაკმა უნდა მოახდინოს ბენეფიციარის ინფორმირება სახელმწიფოში მისი უფლებების დაცვის ზოგადი მექანიზმების შესახებ და კონკრეტული სოციალური მომსახურების მიღებისას მისი უფლებების, როგორცაა მაგალითად - კონფიდენციალურობის დაცვა, საკუთარი აზრისა და დამოკიდებულების გამოხატვა და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადამიანის უფლებები არ არის მხოლოდ ერთი, სოციუმისაგან მოწყვეტილი ცალკეული ადამიანის უფლება.<sup>106</sup> მეორეს მხრივ, იგი არის მთელი საზოგადოებისათვის და სახელმწიფოსათვის არსებული ობიექტური, კონსტიტუციური ღირებულება, რომელსაც მუდმივად დაცვა სჭირდება.<sup>107</sup> შესაბამისად, სოციალური მუშაკის, როგორც „უფლებადამცველის ფუნქცია“ არ ამოიწურება მხოლოდ კონკრეტული ბენეფიციარის უფ-

---

<sup>105</sup> Ch. Labonté-Roset, *Soziale Arbeit als Menschenrechtsprofession*, Dresden, 2016, S. 3-5. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [http://www.weiterdenken.de/sites/default/files/uploads/2016/05/vortrag\\_labonte-rosset.pdf](http://www.weiterdenken.de/sites/default/files/uploads/2016/05/vortrag_labonte-rosset.pdf) [29.08.2018].

<sup>106</sup> J. Ipsen, *Staatsrecht, II*, Munich, 2012, S. 17.

<sup>107</sup> B. Loderbauer, *Recht für Sozialberufe*, Wien, 2016, S. 1-3.

ლებების დაცვით, რადგან მისი საქმიანობა ხშირად სცდება კონკრეტული პირის უფლებას. კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის თანახმად სოციალური მუშაკის ფუნქციას მოახდინოს სოციალური კეთილდღეობის სფეროში არსებული პრობლემის იდენტიფიცირება, შეიმუშავოს პროფესიული ინიციატივები და მოიძიოს პრობლემის გადაჭრის გზები. კანონის მე-15 მუხლის ი) ქვეპუნქტი კი მიუთითებს, სოციალური მუშაკის ფუნქციაზე, მოახდინოს სასიკეთო ცვლილებების ინიცირება და განახორციელოს ისინი. კანონის აღნიშნული ნორმა ანიჭებს სოციალურ მუშაკს ე.წ. „სოციალური ადვოკატის“ ფუნქციას. ადვოკატირება ემსახურება ბენეფიციარის გაძლიერებას და მისი კეთილდღეობის უზრუნველყოფას ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ მიზნად ისახავს მომსახურებათა და სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის გაუმჯობესებას. სოციალური მუშაკის კანონით გათვალისწინებული ფუნქციაა, უზრუნველყოს სოციალური სამართლიანობის პრინციპის რეალურად განხორციელება,<sup>108</sup> ასევე, მოახდინოს მისი ადვოკატირება, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალურად დაუცველ ადამიანებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი არსებულ რესურსებზე და მომსახურებებზე. კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ვ) ქვეპუნქტის თანახმად, სოციალური მუშაკის ერთ–ერთი ძირითადი ფუნქციაა, იმუშაოს სხვადასხვა სოციალურ საკითხზე, რაც გულისხმობს, რომ მან იმუშაოს არამხოლოდ კონკრეტულ ბენეფიციარებთან, არამედ ზოგადად საზოგადოებასთან. მაგალითად, მიმართოს დამსაქმებელს, პოლიტიკური თანამდებობის პირებს, მიაქციოს გადაწყვეტილების მიმღები პირების ყურადღება სოციალურად დაუცველი ადამიანების უფლებებზე, არსებული მატერიალური სიკეთეების საჭიროებაზე, მათ სიმწირეზე, ან არათანაბარ გადანაწილებაზე. ამისათვის იგი მონიტორინგს უწევს, თუ რამდენად სამართლიანად მიუწვდებათ ხელი ბენეფიციარებს არსებულ რესურსებზე, და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუდმივად და აქტიურად თა-

---

<sup>108</sup> B. Benz, J. Boeckh, ,H. Mogge-Grotjahn (Hrsg.) *Soziale Politik - Soziale Lage - Soziale Arbeit*, 2011, S.11.

ნამშრომლობს სახელმწიფო ორგანოებთან. ადვოკატირება ასევე მნიშვნელოვანია არამხოლოდ ახალი სოციალური პოლიტიკის და კანონმდებლობის შემუშავებისათვის, ან არსებული პოლიტიკის და პრაქტიკის ცვლილებისათვის, არამედ მაშინაც, როცა ბენეფიციარს უარს ეუბნებიან იმ მომსახურებაზე, რომელიც მას კანონით ეკუთვნის, და ადამიანს არ შეუძლია საკუთარი ინტერესების დაცვა.

მაგალითი: *სოციალური მუშაკი ადგენს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომელსაც მხოლოდ ეტლით შეუძლია გადაადგილება, არ აქვს ეტლი. რადგან ეტლი, რომელიც მან უკვე ერთხელ მიიღო სახელმწიფოსგან დახმარების სახით, დაზიანდა და იგი, მხოლოდ დიდი ძალისხმევით ახერხებს გადაადგილებას. ახალი ეტლის მოთხოვნისათვის მან განაცხადით უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოს –სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალურ, ან რაიონულ განყოფილებას, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მისი დაზიანებული ეტლით მოახერხებდა დანიშნულების ადგილამდე - არადაპტირებული ტარნსპორტით მისვლას, აღნიშნულ ადგილზე არ არის შესაბამისი პანდუსი, რომ მან მოახერხოს შენობაში შესვლა. სოციალური მუშაკი ასეთ შემთხვევაში ეხმარება კონკრეტულ ბენეფიციარს განაცხადის შევსებაში, და მას პირადად მიაქვს იგი სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში. თუმცა, ეს არ არის მისი მხრიდან საკმარისი, რომ მან დახმარება გაუწია კონკრეტულ ბენეფიციარს, ახალი ეტლის მიღებაში, რადგან შენობა-ნაგებობა მერიის ბალანსზეა, იგი მიმართავს ქალაქის მერიას, რომ შენობა უზრუნველყოს შესაბამისი ადაპტირებული შესასვლელით, რომ სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის შესაძლებელი იყოს ქალაქის შენობაში შესვლა. თუ ქალაქის მერია, გონივრულ ვადაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას, სოციალური მუშაკი იწყებს შშმ პირების სასარგებლო ცვლილებების ინიცირების. იგი იწყებს უწყების შიდა სუბორდინაციის შესაბამისად თავის ხელმძღვანელობასთან შეთანხვებით, გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, ამ შემთხვევაში ქა-*

*ლაქის საკრებულოს წევრებთან, ან ქალაქის მერთან შშმ პირების უფლებათა დაცვის მიზნით ადვოკატირებას და ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების გააქტიურებას.*

### **3.1.3. ინფორმაციის მიწოდება, დახმარების დაგეგმვა და მხარდაჭერა**

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი ყველა სოციალური მუშაკის ფუნქციად განსაზღვრავს ბენეფიციარის ინფორმირებას და კონსულტირებას, საჭიროების შემთხვევაში ჩარევის გეგმის შემუშავებას და ბენეფიციარის მხარდაჭერას. კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის თანახმად სოციალური მუშაკის ერთ - ერთი ძირითადი ფუნქციაა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაცია გაუწიოს ბენეფიციარს, თავიდან აიცილოს კრიზისი, დროულად ჩაერიოს მასში და მოახდინოს ბენეფიციარის მხარდაჭერა. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად კანონის მეხუთე თავი ზუსტად განსაზღვრავს სოციალური მუშაკის მიერ გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალს<sup>109</sup>.

მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მუშაკი კონსულტირების გაწევისათვის თავად ფლობდეს სრულ და ამომწურავ ინფორმაციას სოციალური მომსახურების ყველა დატალის თაობაზე. მომსახურების მიზნების და ფუნქციონირების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ბენეფიციარსა და სოციალურ მუშაკს შორის ურთიერთობის დამყარების ერთ-ერთი საფუძველია. აწვდის რა სოციალური მუშაკი ბენეფიციარს სრულყოფილ ინფორმაციას სოციალური მომსახურების შესახებ, ეხმარება მას მომსახურებებთან დაკავშირებული, რეალური მოლოდინების ჩამოყალიბებაში. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ თემს, სადაც მომსახურება ხორციელდება, ჰქონდეს ინფორმაცია აღნიშნული მომსახურების დანიშნულების შესახებ. შესაბამისად, აუცილებელია, რომ სოციალურმა მუშაკმა თემს რეგულარულად მიაწოდოს ინ-

---

<sup>109</sup> იხ. სახელმძღვანელოს მე-5 თავი.

ფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ.<sup>110</sup> ეს შესაძლებელია, ხდებოდეს თავისი თავის წარდგენით, ან დროგამოშვებით ანგარიშის წარდგენით.

სოციალური მუშაკის ფუნქციაა, ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტირების შემდეგ, დაგეგმოს სოციალური მუშაობა და მოახდინოს ბენეფიციარზე ორიენტირებული ჩარევა კონკრეტულ საქმეში. სოციალური მუშაკი ბენეფიციარის შეფასების საფუძველზე აყალიბებს მის დასახმარებლად ინტერვენციის გეგმას. მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის პროცესში აქტიურად იყოს ჩართული თვით ბენეფიციარი და განსახორციელებელი გეგმა იყოს მასთან შეთანხმებული. ჩარევა (ინტერვენცია) გულისხმობს გეგმის მიზნებთან არსებულ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. ძირითადი ამოცანა ამ პროცესში უკავშირდება ბენეფიციარის გაძლიერებას, რაც ითვალისწინებს ბენეფიციარის რესურსების, კომპეტენციის, შესაძლებლობებისა და არჩევანის განვითარებას, რათა აღდგეს, ან გაუმჯობესდეს ბენეფიციარის სოციალური ფუნქციონირება და მან შეძლოს დამოუკიდებლად მოქმედება. ჩარევის გეგმა მოიცავს : ა) ინტერვენციის მიზნებს; ბ) კონკრეტულ განსახორციელებელ აქტივობებს; გ) პასუხისმგებელ პირებს; დ) მომსახურების მიწოდების ვადებს; ე) მოსალოდნელ შედეგებს; <sup>111</sup> დაგეგმვის შემდეგ კი, ხორციელდება გეგმის მიხედვით ბენეფიციარზე ორიენტირებული მოქმედებები<sup>112</sup>.

*მაგალითი: სოციალურ მუშაკს ქუჩაში მომუშავე ბავშვებთან შეხვედრისას გააჩნია საინფორმაციო ბუკლეტები, ბეჭდური სახით, რომელსაც იგი აწვდის ბავშვებს. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვები არ გამოიჩინენ სოციალურ მუშაკთან პირდაპირი კონტაქტის სურვილს, იგი თხოვს მათ მოგვიანებით გაეცნონ ბუკლეტებს. თუ მათ არ შეუძლიათ კითხვა, იგი სთავაზობს მარტივად*

<sup>110</sup> მ. შალაშვილი, ს. ნამიჭიფილი, *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის სტანდარტები*, თბილისი, 2010, გვ. 9.

<sup>111</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>112</sup> კონკრეტული ღონისძიებები განიხილება სახელმძღვანელოს მე-5 თავში.

ახსნას, თუ რა წერია ამ საინფორმაციო ბუკლეტში და ასე ახდენს მათ ინფორმირებულობას შეთავაზებული მომსახურების შესახებ. თუ რომელიმე ბავშვი მიმართავს მას, იგი გასაუბრებით აფასებს ბენეფიციარის მდგომარეობას, და სთავაზობს ერთად დაგეგმონ, თუ როგორ შეიძლება მისი მხარდაჭერა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მომსახურება ითვალისწინებს 10 წელს ზემოთ ბავშვის აზრს, ხოლო ქმედუუნარო პირის შემთხვევაში კი – მისი კანონიერი წარმომადგენლის აზრის გათვალისწინებას.

### **3.1.4. მხარდაჭერის განხორციელება**

სოციალური მუშაკის უმთავრესი მოვალეობაა დახმარების, მხარდაჭერის გაწევა საჭიროების მქონე პირებისთვის. სოციალური მუშაკის ძირითადი ფუნქციაა, იღწვოდეს ბენეფიციარის უფლებების დასაცავად, უმწეოთა და დისკრიმინირებულთა სასარგებლოდ სოციალური ცვლილების მისაღწევად. „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, სოციალური მუშაკის ფუნქციას - გააქტიუროს ინდივიდების, ჯგუფების, ორგანიზაციებისა და საზოგადოების მისწრაფება სოციალური განვითარებისკენ. ამ ფუნქციიდან გამომდინარე, სოციალური მუშაკის მხარდაჭერი საქმიანობა, გულისხმობს *სამდონიან სამუშაოს* - ინდივიდების, განსაზღვრული მოწვლადი ჯგუფების და მთლიანად, საზოგადოების სოციალური განვითარებას.

*ვიწრო გაგებით* მხარდაჭერის ფუნქცია, ნიშნავს, ბენეფიციარისათვის კონკრეტული მხარდაჭერი ღონისძიების განხორციელებას. ხოლო *ფართო გაგებით*, აღნიშნული ფუნქციის შესრულება სოციალური მუშაკის მიერ შესასრულებელ ღონისძიებათა ერთობლიობისაგან შედგება. სოციალური მუშაკის მიერ სოციალური სამუშაოს ყველა ეტაპზე ბენეფიციარი უნდა გრძნობდეს მათი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მხარდაჭერას. იგი მუდამ თან უნდა ახლდეს ყველა მის ქმედებას - ინფორმაციის მიწოდებას, კონსულტირებისა და ჩარევის საფუძველზე დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას, ა.შ.

ეს აქცენტი კარგად შესამჩნევია მაგალითად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში. იგი უბრალო დეტალი კი არ არის, არამედ სამართალდამრღვევებთან სოციალურ მუშაობაში ტრადიციული, დასავლეთ ევროპული, ლიბერალური მიდგომის – „მხარდაჭერა, დახმარება და რჩევის მიცემა“ – ძალიან მნიშვნელოვანი თანამედროვე ცვლილებაა.<sup>113</sup> სასჯელის მიზანი არ უნდა იყოს პირისათვის ტანჯვის მიყენება, ან ღირსების შელახვა. საქართველოს კანონმდებლობაში კარგად არის განმარტებული სასჯელის მიზნები - სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია<sup>114</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „კანონმდებლის ამოცანაა ხელი შეუწყოს არასრულწლოვანი პირის საუკეთესო ინტერესების დაცვას, არასრულწლოვანი დამნაშავის სოციალურ რეაბილიტაციას, არ გამოიყენოს სასჯელის მკაცრი ზომა იქ, სადაც ეს აუცილებლობას არ წარმოადგენს“.<sup>115</sup>

გასათვალისწინებელია, რაც 2013-2014 წლიდან საქართველოში დაიწყო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში,<sup>116</sup> რომლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი, არასრულწლოვანთა კოდექსის შემუშავება და მიღება იყო. მართალია, სასჯელადსრულების დაწესებულებების სოციალური სამსახურის რეფორმა ჯერ კიდევ საჭიროებს განვითარებასა და სრულყოფას, თუმცა, აღსანიშნავია სახელმწიფო პოლიტიკის დადებითი ტენ-

---

<sup>113</sup> ავტორთა კოლექტივი, ე. ბერნჰარდტი, *სახელმძღვანელო კურსისთვის: სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში*, თბილისი, 2014, გვ. 37

<sup>114</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი.

<sup>115</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება N 3/2/416 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პ. 56.

<sup>116</sup> რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, 2013 წ. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია, 2015 წელი. დოკუმენტები ხელმისაწვდომია ვებ. გვრდზე:

<http://www.justice.gov.ge/AboutUs/Council/238> [07.07.2018].



დენცია, რომლის პროცესშიც სოციალურ მუშაკებს მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრიათ. რეფორმა ამ სფეროში გრძელდება. ამას მოწმობს, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განახლებული ერთიანი სტრატეგია და 2017-2021 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის მიმართულებასაც მოიცავს. რაც გულისხმობს, – პროფესიონალთა – არასრულწლოვანთა საქმეებში ჩართული სპეციალისტების, მათ შორის სოციალური მუშაკების შესაბამისი სპეციალიზაციით მომზადებას. ამ კუთხით, სამოქმედო გეგმაში ასევე აღსანიშნავია, სასჯელის ალტერნატიული სახის – შინაპატიმრობის იმპლემენტაციის გეგმა.

სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ცვლილებების მთავარი ამოცანაა მართლმსაჯულების პროცესებში ადამიანზე ორიენტირებული მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტურად ამუშავება და განხორციელება. მართალია, სასჯელის მიზანია სამართალდამრღვევთა დასჯა და დანაშაულებრივი ქცევის დათრგუნვა, მაგრამ ის, ასევე, მიმართული უნდა იყოს ადამიანებში იმგვარი ცვლილებების მოხდენაზე, რომ მათ შეწყვიტონ დანაშაულებრივი ქცევა და გახდნენ საზოგადოებაში პოზიტიური წვლილის შემტანი მოქალაქეები. ევროპულ ოჯახში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესში, საქართველოში აქტიურად ხდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ამ ღირებულებების დამკვიდრება. სწორედ, ამ რეფორმის სწორად განხორციელება საჭიროებს, სოციალური მუშაკის ფუნქციას, იყოს ბენეფიციარის აქტიური მხარდამჭერი. პირის გამოსწორება და მისი რესოციალიზაცია ვერ განხორციელდება მათდამი მხარდაჭერის გარეშე, რაშიც განუზომელია სოციალური მუშაობის როლი და მნიშვნელობა.

*მაგალითი: სოციალურ მუშაკს, მიმართავს პრობაციის ოფიცერი, რადგან ერთ-ერთ (სრულწლოვანი) პრობაციონერს ჰქონდა სუიციდის მცდელობა, თუმცა, მის ჯანმრთელობას არ ადადა სერიოზული ზიანი. პრობაციის ოფიცერი გამოხატავს საფუძვლიან ვარაუდს, რომ პრობაციონერის მიერ საკუთარი თავისადმი ზიანის მიყენების ფაქტი შესაძლოა კიდევ ერთხელ*

განმეორდეს. მან საქმეში ჩართო, ფსიქიატრი და ფსიქოლოგი, თუმცა ფიქრობს, რომ სოციალური მუშაკის მხარდაჭერა ბენეფიციარისთვის მნიშვნელოვანი იქნება. სოციალურმა მუშაკმა ბენეფიციართან შეხვედრის და შეფასებისას გამოარკვია, რომ მის მიმართ დიდი იყო ზეწოლა ოჯახის წევრების და სანათესაოს მიერ, მისი წარსულში ჩადენილი დანაშაულის გამო. სოციალური მუშაკი ხვდება ოჯახის წევრებს, და არკვევს, რომ თავის მხრივ, მათაც, ისე როგორც თვით ბენეფიციარს აქვთ პრობლემები საზოგადოებასთან, რადგან პრობაციონერმა მათი აზრით ჩაიდინა ამორალური ქმედება. ამ შემთხვევაში სოციალური მუშაკი მხარს უჭერს არამხოლოდ თვით ბენეფიციარს, არამედ მის ოჯახს და უზრუნველყოფს რეაბილიტაციის ღონისძიებებით. აღნიშნული მხარდაჭერა კი, მამართულია თვით პრობაციონერის და მისი ოჯახის მიმართ, მათი სოციალური მდგომარეობის და მათი გაძლიერებისაკენ.

### **3.1.5. გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა მულტიდისციპლინურ გარემოში**

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თ) სოციალური მუშაკის ერთ–ერთი ძირითადი ფუნქციაა, ითანამშრომლოს სოციალურ სფეროში დასაქმებულ სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, აგრეთვე კერძო და საჯარო დაწესებულებებთან, რაც ნიშნავს, რომ სოციალური მუშაობა ითვალისწინებს სოციალური მუშაკის აქტიურ თანამშრომლობას სხვადასხვა პროფესიონალთან, რაც ხელს უწყობს ბენეფიციარის კეთილდღეობის გაძლიერებას. სოციალური მუშაკი აქტიურად ერთვება დისციპლინათაშორისი გუნდის მუშაობაში ბენეფიციარის ინდივიდუალური საჭიროებების შეფასების, ინდივიდუალური მომსახურების გეგმის და მისი განხორციელების პროცესში. სოციალური მუშაკი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, აწვდის სპეციფიურ ინფორმაციას (კონფიდენციალურობის გათვალისწინებით) მულტიდისციპლინარული გუნდის წევრებს და უწევს მათ

კონსულტაციებს.<sup>117</sup> ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სოციალური სამუშაოს მომსახურებას, თავად, საკუთარი განაწესით განსაზღვრავს სოციალური მუშაკის ჩართულობას მულტიდისციპლინარული ჯგუფის მუშაობაში და იქვე განსაზღვრავს მის უფლებამოვალეობებს. იმისათვის, რომ ბენეფიციარმა მიიღოს გაცილებით უკეთესი და მრავალმხრივი მომსახურება, სოციალური მუშაკს უნდა ჰქონდეს ჯგუფური მუშაობის უნარი. ბენეფიციარის კეთილდღეობის მიზნით სოციალური მუშაკი ჩართული უნდა იყოს სხვადასხვა პროფესიონალისგან შემდგარი, მულტიდისციპლინარული ჯგუფის მუშაობაში. სოციალური მუშაკის ეს ფუნქცია უზრუნველყოფს ბენეფიციარის საჭიროებებიდან გამომდინარე მრავალმხრივი მომსახურების შეთავაზებას.

გარდა ამისა, გუნდური მუშაობა, არის სოციალური მუშაკის ვალდებულებაც, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მიხედვით ადგენს სოციალური მუშაკის მრავალმხრივ და დისციპლინათშორის თანამშრომლობის ვალდებულებას. კანონის თანახმად, სოციალური მუშაკი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლოს სხვა სოციალურ მუშაკებთან, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, აგრეთვე იმ პროფესიულ ჯგუფებთან, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ბენეფიციარის მხარდაჭერის პროცესში, და იმ პირებთან, რომლებთან თანამშრომლობაც მიმართულია ბენეფიციარის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ.

სოციალური სამუშაოს მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს მულტიდისციპლინარული ჯგუფის მუშაობის პროცედურა, იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ჯგუფი ორგანიზაციის შიგნით არის შექმნილი. პროცედურაში აღწერილი უნდა იყოს თითოეული პროფესიონალის როლი და ფუნქცია.

---

<sup>117</sup> მ. შალაშვილი, ს. ნამიჭიევზილი, *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის სტანდარტები*. თბილისი, 2010, გვ. 15.

კერძოდ, რა შემთხვევაში ხდება სპეციალისტის (სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ექიმის, პედაგოგის და სხვა სპეციალისტის) ჩართვა შემთხვევაზე მუშაობის დროს.<sup>118</sup> პროცედურამ, უნდა განმარტოს, თითოეული პროფესიონალის, მათ შორის სოციალური მუშაკის, პასუხისმგებლობა ბენეფიციარის მიმართ.

*მაგალითი: არასრულწლოვანთა დაწესებულებაში დანერგილია მულტიდისციპლინური საბჭოს მუშაობა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ექიმი და მასწავლებელი. მულტიდისციპლინური საბჭოს ფუნქციას წარმოადგენს მსჯავრდებულის ბიოფსიქოსოციალური პორტრეტის შექმნა, გამოვლენილი საჭიროების გათვალისწინებით მსჯავრდებულისთვის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი. უწყებაში არსებული განაწესის მიხედვით<sup>119</sup> ამგვარ ჯგუფში ზუსტად არის განსაზღვრული გაწერილი სამუშაო ჯგუფის წევრების ფუნქციები. მაგალითად, შემთხვევის მენეჯერის ფუნქციას ასრულებს ეგრეთ წოდებული მსჯავრდებულის კოორდინატორი, ხოლო სოციალური მუშაკის ძირითადი ფუნქცია, სხვა ფუნქციებთან ერთად არის, მაგალითად მსჯავრდებულის ვადამდე გათავისუფლების შესახებ დასკვნის ადგილობრივი საბჭოსთვის წარდგენა ასევე, შეწყალების კომისიისა და სხვა კომპეტენტური ორგანოებისთვის წარსადგენი ინფორმაციის მომზადება.*

### **3.1.6. პროფესიული ზედამხედველობა - სუპერვიზია**

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის (ლ) ქვეპუნქტის თანახმად, სოციალური მუშაკის ფუნქციაა, განახორციელოს პროფესიული საქმიანობის

---

<sup>118</sup> იქვე, გვ. 15-16.

<sup>119</sup> სახელმძღვანელო მითითებები რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისთვის, დანაშაულის პრევენციის ცენტრი, 2013 წელი.

თვითშეფასება, აგრეთვე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ზედამხედველობის პროცესში.

სოციალური მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად ორგანიზაციაში უნდა არსებობდეს მონიტორინგის სისტემა და მექანიზმი, რომლის მიხედვითაც სოციალური მუშაკი აწარმოებს საკუთარი საქმიანობის შეფასებას. სოციალური მუშაკი აფასებს საკუთარი ცოდნის და უნარ-ჩვევების შესაბამისობას მომსახურებით გათვალისწინებულ შეფასებასა და ინტერვენციასთან, აგრეთვე რამდენად შეუძლია მას თანამედროვე მეთოდების და მიდგომების გამოყენება პრაქტიკაში. პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის თვითშეფასების გარდა, შეფასება ხორციელდება სოციალური სამუშაოს ზედამხედველის მიერ. პროფესიული ზედამხედველი აფასებს, თუ რამდენად გააჩნია სოციალურ მუშაკს ზედამხედველობისთვის და კონსულტაციებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება.<sup>120</sup>

ზედამხედველობის სწორად განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია სოციალური მუშაობის პრაქტიკაში. ზედამხედველობა არის პროცესი, რომლის დროსაც პროფესიული ზედამხედველი აძლევს უკუკავშირს სოციალურ მუშაკს შესრულებული მუშაობის შესახებ. პროფესიული ზედამხედველობა სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში მიზნად ისახავს ბენეფიციარისათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას, თვითონ სოციალური მუშაკის გაძლიერებას და მისი პრაქტიკის დახვეწას. ზოგადად, ზედამხედველობის 3 ფუნქციას გამოყოფენ:

**ზედამხედველობის ადმინისტრაციული ფუნქცია-** მიზნად ისახავს სოციალური მუშაკის მიერ სამუშაოს მაღალი სტანდარტების დამკვიდრებასა და შენარჩუნებას, პრაქტიკის შესაბამისობას, შესაბამის კანონმდებლობასა და პოლიტიკასთან ერთად, ეფექტური სამუშაო გარემოსათვის ხელის შეწყობას.

---

<sup>120</sup> მ. შალაშვილი, ს. ნამიჭიევძილი, *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის სტანდარტები*, თბილისი, 2010, გვ. 18.

**ზედამხედველობის საგანმანათლებლო ფუნქცია-** გულისხმობს თითოეული სოციალური მუშაკის განათლებისა და პროფესიული განვითარებისათვის ხელის შეწყობას, რათა დაეხმაროს სოციალურ მუშაკს თავისი პოტენციალისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში.

**ზედამხედველობის მხარდამჭერი ფუნქცია** მოწოდებულია დაეხმაროს სოციალურ მუშაკს დაძლიოს სამუშაოსთან დაკავშირებული ყოველდღიური სტრესი, გაზარდოს სამუშაოთი კმაყოფილების ხარისხი და ხელი შეუწყოს სამუშაო ადგილზე ჰარმონიული ურთიერთობების დამკვიდრებას<sup>121</sup>

*მაგალითი: ახალბედა სოციალური მუშაკი, რომელიც უკვე რთვეთა ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობს, გრძნობს, რომ მას აქვს საკმაოდ სერიოზული სტრესი, რომელიც მისი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარეობს. გარდა ამისა, არ არის დაწინაურებული, რამდენად სწორად იქცევა იგი ქუჩაში მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებთ. ზედამხედველობას ე.წ. სუპერვიზიას, ახორციელებს უწყებაში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალი, რომელთანაც ხდება გეგმიური კონსულტაციები. ახალბედა, სოციალურ მუშაკთან ჩატარებული პირველი სუპერვიზიის პროცესი იყო გულწრფელი, აქტიური და თანამონაწილეობითი. მან მიიღო რამდენიმე რჩევა. მაგალითად, ერთ-ერთ მიმდინარე შემთხვევაში უნდა მოეთხოვა ფსიქოლოგის ჩართულობა.*

### **3.2. სოციალური მუშაკის დარგობრივი ფუნქციები**

კანონი წარმოადგენს სოციალური მუშაობის დარგობრივ ფუნქციებს ბავშვთა კეთილდღეობის, მართლმსაჯულების, ზოგადსაგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში, თუმცა ამ ჩამონათვალთ კანონი არ ზღუდავს სხვა სფეროებში პროფესიის

---

<sup>121</sup> შ. სამაგლიშვილი, ი. შეყრილაძე, ნ. შატერაშვილი, მ. მგელიაშვილი, ს. ნამიჭიშვილი *სოციალური მუშაობის მეთოდები დაუცველ ჯგუფებთან, პრაქტიკული სახელმძღვანელო*, თბილისი, 2011, გვ. 207.

განვითარებას. კანონის მე - 14 მუხლი ერთმანეთისაგან განასხვავებს სოციალური მუშაკისთვის ძირითად და დარგობრივ ფუნქციებს. აღნიშნული ნორმა კავშირშია ამავე კანონის მე-9 მუხლთან - დარგობრივი კომპეტენციის პრინციპთან, რომლის მიხედვითაც სოციალური მუშაკი სოციალურ მუშაობას ატარებს დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით. დარგობრივი კომპეტენციის მიღება შესაძლებელია პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში. ამავე მუხლის მეორე პუნქტი ადგენს, რომ აკადემიური, ან სხვა საგანმანათლებლო კურსები უზრუნველყოფს სოციალური მუშაკის მიერ დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით განათლების მიღებას და შემდგომ მის გაღრმავებას.<sup>122</sup> „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონით განისაზღვრა ოთხი დარგობრივი კომპეტენცია - ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის და მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის სფეროში, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. შემდგომ თავებში განიხილება თითოეული მათგანი.

სოციალური მუშაობის შესრულებისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარგობრივი ფუნქციების ერთმანეთისაგან გამიჯვნას ენიჭება. აღნიშნულს, აქვს მნიშვნელობა იმ კუთხით, რომ შესაბამის სფეროში დასაქმებული სოციალური მუშაკი, მისი ცოდნის, კომპეტენციისა და გამოცდილებიდან გამომდინარე, უკეთ შეძლებს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. ეს კი საბოლოოდ უზრუნველყოფს ხარისხიანი სოციალური მუშაობის შესრულებას. შესაბამის სოციალურ მუშაკთან გადამისამართებას, როგორც წესი, სოციალური მუშაკი ახდენს პრობლემის განსაზღვრისა და საჭიროების შეფასების ღონისძიების განხორციელებისას. თუმცა, თუ იგი სოციალური მუშაობის ნებისმიერ ეტაპზე აღმოაჩენს, რომ საჭიროა, სხვა სპეციალისტის, ან უწყების ჩართვა, იგი მოახდენს შემთხვევის რეფერირებას. ამგვარი გამიჯვნის საჭიროება, შესაძლოა იყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულ სო-

---

<sup>122</sup> იხ. ზემოთ, დარგობრივი კომპეტენციის პრინციპი - ქვეთავი 2.6.

ციალურ სამუშაოსა და ოჯახსა და ბავშვთან მომუშავე სოციალურ მუშაკს შორის. კანონის მე-18 მუხლი ადგენს, თუ რას გულისხმობს სოციალური მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. თუ ამ სფეროში დასაქმებული სოციალური მუშაკი ხედავს, რომ მის უფლებამოსილებებსა და შესაძლოა კომპეტენციებსაც აღემატება ბენეფიციართან მუშაობა, იგი მიმართავს შესაბამისი უწყების სოციალურ მუშაკს.

*მაგალითი:* ქობულეთის ერთ-ერთ სკოლაში დასაქმებული სოციალური მუშაკი, კლასის დამრიგებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გაესაუბრება მე-4 კლასელ მოსწავლეს, რომელსაც აქვს ძალიან დაბალი აკადემიური მოსწრება, ხშირად აცდენს სკოლას და გარეგნულად ძალიან მოუწესრიგებელია, თანაც ხშირად განმარტოვებული და გარიყულია სხვა მოსწავლეებისაგან. სკოლაში ჭუჭყიანი ტანსაცმლით დადის. სოციალური მუშაკი, მასწავლებელთან და მასთან გასაუბრების შედეგად ასკვნის, რომ, ბავშვის დედა უკვე 2 წელია უცხოეთშია, ხოლო მამა 3-4 თვის წინ დააკავეს და დღეს მსჯავრდებულია. ბავშვი სოციალურ მუშაკს სხვა ნათესავების, შესაძლო მეურვის, ან მზრუნველის შესახებ ინფორმაციას არ აწვდის, მასწავლებელი კი არ ფლობს ამ ინფორმაციას. სკოლის სოციალური მუშაკის შეფასებით, ბავშვი მოკლებულია ოჯახის მზრუნველობას და სასწრაფოდ საჭიროებს დახმარებას. თუმცა, მან ზუსტად არ იცის, კონკრეტულად რა ტიპის პრობლემა აქვს მოსწავლეს. იგი გარკვევს ბავშვის მისამართს და მოახდენს აღნიშნული შემთხვევის გადამისამართებას, შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედ, მუნიციპალიტეტის სოციალურ მუშაკთან.

*მაგალითი:* მუნიციპალიტეტში დასაქმებული, მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკი, მიიღებს სკოლის სოციალური მუშაკისაგან ინფორმაციას, რომ ბავშვი, რომელიც მის სამოქმედო ტერიტორიაზე ცხოვრობს, სავარაუდოდ მიტოვებულია და დახმარებას საჭიროებს. მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკი დაუყოვნებლივ ახდენს რეაგირებას, და გადის მოთითებულ მისამართზე, შემთხვევის შესაფასებლად. მითითებულ მისა-



მართის 3 ჯერ მონახულების, და მეზობლებთან გასაუბრების შემდეგ, მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკი აღმოაჩენს რომ 9 წლის მცირეწლოვანი ბავშვის მშობლები ადგილზე აღარ ცხოვრობენ, დედა უცხოეთშია, მამა პატიმრობაში იმყოფება, ბავშვი პენსიონერ, 78 წლის ბაბუასთან გადაიყვანეს საცხოვრებლად. თუმცა, იშვიათად მოდის მიტოვებულ საცხოვრებელში. იმის შემდეგ, რაც სოციალური მოშაკი, ბაბუას მოინახულებს, ნახავს რომ იგი მძიმე ავადმყოფია და ლოგინად არის ჩავარდნილი. ამგვარ მდგომარეობაში მას არ შეუძლია მცირეწლოვანი შვილიშვილის მოვლა. მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკის შეფასებით, აღნიშნულ შემთხვევას უკეთ გაუმკლავდება ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის და მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის სფეროში დასაქმებული სოციალური მუშაკი. იგი დაუყოვნებლივ ახდენს შემთხვევის რეფერირებას სოციალური მომსახურების სააგენტოსადმი.

მართალია, სოციალური მუშაობა მთლიანობაში ერთ მიზანს ემსახურება, მაგრამ სოციალური მუშაობის ცალკეული სფეროები, თავისი სპეციფიკით გამოირჩევიან. სფეროთა დარგობრივი გამიჯვნა უნდა მოხდეს ბენეფიციარისა და პრობლემის ყურადღებით შესწავლის შედეგად. საბოლოოდ სწორად იდენტიფიცირებული შემთხვევა და შესაბამისად მისი დარგობრივად სწორი კვალიფიკაცია არის ხარისხიანად შესრულებული სოციალური მუშაობის წინაპირობა.

### **3.2.1. სოციალური მუშაობა ბავშვზე და ოჯახზე ზრუნვისა და მეურვეობა/მზრუნველობა/მხარდაჭერის სფეროში**

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს სოციალური მუშაკის დარგობრივ ფუნქციებსა და კომპეტენციებს ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის და მეურვეობის/ მზრუნველობის/ მხარდაჭერის სფეროში. გასათვალისწინებელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციები არ ვრცელდება საქართველოს სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში.

სოციალური მუშაკის პროფესიული მოღვაწეობის ერთ- ერთ ყველაზე ფართო და იმავდროულად ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა სოციალური მუშაობა ბავშვებსა და ოჯახებთან. საქართველოში სოციალური მუშაკი აქტიურად მონაწილეობს ამ სფეროს განვითარების პირველივე ეტაპიდან. საქართველოში, ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა, ოთხ ძირითად ეტაპად შეიძლება დაიყოს. პირველი ეტაპი დაიწყო მაშინ, როცა 1994 წელს, საქართველომ ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენციას. აქედან 4-5 წელიწადში, დაიწყო სფეროს დეინსტიტუციონალიზაცია, - სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვთა მოხვედრა მათი საკუთარ ოჯახში რეინტეგრაციისა და მინდობითი აღზრდის მიმართულებით. იმავდროულად, სოციალურ მუშაკთა პირველმა ნაკადმა დაიწყო მუშაობა. მეორე ეტაპი: 2004 წლიდან, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობა ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრებზე გადაანაწილა. დაარსდა ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისია, რომელმაც 2005-2007 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმაზე იმუშავა და დამტკიცდა 2005 წელს. 2004-2008 წლებში სახელმწიფოში სოციალურ მუშაკთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. სფეროს განვითარების მესამე ეტაპი: 2009 წლიდან ბავშვთა კეთილდღეობის ფუნქციები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაეცა და ბავშვთა კეთილდღეობა სოციალური კეთილდღეობის სისტემაში გაერთიანდა. და დააარსა მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოები. იმის შემდეგ, რაც ბავშვზე ზრუნვის სამსახური 2009 წლიდან ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში გადმოვიდა, სააგენტო გახდა მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანო. დამტკიცდა, ბავშვთა კეთილდღეობის 2008-2011 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც აქცენტი დეინსტიტუციონალიზაციიდან ბავშვთა კეთილდღეობის მდგრად სისტემაზე იქნა და ითვალისწინებდა ისეთი პრობლემების მოგვარებას, როგორცაა ბავშვთა სიღარიბე და მათზე ძალადობა. 2009 წელს დამტკიცდა ბავშვზე ზრუნ-

ვის სახელმწიფო სტანდარტები, რომელიც სააღმზრდელო დაწესებულებებში ზრუნვის ხარისხის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. ხოლო 2012 წლის 24 აპრილს დამტკიცდა ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავდა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის კურსის გაგრძელებას და ხელი შეუწყოს განსაკუთრებით მოწყვლადი ბავშვებისა და მათი ოჯახების გაძლიერებას. მეოთხე ეტაპზე, დაიწყო საქართველოში 2015 წელს “ბავშვთა დახმარების” შემოღებით, რაც ამ სფეროში მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილებამ კიდევ უფრო დახვეწა ამ მიმართულებით არსებული პრეცედურები. დღეს მოქმედებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №601 დადგენილება, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება.

ზოგადად კი, დღეს მიმდინარე რეფორმა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში შეეხო ბავშვთა კეთილდღეობის ისეთ სფეროებს, როგორებიცაა პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება, ზრუნვის სისტემიდან გამოსული ახალგაზრდები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

სოციალური მუშაობის სფეროში არსებული ხარვეზები, სოციალური მუშაკის ფუნქციებთან და მის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით შეივსო „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის ძირითადი რეგულაციებიც ძალაში 2021 წლის 1 იანვარს შევა.

ბავშვზე და ოჯახზე ზრუნვისა და მეურვეობა/მზრუნველობა/მხარდაჭერის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკის დარგობრივ კომპეტენციებად კანონის მიერ განსაზღვრული დებულებებიდან არსობრივად შეიძლება დავაჯგუფოდ შემდეგნაირად:

ა) სოციალური მუშაკი მონაწილეობს ბავშვის შვილად აყვანის პროცესში.

ბ) ოჯახის მხარდაჭერა და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნება.

გ) ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის ღონისძიებების განხორციელება.

დ) მეურვეობის/ მზრუნველობის დაწესების/ მხარდაჭერის პროცესში მონაწილეობა.

ე) ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე, ხანდაზმულისა და შშმ პირებზე ზრუნვა.

ა) სოციალური მუშაკი მონაწილეობს ბავშვის შვილად აყვანის პროცესში

2017 წელს, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დაიხვეწა შვილად აყვანის წესი. შესაბამისად უკეთ გამოიკვეთა სოციალური მუშაკის მნიშვნელოვანი როლი ამ სფეროში. „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი ადგენს გასაშვილებელი ბავშვის მშვილებლისთვის შეთავაზების პროცედურას. მე-8 პუნქტის მიხედვით, მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის დასადგენად შეფასების ჩატარებისას სოციალური მუშაკი ითვალისწინებს მშვილებლის ოჯახში ბავშვის აღზრდისა და სრულფასოვანი განვითარების საჭიროებებს, მშვილებლის მიერ ამ საჭიროებების დაკმაყოფილების უპირატეს ასპექტებს (მშვილებლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ურთიერთობები, ძლიერი და სუსტი მხარეები, ბავშვის შვილად აყვანის მოტივაცია, სოციალური კონტაქტები, პიროვნული მახასიათებლები, დამხმარე ქსელი, ბავშვის ეთნიკური, რელიგიური და კულტურული თავი-

სებურებები და სხვა), რომლებიც დეტალურად აისახება მშვილებლისა და ბავშვის თავსებადობის შესახებ დასკვნაში.

"შვილად აყვანის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 27 დეკემბერი, ბრძანება №01-73/ნ ადგენს შვილად აყვანაში უფლებამოსილ ორგანოს სააგენტო მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანოს, შვილად აყვანის პროცედურაში სოციალური მუშაკის როლს.

შვილად აყვანის მსურველი მიმართავს სოციალური მომსახურების სააგენტოს ფილიალს, რეგისტრირებული, ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და დარეგისტრირდება ბავშვის შვილად აყვანის მსურველად. "შვილად აყვანის წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანების მე-8 მუხლი ზუსტად განსაზღვრავს სოციალური მუშაკის უფლებამოსილებებს ბავშვის შვილად აყვანის პროცესში. მაგალითად მე-5 პუნქტის თანახმად განაცხადის წარდგენისას, თუ ბავშვის შვილად აყვანის მსურველი პირი ვერ აკმაყოფილებს მშვილებლის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს და/ან სრულყოფილი სახით არ არის წარმოდგენილი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, სოციალური მუშაკი არ ახორციელებს ბავშვის შვილად აყვანის მსურველი პირ(ებ)ის შეფასებას და რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას, 7 სამუშაო დღის განმავლობაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიული ორგანო, წერილობითი ფორმით აცნობებს განმცხადებელს/განმცხადებლებს. თუ სრული შეფასება დადებითია, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის შვილად აყვანის მსურველი ოჯახის/პირის რეესტრში აღრიცხვაზე აყვანის თაობაზე. ხოლო, მე-6 პუნქტი ადგენს პროცედურას, თუ ბავშვის შვილად აყვანის მსურველი პირი აკმაყოფილებს მშვილებლის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სოციალური მუშაკი განაცხადის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 20 სამუ-

შაო დღისა, ახორციელებს ბავშვის შვილად აყვანის მსურველი პირის შეფასებას და წერს დასკვნას. 7. თუ შეფასება დადებითია, სოციალური მუშაკის დასკვნის მომზადების დღიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას პირის მშვილებლად რეესტრში აღრიცხვაზე აყვანის თაობაზე. თუ სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი შეფასება უარყოფითია, სოციალური მუშაკის დასკვნის მომზადების დღიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას პირის მშვილებლად რეესტრში აღრიცხვაზე აყვანის უარის შესახებ.

საქართველოში საერთაშორისო შვილად აყვანის ურთიერთობებში უფლებამოსილი ორგანოა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატი, რომელიც ამავე ურთიერთობებში არის ცენტრალური ორგანო.<sup>123</sup> მსგავსი ცენტრალიზებული მიდგომა და საერთაშორისო სტანდარტია- საერთაშორისო შვილად აყვანისთვის დადგენილი წესით (ჰააგის კონვენციის გამოყენებით). იმ სახელმწიფოსთან, რომელიც ჰააგის კონვენციის მონაწილე არ არის, სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრისას შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული უნდა იქნეს ჰააგის კონვენციის მოთხოვნები.

ბ) “სოციალური მუშაობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, სოციალური მუშაკი ახდენს მიუსაფარი ბავშვისა და მისი ოჯახის საჭიროებების განსაზღვრას. იგი ბავშვის ძალადობისა და უგულუბელყოფისგან დაცვის მიზნით იღებს შესაბამის ზომებს;

საქართველოში არსებული ფონი, მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებით, მძიმეა. სოციალური მუშაობის თვალსაზრისით, ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფო პროგრამები ძირითადად მიმართულია არა ქუჩაში ცხოვრების ფენომენის პრევენციისაკენ, არამედ უკვე მიუსაფარი ბავშვების იდენტიფიკაცია-

---

<sup>123</sup> იხ. სახელმძღვანელოს მე-7 თავში.

რეაბილიტაციისკენ. პრევენციული ღონისძიებების ასამუშავებლად კი საჭიროა გამოიწვევი მიზეზების სიღრმისეული ანალიზი. ჯერჯერობით, სახელმწიფო სერვისები მოკლევადიანია და უფრო სიტუაციური პრობლემების გადაჭრისაკენ არის მიმართული. სოციალური მუშაკის ფუნქციად განისაზღვრება მიუსაფარი ბავშვის იდენტიფიცირება და მისი რეფერირება.<sup>124</sup>

საქართველოში, გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივის ფარგლებში, 2012 წლიდან დაიწყო პროგრამები. 2014 წლიდან კი, ბავშვების დასახმარებლად ამოქმედდა მთელი რიგი სერვისები, რომელთაც სახელმწიფო აფინანსებს: მობილური ჯგუფები, დღის ცენტრები და 24-საათიანი თავშესაფრები. მობილურ ჯგუფში შედის ადმინისტრაციული თანამშრომელი, ფსიქოლოგი, თანასწორგანმანათლებელი და სოციალური მუშაკი. მათი მთავარი მოვალეობაა, ქალაქის მასშტაბით მოძებნონ მიუსაფარი ბავშვები და ჩართონ ცენტრის სერვისებში. ბავშვების ცენტრში გადაყვანა ნებაყოფლობითია.<sup>125</sup> მიუსაფარი ბავშვების პრობლემასთან ბრძოლა მულტიექტორულ ჩარევას გულისხმობს, რომელშიც სამი ძირითადი მიმართულებაა გამოყოფილი. ერთ-ერთ მათგანს ბავშვის ქუჩაში მოხვედრის პრევენცია წარმოადგენს.<sup>126</sup> სწორედ ამ კომპონენტის გაძლიერებაზეა მიმართული „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში 2016 წელს შესული ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირებაში მნიშვნელოვანი როლი სოციალურ მუშაკს ეკისრება. გარდა ამისა, ახალი რე-

---

<sup>124</sup> მიუსაფარი ბავშვის დეფინიციას ადგენს „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის № 52/ ნ ბრძანება. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1048574> [27.08.2018].

<sup>125</sup> სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი (CSDC), *სოციალური მუშაობა მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით, საკითხავი სახელმძღვანელო სოციალური მუშაკებისთვის*, 2017, გვ. 18.

<sup>126</sup> იქვე, გვ. 53.

ფერიერების წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით<sup>127</sup> სოციალურ მუშაკმა შეიძინა ახალი, მნიშვნელოვანი ფუნქცია. აღნიშნული რეგულაციის მიხედვით, თუ ადგილზე გამოცხადებისას, სოციალური მუშაკი სიტუაციას აფასებს, როგორც გადაუდებელ შემთხვევას, რომლის დროსაც ბავშვის სიცოცხლეს, ან ჯანმრთელობას მომდევნო 24 საათის განმავლობაში ემუქრება საფრთხე, მაგრამ არ ხდება ამ პუნქტის შემაკავებელი ორდერით, განსაზღვრული ღონისძიებების გატარება, სოციალური მუშაკი დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას ბავშვთან დაკავშირებით, პოლიცია ეხმარება მას ამ გადაწყვეტილების აღსრულებაში. მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებით, მოქმედებს კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი, სამართლებრივი დოკუმენტი - საქართველოს მთავრობის დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერიერების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“. იგი 2016 წლის საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად შევიდა ძალაში. მასში დეტალურად არის გაწერილი ის ღონისძიებები, რომლის შესრულების პასუხისმგებლობაც სხვადასხვა უწყებებს, განსაკუთრებით კი, სოციალურ მუშაკს აკისრია - ბავშვთა ძალადობის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის ფაქტის გამოვლენის (პირველადი იდენტიფიკაციის) და მასზე რეაგირების მიზნით, შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებას, სასწავლო და საადმინისტრაციული დაწესებულებებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს, აგრეთვე, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერიერების) პროცედურებში ჩართულ სხვა შესაბამის დაწესებულებებს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერიერების) პროცედურებში

---

<sup>127</sup> იხ.: „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერიერების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება



ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ არასრულწლოვანზე ძალადობის ფაქტის გამოვლენის და არასრულწლოვანზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი, სახელმწიფო ორგანოსათვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რეფერირების პროცედურების თანახმად, პოლიცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, მიუხედავად იმისა, თუ ვინ მიმართა მას: დაზარალებულმა, ძალადობის მოწმემ, თუ ამ კანონის მე -11 მუხლით გათვალისწინებულმა პირმა. დოკუმენტით გათვალისწინებულია “ზავშვის უფლებათა შესახებ” გაეროს კონვენციის ერთერთი მნიშვნელოვანი პრინციპი: ზავშვის ნამდვილი ინტერესების დაცვა. მასში ნათქვამია, რომ ოჯახურ დანაშაულსა და ოჯახში ძალადობაზე სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, დაკითხვისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ინტერესები, მათი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად. ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით, დაუმზებელია არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვა, აგრეთვე, დამცავი, ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას, ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) სავარაუდო მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით; კანონი ასევე კრძალავს სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვას, რომელიც სავარაუდო მოძალადეა, ან რომლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებითაც არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში. აგრეთვე, მისთვის (მათთვის) არასრულწლოვანის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების) გაცნობას, ან გადაცემას. მსგავს შემთხვევებში, მშობლის უფლებამოსილება, იყოს არასრულწლოვანის წარმომადგენელი სისხლის/ადმინისტრაციული

სამართალწარმოების პროცესში, შეჩერებულად ითვლება სასამართლოში საქმის წარმოების განმავლობაში, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს არასრულწლოვანის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს არასრულწლოვანის ინტერესებს წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1205<sup>1</sup> მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, როდესაც მშობლის მიმართ შემაკავებელი, ან დამცავი ორდერი მოქმედებს, აგრეთვე სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე მშობლის წარმომადგენლობითი უფლება ან/და მშობლის უფლება, განსაზღვროს, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს ბავშვმა, შემაკავებელი, ან დამცავი ორდერის, ან ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ, სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების მოქმედების ვადით შეჩერებულად ითვლება. მშობლის მიერ ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს ამ გადაწყვეტილების მოქმედებას.

*მაგალითი: სოციალური მუშაკისათვის ცნობილი გახდა, რომ ალკოჰოლურ სასმელებზე დამოკიდებული მშობლის მიერ, ბავშვი სისტემატურად არის ძალადობის მსხვერპლი. გადაწყვეტილების მიღებისას სოციალური მუშაკი ახდენს ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას და მსხვერპლისა და იმ პირების გამოკითხვას, რომლებსაც მისთვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება შეუძლიათ. მიუხედავად იმისა, რომ მშობლებისაგან განცალკევება არის უკიდურესი ზომა, იგი, სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებით უწყების შიდა სუბორდინაციის შესაბამისად, თავის ხელმძღვანელობასთან შეთანხებით, განცალკევდება მოძალადე მშობლისაგან.*

ბ) ოჯახის მხარდაჭერა და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნება

ოჯახთან მუშაობას ბავშვზე ზრუნვის სფეროში სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში უდიდესი როლი და მნიშვნელობა ენიჭება, სოციალურ სამუშაოში ოჯახი განიხილება, როგორც სისტემა. ოჯახი არის `განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები პირი, ან პირთა წრე, რომელიც ეწევა ერთობლივ შინასამეურნეო საქმიანობას. სისტემური მიდგომის მიხედვით, თუ ოჯახის ერთ წევრს რაიმე შეემთხვა, ეს არა მარტო ოჯახის მასთან დამოკიდებულებაზე აისახება, არამედ ოჯახის სხვა წევრებს შორის ურთიერთობაზეც, ანუ ეს კონკრეტული შემთხვევა ზემოქმედებს მთელ ოჯახზე.

ოჯახთან მუშაობისას სოციალური მუშაკი ცდილობს ბავშვის მშობლების, ან აღმზრდელების მზრუნველობის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის პრობლემების მოგვარებას, ოჯახის ცალკეული წევრების პიროვნულ პრობლემებზე მუშაობას, გარემო ფაქტორების მიერ გამოწვეული პრობლემების გადაჭრაში ოჯახის დახმარებას (არასაკმარისი შემოსავალი, უმუშევრობა, მძიმე სოციალური პირობები, რესურსების ნაკლებობა).<sup>128</sup>

სოციალურმა მუშაკმა ოჯახის ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია უნდა მოიპოვოს ბავშვისგან, ოჯახის წევრებისგან, ახლობლებისგან. ოჯახური და გარემო ფაქტორების შეფასების პროცესში სოციალურმა მუშაკმა, შეფასებისათვის უნდა მოიძიოს პასუხები რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით<sup>129</sup>. მაგალითად, **ოჯახის ფუნქციონირების** შესახებ, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, როგორი ურთიერთობა აქვთ ოჯახის წევრებს ერთმანეთთან, როგორი ურთიერთობა აქვს ოჯახს გარე სამყაროსთან, როგორ რეაგირებს ოჯახი სტრესზე, შეფასებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა

---

<sup>128</sup> ს. ნამიჭიშვილი, მ. მგელიაშვილი, სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები სახელმძღვანელო ბავშვებთან და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის, თბილისი, 2010, გვ. 119.

<sup>129</sup> იქვე, გვ. 120-125.

აქვს, როგორი ისტორია, ღირებულებები და ტრადიციები აქვს ოჯახს. იმისათვის რომ შეფასება სრულყოფილი იყოს სოციალურმა მუშაკმა უნდა გაარკვიოს როგორი **სოციალური თანადგომით** სარგებლობს ოჯახი. მაგალითად, კონტაქტების არსებობა ნათესავებთან, მეზობლებთან, ან მეგობრებთან და თემთან. პრობლემის დასადგენად უნდა გაირკვეს ასევე **ოჯახის სოციალური ინტეგრაცია** იმ საზოგადოებაში, რომელშიც იგი ცხოვრობს, თუ თავს გარიყულად გრძნობს. **საცხოვრებელი ადგილის** ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოჯახის ცხოვრებაში - აქვს თუ არა ოჯახს სტაბილური თავშესაფარი, უსაფრთხო საყოფაცხოვრებო პირობები, რამდენად, დამაკმაყოფილებელია საცხოვრებელი ადგილის მდგომარეობა. **ეკონომიკური მდგომარეობა**, ოჯახის სიძლიერის ერთ-ერთი პირობაა. სოციალურმა მუშაკმა უნდა გაარკვიოს ოჯახის შემოსავალი, ოჯახის წევრების დასაქმების საკითხები, არიან თუ არა სოციალურ დახმარების/შემწეობის მიმღები, აქვს თუ არა ოჯახს ვალი.

კითხვებზე პასუხის მოპოვების შემდეგ, სოციალურმა მუშაკმა უნდა შეაფასოს ოჯახის საჭიროება, განსაზღვროს პრობლემა და ამის შემდეგ ოჯახის ინფორმაციული თანხმობით შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა. შემდეგ კი, განახორციელოს მხარდაჭერა, ე.წ. ჩარევა, რომელიც სოციალური მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ღონისძიებაა. ოჯახთან მუშაობა უნდა ეყრდნობოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვისა და ოჯახის ერთიანობის პრინციპს. ოჯახის ერთიანობის პრინციპის ხელყოფა, მხოლოდ უფრო მნიშვნელოვანი სიკეთის, ბავშვის უზენაესი ინტერესის დაცვის, ან ოჯახის წევრის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის საფუძველზე არის დაშვებული.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, სოციალური მუშაკის - ოჯახის მხარდაჭერისა და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას და მათი შემგომი მონიტორინგის ფუნქციას.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება, სიდატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება ბავშვის მიტოვების რისკის შემცირების მიზნით. ამ ფუნქციას აქვს განსაკუთრებული პრევენციული მნიშვნელობა, რომ ქვეყანაში შემცირდეს მიუსაფარი ბავშვების რაოდენობა.<sup>130</sup> კრიზისულ მდგომარეობაში და სიდატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის ნ) ქვეპუნქტი განსაზღვრავს სოციალური მუშაკის ფუნქციას, დედებისა და ბავშვებისათვის თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობაში, დახმარების გაწევის მიმართულებით.

დედათა და ბავშვთა უფლებები საქართველოში დაცულია კონსტიტუციის რანგში. კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტით, საქართველოში დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით. ეს დებულება წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაეხმაროს მშობლებს, რომ შეასრულონ თავიანთი მოვალეობები შვილების მიმართ, რადგან მშობლებს, შვილების ყოლისთანავე უჩინდებათ განსაკუთრებული ვალდებულებები ოჯახის მიმართ.<sup>131</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმარტებით „*საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ განსაკუთრებულ ურთიერთკავშირს, მშობლის უნიკალურ სტატუსს და მათგან გამომდინარე ვალდებულებებს. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები საზოგადოების ღირსეულ წევრებად, იზ-*

---

<sup>130</sup> ამგვარ ხელშეოქმედებებზე მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს ქვეპროგრამა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბერის №601 დადგენილებით „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“

<sup>131</sup> B.Loderbauer, (Hsgb.), Th. Bauer, A. Ertl, *Recht für Sozialberufe*, Wien, 2016, S. 70.

რუნონ მათ ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ და სოციალურ განვითარებაზე.<sup>432</sup>

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სოციალური მუშაკის ვალდებულებაა მოახდინოს ბენეფიციარების და ოჯახების ინფორმირება სხვადასხვა მხარდაჭერი პროგრამების, ან ქვეპროგრამების შესახებ. ასევე გაუწიოს კონსულტირება და აქტიურად ჩაერთოს ბენეფიციარების მიერ ამგავრი დახმარების მიღებაში. მაგალითად, ერთ–ერთი პრევენციული მექანიზმია დღის ცენტრის მომსახურება, რომლის ამოცანაა ოჯახების მხარდაჭერა და ბავშვთა მიტოვების პრევენცია. ოჯახების მხარდაჭერის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მიზანია ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება.

*მაგალითი: სოციალური მუშაკი სხვადასხვა (სიღარიბის და ქრონიკული ავადმყოფობის) პრობლემების მქონე დედას, რომელიც ორსულობის 30-ე კვირაში იმყოფება, არასრულწლოვან (4 და 6 წლის) შვილებთან ერთად, სთავაზობს დედათა და შვილთა თავშესაფრით სარგებლობას. სოციალური მუშაკის შეფასებით ბავშვები იმყოფებიან მიტოვების მოხვედრის რისკის წინაშე. თანხმობის შემთხვევაში, იგი ეხმარება დედას მომსახურების მისაღებად, მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს და ეხმარება სპეციალური განაცხადის შედგანა/შეცვლაში, რადგან ბავშვებს არა აქვს არანაირი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. იგი ეხმარება დედას, რომ მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და აილოს დაბადების მოწმობა.*

---

<sup>132</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება N 3/2/416 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პ. 56.

გ) ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის ღონისძიებების განხორციელება.

მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის როლი, დღის ცენტრის, ბავშვის 24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვის (მათ შორის, მინდობით აღზრდის) მიზნით განთავსებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებასა და მათ მონიტორინგში, ასევე სადღეღამისო თავშესაფარის მომსახურებით უზრუნველყოფაში.

მას შემდეგ, რაც მოხდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის იდენტიფიცირება მიუსაფარ ბავშვად, სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკი, კოორდინაციას უწევს მობილური ჯგუფის საქმიანობას. ბავშვებისათვის გათვალისწინებულია დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა, ან ასევე, სადღეღამისო 24 საათიანი თავშესაფარის მომსახურებით უზრუნველყოფა. შესაბამისი დადგენილების მიხედვით<sup>133</sup> სოციალური მუშაკის ფუნქციას, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში პერიოდული ვიზიტები და ბავშვის მდგომარეობასა და განვითარებაზე შესაბამისი მეთვალყურეობის დაწესება. სოციალური მუშაკი მულტისციპლინარული ჯგუფის მუშაობის ფარგლებში ასევე ჩართული - მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის პროცედურებში. იგი პედიატრთან, მეტყველების სპეციალისტთან, ფსიქოლოგთან და ოკუპაციურ თერაპევტთან ერთად ახორციელებს ბავშვის შეფასებასა და მომსახურების მიწოდებას ბინაზე, ან საჭიროების შემთხვევაში, სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.

გასათვალისწინებელია, რომ ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიულ ფორმას, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბავშვის განთავსების გარდა, წარმოადგენს ბავშვის მინდობით აღზრდა. აღნიშნულ ღონისძიებაშიც აქტიურად არის ჩაბმული სოციალური მუშაკი. ზოგა-

---

<sup>133</sup> დღეს მოქმედებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბერის №601 დადგენილება "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ".

დად, მინდობით აღზრდა არის სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული ვადით, ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფა და მას ექვემდებარება 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც არის ობოლი, რომლის მშობელიც სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა, ან რომლის მშობელსაც შეეზღუდა, შეეჩერდა, ან ჩამოერთვა მშობლის უფლებები.

დიდია სოციალური მუშაკის როლი მინდობის აღზრდის პროცესში. ჯერ კიდევ მინდობით აღზრდელად რეგისტრაციის დროს, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს გადაწვეტილება მიიღება სწორედ, სოციალური მუშაკის მიერ მინდობით აღზრდის მსურველი პირის შეფასების საფუძველზე. თუმცა, მინდობით აღზრდის ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის ჩართულობა.<sup>134</sup> მაგალითად, მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვის მდგომარეობას ამოწმებს სოციალური მუშაკი: პირველი თვის განმავლობაში - თვეში არანაკლებ 4-ჯერ, ხოლო შემდგომი თვეების განმავლობაში - მინიმუმ ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, ვიზიტების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს.

*მაგალითი: მარტოხელა, დედა, რომელიც მუდმოვად ავადმყოფობს, და სიღარიბის ზღვარზეა, ვერ ახერხებს მცირეწლოვან ბავშვზე ზრუნვას. მას არ ჰყავს დამხმარე. მას არ სურს ბავშვის გაშვილება, რადგან გამოჯანმრთელების შემდეგ, კვლავ უნდა რომ იზრუნოს ბავშვზე, სოციალურმა მუშაკმა მინდობით აღზრდელისათვის პირველ რიგში უნდა მოიძიოს მისი ბიოლოგიური მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრირებული მინდობით აღზრდელი ბავშვი შესაძლებელია განთავსდეს სხვა ტერიტორიულ ერთეულში რეგისტრირებულ მინდობით აღზრდელთან, თუ მინდობით აღზრდელი ვერ იქნა მოძიებული მშობლების საცხოვრებელ ადგილას. აღნიშ-*

---

<sup>134</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 27 დეკემბერის ბრძანება №01-72/ნ „მინდობით აღზრდის წესის დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3959823> [07.07.2018].



*ნულის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს სოციალური მუშაკის დასკვნაში/ მომართვაზე გადაუდებელი რეაგირების ოქმში, და ეცნობოს მშობელს, თუ სად არის მისი შვილი.*

დ) მეურვეობის/მზრუნველობის დაწესების/მხარდაჭერის პროცესში მონაწილეობა

კანონით „სოციალური მუშაობის შესახებ“, სოციალური მუშაკის ერთ–ერთი ფუნქციაა, მიიღოს მონაწილეობა მეურვეობის/მზრუნველობის დაწესების/ მხარდაჭერის დანიშვნის პროცესში და განახორციელოს შემდგომი ზედამხედველობა მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის საქმიანობაზე.

მისასალმებელია, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად ცნო ქმედუნარიანობის იმ დროისათვის მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები და ძალაში შევიდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის კონვენცია, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს პლენარული მეურვეობის საპირისპიროდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარდაჭერის ინსტიტუტის დანერგვას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თითოეული ადამიანის ფსიქოსოციალური საჭიროება უნიკალურია, ამიტომ „[...] შეუძლებელია კანონმდებლობით ქმედუნარიანობის შეზღუდვის ინდივიდუალური საჭიროებების სრული და ზედმიწევნით განსაზღვრა.“ თუმცა, კანონმდებელს ევალება მკაფიოდ დაუდგინოს კრიტერიუმები, „[...] გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე სუბიექტებს, იქნება ეს სასამართლო, ფსიქიატრიული დაწესებულება თუ სხვა, რათა ზუსტად იყოს შესაძლებელი იმის განსაზღვრა, რა ხარისხის [...ფსიქოსოციალური საჭიროების...] არსებობისას უნდა მოხდეს პირის [...ქმედუნარიანობის შეზღუდვა...] და რა მასშტაბით. <sup>135</sup> ამ

---

<sup>135</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II. 27.

გადაწყვეტილებით, სასამართლომ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების უფლებების დაცვის ღონისძიებების განსაზღვრისას სახელმწიფოს სამი პრინციპი დაუწესა:

- სამართლებრივი რეგულირების მოქნილობის პრინციპი;
- ქმედუნარიანობის მაქსიმალური შენარჩუნების პრინციპი;
- დაცვითი ღონისძიების პირის ქმედუნარიანობის ხარისხთან თანაზომიერების პრინციპი.

საკანონმდებლო ჩარჩო პირის უფლებების შეზღუდვისას, ერთი მხრივ, უნდა ადგენდეს ცალსახა და არაორაზროვან კრიტერიუმებს, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნულ სამ პრინციპს უნდა პასუხობდეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-12 მუხლი, ერთი მხრივ, ავალდებულებს სახელმწიფოებს აღიარონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამართალსუბიექტობა, ხოლო მეორე მხრივ, მიიღონ შესაბამისი ზომები მათთვის იმ დახმარების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რომელიც შეიძლება სჭირდებოდეთ სამართლებრივი უფლებაუნარიანობის რეალიზებისათვის. ეს უკანასკნელი გულისხმობს გადასვლას გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლების პარადიგმიდან გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის პარადიგმაზე.<sup>136</sup>

რეფორმის შემდგომი საკანონმდებლო რეალობა მეტწილად ითვალისწინებს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და ზოგიერთი გამონაკლისის გარდა

---

<sup>136</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ზოგადი კომენტარი N1, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი C/GC/1, პ.4, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) კვლევის, ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება. კანონმდებლობა და პრაქტიკის ანალიზი. 2016, გვ. 9.

შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოსა და კონვენციის მოთხოვნებს.<sup>137</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1278-ე მუხლი მიუთითებს კანონით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით მინიჭებულ უფლებამოსილებაზე, და მესამე პუნქტით განსაზღვრავს, რომ „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია დაიცვას და გაამლიეროს მხარდაჭერის მიმღებები და დაეხმაროს მხარდაჭერებს თავიანთი მოვალეობების შესრულებაში, რათა მათ ხელი შეუწყონ მხარდაჭერის მიმღებებს არჩევანის გაკეთებასა და გადაწყვეტილების მიღებაში.“ ამავე კოდექსის 1280-ე 1281-ე, 1282-ე 1283-ე და 1286-ე მუხლები. შემდგომი მუხლები კი, ადგენენ მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის უფლებამოსილებებს.

სასამართლო, რომელიც გამოიტანს გადაწყვეტილებას პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ, ვალდებულია იმავე გადაწყვეტილებით დანიშნოს მხარდაჭერი. განსაზღვროს მხარდაჭერის ფარგლები და მხარდაჭერის უფლება-მოვალეობები. აღსანიშნავია, თუ მხარდაჭერის პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი პირებისაგან არჩევა ვერ მოხერხდა, სასამართლო მხარდაჭერად ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირს, მაგალითად, სოციალურ მუშაკს.

მეურვის/მზრუნველის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების წესი და პირობები შემუშავდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლების გათვალისწინებით და განსაზღვრავს მეურვის/მზრუნველის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოვალეობების შესრულებაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მხრიდან ზედამხედველობის განხორციელების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს. უნდა აღინიშ-

---

<sup>137</sup> სახალხო დამცველის კვლევის ანგარიში. ქმედუნარიანობა – საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, კვლევის ანგარიში, 2016, გვ. 15.

ნოს, რომ მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის როლი, მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერის ზედამხედველობისა და მისი შემდგომი დახმარების მხრივ, რადგან თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დაადგენს, რომ მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი არ ასრულებს/არაჯეროვნად ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებით, ან/და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრულ მოვალეობებს, არღვევს სამეურვეო პირის/სამზრუნველო პირის/მხარდამჭერის მიმღების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, გამოაქვს უარყოფითი დასკვნა. მას შეუძლია, სოციალური მუშაკის მეშვეობით დაეხმაროს მეურვეს/მზრუნველს/მხარდამჭერს, რათა მან უკეთ გააცნობიეროს და შეასრულოს თავისი მოვალეობები.<sup>138</sup>

ე) ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე, ხანდაზმულისა და შ.შ.მ. პირებზე ზრუნვა

მნიშვნელოვანია გამოიყოს სოციალური მუშაკის ფუნქცია, რომელსაც ანიჭებს მას ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისათვის, ხანდაზმულისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ინფორმაციის გაცემისა და ხელშეწყობის ფუნქცია. იგი რეგულირებულია კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მ) და ჟ) ქვეპუნქტები. ამ დარგობრივი მიმართულებით მისი ფუნქციაა - ხანდაზმულისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის დღის ცენტრისა და გრძელვადიანი თავშესაფრის, შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და მათში ჩართვის ხელ-

---

<sup>138</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალური მომსახურების სააგენტოს ბრძანება „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის N01 - 1 6/5 ბრძანებით გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიებების თაობაზე. მე-7 მუხლის, მეოთხე პუნქტის აა) ქვეპუნქტი.

შეწყობა. ასევე, სამეურვეო/სამზრუნველო და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისათვის სოციალური და სამედიცინო მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და მათი შესაბამის დღის ცენტრსა და თავშესაფარში განთავსების ხელშეწყობა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის პირი – მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური, ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

საქართველოში მცხოვრები შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. როდესაც საუბარია შშმ პირებისათვის მაქსიმალურად ადაპტირებული გარემოს შექმნაზე, სხვა საკითხებთან ერთად დღის წესრიგში დგება შშმ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის, განათლების, ინფრომირებულობის, სამედიცინო და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, თავისუფალი გადაადგილებისა და ორიენტაციის, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის, კულტურულ-სანახაობით ღონისძიებებში მონაწილეობისა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების აუცილებლობა.

შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური მუშაობის როლი.<sup>139</sup>

საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით შექმნილია სათემო ორგანიზაციები. იგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ინდივიდუალური განვითარების ოპტიმალურ გარემოს ქმნის და ასევე წარმოადგენს ხანდაზმულ მოხუცებულთა თავშესაფარს. იმის

---

<sup>139</sup> Stock, Christof; Schermaier-Stöckl, Barbara; Klomann, Verena; Vittr, Anika, Soziale Arbeit und Recht: Lehrbuch, 2016, S. 159.

შემდეგ, რაც 18 წლისა და უფროსი ასაკის შშმ პირს, ან ხანდაზმული (ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან) სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს მიმართავს და საჭირო დოკუმენტებს წარადგენს, სოციალური მუშაკი ამზადებს დასკვნას, პირის შშმ პირთა სათემო ორგანიზაციაში მოთავსების მიზანშეწონილობის შესახებ. პირის სათემო ორგანიზაციაში ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭო.

სოციალური მუშაკი აწვდის ინფორმაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, დღის ცენტრის შესახებ, რომელიც სპეციალიზებული დაწესებულებაა და შესაბამისი საჭიროების მქონე პირებს აწვდის საჭიროებაზე მორგებულ მომსახურებას მათი ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობის, საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით.<sup>140</sup> დღის ცენტრის მომსახურება შშმ პირების (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების) შემთხვევაში, დამატებით მოიცავს ბენეფიციართა ცენტრებში მიყვანისა და შინ დაბრუნების ორგანიზებას, წლიური ინდივიდუალური აბილიტაციის, ან რეაბილიტაციის პროგრამის შედგენას, განხორციელებასა და განახლებას, ასევე შშმ ბავშვთა ხელშეწყობას ინკლუზიური განათლებისათვის. ხოლო, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების მომსახურების მიმწოდებლად დარეგისტრირებული დღის ცენტრის მომსახურება დამატებით მოიცავს - ბენეფიციარის ფსიქომოტორული განვითარებისა და სოციალური უნარების შეფასებას სპეციალური მეთოდოლოგიით, ბენეფიციარის შეფასება და რეაბილიტაციის/აბილიტაციის გეგმის შემუშავება/განხორციელება ხდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, ფსიქოლოგიური მომსახურებისა და ოკუპაციური თერაპიის უზრუნველყოფას დღის ცენტრის ფარგლებში; ბენეფიციართა ვერ-

---

<sup>140</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 8 აპრილის ბრძანება №01-13/5, "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტების დამტკიცების შესახებ"

ბალური/ალტერნატიული კომუნიკაციის განვითარების ხელშეწყობას; ბენეფიციარის დახმარებას კვების, საპირფარეშოს, პირადი ჰიგიენის დაცვის პროცესში და სხვა მომსახურებებს.

*მაგალითი:* ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის შეფასებაში, მულტიდისციპლინარული ჯგუფის ფარგლებში მონაწილეობს სოციალური მუშაკი. მას აქვს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის შეფასების ფორმა, რომელიც წინასწარ არის სააგენტოს მიერ შედგენილი. პირის შესახებ დასკვნის საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა მხარდამჭერი. მის საქმიანობაზე, სოციალური მუშაკის მიერ, ხორციელდება ფაქტობრივი ზედამხედველობა, სასამართლოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით. ზედამხედველობის შედეგები აისახება დასკვნაში. შედეგების მიხედვით დასკვნა შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი, ან უარყოფითი. დასკვნას სოციალური მუშაკი ადგენს ამისათვის დადგენილი, შესაბამისი ფორმით. დასკვნა შეიძლება მიჩნეულ იქნეს დამაკმაყოფილებლად იმ შემთხვევაში, როდესაც მოპოვებული ინფორმაციის (მონაცემების) საფუძველზე დასტურდება მეურვის მიერ განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულება. თუ სოციალური მუშაკის დასკვნა უარყოფითია და შესაბამისად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დაადგენს, რომ მხარდამჭერი არ ასრულებს, ან არააჯეროვნად ასრულებს მისთვის განსაზღვრულ მოვალეობებს, მას უარყოფითი დასკვნა გამოაქვს. შესაბამისად, მეურვეობა მზრუნველობის ორგანოს აქვს დისკრეტია გადაწყვიტოს, რა ზომები მიიღოს მხარდამჭერის მიმართ. იგი მხარდამჭერის მოქმედებების ინტენსივობის შესაბამისად მოქმედებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესებით. ან, იმ შემთხვევაში, თუმცა, თუ მხარდამჭერის ქმედება არ არის ამგვარი სიმძიმის, მაშინ იგი სოციალური მუშაკის მეშვეობით ეხმარება მხარდამჭერს, რათა მან უკეთ გააცნობიეროს და შეასრულოს თავისი მოვალეობები; ან თავისი მოვა-

*ლოებისაგან ათავისუფლებს მეურვეს/მზრუნველს; ანდა მიმართავს სასამართლოს მხარდამჭერის თავისი მოვალეობისაგან განთავისუფლების მოთხოვნით.*

### **3.2.2. სოციალური მუშაობა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან**

სოციალური მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე ფართო და ასევე ძალიან მნიშვნელოვანი სფეროა, სოციალური მუშაობა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან. ამ სფეროში მომუშავე, სოციალური მუშაკები რათქმაუნდა უნდა ფლობდნენ სპეციალურ კომპეტენციებს. კანონის მე-17 მუხლის მიხედვით სოციალური მუშაობა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან შემდეგი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს:

- ბრალდებულისა და მსჯავრდებულისთვის კონსულტაციების გაწევა და მათი ფსიქო- სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა;
- მსჯავრდებულისათვის სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდება და კრიზისული შემთხვევების მართვა;
- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური საქმის მართვა და განრიდების პროგრამაში სოციალური მუშაკის ჩართულობა.
- დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ პირებთან მუშაობა;
- მსჯავრდებული არასრულწლოვნისა და სრულწლოვნის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხელშეწყობა;

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დარგობრივი კომპეტენციებისა სოციალური მუშაკი ახორციელებს პატიმრობის კოდექსით, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების“ კოდექსით, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.



სისხლის სამართლის სფეროში სოციალური მუშაობა, შემდეგ ოთხ ძირითად მიმართულებად იყოფა:

- ა) სოციალური მუშაობა პრობაციის სისტემაში;
- ბ) სოციალური მუშაობა სასჯელაღსრულების სისტემაში არასრულწლოვან და ზრდასრულ მსჯავრდებულებთან;
- გ) სოციალური მუშაობა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით;
- დ) განრიდებისა და მედიაციის პროგრამა და სოციალური მუშაობა;

ა) სოციალური მუშაობა პრობაციის სისტემაში

სოციალური მუშაობის დანერგვა პრობაციის სისტემაში დაიწყო 2009 წლიდან. ევროპული სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარება. მიზანს კი წარმოადგენს არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის სპეციალური მიდგომის შემუშავება, რომელიც განსხვავებული იქნება იმ მიდგომისგან, რაც სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში გამოიყენება. აღნიშნული, განსაკუთრებული მიდგომა მიზნად ისახავს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაციას, რესოციალიზაციასა და მათ საზოგადოებაში სრულყოფილ წევრებად დაბრუნებას.

თავდაპირველად, სოციალურ მუშაკებს ამ სფეროში სწორედ არასრულწლოვნებთან მუშაობა დაევალათ. პრობაციის ბიუროებში მომუშავე სოციალური მუშაკები ინდივიდუალური გასაუბრებით ახდენენ არასრულწლოვან პრობაციონერების პრობლემათა და ძლიერ მხარეთა იდენტიფიცირებას და გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე აკავშირებენ მათ შესაბამის სერვისებ-

თან.<sup>141</sup>დღეს უკვე, ხდება სოციალური მუშაობის მიდგომების გა-  
აზრება სრულწლოვან პრობაციონერებთან.

პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაკი დღეისათვის მულ-  
ტიდისციპლინური გუნდის წევრია, რომელშიც შედიან პრობაციის  
ოფიცრები, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები. სოციალურ  
მუშაკებს ევალებათ, როგორც არასრულწლოვნებთან, ასევე სრულ-  
წლოვნებთან მუშაობა. პრობაციის სფეროში სოციალური მუშაკის  
ძირითადი საქმიანობის სფეროა პირობით მსჯავრდებულთა და  
მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებულთათვის რეაბილ-  
იტაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა მათ მიერ განმეორებითი  
დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნული  
ფუნქციების შესასრულებლად, იგი:

- მუშაობს პირობით მსჯავრდებულთან და მართლმსაჯუ-  
ლების სისტემისგან განრიდებულ პირებთან და მათ ოჯახ-  
ებთან (ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო, ინდივი-  
დუალური და ჯგუფური კონსულტაციები, ოჯახური კონ-  
ფერენცია და სხვა);
- აფასებს პირობით მსჯავრდებულთა და მართლმსაჯულე-  
ბის სისტემისგან განრიდებულ პირებს;
- რეგულარულად ანახლებს საინფორმაციო ბაზის არსებუ-  
ლი პროგრამების/ პროექტების შესახებ, რათა ხელი შე-  
უწყოს პირობით მსჯავრდებულების რეაბილიტაციასა და  
რესოციალიზაციას;
- აქტიურად მონაწილეობს პრობაციის ბიუროს დონეზე  
მულტიდისციპლინური ჯგუფის ფუნქციონირებაში;
- ადგენს მომსახურების მიწოდებისათვის გათვალისწინებუ-  
ლი დოკუმენტებს დაწესებულ ვადებში;
- თანამშრომლობს სხვა უწყების სოციალურ მუშაკებთან;
- ახდენს საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზებას;

---

<sup>141</sup> ავტორთა კოლექტივი, ს. ნამიჭეიშვილი, სახელმძღვანელო კურსის-  
თვის: *სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების  
სფეროში*, თბილისი, 2014, გვ. 90.

- ამზადებს შესაბამის რეკომენდაციას, პირობითი მსჯავრდებულისათვის გამოსაცდელი ვადის შემცირებისა და პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხის გადასაწყვეტად;
- მონაწილეობს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიმართულელებით პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში;
- სამუშაო პროცესში გამოვლენილი პროფესიული საჭიროების იდენტიფიცირება და განხილვა სამმართველოს მმართველი გუნდის წარმომადგენლებთან;<sup>142</sup>

ბ) სოციალური მუშაობა სასჯელაღსრულების სისტემაში

სოციალური მუშაკის ფუნქციებს სასჯელაღსრულების სისტემაში, გარდა კანონისა, მთელი რიგი ნორმატიული აქტები არეგულირებს.<sup>143</sup>

სოციალური მუშაობის დანერგვა სასჯელაღსრულების სისტემაში დაიწყო 2009 წლიდან არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობის მიმართულებით. დღეს უკვე ზრდასრულ მსჯავრდებულებთან მუშაობა აღნიშნული მიდგომებით ხდება. სოციალური მუშაკის როლი არასრულწლოვანთა დაწესებულებაში დანერგილია ხშირ შემთხვევებში მულტიდისციპლინური საბჭოს ფარგლებში, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ექიმი და მასწავლებელი. მულტიდისციპლინური საბჭოს ფუნქციას წარმოადგენს მსჯავრდებულის ბიოფსიქოსოციალური პორტრეტის შექმნა, გამოვლენილი საჭიროების გათვალის-

<sup>142</sup> იქვე, გვ. 90-დან.

<sup>143</sup> პატიმრობის კოდექსი; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი; არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია სასჯელაღსრულებით სისტემაში; სრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის სახელმძღვანელო სასჯელაღსრულების სისტემაში; სრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების ფორმა სასჯელაღსრულების სისტემაში; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებები, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებები, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი და სხვა სამართლებრივი აქტები.

წინებით, მსჯავრდებულისთვის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი.

არასრულწლოვანთა დაწესებულებაში სოციალური მუშაკის ძირითადი ფუნქციებია:

- მსჯავრდებულის შეფასება, ჩასატარებელი ღონისძიებების დადგენასა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
- ინდივიდუალური და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა და რეკომენდაციების შესრულება;
- მონაწილეობა მიღება რისკების შეფასებაში;
- მსჯავრდებულთა დოკუმენტების მოწესრიგება;
- მსჯავრდებულის მშობელთან, ან მის კანონიერ წარმომადგენელთან შეხვედრა;

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკების შეფასება ორ ეტაპად ხდება. პირველი ეტაპია შუალედურად სასჯელის მოხდის პერიოდი, ხოლო მეორე ეტაპი მსჯავრდებულის გათავისუფლები-სათვის მომზადება.

რისკებისა და საჭიროების შეფასების მიზანია განსაზღვროს დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობა და მასზე გავლენის მქონე ძირითადი ფაქტორები; ასევე, გამოკვეთოს ის საჭიროება, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია ზემოაღნიშნული რისკის შესამცირებლად და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შესადგენად.<sup>144</sup>

გ) სოციალური მუშაობა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით

ამ სფეროს ცენტრი ახორციელებს ყოფილი მსჯავრდებულების რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამას. იგი მიზნად

---

<sup>144</sup> ავტორთა კოლექტივი, ს. ნამიჭეიშვილი, *სახელმძღვანელო კურსის-თვის: სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში*, თბილისი, 2014, გვ. 92-95.

ისახავს სასჯელადსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებული პირების რეაბილიტაციის ხელშეწყობას და მათ დაბრუნებას საზოგადოების სრულყოფლებიან წევრებად.

აღნიშნული პროგრამის განხორციელების მთავარი მონაწილე სოციალური მუშაკია. იგი დანაშაულის პრევენციის სხვადასხვა დონეზე მუშაობს. რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამაში ყოფილი მსჯავრდებულების ჩართულობა ნებაყოფლობითია. სოციალური მუშაკი, მათი მომართვის შემდეგ მუშაობს ბენეფიციართან. ამ მიმართულებით მომუშავე ცენტრის სოციალური მუშაკის სპეციალური ფუნქციებია:

- მსჯავრდებულთა სასჯელადსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში მონაწილეობის მიღება; შემთხვევის მართვა.
- ყოფილ მსჯავრდებულებთან ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება, ცხელ ხაზზე შემოსული ზარების პასუხი, მოქალაქისთვის საჭირო და სწორი ფორმით ინფორმაციის მიწოდება;
- გამოცდილი სოციალური მუშაკის მიერ უმცროსი სოციალური მუშაკების სუპერვიზია;

დ) სოციალური მუშაობა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ფარგლებში

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2010 წლის ცვლილების მიხედვით, ამოქმედდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განრიდებისა და მედიაციის მექანიზმი. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არის სისხლის-სამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი. მისი მიზანია, იმ არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის საფუძველია სისხლის სამართლებრივი დევნის დისკრეციულობის-პრინციპი, რომლის გამოყენებითაც პროკურორი უფლებამოსილია

არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა. თუმცა, ფარგლებში დევნაზე უარი არ გულისხმობს არასრულწლოვნისთვის ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სრულიად უფულებელოყოფას. განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნის პასუხისმგებლობა და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამას მართავს დანაშაულის პრევენციის ცენტრი, ხოლო ამ პროცესში ჩართულნი არიან პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები.

განრიდებისა და მედიაციის პრინციპებია: არასრულწლოვნის ინტერესისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა; არასრულწლოვანის მიერ პროცესში ნებაყოფლობითი მონაწილეობა; პროპორციულობა - არასრულწლოვანის ქცევის შეზღუდვაში პროპორციულობა მის მიერ ჩადენილი ქმედების მიმართ; კონფიდენციალურობა; სტიმულაციის დაუშვებლობა; არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება.

განრიდების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სოციალური მუშაკის საქმიანობას. განრიდებისა და მედიაციის შესახებ, ხელშეკრულებების მომზადება- შესრულების პროცესში, სოციალური მუშაკი აქტიურად არის ჩართული.<sup>145</sup> განრიდების პროცესში სააგენტოს სოციალური მუშაკი მას შემდეგ ერთვება, რაც პროკურორი დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის განრიდების შესახებ და არსებობს არასრულწლოვნის, მისი კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა განრიდებაში მონაწილეობის თაობაზე. ამ პროგრამაში სოციალური მუშაკის მონაწილეობა მიზნად ისახავს არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროების, მისი უნარებისა და სოციალური გარემოს შესწავლას, რაც საფუძვლად უდევს განრიდების ან/და განრიდებისა და

---

<sup>145</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის №29 ბრძანება.

მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების პირობების შემუშავებას. სოციალური მუშაკის საქმიანობა მიზნად ისახავს არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგს. სოციალური მუშაკი ეხმარება არასრულწლოვანს სოციალურ ინტეგრაციაში, რამაც მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი განმეორებითი დანაშაულის პრევენციას.<sup>146</sup>

განრიდების მიზანია, საზოგადოებას დაუბრუნდეს კანონმორჩილი და სოციალურად გაძლიერებული მოქალაქე. ამისათვის სოციალური მუშაკის მიერ შემუშავებული ბიოფსიქოსოციალური შეფასების შესაბამისად, არასრულწლოვანს გაეწევა მისთვის საჭირო სერვისები და დაეკისრება მოვალეობები დაზარალებულის, ან საზოგადოების წინაშე. თუ დაზარალებული მხარე თანახმა იქნება მიიღოს მონაწილეობა განრიდების პროცესში, არასრულწლოვანს მიეცემა შესაძლებლობა თვითონ აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, ან არასრულწლოვანი ჩაერთვება საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში. თუ არასრულწლოვანმა პირნათლად შეასრულა ხელშეკრულების ყველა პირობა, მას არ ემუქრება სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მოთავსება და ნასამართლეობა.<sup>147</sup>

მოქმედი წესის თანახმად, არასრულწლოვნის განრიდების შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროკურორს გამოაქვს დადგენილება არასრულწლოვნის მიმართ განრიდების პროცესის დაწყების შესახებ. არასრულწლოვნის და მისი კანონიერი წარმომადგენელის თანხმობის შემთხვევაში, პროკურორი დადგენილების გამოტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით, მიმართავს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც მოცემულ საქმეს 2 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს სოციალურ მუშაკს ინდივიდუალ-

---

<sup>146</sup> ავტორთა კოლექტივი, ს. ნამიჭეიშვილი, *სახელმძღვანელო კურსის-თვის: სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში*, თბილისი, 2014, გვ. 99.

<sup>147</sup> იქვე გვ. 100.

ური შეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით.<sup>148</sup> საქმეში დაზარალებულის არსებობის შემთხვევაში პროკურორი, დადგენილების გამოტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, მიმართავს დანაშაულის პრევენციის ცენტრს, რომელიც მოცემულ საქმეს 2 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს მედიატორს.<sup>149</sup>

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი ატარებს არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასებას. აღნიშნული შეფასების ანგარიშს, რეკომენდაციას განრიდების ღონისძიების შესახებ და ხელშეკრულების სხვა სარეკომენდაციო პირობებს სოციალური მუშაკი პროკურორს საქმის მისთვის გადაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს. თუ შეფასება 10 სამუშაო დღეში გონივრული მიზეზის გამო ვერ სრულდება, ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს. სოციალური მუშაკის პარალელურად, 10 სამუშაო დღის განმავლობაში მედიატორი უკავშირდება დაზარალებულს, უხსნის მას განრიდებისა და მედიაციის პროგრამის არსს, პრინციპებს, მიზნებს, მისი მონაწილეობის შედეგებს და აწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას, რათა დაზარალებულმა მედიაციაში მონაწილეობაზე ინფორმირებული თანხმობა, ან უარი განაცხადოს.<sup>150</sup>

საქმის სოციალური მუშაკისთვის გადაცემის შემდეგ, იგი ხვდება შესაბამის პროკურორს, ხოლო პროკურორთან შეხვედრიდან 3 სამუშაო დღის ვადაში აწყობს არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრას, რომლებსაც განუმარტავს სამომავლო თანამშრომლობის ეტაპებს და მისი, როგორც სოციალური მუშაკის, როლსა და მოვალეობებს განრიდების პროცეს-

---

<sup>148</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №120 არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ, მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>149</sup> იქვე, მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი.

<sup>150</sup> იქვე, მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი.



ში.<sup>151</sup> ინდივიდუალური შეფასების ფარგლებში სოციალური მუშაკი იღებს ინფორმაციას არასრულწლოვანის საჭიროებების, დანაშაულის ჩადენის რისკებისა და უნარების შესახებ.

აღსანიშნავია რომ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სოციალური მუშაკის როლი, განსაკუთრებით გაიზარდა 2016 წლის რეფორმის შემდეგ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ (2016 წლის 1 იანვრიდან, ნაწილობრივ 1 მარტიდან), სხვადასხვა უწყებებს დაეკისრათ ვალდებულება ჩამოეყალიბებინათ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ გამოსაყენებელი დეტალური პროცედურები და პრაქტიკა, რომელიც მოიცავდა პერიოდს სამართალდამცავ ორგანოებთან ბავშვის პირველი კონტაქტიდან სასამართლო განხილვის ჩათვლით (ასევე სასჯელის აღსრულების ნაწილსაც). კანონმდებლობის რეფორმა არ გულისხმობს მხოლოდ არსებული კანონის შეცვლას, ან ახალი კანონის მიღებას. აღნიშნული პროცესი გაცილებით მრავალმხრივია, მთლიან საკანონმდებლო რეფორმას მოიცავს საჯარო პოლიტიკის, საბიუჯეტო და ადამიანური რესურსების გათვალისწინებას; შესაბამისად გასათვალისწინებელია, რომ ამ სფეროში სოციალური მუშაკების როდენობის გაზრდა, და მათი შესაბამისი ცოდნით აღჭურვა მნიშვნელოვანია რეფორმის გასაძლიერებლად. კვლევამ,<sup>152</sup> რომელიც ჩატარდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ, არასრულწლოვან ბრალდებულთა უფლებების დაცვის ხარისხის შეფასებას, ხარვეზების გამოვლენასა და გაანალიზებას, შეიმუშავა რამდენიმე რეკომენდა-

---

<sup>151</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №132/№95/№23 ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ, დანართი N1, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>152</sup> ა. ქელბაქიანი, ნ. ცაგარელი, გ. ტურაზაშვილი, „არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, კვლევის ანგარიში, თბილისი, 2014.

ცია, მათ შორის სოციალური მუშაობის სფეროშიც. კერძოდ კი, 1. „განისაზღვროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკების (საპროცესო წარმომადგენლების) სპეციალიზაციის ვალდებულება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში; 2. შემუშავდეს სპეციალური ტრენინგ-მოდულები იმ სოციალური მუშაკების გადასამზადებლად, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში წინასწარ ექნებათ განსაზღვრული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართვის ვალდებულება; 3. დაიწყოს მსჯელობა სოციალური მომსახურების სააგენტოში სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობასთან დაკავშირებით;

ჩამოთვლილი რეკომენდაციებიდან პირველს ითვალისწინებს „სოციალური მუშაობის შესახებ“. კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტით დადგენილია რომ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ფარგლებში ახორციელებს შესაბამის საპროცესო წარმომადგენლობას, რაც შეეხება სოციალური მუშაკების გადამზადებას. აღნიშნული – ტრენინგ მოდულების მომზადების ეტაპზეა. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: დაევალოს საქართველოს მთავრობის შესაბამის უწყებებს, ეტაპობრივად გაზარდონ სოციალურ მუშაკთა შტატების რაოდენობა, რათა 2025 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დასაქმებული სოციალური მუშაკები სრულყოფილად ასრულებდნენ ამ კანონით მათთვის დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს. გარდა ამისა, ამავე კანონის 64-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იმპლემენტაციის გეგმა, ითვალისწინებს სოციალური მუშაკების არამხოლოდ რაოდენობრივ ზრდას, არამედ მათი ანაზღაურების ეტაპობრივ ზრდას.

### 3.2.3. სოციალური მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

საყურადღებოა, რომ კანონი სოციალური მუშაობის შესახებ, განათლების სფეროში სოციალური მუშაობის ჩამოყალიბების პირვე-

ლი სისტემური მცდელობაა საქართველოში. დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის როლი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. ზოგიერთ ქვეყანაში მას სოციალ-პედაგოგის სტატუსი აქვს, მაგალითად გერმანიასა და ავსტრიაში. სოციალური მუშაკები სკოლებში უკვე გასული საუკუნის დასაწყისიდან მუშაობდნენ.<sup>153</sup> მათი ფუნქციაა, რომ უზრუნველყონ კავშირი სკოლას, ოჯახსა და საზოგადოებას შორის. სკოლაში სოციალური სამუშაო ფოკუსირებულია, დაეხმაროს მოსწავლეებს სოციალური, ემოციური, ქცევითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში.<sup>154</sup> სკოლაში მომუშავე სოციალური მუშაკი უზრუნველყოფს, რომ თითოეულ მოსწავლეს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეს, ხელს უწყობს მოსწავლეების პატივისცემისა და ღირსების განცდის გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ კანონი სრულყოფილ ჩამონათვალს ადგენს იმ დარგობრივი კომპეტენციებისა, რომელიც სოციალურმა მუშაკმა სკოლაში უნდა შეასრულოს, პროცედურები, კი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით უნდა დამტკიცდეს. სოციალური მუშაობის შესახებ კანონი ადგენს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სოციალური მუშაობა გულისხმობს:

ა) მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას, ჩაგვრის შემთხვევების შემცირების მიზნით პრევენციულ მუშაობას და მათ მართვაზე ზრუნვას, მათ შორის, მოსწავლეთა მშობლებთან, ოჯახთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან მუშაობას;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული სოციალური პრობლემების, კანონთან კონფლიქტში მყოფი, ქცევითი და ემოციური პრობლემების, აგრეთვე ინკლუზიური და სპეციალ-

---

<sup>153</sup> S. Sting, *Historische und aktuelle Entwicklungen der Sozialpädagogik in Österreich*, *Jurnal of Contemporary Educational Studies*. 03/2014, S. 35; D. Hartmann-Netzer, D. Horst Kämpfer, *Recht und Verwaltung in der sozialpädagogischen Theorie und Praxis, Theorie und Praxis*, 2014, S. 8,

<sup>154</sup> Ch. Stock, B. Schermaier-Stöckl, V. Klomann, A. Vittr, *Soziale Arbeit und Recht: Lehrbuch*, 2016, S. 147.

ური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების იდენტიფიცირებას და მათთვის სოციალური მომსახურების მიწოდებას, მათ შორის, მოსწავლეთა რთული ქცევის მართვას, მათი ოჯახებისთვის კონსულტაციის გაწევას;

გ) მოსწავლის ზოგადი განათლების, ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობის უზრუნველყოფას და მისი სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა;

დ) ძალადობისა და უგულბელყოფის ფაქტების იდენტიფიცირებას და მათზე შესაბამის რეაგირებას.

ამ ნორმების ამოქმედება და მისი შესრულება ძალიან მნიშვნელოვანია, სკოლაში ძალადობის და ბულინგის შესამცირებლად. სოციალური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, ინკლუზიური და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების დასახმარებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალურმა მუშაკმა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს, იზრუნოს რისკის ქვეშ მყოფ მოსწავლეებზე. მისი ინტერვენცია მნიშვნელოვანია, თუ მოსწავლე აქვს პრობლემები, მაგალითად - ჩაგვრა (ე.წ. ბულინგი), სტრესთან გამკლავება, ოჯახური საკითხები, ძალადობა, ფინანსური მდგომარეობა, ფიზიკური, სექსუალური, ემოციური შეურაცხყოფა ფსიქიკური პრობლემები, აკადემიური მოსწრება, ყოფაქცევა და ა.შ. სოციალური მუშაკის ჩარევის მიზანია: პრევენცია, ინტერვენცია, კრიზისული პასუხი. ასეთ შემთხვევაში იგი უნდა იყოს ბიოფსიქოსოციალური შემფასებელი, მრჩეველი, ან მედიატორი.

პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით იგი ახდენს სკოლის ადმინისტრაციის კონსულტირებას, ოჯახსა და მოსწავლეთა ჯგუფში ასრულებს მედიატორის როლს. სოციალური მუშაკის ფუნქციაა, საზოგადოების რესურსების მობილიზაცია, რათა მოსწავლემ შეძლოს უკეთეს გარემოში განვითარება.

ზოგადი განათლების შესახებ, საქართველოს კანონი სოციალურ მუშაკს განიხილავს, მხოლოდ, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირს. მისი ფუნქციებიც სკოლებში, მხოლოდ ინტერდისციპლინარულ ჯგუფებში მუშაობ-

ისას გაითვალისწინება და ხშირად მეურვეობა მზრუნველობის ფუნქციასთან არის დაკავშირებული. დღეის მდგომარეობით, საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სოციალური მუშაობა საერთოდ არაა, ან ძალიან სუსტად იკვეთება. სოციალური სამუშაო სკოლაში დღეის მდგომარეობით, ნაწილობრივ ხორციელდება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მუშაობის ფარგლებში,<sup>155</sup> რომელიც სოციალური მუშაკის უფლება-მოვალეობებს ათანხმებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - სოციალური მომსახურების სააგენტოსთან;

სოციალური მუშაობის შესახებ კანონის მთლიანად ამოქმედებამდე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული იქნება შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციები, მისი სრულყოფილი იმპლემენტაციისათვის.

#### **3.2.4. სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში**

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სოციალური მუშაკის დარგობრივი კომპეტენციების ჩამონათვალს კანონი მე-19 მუხლით განსაზღვრავს.

სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გულისხმობს ბენეფიციართან სოციალურ მუშაობას, მისი ჯანმრთელობის დაცვის პროცესში, მათ შორის, მისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მიწოდების პროცესში, კერძოდ, ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასებას, მისი საჭიროებების განსაზღვრას და მათ დაკმაყოფილებაზე ზრუნვას; და ბენეფიციარისთვის კონსულტაციისა და საგანმანათლებლო დახმარების გაწევას, მათ შორის, მისი ჯანსაღი ქცევის მხარდაჭერას/წახალისებას მკურნალობისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, კრიზისულ

---

<sup>155</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №74/ნ საჯარო "სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

ინტერვენციას. ბენეფიციარის ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას და რეაბილიტაციას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, მსოფლიოში სამედიცინო სოციალური მუშაობა სოციალური მუშაობის ერთ-ერთი სპეციალიზირებული სახე და ჯანმრთელობის დაცვის გუნდური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია,<sup>156</sup> ქართულ სამართლებრივ სივრცეში, აღნიშნული ნორმა მაინც სიახლეს წამოადგენს.

სოციალური მუშაობის ამ სპეციალიზაციამ, მსოფლიოს მასშტაბით, განვითარების გრძელი გზა განვლო, ვიდრე, განვითარების დღევანდელ დონეს მიაღწევდა. პირველად 1885 წელს, ინგლისში, ფსიქიკური ჯანმრთელობის ჰოსპიტალში გააცნობიერეს, რომ სოციალური მუშაკის როლი მნიშვნელოვანი იყო ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. პირველი სამედიცინო სოციალური მუშაკები ინგლისში ჰოსპიტალური შემწეები იყვნენ, რომლებიც სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობდნენ. 1945 წელს ბრიტანეთში შეიქმნა შემწეთა ინსტიტუტი. 1964 წელს კი, ოფიციალურად გადაკეთდა სამედიცინო – სოციალურ მუშაკთა ინსტიტუტად, რომელმაც დიდი როლი შეასრულა 1970 წელს ბრიტანეთის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ჩამოყალიბებაში. 1918 წელს აშშ-ში შეიქმნა ამერიკის სამედიცინო სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, რომლის ძირითადი მიზანი იყო დახმარებოდა და გაემლიერებინა ახლად ფეხადგმული სოციალური მუშაობა ჰოსპიტალურ სფეროში.<sup>157</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, ახალი კანონი ხელს უწყობს ამ სფეროს განვითარებას. შესაბამისად, მისი სამართლებრივი რეგულირების შემუშავება და დახვეწა უნდა მოხდეს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქოლგის ქვეშ. სოციალური მუშაობა ვითარდება ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში. ფსიქიკური და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრებსა და ფსი-

---

<sup>156</sup> ზ. ტატანაშვილი, მ. შაღაშვილი, *სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში"*, თბილისი, 2017, გვ. 9.

<sup>157</sup> იქვე, გვ. 10-14.

ქო-ნევროლოგიურ დისპანსერებში, ასევე სტაციონარებში გაჩნდნენ სოციალური მუშაკები. ამასთანავე, მათ შორის, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებზე დამოკიდებულების პრობლემის აქტუალობას მოჰყვა ჯანდაცვის სფეროში სოციალურ მუშაკთა არსებობის აუცილებლობა. სამწუხაროდ, ამ სფეროში სოციალური მუშაკები დაერქვათ თანაგანმანათლებლებს/ მომხმარებლებს (საველე მუშაკებს), რომელთაც არ მიუღიათ სისტემური გადამზადება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავდადებით ახორციელებენ დაკისრებულ ფუნქციას, იკვეთება პროფესიული როლის გააზრების ხელშეწყობისა და ტიტულის დაცვის საჭიროება.<sup>158</sup>

სახელმწიფოს მიერ გაეროს შშმ პირების კონვენციის რატიფიცირებით გამოწვეულმა მზაობამ შეზღუდული შესაძლებლობების სფეროში სოციალური მოდელის დამკვიდრებისა და მხარდაჭერის ინსტიტუტის დანერგვამ კიდევ უფრო გაზარდა სოციალური მუშაკის პასუხისმგებლობები და მოვალეობები შშმ პირებთან მუშაობის მიმართულებით. ამასთან, ნაბიჯები იდგმება პირველადი ჯანდაცვის რგოლისა და სოციალურ მუშაობის თანამშრომლობის გაძლიერებისკენ.<sup>159</sup>

სამედიცინო, სოციალური მუშაკის სამუშაო არეალი მოიცავს ფიზიკური, თუ მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანის ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნვას. შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სოციალური მუშაობისათვის სოციალურ მუშაკს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა, რაც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ბენეფიციართა კონკრეტული ჯგუფის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების სახე - მკურნალობის შედეგების ბიოფსიქოსოციოლოგიური მახასიათებლები. შესაძლო გავლენა დაავადების განვითარების, მკურნალობის რეაბილიტაციისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესე-

---

<sup>158</sup> საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ შემუშავებული "სოციალური მუშაობის პროფესიული რეგულირების კონცეფცია" თბილისი, 2017, გვ. 6.

<sup>159</sup> იქვე, გვ. 7.

ბა–შენარჩუნების პროცესზე. მნიშვნელოვანია სამედიცინო ტერმინოლოგიის ცოდნა, რათა სოციალური მუშაკი ერკვეოდეს ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ჩასატარებელი მკურნალობის არსში.

- ორგანიზაციული მოწყობა - ორგანიზაციული მოწყობის თავისებურებანის და მასში სოციალური მუშაკის როლი, ორგანიზაციის მისია, ჯანმრთელობის დაცვის რომელ დონეზე მიმდინარეობს მუშაობა, ორგანიზაციის თანამდებობრივი იერარქია, უნდა ქონდეს სოციალური მუშაკის ფუნქციის ხედვა ორგანიზაციის ფარგლებში, ასევე ინტერდისციპლინარული მუშაობის პრონციპები და წესები.
- ადგილობრივი თემის მახასიათებლები და რესურსი - დასახლების ტიპი, მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები, დასაქმებისა და წარმოების ძირითადი ტიპები, გარემოს მდგომარეობა და ა.შ.
- კონკრეტული ინტერვენციის მოდელები - კონკრეტულ ბენეფიციარზე, და ჯანმრთელობის პრობლემაზე მორგებული მიდგომა, შემთხვევის მართვა, კრიზისული ინტერვენცია.
- კვლევა, შეფასება და დოკუმენტები - ისე, როგორც სხვა სფეროში მომუშავე, ჯანმრთელობის სფეროში დასაქმებული სოციალური მუშაკისთვისაც მნიშვნელოვანია დოკუმენტაციის წარმოება, მიგნებებისა და სიახლების მონიშვნა და ფაქტის შესაძლო შემდგომი კვლევა.<sup>160</sup>

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სოციალური მუშაკის ბენეფიციარები არიან ადამიანები მაღალი სოციალური რისკით, როგორცაა, 65 წელს გადაცილებული, მარტო მცხოვრები ხანდაზმულები, დაავადების ბოლო სტადიაზე (რომელიც პაციენტის გარდაცვალებით სრულდება) მყოფი პაციენტები, ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანები, შშმ პირები, თვითმკვლელობის/სუიციდისკენ

---

<sup>160</sup> ზ. ტატანაშვილი, მ. შაღაშვილი, *სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში"*, თბილისი, 2017, გვ. 43- 44.



მიდრეკილები, ფსიქიკური პრობლემის მქონე პირები, დაბალი შემოსავლის მქონე მარტოხელა დედები და სხვა.

*მაგალითი: ბენეფიციარი არის აივ/შიდსით, აივ ინფექცია შიდსით დაავადებული. დაავადების გაგების შემდეგ, მას ჰქონდა სუიციდის მცდელობა. მკურნალობაში ჩართულია ფსიქიატრი. მას მაქსიმალურად სწრაფად უნდა, რომ საავადმყოფოდან გავიდეს, და ცდილობს გაიპაროს დაწესებულებიდან. სოციალურმა მუშაკმა უნდა შეაფასოს პაციენტი, და აუხსნას, მას რომ აივ/შიდსი არ ნიშნავს სასიკვდილო დიაგნოზს. მართალია, ჯერჯერობით არ არსებობს ამ ვირუსისგან ორგანიზმის საბოლოოდ განდევნის მეთოდი, თუმცა, შესაძლებელია ვირუსის გამრავლებისა და იმუნიტეტის დასუსტების პროცესის შეჩერება, მკურნალობის უახლესი მეთოდების შედეგად, აივ/შიდსი გადაიქცა მართვად, ქრონიკულ მდგომარეობად, ვირუსი ორგანიზმში რჩება, მაგრამ ის არ აზიანებს მას. სოციალური მუშაკი უნდა შეეცადოს რომ დააყოვნოს იგი საავადმყოფოში, სანამ მისი გაწერის გადაწყვეტილება არ იქნება მითითებული. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მუშაკს ჰქონდეს კავშირი ბენეფიციარის ოჯახთან. გაესაუბროს მათ, აუცილებლად ჩართოს ბენეფიციარის პრობლემების მოგვარებაში. ასევე მნიშვნელოვანია დაიგეგმოს ერთად მისი გაწერა ბენეფიციარის და მისი ოჯახის ჩართულობით.*

### **3.2.5. სოციალური მუშაკის სხვა ფუნქციები**

სოციალური მუშაობა არის ის სფერო, რომელიც, საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ ვითარდება. ახალი ურთიერთობების და შესაბამისად, ახალი პრობლემების წარმოქმნისას შესაძლოა პროფესია ახალი, სხვადასხვა მიმართულებითაც განვითარდეს. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დიდია იმ სოციალური მუშაკების დეფიციტი, რომლებიც თავშესაფრის მაძიებელ უცხოელებთან მუშაობენ. განსაკუთრებით დიდმა ნაკადმა მსოფლიოში ცნობილი შიდაკონფლიქტების და ომების შედეგად ევროპას მიაშურა. ამ ადამიანებს აუცილებლად ჭირდებათ შესაბამისი მხარდაჭერა, რაც გულისხმობს არამხოლოდ ფსიქოლოგიურ

სტრესთან და ჯანმრთელობის გამკლავებას, არამედ ინტეგრაციის პრობლემას, ფორმალური მხარეები, როგორცაა დოკუმენტაციის მოგვარება და ა.შ.<sup>161</sup> შესაბამისად, კანონის მე-20 მუხლი ითვალისწინებს მსოფლიო განვითარების სწრაფ ტემპს და არ გამორიცხავს, რომ მალე სოციალურმა მუშაკმა იტვირთოს სხვა, ახალი, ფუნქციების შესრულება. ამგვარი შეიძლება იყოს ისეთი სპეციალური ფუნქციები, რომლებიც ამ კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, მაგრამ გამომდინარეობს ამავე კანონით დადგენილი პრინციპებიდან, უფლებამოსილებებიდან და ფუნქციებიდან და ემსახურება ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესს. იმისათვის, რომ ასეთი ახალი ფუნქციების შესრულება არ მოექცეს რეგულაციის გარეთ, სოციალური მუშაკის ახალ უფლებამოსილებებს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული სოციალური მუშაკისათვის განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, ხოლო კერძო სამართლის იურიდიულ პირში დასაქმებული სოციალური მუშაკისათვის – დამსაქმებელი.

---

<sup>161</sup> W. Embacher, J. Ekert, *Recht für Sozialberufe*, 4. Auflage. B. Loderbauer, (Herausgeber), Wien, 2016, S. 297-299; Ch. Stock, B. Schermaier-Stöckl, V. Klomann, A. Vittr, *Soziale Arbeit und Recht: Lehrbuch*, 2016, S. 190.

## **თავი 4. სოციალური მუშაკის უფლებები და მოვალეობები**

სოციალური მუშაობის ინსტიტუტი ღირებულებათა სისტემას ეფუძვნება. სწორედ, ამ ღირებულებებიდან გამომდინარეობს, ერთი მხრივ, სოციალური მუშაობის პრინციპები, ხოლო მეორეს მხრივ, სოციალური მუშაკის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები. „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის მიღებამდე, საკანონმდებლო რანგში არ იყო განმტკიცებული სოციალური მუშაკის უფლებები და ვალდებულებები. ზოგიერთი მათგანი, მხოლოდ დიფუზიურად, ეთიკის ნორმებით, ან დაწესებულებათა შიდაგანაწესით იყო დადგენილი. თუმცა, დღეს აღნიშნული კანონით, დეტალურად არის განსაზღვრული სოციალური მუშაკის უფლებები და მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს, როგორც ბენეფიციარების, ასევე, სოციალური მუშაკების მაქსიმალურ დაცულობას და ფუნქციების უკეთესად შესრულებას. კერძოდ, კი კანონის მეოთხე თავის მიხედვით სოციალური მუშაკის უფლება-მოვალეობებია: მოითხოვოს სახელმწიფოსაგან მხარდაჭერა. დამოუკიდებლობა, ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, სასამართლოში წარმომადგენლობა, კონფიდენციალურობის ვალდებულება, დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულება, მონაცემთა გაცემის ვალდებულება, თანამშრომლობის ვალდებულება, ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესით მოქმედება, მიუკერძოებლობა, ინფორმაციის ანალიზი, სოციალური მუშაკის უწყვეტი პროფესიული განვითარება.

### **4.1. სოციალური მუშაკის საქმიანობის მხარდაჭერა**

სოციალური მუშაობის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს სოციალური მუშაკის უფლებას - მოითხოვოს სახელმწიფოსაგან მხარდაჭერა. სოციოლოგიური კვლევა, რომელიც 2017 ივნისს / ივლისში ჩატარდა, წინ უძღოდა "სოციალური მუშაობის შესახებ" კანონის მიღებას. კვლევა მიზნად ისახავდა განსაზღვრულიყო, კონკრეტულად რა გამოწვევების წინაშე დგას სოციალური სამსახურის

ინსტიტუტი და პროფესია.<sup>162</sup> კვლევის ფარგლებში გამოკითხული სოციალური მუშაკებიდან ყველამ (100%) აღნიშნა, რომ თემში გასვლა აუცილებელია შემთხვევის პრევენციისთვის, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მიმართვიანობას. თუმცა, აქვე აღინიშნა, რომ სოციალური მუშაკების რაოდენობა და რესურსები არ არის საკმარისი მსგავსი სამუშაოს შესასრულებლად. თემში გასვლა და შემთხვევის პრევენცია პირდაპირპროპორციულია განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის, რაც დაკავშირებულია ტრანსპორტირების ფინანსურ ხარჯებთან.<sup>163</sup> სოციალური მუშაკების მიერ დასახელებულ, ხელისშემშლელ პირობებთან დაკავშირებით, კანონმა მოახდინა, რეაგირება. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონის 21-ე მუხლი, რომლის თანახმადაც სოციალურ მუშაკს უფლება აქვს, ჰქონდეს სოციალური მუშაობის ეფექტიანი ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალური, ტექნიკური, ინფრასტრუქტურული, საინფორმაციო და უწყებრივი მხარდაჭერა იმ დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, რომელშიც იგი დასაქმებულია. კანონი აზუსტებს, რომ საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული სოციალური მუშაკისთვის აუცილებელი სახელმწიფო მხარდაჭერის ფარგლები და მისი უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება იმ დაწესებულების სამართლებრივი აქტით, რომელსაც ექვემდებარება სოციალური მუშაკი. მეორე, კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს სოციალური მუშაკის სამუშაოს სირთულიდან გამომდინარე, მიმდინარე საქმეთა (შემთხვევათა) ზღვრულ ოდენობას.<sup>164</sup>

---

<sup>162</sup> „სოციალური სამუშაო, სოციალური მუშაკების ფუნქციები და სტატუსი“, სოციოლოგიური კვლევა ჩატარებულია დამოკრატის განვითარების სააგენტოს მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით, 2017 ივნისი-ივლისში,  
[https://ddaagencyblog.files.wordpress.com/2017/10/fes\\_analysis\\_.pdf](https://ddaagencyblog.files.wordpress.com/2017/10/fes_analysis_.pdf)  
[07.07.2018]

<sup>163</sup> იქვე გვ. 9.

<sup>164</sup> განხილულია ქვემოთ, სახელმძღვანელოს მე-6 თავში.

საქართველოში, სოციალურ მუშაობაში, მართალია წარმატებით არის ჩართული არასამთავრობო სექტორი, თუმცა, ძირითადად სერვისი, სახელმწიფო ორგანოების მიერ უშუალოდ ხორციელდება. ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული სოციალური სამუშაოს გაწევა სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორზე არის დელეგირებული - იგი სოციალურ მუშაობის დიდ ნაწილს, ადეკვატური დაფინანსებით, გადასცემს შესაბამის კომპეტენტურ კერძო ორგანიზაციებს.<sup>165</sup> საქართველოში კი, სოციალური მუშაობის დიდ ნაწილს თვით სახელმწიფო ახორციელებს. ამიტომ, საქართველოში სოციალური მუშაობის ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელია, თვით სახელმწიფოს მიერ პერსონალური, ტექნიკური, საინფორმაციო და უწყებრივი მხარდაჭერა. სოციალური მუშაკის ეს უფლება, რათქმაუნდა, ვერ იქნება აბსოლუტური, რადგან ანგარიში უნდა იქნას გაწეული იმ რესურსების გონივრულობაზე, რომელი რესურსებიც, მისი ბიუჯეტის ფარგლებშიც სახელმწიფოს გააჩნია.

#### 4.2. დამოუკიდებლობა

კანონის 22 -ე მუხლის შესაბამისად გარანტირებულია სოციალური მუშაკის მიერ თავისი უფლებამოსილების დამოუკიდებლად განხორციელება. სოციალური მუშაობის პრინციპებიდან და ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, სოციალური მუშაკი ბენეფიციართან ერთად განსაზღვრავს მისაწოდებელი მომსახურების ტიპს და მის ხელმისაწვდომობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სოციალური მომსახურების მიწოდება, მრავალმხრივი, ან დისციპლინათშორისი თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება, რათა აღდგეს, ან გაუმჯობესდეს ბენეფიციარის სოციალური ფუნქციონირება და მან შეძლოს დამოუკიდებლად მოქმედება.

---

<sup>165</sup> მაგალითად გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში. იხ. დეტალურად სოციალური მუშაობის სერვისის სტრუქტურა - H. Engel, *Sozialpolitische Grundlagen der Sozialen Arbeit*, 2011.

სოციალური მუშაკის მთავარი მიზანია, აღდგეს, ან გაუმჯობესდეს ბენეფიციარის სოციალური ფუნქციონირება. ამისთვის მან ბენეფიციართან ერთად დამოუკიდებლად უნდა განსაზღვროს მომსახურების სახე, ჩარევის ფორმა და ხანგრძლივობა.

*მაგალითი: სოციალური მუშაკის ბენეფიციარია 19 წლის გოგონა, რომელიც თავისი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე წელიწადში ერთხელ იცავს, „შიმშილობის კვირას“ და მედიტირებას. გოგონას ოჯახი შეწუხებულია, მისი ქცევით და ფიქრობს, რომ მის ჯანმრთელობას ამ მოქმედებით საფრთხე ემუქრება. მას სთხოვენ, უნდა დაივიწყოს მისი რელიგიური გრძობები, აღმსარებლობა და შეწყვიტოს შიმშილი და მედიტირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოითხოვენ მის გადაყვანას ფსიქიატრულ საავადმყოფოში, სადაც მოხდება მისი ნების გარეშე მისი გამოკვება. სოციალური მუშაკი, შემთხვევის მართვისათვის, ჩართო საქმეში, მან დაიყოლია ბენეფიციარი, რომ მათ კონსულტაცია გაეცლოთ ოჯახის ექიმთან. ექიმის კონსულტაციის და ლაბორატორიული ანალიზების შედეგების თანახმად, გოგონას ჯანმრთელობას, კიდევ 3-4 დღე არ ემუქრება საფრთხე, თუ იგი მიიღებს შესაბამის რაოდენობის და შემადგენლობის ვიტამინიზირებულ სითხეებს. რასაც ბენეფიციარი ეთანხმება. მისი მშობლები, მიუხედავად ამ შედეგებისა, დაჟინებით სთხოვენ სოციალური მუშაკს, რომ მან აიძულოს გოგონას რწმენისა და აღმსარებლობის შეცვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში უარი თქვას მასთან მუშაობაზე. ბენეფიციარი ეწინააღმდეგება მშობლებს, რადგან მას კიდევ 2 დღე დარჩა შიმშილობის დასრულებამდე. ამ შემთხვევაში სოციალური მუშაკი გადაწყვეტილებას იღებს ბენეფიციარის ინდივიდუალურობიდან, მისი კულტურული და რელიგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, რადგან გოგონა სრულწლოვანია, მშობლებს არ აქვთ სამართლებრივი საფუძველი იმისა, რომ მიიღონ გადაწყვეტილებები. სოციალური მუშაკი მშობლებისაგან დამოუკიდებლად, ბენეფიციართან ერთად, იღებს მხარდაჭერის გეგმას და ახორციელებს მას.*

### 4.3. ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

ბენეფიციართან სოციალური მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, შემთხვევაზე მუშაობისას ბენეფიციარის ინფორმირებული თანხმობის არსებობა. შესაბამისად კანონი 23-ე მუხლით ადგენს სოციალური მუშაკის მიერ ბენეფიციარისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. იგი ვალდებულია სოციალური მუშაობა წარმართოს ბენეფიციარისთვის ღიად, მისთვის ინფორმაციის მიწოდებით და მისი თანხმობით. მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მუშაკი ვალდებულია ბენეფიციარს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია საჭირო მომსახურების, არსებული რისკისა და დაბრკოლების შესახებ.

სოციალური მუშაკის ვალდებულების შემხვედრად, ბენეფიციარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა მიიღოს სოციალური სამუშაოს მომსახურების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია. სოციალური მუშაობის მიზნების და ფუნქციონირების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, უზრუნველყოფს ბენეფიციარსა და სოციალურ მუშაკს შორის ურთიერთობის დამყარებას.<sup>166</sup> აღნიშნული მნიშველოვანია, რადგანაც ბენეფიციარს არ შეეძინას ცრუ მოლოდინი.

კანონი ითვალისწინებს, რომ გადაუდებელი შემთხვევის დროს ბენეფიციარის თანხმობა აუცილებელი არ არის.

აქვე უნდა აღინიშნოს სოციალური მუშაკის ვალდებულება, რომ თემს, სადაც მომსახურება ხორციელდება, რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტული სოციალური მომსახურების, მიზნების დანიშნულების და მიმდინარეობის შესახებ.

ინფორმირებულობის შედეგად ბენეფიციარს ექნება სრული ინფორმაცია საკუთარი უფლებების –კონფიდენციალურობის დაცვის, სოციალურ მუშაობაში მისი აქტიური მონაწილეობის, საკუთარი აზრის გამოხატვისა, მომსახურების შეფასების, გასაჩივრების

---

<sup>166</sup> Red. M. Leinenbach, W. Nodes, G. Stark-Angermeier, *Grundlagen für die Arbeit des DBSH e.V Deutscher Berufsverband für Soziale Arbeit e.V.* 2009, S. 10.

შესახებ. მას უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია სოციალური მუშაკის იურიდიული და ეთიკური პასუხისმგებლობების და მომსახურების სტანდარტების შესახებ. სოციალური მუშაობის განმახორციელებელი ორგანიზაცია, ინდივიდებს და თემს რეგულარულად აწოდებს ინფორმაციას არამხოლოდ საკუთარი, არამედ სხვა ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილი მომსახურებების შესახებ.<sup>167</sup>

#### 4.4. სასამართლოში წარმომადგენლობა

სოციალური მუშაობა, მრავალმხრივი საქმიანობაა. აქედან გამომდინარე, სოციალური მუშაკი ვალდებულია, განსაზღვრულ შემთხვევებში ჩაერთოს სასამართლოს პროცესში. მისი ეს საქმიანობა ძალიან მნიშვნელოვანია, იმ კონტექსტში, რომ იგი მოსამართლეს, და ასევე მხარეებს, ეხმარება რეალური ვითარების გააზრებაში. მოსამართლისათვის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერთ-ერთ, მნიშვნელოვან მტკიცებულებას და დასაყრდენს წარმოადგენს სწორედ, სოციალური მუშაკის შეფასებები, მოსაზრებები და მისი მიერ შედგენილი დასკვნა<sup>168</sup>.

სოციალური მუშაკი, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ახორციელებს სასამართლოში წარმომადგენლობას. „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით, სოციალური მუშაკი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ან სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების საფუძველზე. სოციალურ მუშაკს შეუძლია, ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო მედიაციის პროცესში, რაც დადგენილია განრიდების შესახებ, მედიაციის პროცესის სამართლებრივი რეგულაციებით, რო-

---

<sup>167</sup> მ. შაღაშვილი, ს. ნამიჭვიშვილი, *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის სტანდარტები*. თბილისი, 2010, გვ. 9.

<sup>168</sup> Ch. Stock, B. Schermaier-Stöckl, V. Klomann, A. Vittr, *Soziale Arbeit und Recht: Lehrbuch*, 2016, S. 298.



მელსაც თავის მხრივ, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ ადგენს.

გარდა ამისა, აღნიშნული კოდექსი ავალდებულებს სოციალური მუშაკს მონაწილეობა მიიღოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში და უზრუნველყოს სასამართლოსთვის შემთხვევის, ან ბენეფიციარის შესახებ ობიექტური ფსიქოსოციალური დასკვნის მომზადება. გარდა არასრულწლოვანთა პროცესში სასამართლოში წამომადგენლობისა, სოციალური მუშაკის საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა სასამართლო წარმომადგენლობა, შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებით.

ა) სასამართლოში წარმომადგენლობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში

არასრულწლოვანთა კოდექსის შემოღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დადებით ფაქტორად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს სოციალური მუშაკის ჩართვას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. აღსანიშნავია, რომ კოდექსში, მისი მიღებისთანავე გაიწერა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალების გადამზადებისა და შესაბამისი მოდულების შექმნის ვალდებულება<sup>169</sup>, ამავე კოდექსის მე-3 თავი მთლიანად ეძღვნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების, მათ შორის სოციალური მუშაკების, სპეციალიზაციას. აღნიშნული კოდექსის 21-ე მუხლი განმარტავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უნდა მონაწილეობდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული სოციალური მუშაკი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, მისი მიღებისთანავე გაიწერა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალების გადამზადებისა და შესაბამისი მოდულების შექმნის ვალდებულება.<sup>170</sup>

---

<sup>169</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 101-ე მუხლი.

<sup>170</sup> საქართველოს მთავრობის N668 დადგენილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი, პირველი მუხლი.

მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მუშაკი არასრულწლოვანის შესახებ, ამზადებს ინდივიდუალურ ანგარიშს. იგი მზადდება 1) განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას; 2) სასჯელის დანიშნისას; 3) საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას; 4) არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას; 5) პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას.

სოციალური მუშაკი ინდივიდუალური შეფასების პროცესში შეისწავლის არასრულწლოვანის განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებას და სხვა გარემოებებს, რომლებიც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში სოციალური მუშაკი ასახავს არასრულწლოვანის განსაკუთრებულ საჭიროებებს, დანაშაულის/ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის რისკს და, შესაბამისად, არასრულწლოვანის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებულ ღონისძიებებს.

ბ) სასამართლო წამომადგენლობა შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებით

შვილად აყვანის პროცესის მართვა მეტად საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს და სოციალური მუშაკის მიერ დიდ ყურადღებას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ შვილად აყვანის შემთხვევაზე მუშაობის დროს, სოციალური მუშაკი განსაკუთრებით მჭიდროდ თანამშრომლობს სასამართლოსთან.

„შვილად აყვანის შესახებ“ საქართველოს კანონით, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო მონაწილეობას იღებს შვილად აყვანის შესახებ, სასამართლო საქმის წარმოების პროცესში. აღნიშნულ პროცესში ხმნიშვნელოვან როლს, უწყების იურ-

---

აღნიშნულ ტრენინგ მოდულზე მუშაობა დღემდე მიმდინარეობს და სოციალური მუშაკი უახლოეს მოამავალში გადაიზადდება.

ისტი ასრულებს, თუმცა იგი პროცესს წარმართავს სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ მშობელი არასაკაპტო მიზეზით არ იჩენს სისტემატურ ყურადღებას ბავშვის მიმართ და ცნობილია მშობლის საცხოვრებელი ადგილის მისამართი, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ვალდებულია გააფრთხილოს მშობელი, რომ უყურადღებობის გამო ბავშვი შეიძლება მიტოვებულად აღიარონ და გააშვილონ. სოციალური მუშაობის პრიორიტეტია ოჯახის გაძლიერებითა და მხარდაჭერით, მისი ერთიანობის შენარჩუნება. იგი არამხოლოდ სოციალური მუშაობის, არამედ საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია. ოჯახის ერთიანობა უნდა იყოს შენარჩუნებული, თუ არ არსებობს უსაფრთხოების სხვა საფუძველები, რომლებიც მის წევრთა განცალკევებას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ მუშაკს, შესაბამისი რეგიონალური საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა შეუძლია, ეს ქმედება არის *ultima ratio* - ყველაზე უკიდურესი ზომა, რომელიც შეიძლება მხოლოდ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესით იყოს დასაბუთებული, მაგალითად, როცა ყველა სხვა გზა ამოწურულია, როდესაც ბავშვის სიცოცხლეს, თუ განვითარებას ემუქრება საფრთხე, როცა ბავშვი ძალადობის მსხვერპლია და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არსებულ სიტუაციას მისი განრიდება., რადგან სოციალური მუშაობის მიზანი არ არის ბავშვის განცალკევება, არამედ ოჯახის ჰარმონიული თანაცხოვრების ხელმშეწყობა. ყველაზე უკეთესი გარემო ბავშვის მშვიდ, სიყვარულით სავსე და უსაფრთხო განვითარებისათვის - არის ოჯახი. სოციალურმა მუშაკმა არ უნდა დაიშუროს ძალისხმევა იმისთვის, რომ იმუშაოს ოჯახებთან. გამოძებნოს გზები და გააძლიეროს ისინი, რათა თავიდან იქნეს აცილებული, ბავშვის გაშვილება, ან მისი მიტოვება. თუმცა, სოციალური მუშაკი ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის შემდეგაც, აგრძელებს მუშაობას ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან, რათა იქ არსებული პრობლემის დაძლეულ იქნეს და ბავშვი ოჯახში დაბრუნდეს.

თუ გაფრთხილებიდან 2 თვის ვადაში, მშობელი კვლავ არ ინტერესდება ბავშვით, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ვალდებულია მიმართოს ბავშვის მიტოვებულად აღიარების, ან ამ ბავშვის მიმართ მშობლის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით სასამართლოს. მიტოვებულად აღიარებულ ბავშვს, დადგენილი წესით ენიჭება გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი და მის მიმართ შესაძლებელია შვილად აყვანის პროცედურების განხორციელება.

შვილად აყვანის პროცესში, რომელიც განიხილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, გასაშვილებელი ბავშვის ინტერესებს სასამართლოში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი იცავს. სოციალური მუშაკი ამზადებს შვილად აყვანის შესახებ დასკვნას და წარუდგენს მას სასამართლოს. შვილად აყვანის შესახებ დასკვნა მოიცავს კანონით ზუსტად დადგენილ მონაცემებს. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ მომზადებული შვილად აყვანის შესახებ დასკვნა მომზადებიდან 1 კვირის ვადაში წარედგინება შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

მეურვეობა-მზრუნველობის ორგანო ამზადებს დასკვნას საქართველოდან გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის შესახებ და წარუდგენს მას სასამართლოს. მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოში დასაქმებული სოციალური მუშაკი თავის მხრვ, ახორციელებს ბავშვის შეფასებას, იღებს მონაწილეობას შეთავსების პროცესში და ადგენს ამასთანავე შეთავსების დასკვნას. დასკვნაში დამატებით უნდა იყოს მითითებული ინფორმაცია გასაშვილებელი ბავშვის საქართველოს ტერიტორიიდან გასვლის და მიმღებ სახელმწიფოში შესვლის დამაბრკოლებელი გარემოების არარსებობის შესახებ და გარემოებები, რომელთა გამოც გასაშვილებელი ბავშვისთვის მშვილებლები (მშვილებელი) საქართველოში ვერ მოინახა. „შვილად აყვანის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სიახლეს, რომლის თანახმადაც სოციალური მუშაკი ჩართულია შვილად აყვანის კომისიის მუშაობაში. ეს უკანასკნელი არის სათათბირო სტრუქტურა, რომელიც წარმართავს საერთა-

შორისო შვილად აყვანის პროცესს. სოციალური მუშაკის ფუნქციაა, საბჭოს განსახილველად წარუდგენოს დასკვნა თავსებადობის შესახებ.

მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს უფლება აქვს ახალი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით შეცვალოს საკუთარი დასკვნა, მიმართოს სასამართლოს მიერ შვილად აყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და მოითხოვოს სასამართლო პროცესის შეჩერება.

კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე მისი შვილად აყვანა შეიძლება გაუქმდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შვილად აყვანის გაუქმების საქმის სასამართლო განხილვაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობა სავალდებულოა.

#### **4.5. კონფიდენციალურობის ვალდებულება**

სოციალური მუშაობის შესახებ კანონის 24-ე მუხლი ავალდებულებს სოციალური მუშაკს, რომ დაიცვას ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სოციალური მუშაობის ჩატარებისას. თუმცა, კანონი აქვე ადგენს იმ შემთხვევებს, რომელთა არსებობისაც, სოციალური მუშაკის საქმიანობაზე არ ვრცელდება კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. თუ:

1) ბენეფიციარი ათავისუფლებს სოციალურ მუშაკს ამ ვალდებულების შესრულებისგან და ინფორმაციის გაცემა არ დააზიანებს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესს. თუ ბენეფიციარი არასრულწლოვანია, იგი სოციალურ მუშაკს აღნიშნული ვალდებულების შესრულებისგან ათავისუფლებს ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით;

2) სოციალურ მუშაკს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულება ინფორმაციის გაცემას აკისრებს;

3) სოციალური მუშაკისთვის ცნობილი ინფორმაციის გაუცემლობა ზიანს მიაყენებს უფრო ღირებულ, სამართლებრივ სიკეთეს.

საყურადღებოა, რომ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება სოციალურ მუშაკზე ვრცელდება სოციალური მუშაობის დასრულების შემდეგაც.

ბენეფიციარის შესახებ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, გარდა აღნიშნული რეგულაციისა, დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით (პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები) და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით (ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაციის დაცვა), სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი (პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი (შეზღუდვები პერსონალური მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებით).

კონფიდენციალურობის დაცვა არის საფუძველი იმისა, რომ ბენეფიციარს ჰქონდეს ნდობა სოციალური მუშაკისა და მომსახურების გამწვევი ორგანიზაციის მიმართ. სოციალურმა მუშაკმა უპირველესად უნდა გააცნოს ბენეფიციარს კონფიდენციალურობის ვალდებულების შესახებ, რომ იგი და თვით ორგანიზაცია უზრუნველყოფენ ბენეფიციარის და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის და მათთან განხორციელებული ინტერვენციის კონფიდენციალურად შენახვას. იმავდროულად სოციალური მუშაკმა უნდა გაანდოს კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული შეზღუდვები. ამ მიზნით, სოციალური მუშაკი მომსახურების დასაწყისშივე ბენეფიციარს აწვდის ინფორმაციას არამხოლოდ კონფიდენციალურობის დაცვის, არამედ მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო შეზღუდვების შესახებ. მაგალითად, როდესაც არსებობს თვითმკვლელობის, ან სხვებისთვის ზიანის მიყენების საფრთხე, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება ინფორმაციის მოთხოვნა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში სოციალური მუშაკი ორგანიზაციებსა, თუ სახელმწიფო უწყებებს ბენეფიციარის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მხოლოდ ბენეფიციარის, ან მისი მზრუნველის/მეურვის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, სადაც მითითებულია გასაცემი ინფორმაციის შინაარსი, ინფორმაციის მიმღები პირი/უწყე-

ბა და ინფორმაციის გაცემის პერიოდი.<sup>171</sup> მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ჩამოყალიბებული პროცედურა, იმის შესახებ, თუ რა სახის მოქმედებები უნდა განხორციელდეს კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით, როცა არსებობს ბენეფიციარზე ძალადობის, ან ბენეფიციარის მხრიდან თვითდაზიანების, ან სხვების დაზიანების რისკი. სწორედ, ამ სტანდარტის მიხედვით მოქმედებს სოციალური მუშაკი.

*მაგალითი: მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკი შეიტყობს, რომ ოჯახიდან ისმის ჩხუბის ხმა, ქალს სისტემატურად აქვს სხეულის დაზიანებები. თუმცა, არავინ მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს. ფაქტის შეტყობის შემდეგ, სოციალური მუშაკი გაესაუბრება ქალს, რომელსაც სხეულზე ძალადობის ნიშნები აქვს. მას თავდაპირველად არ სურს სოციალურ მუშაკთან საუბარი, თუმცა რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, უყვება სოციალურ მუშაკს, რომ ქმარი სისტემატურად ძალადობს მასზე. ინფორმაციის გამხელის, ან სახლიდან წასვლის შემთვევაში, კი ემუქრება, რომ შვილს წაართმევს და სცემს. ამიტომ ის სთხოვს სოციალურ მუშაკს, რომ არავისთან გაამხილოს მისი პრობლემა. ამ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი ვალდებულია მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს აღნიშნული ფაქტის გამო, რადგან ქალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხე რეალური და მაღალია. ამ შემთხვევაში მასზე არ ვრცელდება კონფიდენციალურობის ვალდებულება.*

#### **4.6. დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულება**

სოციალური მუშაობის შესახებ კანონის 27-ე მუხლი ავალდებულებს სოციალურ მუშაკს შესაბამის წესისა და პროცედურების დაცვით აწარმოოს დოკუმენტაცია.

---

<sup>171</sup> მ. შალაშვილი, ს. ნამიჭიევძილი, *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის სტანდარტები*, თბილისი, 2010, გვ. 11.

სოციალური სამუშაოს მომსახურების ერთ–ერთი მნიშვნელოვან ასპექტს შეადგენს ბენეფიციართა დოკუმენტაციის და მომსახურების პროცედურით გათვალისწინებული ჩანაწერების წარმოება. სოციალური მუშაკი რეგულარულად აღრიცხავს თავის საქმიანობას ბენეფიციართან ინდივიდუალური შემთხვევის ფარგლებში. აგრეთვე ახდენს ამ შემთხვევასთან დაკავშირებული საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებას (სამედიცინო, იურიდიული, სხვა ორგანიზაციებისთვის ბენეფიციარის ინფორმაციის გაცემის შემთხვევებს).

იგი ვალდებულია, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს ბენეფიციარის პირადი საქმე და დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა ასახავდეს ბენეფიციარის შესახებ მონაცემებს, ღონისძიების გამოყენების საფუძველს, ბენეფიციარის შეფასებას, მისი გეგმის დეტალურ აღწერას, ღონისძიებაში მონაწილე მხარეებს, ღონისძიების მიმდინარეობას ეტაპების მიხედვით, შუალედურ დასკვნებს, ღონისძიების ხანგრძლივობას, შედეგს და დასკვნით შეფასებას.

გარდა ამისა, სოციალური მუშაკის მიერ წარმოებული ჩანაწერები და დოკუმენტაცია ბენეფიციარის შესახებ მოიცავს შემდეგს:

- 1) მომართვის დეტალებს;
- 2) ბენეფიციარის შეფასებას;
- 3) ინტერვენციის გეგმას;
- 4) ბენეფიციართან კონტაქტის აღწერას (თარიღებისა და დროის მითითებით);
- 5) ბენეფიციარის დინამიკის მონიტორინგს;
- 6) ინფორმაციას მიღწეული შედეგების, აგრეთვე, საქმის დახურვის, ან მიმართვის მიზეზების თაობაზე;
- 7) საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციარისგან წერილობით ნებართვას ინფორმაციის გაცემის თაობაზე;
- 8) ბენეფიციარის სამედიცინო, იურიდიული, პირადობის, ან სხვა ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაცია.<sup>172</sup>

---

<sup>172</sup> იქვე, გვ. 20.



სოციალური მუშაობის განმახორციელებელი დაწესებულება შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს დოკუმენტაციის წარმოების წესსა და ფორმას. აღნიშნული დოკუმენტაციის შემუშავებასა და განახლებაში მონაწილეობას იღებს სოციალური მუშაკი. დაწესებულება ვალდებულია დამუშავებული დოკუმენტაცია შეინახოს სოციალური მუშაობის მიმდინარეობისას და მისი დასრულების შემდეგ გონივრული ვადით, რომელიც აუცილებელია სოციალური მუშაობის ჩასატარებლად, ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის დასაცავად და დაწესებულებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად. დოკუმენტაციის შენახვის ვადას განსაზღვრავს აღნიშნული დაწესებულება. მნიშვნელოვანია, რომ სოციალურმა მუშაკმა, ბენეფიციარის სურვილის შემთვევაში, უზრუნველყოს მისი ინფორმირებულობა იმ პირების თაობაზე, რომელთაც ხელი მიუწვდებათ მის დოკუმენტაციაზე. დაწესებულება, და ასევე სოციალური მუშაკი უზრუნველყოფს ბენეფიციარზე არსებული დოკუმენტაცია უსაფრთხო ადგილას იყოს შენახული. დაწესებულებას ასევე შემუშავებული უნდა ჰქონდეს ბენეფიციარის შესახებ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის პროცედურები.

სოციალური მუშაკი სოციალური მუშაობის დასრულების, ან სხვა სამსახურში გადასვლის შემთხვევაში ვალდებულია ბენეფიციარის შესახებ მონაცემები გადასცეს მის შემცველს, ან თავის უშუალო ხელმძღვანელს.

#### **4.7. მონაცემთა გაცემის ვალდებულება**

სოციალური მუშაკი, თავისი უფლება-მოვალეობის შესრულებისას, პროფესიული სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა გახდეს სამართალდარღვევის, ან შესაძლოა დანაშაულის მოწმე, ამიტომ კონფიდენციალობის ვალდებულებასთან ერთად მას აქვს, ინფორმაციის გაცემის ვალდებულებაც. ეს რა თქმაუნდა უპირველესად ეხება თვით ბენეფიციარს, რადგან მას უფლება აქვს, იცოდეს მის შესახებ არსებული ინფორმაცია. იგივე უფლებით სარგებლობს მისი წარმომადგენელი, ან საქართველოს კანონმდებლობით გან-

საზღვრული სხვა პირი, (მაგალითად იმ შემთხვევაში პირი, რომელსაც გაჩნია ბენეფიციარის, ნოტარიული წესით დამოწმებული მინდობილობა ბენეფიციარის შესახებ, ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით).

პერსონალურ ინფორმაციაზე წვდომის უფლებას და ასევე მისი შეზღუდვის საფუძვლებს ადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, რომლის თანახმადაც ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაცენოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ, ან სხვა ინფორმაციას, ან ოფიციალურ დოკუმენტს. კონსტიტუცია აქვე ადგენს იმ შემთხვევებს, როდესაც ინფორმაციის მიღება შეიძლება შეზღუდული იქნეს. ამგვარი შეზღუდვები ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, დაწესებულია - თუ ინფორმაცია შეიცავს *კომერციულ*, ან *პროფესიულ*, ან *სახელმწიფო* საიდუმლოებას. შეზღუდვა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, თუ ინფორმაციის გაცემამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელ სახელმწიფო, ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებას.

ხოლო მე-3 პუნქტით ადგენს, ზოგადად, ყველა სხვა ინფორმაციის გაცემის შეზღუდვის საფუძვლებს. ამ უკანასკნელის მიხედვით, იმგვარი ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან, ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე. თუმცა, კონსტიტუცია ადგენს გამონაკლის შემთხვევებს, როცა პირის თანხმობის გარეშეც არის შესაძლებელი ინფორმაციის გაცემა მის შესახებ : 1. როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო, ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, 2. საჯარო ინტერესების, 3. ჯანმრთელობის, ან 4. სხვათა უფლებების დასაცავად.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის არის მითითებითი ნორმა. რომელიც, ინფორმაციის გაცემის წესის, მონაცემთა დაცვის გარანტიებისა და მათ გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად და მარეგულირებლად, ასახელებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს

კანონს. ეს კანონი კი განსაზღვრავს, რომ პირს აქვს უფლება მოითხოვოს ინფორმაცია, მის შესახებ არსებული მონაცემების შესახებ<sup>173</sup>. მუხლი კი, თავის მხრივ განსაზღვრავს, რომ ნებისმიერმა პირმა, რომლის შესახებაც არსებობს მონაცემები შეუძლია იგი მოითხოვოს, შესაბამისი უწყებიდან. ინფორმაცია მას უნდა მიეწოდეს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა. თუმცა, ამავე კანონით დადგენილია ის ხუთი საფუძველი<sup>174</sup>, რომლის არსებობისას დაწესებულებას, უფლება აქვს უარი უთხრას ბენეფიციარს, ან სხვა პირს მის შესახებ პირადი მონაცემების გაცემაზე. ინფორმაციაზე უარის თქმის საფუძველი შესაძლოა იყოს შემდეგი: 1) სახელმწიფო უსაფრთხოების, ან თავდაცვის ინტერესები. 2) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები. 3) დანაშაულის გამოვლენა, გამოძიება და აღკვეთა. 4) ქვეყნის მნიშვნელოვანი, ფინანსურ, ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებული) ინტერესები 5) მონაცემთა სუბიექტისა და სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

*მაგალითი: მეურვეობა-მზრუნველობის სააგენტოს წერილობით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულმა ორგანომ, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტმა. რომელიც მოითხოვდა, ერთ ერთი ბენეფიციარის პირად საქმეს. ოფილურ წერილში მითითებული იყო, რომ ბენეფიციარის მიმართ მდინარეობდა გამოძიება, სისხლის სამართლის კოდექსის 323<sup>2</sup>-ე მუხლით, რაც გულისხმობს საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობას. აღნიშნულ შემთხვევაში სოციალურ მუშაკს, და დაწესებულებას (მეურვეობა მზრუნველობის ორგანოს) აქვს ვალდებულება გასცეს ის ინფორმაცია, რაც მას საქმესთან დაკავშირებით, ბენეფიციარის შესახებ აქვს.*

---

<sup>173</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>174</sup> იქვე.

#### 4.8. ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესით მოქმედება

კანონის 29- ე მუხლი ადგენს, რომ სოციალური მუშაკი ვალდებულია სოციალური მუშაობა ჩაატაროს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესისა და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით. იგი ხელს უწყობს ბენეფიციარის თვითრეალიზაციას, მისი შესაძლებლობებისა და საკუთარი ინტერესების დაცვის უნარის გაუმჯობესებას.

აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის ბ) ქვეპუნტი განმარტავს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის ტერმინს<sup>175</sup>, როგორც ბენეფიციარის *სოციალური უსაფრთხოების, მისი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის, კეთილდღეობის, განვითარების, ან ამ კანონის მიზნებით გათვალისწინებული სხვა ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს.*

აღსანიშნავია, რომ კანონის თანახმად ბენეფიციარი არის საზოგადოების მოწყვლადი წევრი, რომლის მხარდაჭერა და სოციუმში ინტეგრაციაც არის სწორედ კანონის მიზანი. აქედან გამომდინარე, ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის შეფასებისას ათვლის წერტილი სოცილური მუშაკისათვის უნდა იყოს ბენეფიციერის ინდივიდუალიზმი, მისი მოთხოვნილებები და სურვილები, რომლებიც, პირველი - უნდა იყოს მორგებული სოციუმზე, სადაც მას უხდება ცხოვრება. და მეორე – არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას. თუმცა, თუ სოციალური მუშაკი აფასებს, რომ ბენეფიციარის უფლებებს საქართველოს კანონმდებლობა სათანადოდ არ იცავს, ან იგი გარიყულია საზოგადოების მიერ, მან უნდა შეძლოს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სოციალური ცვლილებების ინიცირება, ან მათი გააქტიურება. იგი იწყებს ადვოკატირებას, ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესების დასაცავად სახელმწიფო სტრუქტურებში და საზოგადოებაში.

---

<sup>175</sup> იხ. ტერმინის განმარტება სახელმძღვანელოს პირველ თავში, ქვეთავი - 1.2.3.

სოციალურმა მუშაკმა უნდა გაითვალისწინოს, რომ „ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, ზნეობრივ ნორმებს. ტერმინი „ზნეობრივი ნორმები“ გამოიყენება ქართულ კანონმდებლობაშიც. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ხშირად იყენებს ამ დეფინიციას.<sup>176</sup>

ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მუშაკი მასზე დაკისრულებული ფუნქციების შესრულებისას, როგორცაა მაგალითად: ბავშვის მინდობით აღზრდა, შვილად აყვანა, არასრულწლოვან პირებზე მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება, ოჯახურ დავებში ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია და ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებაში განთავსების პრევენცია - ყოველთვის მოქმედებდეს ბავშვის საუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესების დაცვიდან გამომდინარე.

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“,<sup>177</sup> განმარტავს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესს, რომელიც არის „არასრულწლოვანის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაციარეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვანის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება“. კოდექსის თანახმად, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები. სწორედ, ამ ინტერესების გათვალისწინებით უნდა იმოქმედოს, სისხლის სამართლის სფეროში დასაქმებულმა სოციალურმა მუშაკმა. არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის შეფასებისას ამ სოციალურმა მუშაკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ოჯახის ერთიანობის პრინციპს, არასრულწლოვანის კეთილდღეობას, სოციალურ განვითარებას, უსაფრთხოებას და არასრულ-

<sup>176</sup> იხ. დეტალური განმარტებები, *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*, რედ. ლადო ჭანტურია, თბილისი, 2017, გვ. 12,

<sup>177</sup> „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი.

წლოვნის მოსაზრებას, მისი ასაკისა და უნარების - განვითარების დონის, აღქმისა და კომუნიკაციის უნარების - გათვალისწინებით.

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების“ კოდექსი, ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო დაწესებულებების ვალდებულებას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დასაცავად. კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პატიმრობის, ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური და გადამზადებული სოციალური მუშაკი.

ხშირად, სოციალური მუშაკი გამოდის, როგორც შუამავალი ინდივიდსა და გარემოს შორის.<sup>178</sup> მათ შორის, სხვადასხვა სისტემის ერთმანეთთან დაკავშირების პროცესში სოციალური მუშაკი იცავს ბენეფიციარის ინტერესს. დაცვა გულისხმობს, რომ არამხოლოდ ინდივიდუალური მუშაობისას, არამედ სოციალური პოლიტიკის ადვოკატირების დროსაც იგი ვალდებულია გაითვალისწინოს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესები, და ამ მოტივაციით იბრძოლოს, აუცილებელი რესურსებისა და სერვისის მოძიებისათვის, მისი მიზანია, სრულყოფილ და ჰარმონიულ გარემოში განვითარების საშუალების მიცემა.

#### 4.9. მიუკერძოებლობა

კანონის 30-ე მუხლი ადგენს, რომ სოციალური მუშაკი ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელებისას იყოს მიუკერძოებელი და ხელმძღვანელობდეს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესით, რადგან დაუშვებელია, რომ სოციალური მუშაკი იყოს მხარე და მოქმედებდეს სუბიექტური ინტერესებით.

სოციალურ მუშაკს აქვს თვითაცილების უფლება. იმ შემთხვევაში, თუ სოციალური მუშაკი ფიქრობს, რომ მას სუბიექტური, ან ობიექტური მიზეზებით არსებობს ისეთი გარემოება, რომელიც სო-

---

<sup>178</sup> ს. ნამიჭივილი და მ. მგელიაშვილი, *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები სახელმძღვანელო ბავშვებთან და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის*, თბილისი, 2010, გვ. 37.

ციალურ მუშაკს ხელს შეუშლის მიუკერძოებლად განახორციელოს საკუთარი უფლებამოსილება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, სოციალური მუშაკი თავისი დამსაქმებლის წინაშე აყენებს თვითაცილების საკითხს.

კანონი, ასევე, ადგენს, რომ საქმეზე აცილების საკითხის დაყენების უფლება დამსაქმებლის წინაშე არა მხოლოდ სოციალურ მუშაკს თავად, არამედ იგივე საფუძვლებით ბენეფიციარს და მესამე პირსაც აქვს. ორივე შემთხვევაში, სოციალური მომსახურების განმახორციელებელი დაწესებულების წინაშე უნდა დასაბუთდეს თვითაცილების, ან აცილების მიზეზი. დაწესებულება იღებს გადაწყვეტილებას აცილების, ან თვითაცილების შესახებ.

აღნიშნული ნორმა უზრუნველყოფს რომ, სოციალური მუშაობის პროცესში, თავიდან იქნეს აცილებული ინტერესთა კონფლიქტი. აცილების საკითხი უნდა გადაწყდეს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის მაქსიმალური გათვალისწინებით. მაგალითად, სოციალური მუშაკი არ უნდა იყენებდეს ბენეფიციარს საკუთარი ინტერესებისათვის, არ უნდა დაიწყოს თანამშრომლობა, თუ მასთან პირადი, ან საქმიანი ურთიერთობითაა დაკავშირებული. ბენეფიციარსა და სოციალურ მუშაკს შორის მკაცრად უნდა არსებობდეს მხოლოდ პროფესიული ურთიერთდამოკიდებულება;<sup>179</sup>

*მაგალითი: სოციალური მუშაკი მუშაობს მცირეწლოვანი ბავშვის მინდობით აღზრდის საკითხზე. მან ოჯახიდან უნდა გამოიყვანოს ბავშვი, რომელიც სავარაუდოდ არის ძალადობის მსხვერპლი. თუმცა, აღმოჩნდება, რომ სოციალური მუშაკი არის ოჯახის ახლო ნათესავი. შესაბამისად, იგი განცხადებით მიმართავს მეურვობა მზრუნველობის სააგენტოს უფლებამოსილ პირს, რომ მოახდინოს თვითაცილება აღნიშნულ საქმეზე.*

#### 4.10. ინფორმაციის ანალიზი

იმისათვის, რომ სოციალური მუშაობა არ იყოს, მხოლოდ მოკლევადიან ჩართვაზე გათვლილი, იგი როგორ პრაქტიკული, გამო-

---

<sup>179</sup> იქვე გვ. 23.

ყენებითი მეცნიერება მუდამ უნდა განიცდიდეს პროგრესს.<sup>180</sup> მის განვითარებაში, პირველ რიგში, სოციალური მუშაკებიც უნდა იყვნენ აქტიურად ჩართულები. კანონის 31-ე მუხლის თანახმად, სოციალურ მუშაკს უფლება აქვს, არსებული სოციალური პრობლემების შემცირებისა და გადაჭრის, სოციალური სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების და ცვლილებების მხარდაჭერის მიზნით გააანალიზოს ინფორმაცია და ანალიზის შედეგების შესახებ მონაცემები მიაწოდოს თავის უშუალო ხელმძღვანელს. უფლებრივი ჭრილის გარდა, ინფორმაციის ანალიზი სოციალური მუშაკის მოვალეობად უნდა იქნეს განხილული.

აღნიშნული ინფორმაციას ანალიზს უნდა მოჰყვეს რეაგირება დაწესებულების მიერ, რომ სამომავლოდ, დაიხვეწოს სოციალური მუშაობის სფეროში დამკვიდრებული მეთოდები და მხარდაჭერილი იქნეს ინოვაციური მიდგომის შემოღება. თუმცა, აღნიშნული რეაგირების შესახებ გადაწყვეტილება არის დამსაქმებლის დისკრეციული უფლებამოსილება.

სოციალური მუშაობის შეფასების პროცესისთვის მნიშვნელოვანია მისი ანალიტიკა. ამისათვის კი, საჭიროა დაწესებულებაში საინფორმაციო ბაზის შექმნა, რაც გულისხმობს, როგორც მონაცემების, კვლევის, აქტუალური ინფორმაციის ანკეტირებას, ასევე შეხვედრების ოქმების, მომსახურებების მიმღებთა კმაყოფილების, თუ საჩივრების აღრიცხვას. აღნიშნული ინფორმაციის ერთ მთლიანობაში გაანალიზება, არის იმის წინაპირობა, რომ გაუმჯობესდეს სოციალური სისტემის ფუნქციონირება.

სოციალური მუშაკის ერთ-ერთ მოვალეობას წარმოადგენს მის მიერ ჩატარებული სამუშაოს ფარგლებში მიღწეული შედეგების ანალიზი და კვლევა. შემთხვევის მონიტორინგის პირობებში სოციალური მუშაკი იმ მიღწევებს იკვლევს და აანალიზებს, რა შედეგებიც მისმა ჩარევამ გამოიწვია. ყოველგვარი შედეგი, იქნება ეს დადებითი, თუ უარყოფითი, საჭიროებს ანალიზს. სოციალურ მუშაკს

---

<sup>180</sup> Ch. Stock, B. Schermaier-Stöckl, V. Klomann, A. Vittr, *Soziale Arbeit und Recht: Lehrbuch*, 2016, S. 28.



ინფორმაციის ანალიზი აძლევს შესაძლებლობას უკეთ გაიაზროს განხორციელებული ინტერვენციის დადებითი და უარყოფითი მხარეები და საბოლოოდ შეაფასოს გაწეული სოციალური მუშაობის წარმატება. შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი დიდი ზეგავლენას ახდენს, ემპირიულად ორიენტირებულ კვლევის შედეგებზე, რასაც მნიშვნელოვანი უპირატესობა ენიჭებათ, იმგვარი პრაქტიკული საქმიანობის განვითარებისათვის, როგორცაა, სოციალური მუშაობა.

#### **4.11. სოციალური მუშაკის უწყვეტი პროფესიული განვითარება**

კანონმა, სოციალური მუშაობის სფეროში საკანონმდებლო დონეზე დანერგა სოციალური მუშაკის პროფესიული განვითარების უწყვეტობა, რაც სოციალური მუშაობის მიმართულებით ერთ-ერთი დადებითი და მნიშვნელოვანი სიახლეა. 32-ე მუხლი, მიუთითებს, რომ სოციალური მუშაობის მიზნებიდან გამომდინარე, სოციალური მუშაკი, ვალდებულია შეთავაზებულ, პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობით განვიითაროს პროფესიული შესაძლებლობები, გაიმჯობესოს უნარები და გაიღრმავოს ცოდნა. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტით კი, უზრუნველყოფილია ამ ნორმის ინსტიტუციური გარანტია: დამსაქმებელმა ხელი უნდა შეუწყოს სოციალურ მუშაკს, მონაწილეობა მიიღოს უწყვეტი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.

სოციოლოგიური კვლევა, რომელიც 2017 ივნისი / ივლისში ჩატარდა, წინ უძღოდა კანონის მიღებას. სოციალური მუშაკის პროფესიაში არსებული პრობლემების გადაჭრის გზად მრავალმა რესპოდენტმა ერთმანეთის მსგავსი გზა დაასახელა, მათ შორისაა პროფესიული განვითარებისა და ზრდისთვის სხვადასხვა სახის ტრენინგების და კურსების ჩატარება.<sup>181</sup>

---

<sup>181</sup> „სოციალური სამუშაო, სოციალური მუშაკების ფუნქციები და სტატუსი“, სოციოლოგიური კვლევა ჩატარებულია დემოკრატიის განვითარების სააგენტოს მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით, 2017 ივნისი/ივლისში. გვ. 9, იხ.

[https://ddaagencyblog.files.wordpress.com/2017/10/fes\\_analysis\\_.pdf](https://ddaagencyblog.files.wordpress.com/2017/10/fes_analysis_.pdf)

ზემოთ აღნიშნული კანონის ჩანაწერის მიზანია სოციალური მუშაობის სფეროში პროფესიონალიზმის ამაღლება, სოციალური მუშაკების მხრიდან კვალიფიციური და მაღალკვალიფიციური სერვისის მიწოდება. სწორედ, ამისათვის ადგენს კანონი სოციალური მუშაკის პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, პროფესიული განვითარების პროგრამებში მისი სავალდებულო მონაწილეობის საკითხებს, ამ პროცესში სოციალური მომსახურების განმახორციელებელი დაწესებულების ჩართულობას და მოხელის პროფესიული განვითარებისათვის შესაძლებლობების შეთავაზებას. არსებული ნორმები პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით, ემსახურება სოციალური მუშაკის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაყრდნობით გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებას იმისათვის, რომ სოციალური მუშაკი თვითგანვითარებისა და მხოლოდ პრაქტიკაში შეძენილი ცოდნისა და უნარების იმედად არ დარჩეს.

დაწესებულებამ უნდა იზრუნოს, მასთან დასაქმებული სოციალური მუშაკების უწყვეტ განვითარებაზე. შესთავაზოს მათ შესაბამისი, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ტრენინგები. თუ სოციალური მუშაკი თავისი ინიციატივით გაივლის პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელ კურსებს, დაწესებულება ვალდებულია, მხარი დაუჭიროს მას. ტრენინგების სიხშირეს ადგენს დამსაქმებელი დაწესებულება კანონქვემდებარე აქტით, რომლის მიხედვითაც, იგი ვალდებულია პროფესიული კვალიფიკაციისათვის ამაღლებაზე დახარჯული, განსაზღვრული საათები, სოციალურ მუშაკს ჩაუთვალოს სამუშაო საათებად.

#### **4.12. პროფესიული იდენტობის ხელშეუხებლობა**

კანონზე მუშაობისას კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა, რომ სოციალური მუშაობის ღერძი და მისი მყარი საფუძველი, არის თვით სოციალური მუშაკის პროფესიული იდენტობა. შესაბამისად, სოციალური სამუშაოს შესრულებისას, ძალზედ მნიშვნელოვანია პროფესიული ღირსების შენარჩუნება. სოციალურ მუშაკს კანონის 33-ე მუხლით აქვს უფლება, რომ შეინარჩუნოს მისი პროფე-

სიული კულტურა, სამუშაოს შესრულების მეთოდი და სამუშაო ინსტრუმენტი, რომლებიც დადგენილია სოციალური მუშაობის პროფესიული სტანდარტებით.

სოციალური მუშაკი მომსახურებას უნდა ახორციელებდეს საკუთარი პროფესიული კომპეტენტურობის გათვალისწინებით. რაც მოიაზრებს იმას, რომ სოციალური მუშაკი აცნობიერებს საკუთარ ცოდნას და უნარებს და სწორედ მათი გათვალისწინებით მუშაობს ბენეფიციართან, ან ახდენს შემთხვევის გადამისამართებას შესაბამის სოციალურ მუშაკთან, ან სხვა სპეციალისტთან. სოციალური სამუშაოს მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია რეგულარულად აფასებს, თუ რამდენად კომპეტენტურია სოციალური მუშაკი გადაწყვეტილების მიღების, შეფასების და ინტერვენციის პროცესში და როგორია მისი პროფესიული კვალიფიკაცია. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის კანონმდებლობის ფარგლებიდან გავიდეს. მისი შემზღუდველი, ამ შემთხვევაში, შესაბამისი მოქმედი კანონმდებლობაა.

სოციალური მუშაკი უნდა აცნობიერებდეს, რომ საკუთარი ღირებულებები, ტრადიციები, შეხედულებები და პროფესიული კომპეტენციები, სოციალური მომსახურების ობიექტურობისა და პროფესიული განვითარების საფუძველია. თუ სოციალური მუშაკი აცნობიერებს, რომ მისი პიროვნული დამოკიდებულების და პროფესიული კომპეტენციის გამო არ ძალუძს დარჩეს ობიექტური, ან გაუწიოს შესაბამისი დახმარება ბენეფიციარს, ან ბენეფიციართა ჯგუფს, მაშინ იგი ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გადაამისამართებს ამ შემთხვევას სხვა სოციალურ მუშაკთან, ან სხვა ორგანიზაციასთან.<sup>182</sup>

#### **4.13. სოციალური მუშაკის პასუხისმგებლობა**

სოციალური მუშაობის სფეროს მნიშვნელობიდან, მისი საჯარო და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწი-

---

<sup>182</sup> მ. შაღაშვილი, ს. ნამიჭიფილი, *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის სტანდარტები*, თბილისი, 2010, გვ. 8.

ფო სოციალურ მუშაკს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლება-მოვალეობებს, სოციალურ გარანტიებს, მაგრამ ასევე აკისრებს პასუხისმგებლობას სამსახურეობრივ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის .

კანონის 34-ე მუხლის მიხედვით, კანონით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის სოციალურ მუშაკს დაეკისრება ამ კანონის 63-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.<sup>183</sup>

## **თავი 5. სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები**

კანონის მე-5 თავი განსაზღვრავს სოციალური მუშაკის მიერ შესასრულებელ შემდეგ ღონისძიებებს: **პრევენცია**, რომლის თანახმადაც – სოციალური მუშაკი აწოდებს ბენეფიციარს შესაბამის სერვისს, როდესაც საფრთხე სახეზე არ არის, თუმცა ობიექტური დამკვირვებლის თვალით, ყველა გარემოების გათვალისწინებით, ის დიდი ალბათობით შეიძლება წარმოიქმნას. **სოციალური მუშაკის მიერ პრობლემის განსაზღვრა** - რაც მოიაზრებს სოციალური მუშაკის ქმედებას, როცა შემთხვევის ანალიზის და შეფასების საფუძველზე, იგი განსაზღვრავს დახმარების საჭიროების მქონე პირების პრობლემას. **საჭიროების შეფასების ღონისძიება**, ემსახურება სოციალური მუშაკის მიერ ბენეფიციარის ინდივიდუალური პრობლემის და არსებული გარემოს, სისტემურად შესწავლას, ამომწურავი ინფორმაციის საფუძველზე. **სოციალური მუშაობის დაგეგმვა** - არის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებული უნდა იქნეს იმგვარი გეგმა, რომელიც შეიცავს მიზნებს, აუცილებელ სტრატეგიას და განსაზღვრულ სამოქმედო ეტაპებს. სოციალური მუშაკის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაზღვრული უნდა იქნეს სოციალური მუშაობის, ინდივიდზე

---

<sup>183</sup> იხ. თავი 6. ქვეთავი 6.3.3.

მორგებული სამოქმედო გეგმა. მხარდაჭერის განხორციელების ღონისძიება მიმართულია საზოგადოებაში, ბენეფიციარის სოციალური კომპეტენციის გასაუმჯობესებლად, ბენეფიციარის რესურსებისა და შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებისაკენ, მისი საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით.

### 5.1. სოციალური მუშაკის ღონისძიებების არსი და სამართლებრივი ბუნება

კანონი მკაფიოდ და დეტალურად განსაზღვრავს სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. ეს მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, იმისათვის, რომ მან კვალიფიციურად შეასრულოს მისთვის დაკისრებული სამუშაო და თავად იცოდეს საკუთარი უფლებამოსილებების ჩარჩოები, იმისათვის, რომ თავად იყოს დაცული. ხოლო მეორეს მხრივ, არ დააზიანოს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესები. კანონი სისტემურად უდგება სოციალური სამუშაოს განხორციელებას, და ადგენს სოციალური მუშაკის ფუნქციებს,<sup>184</sup> მის უფლება-მოვალეობებს<sup>185</sup> და შემდეგ ეტაპზე, განსაზღვრავს თუ რა ღონისძიებების გამოყენება არის შესაძლებელი სოციალური მუშაკის მიერ ჩამოთვლილ ფუნქციათა და უფლება-მოვალეობათა განსახორციელებლად.

იმისათვის, რომ სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული ღონისძიება იყოს კანონიერი და იგი უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპს.<sup>186</sup> ეს პრინციპი ვრცელდება ყველა იმ ღონისძიებაზე და ქმედებაზე, რომელსაც სოციალური მუშაკის ახორციელებს.

სოციალური მუშაობა, კანონმდებლის მიერ განიხილება, როგორც მაღალი საჯარო ინტერესის სფერო. შესაბამისად ის საკანონ-

---

<sup>184</sup> სახელმძღვანელოს მესამე თავი.

<sup>185</sup> სახელმძღვანელოს მეოთხე თავი.

<sup>186</sup> თანაზომიერების პრინციპის განმარტება იხილეთ დეტალურად მეორე თავში, ქვეთავი, 2.7.

მდებლო ჩარჩოს მიერ არეგულირებს სოციალური მუშაკის ფუნქციებისა და მოვალეობების შესასრულებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს. სოციალური მუშაკის ქმედება ხშირ შემთხვევაში ადამიანების ცხოვრებაზე, მათ მომავალზე დიდ ზეგავლენას ახდენს. შესაბამისად სოციალური მუშაობა საზოგადოების სოციალური განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან პროფესიას წარმოადგენს. სწორედ აქედან გამომდინარეობს სახელმწიფოს ინტერესი, რომ სოციალური მუშაკის ის ღონისძიებები, რომლებიც ყველაზე მეტად არის შემხებლობაში ადამიანის უფლებების შეზღუდვასთან, რეგულირებული იყოს კანონმდებლის მიერ.

## 5.2. პრევენცია

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სოციალური მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის პრევენცია. აქედან გამომდინარე, სოციალური მუშაკის მიერ ხორციელდება პრევენციული ღონისძიებები. კანონის 36-ე მუხლის თანახმად, პრევენციული ღონისძიება განისაზღვრება, როგორც მომსახურება, რომელსაც სოციალური მუშაკი ბენეფიციარს აწვდის მანამ, სანამ საფრთხე არ დამდგარა, თუმცა, ობიექტური დამკვირვებლის თვალით, ყველა გარემოების გათვალისწინებით, ის დიდი ალბათობით, წარმოიქმნება.

სოციალური მუშაკი ითვალისწინებს, რომ იგი საზოგადოებაში სოციალური წესრიგის დამცველის ფუნქციასაც ითავსებს და ყურადღებით აკვირდება მის სამოქმედო არიალში მომხდარ ფაქტებს. ასეთი ფაქტები შესაძლოა, არაპროფესიონალისათვის უხილავი და უსუსურიც კი წარმოჩნდეს, თუმცა, სოციალური მუშაკის კომპეტენციების გათვალისწინებით, მისთვის საგრძნობი უნდა იყოს ის საფრთხეები, რაც ამგვარ მოვლენებს შეიძლება მოჰყვეს.<sup>187</sup>

*მაგალითი: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული სოციალური მუშაკისათვის ცნობილი გახდა,*

---

<sup>187</sup> J. Mündler, Th. Meysen, Th. Trenzcek [Hrsg.], *Frankfurter Kommentar SGB VIII, Kinder- und Jugendhilfe*, Baden-Baden, 2013, S. 200.

*რომ ერთ–ერთ კლასში, ხშირია მოსწავლეებს შორის შელაპარაკება, თუმცა, კონკრეტული სამართალდარღვევის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. სოციალური მუშაკი წინასწარ ახდენს რეაგირებას. ესაუბრება, სკოლის დამრიგებელს და მასწავლებლებს, მოსწავლეებს და თუ საჭიროდ ჩათვლის მშობლებს.*

პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას, სოციალური მუშაკი უნდა იმსახურებდეს ნდობას, მხარეების მიერ, რომ მან წარმატებით განახორციელოს შემდგომი ეტაპი.

პრევენციული სოციალური მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაღალი რისკის შემცველი ქცევის მქონე ჯგუფებში. მაგალითად, აივ პროფილაქტიკის ღონისძიებების მხარდაჭერა, რათა თავიდან იქნას აცილებული ზოგად პოპულაციაში აივ ინფექციის გავრცელება. აღნიშნული პრევენციული სამუშაო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსაზღვრული სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებთან.<sup>188</sup> პრევენციური ღონისძიებები მოიაზრებს არა მხოლოდ სამიზნე ჯგუფებთან, არამედ ზოგადად, საზოგადოებრივ მუშაობას. ცნობიერების ამაღლება პრევენციული ღონისძიება და იგი ორი მიზეზით არის აუცილებელი. პირველი, აივ ინფექციით დაავადებული პირები არ იქნებიან სტიგმატიზირებული, და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია გაცილებით უფრო მარტივია, და მეორე, საზოგადოებას ექნება ინფორმაცია, აივ ინფექციის გადაცემის რისკების შესახებ და როგორი ქცევით, უნდა აიცილონ თავიდან აივ ინფექცია. პრევენცია თავიდან აცილებს კონკრეტულ ინდივიდებს და მთლიანად საზოგადოებას ზიანს. ამდენად, ის მნიშვნელოვანია, როგორც ადამიანური და ფინანსური რესურსის დაზოგვის, ასევე, მორალური ზიანის თავიდან აცილებისათვის.

---

<sup>188</sup> მომზადებულია USAID-ის, RTI International-ის და Save the Children International-ის მიერ, *პრევენციული ინტერვენციის სახელმძღვანელო, აივ ინფიცირების თვალსაზრისით მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებთან სამუშაოდ*, 2013, გვ. 3.

### 5.3. ბენეფიციარის საჭიროების შეფასება და პრობლემის განსაზღვრა

კანონის 37-ე და 38-ე მუხლებით განისაზღვრება სოციალური მუშაკის მიერ ბენეფიციარის საჭიროების შეფასებისა და არსებული პრობლემის განსაზღვრის ღონისძიება. აღნიშნული კანონის მიხედვით, ბენეფიციარის საჭიროების შეფასებისას არ არის მხოლოდ თვით ბენეფიციარის ინდივიდუალური მდგომარეობის შესწავლა საკმარისი, აუცილებელია, რომ მისი გარემოს შესახებ ამომწურავი ინფორმაციის საფუძველზე სისტემურად იქნეს შესწავლილი ბენეფიციარის მდგომარეობა. სოციალური მუშაკი ითვალისწინებს ბენეფიციარის მხარდაჭერისთვის ხელის შემშლელ ფაქტორებს, მისი მხარდაჭერისთვის საჭირო რესურსებსა და შესაძლებლობებს და ამის შემდეგ აფასებს ბენეფიციარის საჭიროებებს.

მართალია, სოციალური მუშაობის საკვანძო ღონისძიება არის პრობლემის განსაზღვრა, თუმცა იმისათვის, რომ სოციალურმა მუშაკმა სწორად განსაზღვროს პრობლემა, მან თავდაპირველად უნდა შეაფასოს ბენეფიციარი. ამიტომ, ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასება, სოციალური მომსახურების მიწოდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. სოციალური მუშაკი ახდენს ბენეფიციარის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს იმისათვის, რომ კარგად გაერკვეს მოცემულ სიტუაციაში. შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია სოციალურმა მუშაკმა ბენეფიციარის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოიპოვოს სხვადასხვა წყაროდან (თვით ბენეფიციარი, მისი ოჯახის წევრები, მეგობრები, ახლობლები, სხვა). ამგვარად, შესაძლებელი იქნება მდგომარეობის სისტემური შეფასება. შეფასებისას სოციალური მუშაკი ინფორმაციას მოიძიებს სხვადასხვა ფაქტორების, მაგალითად ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, სოციალური, სამართლებრივი ფაქტორების შესახებ, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ბენეფიციარის მდგომარეობაზე.

სოციალური მუშაკების მიერ განხორციელებული ბენეფიციარის საჭიროების შეფასება და პრობლემის განსაზღვრა, გამოიყენება შემდგომი დაგეგმვის და ინტერვენციის განსაზღვრისათვის. იგი



ითვალისწინებს ბენეფიციარის ბიო-ფსიქო-სოციალურ ასპექტების ანალიზს, ბენეფიციარის და საზოგადოების ურთიერთობის საკითხს და მოიცავს ბენეფიციარის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს. სოციალური მუშაკის შეფასებისას გასათვალისწინებელია: ბენეფიციარის ურთიერთობები ოჯახთან, სხვა სოციალურ ჯგუფებთან და თემთან, ბენეფიციარის ბიო-ფსიქო-სოციალური ასპექტების ანალიზი, ბენეფიციარის ძლიერი და სუსტი მხარეები, პრობლემის აღქმისა და საჭიროების შესახებ თვით ბენეფიციარის შეხედულებებისა და აზრის გათვალისწინება და ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების შედეგები და რეკომენდაციები.<sup>189</sup>

ინფორმაციის შეგროვებისას სოციალური მუშაკს შეუძლია გამოიყენოს ყველა ის კანონიერი საშუალება, რომელიც მის ხელთაა. მაგალითად, როგორცაა ბენეფიციარის პირისპირ ინტერვიუს ტექნიკა, დაკვირვება, ინტერვიუ. თუ სოციალური მუშაკი შეფასების და პრობლემის განსაზღვრის პროცესში საკუთარი, ინფორმაციის ფარგლებში ვერ შეძლებს საჭირო ინფორმაციის მოპოვებას, იგი თანამშრომლობს სხვადასხვა სპეციალისტთან და ორგანოსთან ბენეფიციარის შეფასების პროცესში.

*მაგალითი: სოციალური მუშაკი, მიტოვებულ ბავშვებთან მუშაობს. ბავშვების მშობლებთან, მრავალშვილიან ოჯახთან მუშაობისას ადგენს, რომ მამა არის ნასამართლები, თუმცა მას გაქარწყლებული აქვს ნასამართლობა. ხოლო ბავშვების დედას სოციალური მუშაკის აზრით, აქვს სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები. ოჯახს არ სურს მამაკაცის ნასამართლობაზე საუბარი. დედას კი, შვილებთან ცუდი ურთიერთობა აქვს. სოციალურმა მუშაკმა, იმისათვის, რომ სწორედ განსაზღვროს პრობლემა, და შეაფასოს არასრულწლოვანის ბენეფიციარები, მიმართავს იუსტიციის სამინისტროს, რათა მოიპოვოს ინფორმაცია ბენეფიციარების მამის ნასამართლობის შესახებ. იმავე დროულად იგი მიმართავს ფსიქოლოგს, რომ გაესაუბროს ბავ-*

---

<sup>189</sup> მ. შალაშვილი, ს. ნამიჭიევშვილი, *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის სტანდარტები*, თბილისი, 2010, გვ. 17.

*შეების დედას. მოპოვებული ინფორმაციის შემდეგ სოციალური მუშაკი, ახდენს შეფასებას, პრობლემის განსაზღვრას, და გადადის შემდეგ ღონისძიებაზე.*

სოციალური მუშაკი, განახორციელებს თავდაპირველად, განაცხადის საფუძველზე ახდენს **შეფასებას**. მისთვის პირველ ეტაპზე ჯერ კიდევ უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად საჭიროა პირისათვის მისი მხარდაჭერა. თუ კი არსებობს საფრთხე<sup>190</sup> და იგი დარწმუნებულია, რომ მისი მხარდაჭერა აუცილებელია, იგი შემდგომ განახორციელებს **შეფასების ღონისძიებას**. გადაუდებელ მდგომარეობაში<sup>191</sup> შეიძლება არსებობდეს **გადაუდებელი შეფასების** აუცილებლობა. ამ უკანასკნელს სოციალური მუშაკი ახორციელებს მაშინ, როცა სახეზეა, მყისიერი საფრთხე, და სოციალურმა მუშაკმა, ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე ყველა ღონისძიება უნდა განახორციელოს მაქსიმალურად სწრაფად.

ბენეფიციარის შეფასებისა და პრობლემის განსაზღვრისათვის, სოციალური მომსახურების განმახორციელების დაწესებულება, ქმნის შესაბამის ფორმებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სოციალურმა მუშაკმა, აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისას. ამგვარი ფორმების შემუშავებასა და განახლებაში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი თვით სოციალური მუშაკები.

*მაგალითი: მეურვეობა-მზრუნველობის ცენტრალური ორგანოს სამუშაო აღწერილობის მიხედვით, სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის ვალდებულებაა, შეაფასოს სპეციალური მზრუნველო-*

---

<sup>190</sup> „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საფრთხე განიმარტება, როგორც „ვითარება, როდესაც არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ მოვლენების მოსალოდნელი განვითარების შეუფერხებელი მსვლელობის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ზიანი მიადგება ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესს“.

<sup>191</sup> „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაუდებელი შემთხვევა განიმარტება, როგორც – „მდგომარეობა, რომელიც მეყსეულ საფრთხეს უქმნის ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესს.“

*ბის საჭიროების მქონე პირებისა და მათი ოჯახების მდგომარეობა ზრუნვის ფორმისა და კონკრეტული სოციალური მომსახურების საჭიროების განსაზღვრისათვის, ასევე შეფასოს ოჯახის მდგომარეობა მიმღები ოჯახის სტატუსის მინიჭებისათვის;*

შეფასების შემდეგ, საფრთხის არსებობის შემთხვევაში სოციალური მუშაკი განსაზღვრავს დახმარების საჭიროების მქონე პირის პრობლემას. სოციალური მუშაკი განსაზღვრავს ასევე თუ რა რესურსი, იქნება საჭირო ბენეფიციარის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პრობლემის აღმოსაფხვრელად. მაგალითად, აქვთ თუ არა მას, ან მის დამსაქმებელ ორგანიზაციას შესაბამისი მომსახურების მიწოდების შესაძლებლობა. შესაბამისად, „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ „სოციალური მუშაკი შემთხვევის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე თვითონ აგრძელებს ბენეფიციართან მუშაობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ადგენს ბენეფიციარის მხარდამჭერ შესაბამის სპეციალისტს, ან უწყებას და ბენეფიციარს მასთან გადაამისამართებს.“

ბენეფიციარის საჭიროების შეფასებისა და პრობლემის განსაზღვრის ღონისძიებების შემდეგ, სოციალური მუშაკი, ან წყვეტს სოციალურ მუშაობას ბენეფიციართან და მოახდენს მის რეფერირებას შესაბამის სპეციალისტთან, ან გეგმავს შემდგომ ნაბიჯებს და აგრძელებს ბენეფიციართან სოციალურ მუშაობას.

#### **5.4. სოციალური მუშაობის დაგეგმვა**

კანონის 39-ე მუხლი პირველი პუნქტით ადგენს, რომ „სოციალური მუშაკი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ან პრობლემაზე რეაგირებისთვის ბენეფიციართან შეთანხმებით ადგენს სოციალური მუშაობის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას, ან განვითარების გეგმას.“ შემდეგი პუნქტებით კი, საკმაოდ დეტალურად აღწერს სოციალური მუშაობის დაგეგმვის ღონისძიებას. კონკრეტულად კი, კანონით გათვალისწინებულია, რომ სოციალური მუშაკის

მიერ შედგენილ „გეგმაში განსაზღვრული უნდა იყოს მიზნები, აუცილებელი სტრატეგია და სამოქმედო ეტაპები“. ხოლო, უკვე შედგენილ გეგმაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია ბენეფიციარის ასაკის და მისი განვითარების გათვალისწინებით, გეგმის განხორციელებაში მოწინააღმდეგე პირების თანხმობით, დადგენილ ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ სოციალური მუშაობა კრიზისული ინტერვენციის საფუძველზე მიმდინარეობს, ასეთ შემთხვევებზე ვერ გავრცელდება 39-ე მუხლით დადგენილი დებულებები.

სოციალურმა მუშაკმა უნდა უზრუნველყოს, ბენეფიციარის აქტიური ჩართულობა, მიზნების ჩამოყალიბების პროცესში და შეათანხმოს შემუშავებული მიზნები მასთან. მართალია, როგორც წესი, სოციალური მუშაობის ყველა ღონისძიება, მხოლოდ ბენეფიციარის ინფორმირებით თანხმობით უნდა განხორციელდეს, თუმცა ამგვარი წესიდან, შესაძლოა არსებობდეს გამონაკლისი. ამგვარ გამონაკლისს ადგენს კანონის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, „თუ ბენეფიციარი არ ეთანხმება გეგმას, ან გეგმის ნაწილს, სოციალურ მუშაკს უფლება აქვს, მისი ნების საწინააღმდეგოდ დამატაციოს გეგმა, ან გეგმის ნაწილი, თუკი სხვაგვარად საფრთხე შეექმნებოდა ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესს“.

*მაგალითი: სოციალური მუშაობა ხორციელდება ოჯახთან. ამ მუშაობის მიზანია, რომ თავიდან აიცილოს ბავშვის მიტოვების საფრთხე. სოციალურ მუშაკს, ჭირდება მარტოხელა დედასთან მუშაობა, რომელსაც აქვს ალკოჰოლის პრობლემა, და ერთხელ უკვე ჰქონდა შვილის მიმართ ფიზიკური ძალადობის მცდელობა. სოციალური მუშაკი, შეფასებაზე დაყრდნობით, ბავშვისა და დედის თანამონაწილეობით განსაზღვრავს ბენეფიციარის საჭიროებას, განსაზღვრავს პრობლემას, და შეიმუშავებს გეგმას, რომელიც მან უნდა შესთავაზოს დედა-შვილს, რათა მათი ინფორმირებული თანხმობით მიიღონ გადაწყვეტილება. აღნიშნულ გეგმას სრულიად ეთანხმება (11 წლის) ბავშვი, თუმცა, დედა არ ეთანხმება იმ ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს, იმ შემთხვევას, როცა დედის განმეორებით არაადექვატური ქცევის, კონკრეტულად ბავშვზე ფიზიკური, ან ფსი-*

*ქიკური ძალადობის შემთხვევაში, ბავშვი უნდა გადაეცეს მინდობით აღსაზრდელად. ბავშვის თანხმობის, მაგრამ დედის წინააღმდეგობის მიუხედავად, ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, სოციალური მუშაკი ამტკიცებს გეგმას.*

დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს სოციალურ მუშაობას, შემუშავებული აქვს, შესაბამისი ფორმები, რომელშიც სოციალურ მუშაკს წერილობით გადმოაქვს, შემუშავებული გეგმა. გეგმამ შესაძლოა ცვლილებები განიცადოს ბენეფიციარის მიერ მიღწეული პროგრესის, ან ასაკის ცვლილების, მაგალითად სრულწლოვანის მიღწევის შესაბამისად. გეგმა, გარდა კანონით დადგენილი კომპონენტისა - მიზნები, აუცილებელი სტრატეგია და სამოქმედო ეტაპები, შესაძლოა სოციალური სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, მოიცავდეს სხვა ინფორმაციასაც, მაგალითად კონკრეტულად განსახორციელებელ აქტივობებს და ჩართული პირების ჩამონათვალს. მხარდაჭერის გეგმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ბენეფიციარისათვის.

დადგენილ ვადაში, ხდება გეგმის გადასინჯვა სოციალური მუშაკის, ან ბენეფიციარის ინიციატივით, იმ მიზნით, რომ გეგმაში საჭიროებისამებრ შესაძლებელია ცვლილებების შეტანა ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. საყურადღებოა, რომ სოციალურ მუშაობაში დამკვიდრებული სტანდარტის თანახმად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მომსახურება ითვალისწინებს 10 წელს ზემოთ ბავშვის აზრს, ხოლო ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირის შემთხვევაში კი – მისი კანონიერი წარმომადგენლის.<sup>192</sup>

## **5.5. მხარდაჭერის განხორციელება**

სოციალური მუშაკის მიერ, ბენეფიციარის მხარდაჭერა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ღონისძი-

---

<sup>192</sup> მ. მგელიაშვილი, ს. ნამიჭივილი, *სახელმძღვანელო ბავშვებსა და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისათვის*, თბილისი, 2010, გვ. 68.

ებაა. მხარდაჭერაში იგულისხმება გეგმის მიზნების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ე.წ. ინტერვენცია. ძირითადი ამოცანა ამ პროცესში უკავშირდება ბენეფიციარის გაძლიერებას, რაც ითვალისწინებს ბენეფიციარის რესურსების, კომპეტენციის, შესაძლებლობებისა და არჩევანის განვითარებას, რათა აღდგეს, ან გაუმჯობესდეს ბენეფიციარის სოციალური ფუნქციონირება და მან შეძლოს დამოუკიდებლად მოქმედება.<sup>193</sup>

ფორმალური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ სოციალურმა მუშაკმა მხარდაჭერის განხორციელების პროცესში, აწარმოოს მიღწეული პროგრესის მონიტორინგი. იგი ყურადღებით აკვირდება და შეისწავლის ცვლილებებს ბენეფიციარის ცხოვრების წესში.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლი ადგენს, რომ მხარდაჭერის განსახორციელებლად, სოციალური მუშაკი მოქმედებს გეგმის განსახორციელებლად და მის შესაბამისად. ამავე მუხლის მეორე პუნქტით კი დადგენილია, მხარდაჭერის ღონისძიების მიზანი - „სოციალური მუშაკი მხარს უჭერს ბენეფიციარის შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად საზოგადოებაში მისი სოციალური კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით.“ კანონის მიერ დადგენილი ღონისძიების შესრულება, ასევე ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა ბენეფიციარს, სხვა სპეციალისტის მხარდაჭერა ჭირდება. მესამე პუნქტის თანახმად: „სოციალური მუშაკი გეგმის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, შემთხვევის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე ადგენს ბენეფიციარის მხარდამჭერ შესაბამის სპეციალისტს, ან უწყებას და ბენეფიციარს მასთან გადაამისამართებს და აზუსტებს შემთხვევის მიმდინარეობის სტატუსს.

სოციალური მუშაობის პრაქტიკაში მხარდაჭერის ღონისძიებას, სიტყვა -ინტერვენცია გამოხატავს და გულისხმობს სოციალური მუშაკის მიერ ბენეფიციარის დასახმარებლად გაწეულ ნებისმიერ მომსახურებას. აღნიშნული ღონისძიება აქცენტს აკეთებს პრობლე-

---

<sup>193</sup> იქვე, გვ. 70.

მის გადაჭრასა და სოციალურ ცვლილებაზე იმის მიხედვით, თუ რომელ მიზნობრივ ჯგუფთან ხდება სოციალური მუშაკის მიერ მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელება, იგი იყენებს სხვადასხვა ინტერვენციის ტიპს, მაგალითად, კონსულტირება, ადვოკატირება, ფასილიტაცია, ოჯახური კონფერენცია და სხვა.<sup>194</sup>

მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელებისათვის, სოციალური მომსახურების განხორციელებელ ორგანოს შემუშავებული აქვს სოციალური მუშაობის გეგმის დამტკიცებული ფორმა, რომელსაც იყენებს სოციალური მუშაკი. იგი მხარდაჭერის განხორციელებას აღრიცხავს და დეტალურად აღწერს წერილობითი ფორმით. ბენეფიციარის პროგრესის მონიტორინგის პროცედურებს, ვადებს, სიხშირეს და ამგვარი ჩანაწერის ფორმებს ადგენს თვით უწყება. მომსახურებას შემუშავებული აქვს შემთხვევის გადასინჯვისა და დახურვის ფორმა, რომელსაც იყენებს სოციალური მუშაკი.

მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ბოლო ეტაპი, ასევე ითვალისწინებს ბენეფიციარის მიერ მიღწეული პროგრესის რამდენიმე შუალედურ და დასკვნით შეფასებას. სოციალური მუშაკი შეისწავლის და აანალიზებს ცვლილებას ბენეფიციარის შეხედულებებში და ცხოვრების წესში, ასევე სოციუმთან ურთიერთკავშირებს. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის ვადის გასვლამდე სოციალური მუშაკი გადასინჯავს შემთხვევას, რაც გულისხმობს სამოქმედო გეგმისა და ჩარევის შედეგების შეფასებას დასახულ მიზნებთან მიმართებისას. შემთხვევის გადასინჯვის შედეგად სოციალურ მუშაკს გამოქვს დასკვნა გეგმით გათვალისწინებული მომსახურების ტიპის გაგრძელების, შეწყვეტის, ან შეცვლის თაობაზე.

ბენეფიციარის მხარდაჭერის ღონისძიების დასრულება, არის ერთ-ერთი საფეხური. სოციალური მუშაკი თვითონ აფასებს, მხარდაჭერის მსვლელობას, და იღებს გადაწყვეტილებას სერვისის დასრულების შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც მიღწეულია გეგმით დასახული მიზნები, მაშინ ბენეფიციარის უსაფრთხოება აღარ

---

<sup>194</sup> იქვე, გვ. 65.

არის ეჭვქვეშ. თუმცა, მხარდაჭერის ღონისძიება სრულდება მაშინაც, როცა სოციალური მუშაკი თვლის, რომ მას არ ძალუძს გეგმით დასახული მიზნების მიღწევა, რისთვისაც საჭიროა რეფერირება ალტერნატიულ სპეციალისტებზე და სერვისებზე.

მხარდაჭერის ღონისძიებას უნდა ჰქონდეს შემდგომი დაგეგმვა და მდგრადი შედეგები. გარკვეული დროის შემდეგ ბენეფიციარმა, დამოუკიდებლად უნდა შეძლოს საკუთარი პრობლემის დაძლევა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მყისიერად ჩამოცილდება შემთხვევას. სოციალური მუშაკი მონაწილეობს, შედეგის შენარჩუნების სტრატეგიის დაგეგმვაში. რომელზეც გარკვეული სიხშირით, მის მიერ მონიტორინგი ხორციელდება. მონიტორინგი გულისხმობს, გადამოწმებას, თუ რამდენად ნარჩუნდება მიღწეული შედეგი.

## 5.6. სხვა ღონისძიება

მიუხედავად იმისა, რომ „სოციალური მუშაობის შესახებ“, კანონი საკმაოდ, ამომწურავად განიხილავს სოციალური მუშაობის ყველა დასარეგულირებელ მიმართულებას და ღონისძიებას იგი მაინც ღიაა ახალი, ინოვაციური მიდგომებისათვის. კანონმდებელი ითვალისწინებს რა, რომ სოციალურმა მუშაობამ შესაძლოა, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში განვითარებადი სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის ახალი ფუნქციები შეიძინოს, ტოვებს ე.წ. ღია ნორმებს კანონში. ამგვარი არის მაგალითად „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის მე-40 მუხლი - „სოციალური მუშაკი უფლებამოსილია განახორციელოს ისეთი ღონისძიება, რომელიც ამ კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ უზრუნველყოფს ბენეფიციარისთვის საფრთხის თავიდან აცილებას და ემსახურება ბენეფიციარის საზოგადოებაში ინტეგრაციას.“ აღნიშნული დებულება „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონში, ერთგვარი ღია კარის როლს ასრულებს.



## თავი 6. სოციალური მუშაკის პროფესია

კანონი განსაზღვრავს სოციალური მუშაკის პროფესიულ კვალიფიკაციას. იგი ფაქტობრივად მას რეგულირებად პროფესიად აცხადებს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სოციალური მუშაკის კვალიფიკაციის ზრდას და ხარისხიანი სოციალური მუშაობის სისტემის ჩამოყალიბებას საქართველოში. კანონი აყალიბებს ძირითად მოთხოვნებს და ადგენს, თუ რა კომპეტენციებს, კვალიფიკაციას უნდა ფლობდეს სოციალური მუშაკი.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სოციალური სამუშაოს შესრულების პირობებს, ადგენს სოციალური მუშაკის შრომით გარანტიებს და არეგულირებს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების ფარგლებს. იგი ასევე ითვალისწინებს განსაკუთრებულ მიდგომებს სოციალური მუშაკის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, სოციალური მუშაკის დაღუპვის შემთხვევაში, ან მისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარებისას და ზრდის მისი უსაფრთხოების გარანტიებს. კანონმა განსაზღვრა სოციალური მუშაკის უსაფრთხოების, სამუშაო დროის, დატვირთვის, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სტანდარტები, სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობისა და წახალისების კარიერული წინსვლის ფორმები.

### 6.1. სოციალური მუშაკის პროფესიული კვალიფიკაცია

სოციალური მუშაობა შესაბამისი განათლების, პროფესიული კვალიფიკაციის, კომპეტენციის მქონე პირის მიერ უნდა განხორციელდეს. იგი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ეფექტიანი და დინამიური. საჯარო დაწესებულება ვალდებულია პირის სოციალურ მუშაკის პოზიციაზე დანიშვნამდე შეაფასოს მისი ამ კომპონენტებთან შესაბამისობა. „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე, საკანონმდებლო დონეზე არ იყო დადგენილი სოციალური მუშაობისთვის საერთო, რელევანტური მოთხოვნები. საჯარო დაწესებულებები პირს სოციალურ მუშაკის პოზიციაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და თავიანთი უწყებრივი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად ნიშნავდნენ, რომლებიც სოციალური მუშაკის პროფესიული მახასიათებლების შესახებ სპეციალურ დებულებებს არ ითვალისწინებდა. „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით ეს მიდგომა შეიცვალა. კანონმა პირდაპირ განსაზღვრა სოციალური მუშაკის პროფესიის ძირითადი მოთხოვნები და კომპეტენციები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე პირს არ მიენიჭება სოციალური მუშაობის უფლებამოსილება. მნიშვნელოვანია, რომ ამ კანონმა პრაგმატული, სისტემური მიდგომა დაადგინა და საჯარო დაწესებულებაში სოციალური მუშაკის პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების, კანდიდატის შერჩევისა და დანიშვნის პროცედურების განხორციელება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ წესებს დაუკავშირა.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით საჯარო დაწესებულებაში სოციალურ მუშაკად შესაძლებელია დაინიშნოს პირი, რომელიც სულ მცირე აკმაყოფილებს სოციალური მუშაკის პროფესიისთვის დადგენილ ძირითად მოთხოვნებს და რომელსაც გააჩნია ამავე კანონით განსაზღვრული კომპეტენციები, რომლებიც ქვემოთაა განხილული.

### **6.1.1. სოციალური მუშაკის პროფესიისთვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები**

სოციალური მუშაკის პროფესიისთვის დადგენილია ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც საერთოა ყველა იმ საჯარო (და კერძო) დაწესებულებისათვის, სადაც სოციალური მუშაკები არიან დასაქმებული. თუმცა, საჯარო უწყებაში შესაძლებელია ზოგადად საჯარო მოსამსახურის ფუნქციიდან, მათ შორის სოციალური მუშაკის, როგორც საჯარო მოსამსახურის დარგობრივი კომპეტენციიდან გამომდინარე განსაზღვრული იყოს სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (მაგ.: სოციალური მუშაობის რომელიმე სფეროში მუშაობის გამოცდილება, ბენეფიციართა ინტერესებიდან გამომდინარე უცხო ენის ცოდნა, კომპიუტერულ პროგრამა-

მებთან მუშაობის ცოდნა და სხვა) პირის სოციალურ მუშაკად დასაქმებისთვის. საჯარო მოსამსახურის, მათ შორის სოციალური მუშაკის სპეციალური მოთხოვნები დადგენილია საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე აქტით<sup>195</sup>, ხოლო დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს განსაზღვრავს თითოეული საჯარო დაწესებულება საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - საჯარო სამსახურის ბიუროსთან<sup>196</sup> შეთანხმებით, თითოეული თანამდებობის, მათ შორის, სოციალური მუშაკის პოზიციის სპეციფიკის და ამ პოზიციისთვის დადგენილი სამუშაო აღწერილობის შინაარსის გათვალისწინებით.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სოციალური მუშაკი შეიძლება იყოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) *იგი არის სრულწლოვანი* - პირი სრულწლოვანად მიიჩნევა 18 წლის ასაკის მიღწევიდან;

ბ) *მან იცის სახელმწიფო ენა* - საჯარო დაწესებულებებში საქმისწარმოება სახელმწიფო ენაზე - ქართულ ენაზე ხორციელდე-

---

<sup>195</sup> „პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N218 დადგენილება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3652566> [22.08.2018].

<sup>196</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო სამსახურის ბიურო დაფუძნებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. ბიუროს შექმნის მიზანია საჯარო სამსახურის სფეროში საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა, საჯარო სამსახურის კანონმდებლობით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების განხორციელების, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღების, შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის საჯაროობის, დადგენილ ვადაში და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩაბარების კონტროლის უზრუნველყოფა. ბიუროს ფუნქციები ვრცლად იხილეთ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 21-ე მუხლებში, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098> [22.08.2018].

ბა.<sup>197</sup> პირმა უნდა იცოდეს ქართული ენა, რათა შეეძლოს საქმისწარმოება, დოკუმენტების მომზადება, ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, ანალიზი, ბენეფიციარებთან კომუნიკაცია, ხელმძღვანელობასთან ანგარიშგება და სხვა;

გ) *მას აქვს სოციალური მუშაობის სფეროში აკადემიური ხარისხი, ან სოციალური მუშაკის სერტიფიკატი* - პირს სოციალური მუშაობის სფეროში მიღებული უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და მინიჭებული უნდა ჰქონდეს ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული, ან დოქტორის აკადემიური ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ მას ასეთი განათლება არ გააჩნია, ესაჭიროება სოციალური მუშაკის სერტიფიკატი, რომელიც არის სოციალური მუშაკის თანამდებობაზე მიღების მსურველის მიერ აუცილებელი ცოდნის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სერტიფიცირების მიზანია პირის მიერ საბაზისო აკადემიური ცოდნის მიღება.<sup>198</sup> სერტიფიცირების გავლის უფლება აქვს პირს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე სოციალურ მუშაკად მუშაობს, ან პირს, რომელიც არ მუშაობს სოციალურ მუშაკად, მაგრამ აქვს სოციალური მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება.

დ) *პირი პიროვნული თვისებებით შეესაბამება სოციალური მუშაკის პროფესიას* - პირი უნდა აცნობიერებდეს სოციალური მუშაობის მნიშვნელობას და იცავდეს სოციალური მუშაობის პრინციპებს (იხილეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს მეორე თავი);

ე) *პირი ფლობს სოციალური მუშაკისთვის განსაზღვრულ კომპეტენციებს* (იხილეთ ქვემოთ).

აღნიშნულ მოთხოვნებთან სოციალური მუშაკის უნარების, შესაძლებლობებისა და კომპეტენციების შესაბამისობას ადგენს ის

---

<sup>197</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270> [22.08.2018].

<sup>198</sup> „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის თანახმად, სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირება ეტაპობრივად დაიწყება 2019 წლის 01 იანვრიდან და დასრულდება 2021 წლის 1 იანვრამდე არაუგვიანეს 3 თვისა.

დაწესებულება, რომელსაც უშუალოდ უნდა დაექვემდებაროს სოციალური მუშაკი დასაქმებისას.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების გარდა, საჯარო დაწესებულებაში პირის სოციალურ მუშაკად მიღებას „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი უკავშირებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომლებიც პირს საჯარო უწყებაში მუშაობას არ უკრძალავს. საჯარო სამსახურში პირი მოხელედ, მათ შორის სოციალურ მუშაკად არ მიიღება თუ:

- იგი არის ნასამართლელი განზრახი დანაშაულისათვის;
- იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომისათვის და დისციპლინური გადაცდომისათვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ არის გასული;
- მან სამსახურში მიღებისას არ წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;
- მას სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს საჯარო სამსახურში შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;
- იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო (თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული)

ესენია ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში პირი ვერ განახორციელებს სოციალური მუშაკის პოზიციისთვის დაკისრებულ უფლებამოსილებებს, პირველ რიგში, იმის გათვალისწინებით, რომ რომელიმე ასეთის ფაქტის არსებობა საფრთხეს შეუქმნის სოციალური მუშაობის სისტემის მიმართ მოქალაქეების ნდობას და ექვს გააჩენს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობისა და კანონიერების პრინციპებთან შესაბამისობისადმი. მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში ივარაუდება, რომ პირს არ შესწევს უნარი განახორციელოს დაკისრებული უფლებამოსილებები. ნიშანდობლივია, რომ პირის სოციალ-

ური მუშაკის პოზიციაზე დანიშვნის ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვების არ არსებობა უნდა დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე, რომლის წარდგენის ვალდებულებაც უნდა განსაზღვროს საჯარო დაწესებულებამ საკონკურსო მოთხოვნებში.

მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მუშაკი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანამდებობის პირი, ან სხვა პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით ეკრძალება სოციალური მუშაობის ჩატარება (მაგალითად, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, მინისტრი და სხვა).

### **6.1.2. სოციალური მუშაკის კომპეტენციები**

სოციალური მუშაობის ეფექტიანად განხორციელებისთვის პირი უნდა ფლობდეს პროფესიულ კომპეტენციებს. სოციალური მუშაობა აკადემიურ ცოდნაზე, მეთოდოლოგიაზე, სტრატეგიაზე, კომუნიკაციაზე დაფუძნებული პროფესიაა. მას ახასიათებს მულტი-სექტორულობა. აქედან გამომდინარე, პირს უნდა გააჩნდეს სოციალური მუშაობის როგორც პროფესიული, აგრეთვე პერსონალური კომპეტენცია. სოციალური მუშაობის განსახორციელებლად პირი უნდა ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს:

ა) **სტრატეგიული კომპეტენცია** – პირს უნდა შეეძლოს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, შედეგზე ორიენტირებული მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე საკუთარი საქმიანობა სტრატეგიულად დაგეგმოს;

ბ) **მეთოდოლოგიის გამოყენების კომპეტენცია** – ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, პირს უნდა ჰქონდეს სოციალური მუშაობის მეთოდების და ფსიქოსოციალური კონცეფციების გამოყენების უნარი;

გ) **სოციალურ-პედაგოგიური კომპეტენცია** – პირს უნდა გააჩნდეს ბენეფიციართა მიზნობრივ ჯგუფებთან პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარების კომპეტენცია;

დ) **სამართლებრივი კომპეტენცია** – სოციალური მუშაობა თავისთავად გულისხმობს სამართლებრივ აქტებთან ურთიერთობას, მათ ანალიზს. შესაბამისად, პირს უნდა შეეძლოს სამართლებრივ საკითხებზე ბენეფიციარისათვის კონსულტაციის გაწევა და სოციალური მუშაობისთვის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ბაზის გამოყენებით აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოება;

ე) **ადმინისტრაციული კომპეტენცია** გულისხმობს ბენეფიციარის სპეციალური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით მესამე პირებთან მუშაობას. სოციალური მუშაობის განმახორციელებელ პირს უნდა გააჩნდეს სამთავრობო ან/და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიზნობრივი და კოორდინირებული მუშაობის წარმართვის უნარი;

ვ) **პერსონალური კომპეტენცია** – პირს საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფისათვის უნდა შეეძლოს პიროვნული უნარების გაუმჯობესებაზე, თვითგანვითარებაზე, თვითრეალიზაციაზე ზრუნვა;

ზ) **კომუნიკაციის კომპეტენცია** – პირი უნდა ფლობდეს ბენეფიციართან სოციალური მუშაობის კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური ფორმების გამოყენებით წარმართვის უნარებს;

თ) **პროფესიულ-ეთიკური კომპეტენცია** – პირს უნდა შეეძლოს სოციალური მუშაობის პროფესიული ეთიკის ნორმებისა და ღირებულებების საფუძველზე წარმართვა;

ი) **პროფესიული განვითარების კომპეტენცია** – ბენეფიციართან სოციალური მუშაობის სრულყოფისათვის პირს უნდა გააჩნდეს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის უნარი.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ არ აკონკრეტებს, რომ ეს კომპეტენციები სავალდებულოა მხოლოდ საჯარო დაწესებულებაში პირის სოციალურ მუშაკად დასაქმებაზე. აქედან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ისინი გათვალისწინებული უნდა იქნეს, როგორც საჯარო სამსახურში, აგრეთვე კერძო სექტორში სოციალური მუშაკის მიღებისას. გარდა ამისა, ამ კანონის მოთხოვნაა, რომ აღნიშნული კომპეტენციები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ერთი მხრივ, იმ უმაღლესი საგანმა-

ნათლებლო დაწესებულებების მიერ, რომლებიც სოციალური მუშაობის სფეროში პირს ბაკალავრის, მაგისტრის, ან დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებენ, მეორე მხრივ, სოციალური მუშაკის სერტიფიკატის გაცემისას, შესაბამისად, თუ პირს ასეთი კომპეტენცია არ გააჩნია, მას არ უნდა მიენიჭოს სოციალური მუშაობის აკადემიური ხარისხი, მასზე არ უნდა გაიცეს სოციალური მუშაკის სერტიფიკატი და სოციალურ მუშაკად არ უნდა დასაქმდეს.

## **6.2. სოციალური მუშაკის სოციალური გარანტიები**

სოციალური მუშაობის განმახორციელებელმა უწყებამ სოციალურ მუშაკს უნდა შეუქმნას შესაბამისი სამუშაო გარემო, რომელიც იქნება უსაფრთხო, მატერიალურ-ტექნიკურად გამართული, სოციალურ სამუშაოზე ორიენტირებული. გარდა ამისა, სოციალური სამუშაოს ეფექტიანად განხორციელებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაკს გააჩნდეს სოციალური გარანტიები, რომელიც მას შეუქმნის განცდას, რომ მისი საქმიანობა სახელმწიფოს მიერ დაფასებული და მხარდაჭერილია.

საკანონმდებლო დონეზე „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით საჯარო უწყებებს პიროვნულად დაევალებათ სოციალური მუშაკის სამუშაოს პირობების შექმნის, უსაფრთხოების, სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის ვალდებულება. კანონმა დაადგინა სოციალური მუშაკის უსაფრთხოების, სამუშაო დროის, დატვირთვის, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სტანდარტები.

### **6.2.1. სოციალური მუშაკისთვის სამუშაო პირობების შექმნა**

დამსაქმებელი საჯარო დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით სოციალურ მუშაკს უფლება აქვს ჰქონდეს უსაფრთხო სამუშაო პირობები და მიიღოს ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელი მატერიალური, ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები. ამასთან, სოციალური მუშაკი ვალდებულია გაუფრთხილდეს



სამსახურის ქონებას, იგი რაციონალურად, მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად გამოიყენოს.

ბენეფიციარისთვის სრულყოფილი და ეფექტიანი კონსულტაციის გასაწევად სოციალური მუშაკის დამსაქმებელი დაწესებულება ვალდებულია გამოიყოს შესაბამისი ადგილი და შექმნას სამუშაო გარემო. გამომდინარე იქიდან, რომ სოციალური მუშაობა გულისხმობს ბენეფიციარის პერსონალურ ინფორმაციასთან კავშირს, კონფიდენციალურობის დაცვას, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სოციალური მუშაობისთვის ისეთი ადგილის გამოყოფა, რომელშიც გარანტირებული იქნება ბენეფიციარისა და სოციალური მუშაკის იზოლირებული ყოფნა.

სოციალური მუშაკისთვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნაში არ იგულისხმება მხოლოდ უწყების შენობაში სათანადო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა, არამედ იგი ვრცელდება იმგვარ შემთხვევებზეც, როდესაც კონკრეტულ საქმეზე სოციალურ მუშაკს უწევს ტრანსპორტირება.

დაწესებულება ვალდებულია სოციალურ მუშაკებს მოეპყრას თანაბრად და სამართლიანად ადამიანური რესურსების მართვის, შრომის პირობების, ანაზღაურებისა და სამართლებრივი დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. უწყების მხრიდან დაუშვებელია არსებითად ერთი და იგივე მდგომარეობაში მყოფი სოციალური მუშაკების მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება შრომის პირობებისა, თუ ანაზღაურების მიმართულებით.

### **6.2.2. სოციალური მუშაკის უსაფრთხოება**

სოციალური მუშაკის ინსტიტუციური რეფორმის განხორციელებისას გამოიკვეთა, რომ თვით სოციალური მუშაკები, რომლებმაც პირნათლად უნდა შეასრულონ მათზე დაკისრებული საკმაოდ რთული მოვალეობა და უზრუნველყოს თითოეული ბენეფიციარის უფლებების რეალიზება, არ იყვნენ შესაბამისად დაცული. თითოეული სოციალური მუშაკის დაცულობა მნიშვნელოვანია არამხოლოდ სოციალური მუშაკებისთვის სუბიექტურად, არამედ

მთლიანი საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით ბენეფიციარებისათვის.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, დაწესებულება, რომელშიც სოციალური მუშაკია დასაქმებული, ვალდებულია კანონქვემდებარე აქტით შეიმუშაოს და დანერგოს სოციალური მუშაობის უსაფრთხოების წესი, რომელიც სოციალური მუშაკის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის რისკებს მინიმუმამდე შეამცირებს. ასეთი წესის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა შესაძლო რისკის წყარო საფრთხის დონისა და შესაძლო შედეგების მიხედვით. იგი უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის პრევენციულ ზომასაც. გარდა ამისა, სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებული შემთხვევის მართვის სტანდარტში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სოციალური მუშაობის ჩატარებასთან დაკავშირებით უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი წინასწარი ზომების მიღების პროცედურა, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საჭიროების განსაზღვრის კრიტერიუმები, ფუნქციების გადანაწილება და არსებული საფრთხის აღმოფხვრის მექანიზმი. სოციალური მუშაკი ვალდებულია განუხრელად შეასრულოს მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ნორმატიულად დადგენილი, უწყების მიერ განსაზღვრული შესასრულებელი მითითებები.

### **6.2.3. სოციალური მუშაკის სამუშაო დრო**

სოციალური მუშაობის სრულყოფილად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაობის განმახორციელებელ საჯარო დაწესებულებას გააჩნდეს მუშაობის მკაფიოდ განსაზღვრული დრო, სოციალური მუშაკის საქმეებით დატვირთვის ზედა ზღვარი, სოციალური მუშაკის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების სისტემა.

საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის სოციალური მუშაობის განმახორციელებელ უწყებებში დადგენილია 5-დღიანი სამუშაო კვირა. საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის, მათ შორის სოციალური მუშაკის სამუშაო დროის ხანგრძლივობა დღეში არ უნდა

აღმატებოდეს 8 საათს (არ იგულისხმება შესვენებისთვის გამოყოფილი პერიოდი - 1 საათი), ხოლო კვირაში - 40 საათს. საჯარო უწყებებში სამუშაო დრო იწყება 09:00 საათზე და სრულდება 18:00 საათზე.<sup>199</sup> საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები, მათ შორის სოციალური მუშაკები სარგებლობენ უქმე და დასვენების დღეებში<sup>200</sup> დასვენების, ანაზღაურებადი და სასწავლო შვებულების უფლებით.

სოციალურ მუშაკს ზემდგომი თანამდებობის პირის დავალებით შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისთვის, დამატებითი ფუნქციების დაკისრებისას, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს სამუშაო პირობებში საქმიანობის გამო ეძლევა სახელფასო დანამატი. გარდა ამისა, სოციალურ მუშაკს სახელფასო დანამატი მიეცემა ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის გამოც.

**ღამის საათებში მუშაობა** არის სამუშაო, როცა მოხელე, მათ შორის სოციალური მუშაკი დასაქმებულია 22:00 საათიდან 06:00 საათამდე. მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღმატებოდეს 7 საათს. საჯარო დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით დაწესდეს ღამის საათებში მუშაობა, ან დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ან/და მოხელის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია მოხელე გადაყვანილ იქნეს ღამის საათებში სამუშაოდ.

**დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობაში** იგულისხმება საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული დასვენების დრო და უქმე დღეებში მუშაობა.

**ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი სამუშაო პირობები** ნიშნავს სამუშაო პირობებს, გარემოს ან/და სამუშაოს სპეციფიკას, რომელიც საფრთხის მატარებელია ადამიანის ჯანმრთელობისათ-

---

<sup>199</sup> „ზოგიერთ საჯარო დაწესებულებაში სამუშაო დროის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 4 აგვისტოს N270 ბრძანება.

<sup>200</sup> უქმე და დასვენების დღეებს განსაზღვრავს საქართველოს შრომის კოდექსი.

ვის და განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით. ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებზე მოხელის გადაყვანა წარმოადგენს უკიდურეს აუცილებლობას. ასეთ სამუშაო პირობებში მოხელის გადაყვანა შესაძლებელია საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ მიღებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

სოციალურ მუშაკს შეუძლია უარი თქვას ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისთვის დანამატის მიღებაზე და მოითხოვოს დამატებითი დასვენების დრო ზეგანაკვეთური სამუშაოს პროპორციულად.<sup>201</sup>

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის სიახლეს წარმოადგენს სოციალური მუშაკის საქმეთა დატვირთვის ზედა ზღვრის დაწესება. იგი წარმოადგენს სოციალური მუშაკის დამცავ მექანიზმს, რომელიც მას იცავს საქმეებით გადატვირთულობისგან. სოციალური მუშაკის სამუშაოს სირთულიდან გამომდინარე, მიმდინარე საქმეთა (შემთხვევათა) ზღვრული ოდენობა 50-ს არ უნდა აღემატებოდეს. დამატებით მიღებული საქმეებით გათვალისწინებული შემთხვევები არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ ოდენობას (50-ს) ამ ოდენობის ერთი მესამედით. აღნიშნული დებულება, რათქმაუნდა არ ნიშნავს, რომ ყველა სოციალური მუშაკს 50 საქმე მაინც უნდა ჰქონდეს, რადგან ზოგიერთ, მაგალითად კანონთან კოფლიქტში მყოფ პირებთან მომუშავე სოციალური მუშაკი, გაცილებით უფრო ცოტა შემთხვევაზე მუშაობს. აღნიშნული ნორმა თემში, ოჯახებთან და ბავშვებთან, სპეციალიზაციით დასაქმებულ სოციალურ მუშაკებზე ვრცელდება. ყველა უწყებამ, თვითონ უნდა დაადგინოს გონივრული ზღვარი, რომლის ფარგლებში

---

<sup>201</sup> ვრცლად იხილეთ „საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, დამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №201 დადგენილება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3646097>, [22.08.2018].

სოციალურმა მუშაკმა შესაძლოა ხარისხიანად შეასრულოს დაკისრებული სამუშაო.

სოციალური სამუშაოს ზედა ზღვრის განსაზღვრა ემსახურება, ერთის მხრივ სოციალური მუშაკისათვის, შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნას, ხოლო მეორეს მხრივ, ბენეფიციარისათვის ხარისხიანი სოციალური მომსახურების მიწოდებას. შესაბამისად, ყველა უწყებამ, თავად უნდა განსაზღვროს სოციალური მუშაკის შესაბამისი სამუშაო დატვირთვა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 50 მიმდინარე შემთხვევას.

სოციალური მუშაკების დღევანდელ სამუშაო დატვირთვასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს სოციოლოგიური კვლევა, რომელიც 2017 ივნის / ივლისში ჩატარდა, წინ უძღოდა "სოციალური მუშაობის შესახებ" კანონის მიღებას.<sup>202</sup> რომლის მიხედვითაც ერთი სოციალური მუშაკი თვეში, საშუალოდ, 100-დან 120-მდე შემთხვევაზე მუშაობს. საერთაშორისო ნორმით, 10 ათას მოსახლეზე ერთი სოციალური მუშაკი ან, საუკეთესო შემთხვევაში, 5 ათას მოსახლეზე ერთი სოციალური მუშაკი უნდა მუშაობდეს. საქართველოში კი, საქსტატის მონაცემების გათვალისწინებით, ერთ სოციალურ მუშაკზე 15 557 მოსახლე მოდის.<sup>203</sup> კვლევის დასკვნის თანახმად კი: „ქვეყანაში სოციალურ მუშაკთა მცირე რაოდენობის გამო, მათ არასამუშაო დროს უწყვეტ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება, მრავალ ქეისზე ერთდროულად მუშაობენ, რაც თავისთავად პროფესიული გადაწვის საფრთხეს მოიაზრებს. აქედან გამომდინარე სასურველი იქნება, თუ სოც. მუშაკთა რაოდენობა გაიზრდება და ანაზღაურების გაცემა მოხდება სამუშაო დატვირთვის შესაბამისად“. სწორედ, ამ კვლევის საფუძველზე მიიღო კანონმდებლებმა გადაწყვეტილება, რომ სოციალური მუშაკებისათვის განსაზღვრუ-

---

<sup>202</sup> „სოციალური სამუშაო, სოციალური მუშაკების ფუნქციები და სტატუსი“, სოციოლოგიური კვლევა ჩატარებულია დამოკრატის განვითარების სააგენტოს მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით, 2017 ივნისი/ივლისში.

[https://ddaagencyblog.files.wordpress.com/2017/10/fes\\_analysis\\_.pdf](https://ddaagencyblog.files.wordpress.com/2017/10/fes_analysis_.pdf)

<sup>203</sup> იქვე გვ. 16.

ლიყო, მაქსიმალურ საქმეთა ოდენობა, და გარდა ამისა უზრუნველყოფილი იქნეს მეტი სოციალური მუშაკის დასაქმება.

6.2.4. სოციალური მუშაკის სოციალური გარანტიები დაღუპვის, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარების დროს

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგდა სოციალური მუშაკის სოციალური ალიმენტაციის საკითხები. კანონის ამოქმედების შემდეგ მოქმედებს სოციალური მუშაკისა და მისი ოჯახის მატერიალური დახმარების ზოგადი წესი. იგი ორგანოა:

ა) **ოჯახის დახმარება** - სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით სოციალური მუშაკის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 10 000 ლარის ოდენობით, მიუხედავად სოციალური მუშაკის დასაქმების ადგილისა;

ბ) **სოციალური მუშაკის დახმარება** - სოციალურ მუშაკს, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიიღო სხეულის დაზიანება, რის შედეგადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად იქნა აღიარებული, ან დასახიჩრდა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 5 000 ლარისა, მიუხედავად მისი დასაქმების ადგილისა. ტერმინის - „დასახიჩრება“ – შინაარსობრივი მოცულობა კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული. მიზანშეწონილია იგი გამოყენებულ უნდა იქნეს ფართო გაგებით და სამსახურებრივი მოვალეობის დროს სხეულის ნებისმიერი დაზიანება, რაც კი სამედიცინო ჩარევას საჭიროებს, დაექვემდებაროს ანაზღაურებას.<sup>204</sup>

---

<sup>204</sup> საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები, რედ. ე. ქარდავა, თბილისი, 2018, გვ. 237.

### **6.3. სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობა და წახალისება**

სოციალური მუშაობა დამოუკიდებელი საქმიანობაა. თუმცა, როგორც საზოგადოებრივი, აგრეთვე ბენეფიციარის ინტერესებიდან გამომდინარე იგი ზედამხედველობას ექვემდებარება. სოციალური მუშაობის ზედამხედველობის ფარგლები საკანონმდებლო დონეზე პირველად „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონმა განსაზღვრა. იგი ადგენს არა სოციალური მუშაკის საქმიანობაში ჩარევის მექანიზმს, არამედ კონტროლის ინსტრუმენტებს. გარდა ამისა, ამ კანონით გათვალისწინებული იქნა სოციალური მუშაკის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, რომელიც გამომდინარეობს საჯარო დაწესებულებაში პირის მიმართ დისციპლინური დევნის მიზნებიდან, პრინციპებიდან და პროცედურებიდან.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის აქცენტირება ხორციელდება სოციალური მუშაკის წახალისების ფორმებსა და კარიერულ წინსვლაზე. კანონმა შექმნა სოციალური მუშაობის მასტიმულირებელი მექანიზმები, რომლის ძირითადი მიზანი სოციალური მუშაკის მოტივაციის ამაღლება, საქმიანობის დაფასებაა.

#### **6.3.1. სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობა**

სოციალური მუშაობის სფეროში ცენტრალური ადგილი უკავია სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობას. იგი არის სოციალური მუშაობის განუყოფელი ელემენტი. სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობა მნიშვნელოვანია სოციალური მუშაობის სისტემის ეფექტიანობისთვის, სოციალური მუშაკის პროფესიული ზრდის ხელშეწყობისა და მის მიერ მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებისთვის, ბენეფიციარისთვის - მიიღოს სრული და მის პრობლემებზე ორიენტირებული მომსახურება. მას კავშირი მხოლოდ სოციალური მუშაობის სფეროსთან გააჩ-

ნია და არ გულისხმობს სოციალური მუშაკის, როგორც საჯარო მოსამსახურის საქმიანობის კონტროლს.

სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობა ორი კომპონენტისგან შედგება: სოციალური მუშაკის თვითშეფასებისგან და შრომის ზედამხედველობისგან.

ა) *სოციალური მუშაკის თვითშეფასება* გულისხმობს მის მიერ სოციალური მუშაობის ჩატარებისას თითოეული გეგმის ფარგლებში და გეგმის მიღმა განხორციელებული საქმიანობის შედეგების შეფასებას. მას შესაძლებელია გააჩნდეს ყოველთვიური, კვარტალური ან/და წლიური ხასიათი. სოციალურმა მუშაკმა თვითშეფასება ობიექტურად უნდა განახორციელოს. თვითშეფასების დოკუმენტი უნდა მოიცავდეს, როგორც საქმიანობაში წინსვლას, ისე საქმიანობაში ხარვეზებს, უნდა განსაზღვრავდეს გამოწვევებს და უწყებას სთავაზობდეს მისი საქმიანობის გაუმჯობესების, განვითარების გეგმას.

ბ) *სოციალური მუშაკის შრომის ზედამხედველობა* არის სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობის პროცესი, რომლის მიზანია სოციალური მუშაკის მიერ უფლებამოსილებების განხორციელების მიზნობრიობისა და კანონიერების შემოწმება. სოციალური მუშაკის შრომის ზედამხედველობას ახორციელებს ის დაწესებულება, რომელსაც სოციალური მუშაკი ექვემდებარება. სოციალური მუშაკის შრომის ზედამხედველობა შესაძლებელია გულისხმობდეს, როგორც კონკრეტული შემთხვევების, აგრეთვე სოციალური მუშაკის წლიური საქმიანობის შეფასებას. კონკრეტული შემთხვევების შეფასება ხდება შემთხვევითი შერჩევით, ან ბენეფიციარის მიმართვის საფუძველზე.

სოციალური მუშაკის საქმიანობის მონიტორინგის შესახებ ობიექტური დასკვნის მისაღებად გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა გარემოება, მათ შორის, სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული მომსახურება, სოციალური მუშაობის შედეგები, ბენეფიციარების მოსაზრება, უშუალო ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სოციალური მუშაკის დახასიათება და სხვა.



სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობა შესაძლებელია განხორციელოს სოციალური მუშაკის დამსაქმებელი უწყების იმ სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელმა (მაგალითად, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა), რომელშიც სოციალური მუშაკია დასაქმებული, ან მოწვეულმა პირმა, რომელიც ამ მიზნით იქნება მოწვეული და ასეთი ფუნქცია პირდაპირ ექნება დაკისრებული. სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების წესსა და პირობებს ადგენს ის საჯარო დაწესებულება, რომელსაც სოციალური მუშაკი ექვემდებარება.

### **6.3.2. სოციალური მუშაკის წახალისება და კარიერული წინსვლა**

ნებისმიერი შრომით ურთიერთობაში მნიშვნელოვანია პერსონალის წახალისება. იგი ხელს უწყობს შრომითი მოტივაციის, კვალიფიკაციის ამაღლებას, დაკისრებული ფუნქციების უფრო წარმატებით განხორციელებას და დასაქმებულის მაქსიმალური შესაძლებლობების გამოვლენას. პერსონალის მოტივირება არის ერთერთ მნიშვნელოვანი ფაქტორი ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებისთვის. მოტივირებულ თანამშრომლებს ახასიათებთ დისციპლინა, ინიციატივები, პასუხისმგებლობის მაღალი დონე, ინოვაციურობა, პოზიტიური სამუშაო ურთიერთობები.<sup>205</sup> თანამშრომლისთვის მოტივაციის ზრდა ხორციელდება მატერიალური და არამატერიალური წახალისების გზით, ორივე მათგანი უმნიშვნელოვანესია საჯარო დაწესებულებისთვის.<sup>206</sup>

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონმა გაითვალისწინა ზემოთ უკვე აღნიშნული მიდგომა და განსაზღვრა სოციალური მუშაკის წახალისებისა და კარიერული წინსვლის პრინციპები. სოციალური მუშაკის წახალისების აღნიშნული კანონით დადგენილი მატერიალური და არამატერიალური ფორმებია:

ა) **მადლობის გამოცხადება** - გამოიყენება ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, თუ სოციალური მუშაკის შეფასების შედეგებია

---

<sup>205</sup> იქვე, გვ. 209.

<sup>206</sup> იქვე.

„საუკეთესო შეფასება“ და „კარგი შეფასება“. მას გადაეცემა მაღლობის სიგელი, რომლის ფორმაც მტკიცდება იმ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით, რომელშიც სოციალური მუშაკია დასაქმებული.

ბ) *ფულადი ჯილდოს მიცემა* - იგი შეიძლება სოციალურ მუშაკს გადაეცეს, თუ შეფასების შედეგად მიიღებს „საუკეთესო“ ან „კარგ“ შეფასებას. სოციალურ მუშაკს ფულადი ჯილდო გადაეცემა დასაქმებელი დაწესებულების ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით. ფულადი ჯილდოს ზედა ზღვარი განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის თანახმად: ფულადი ჯილდო არის მოხელის, მათ შორის სოციალური მუშაკის შეფასების შედეგების შესაბამისად წახალისების საშუალება, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ მისთვის დაკისრებული ფუნქციების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის ან/და მის მიერ განსაკუთრებული სირთულის, ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის გათვალისწინებული წახალისების საშუალება. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ წლის განმავლობაში მიღებული ფულადი ჯილდოს საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 10%-ს. თუმცა, დაშვებულია გამონაკლისი, როცა განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ერთჯერადად მიეცეს ფულადი ჯილდო დადგენილი ზღვრული ოდენობის გაუთვალისწინებლად.

გ) *ფასიანი საჩუქარი*, როგორც წახალისების ფორმა, გამოიყენება ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, თუ სოციალური მუშაკის შეფასების შედეგებია „საუკეთესო შეფასება“ და „კარგი შეფასება“. სოციალური მუშაკი მიიღებს მხოლოდ კანონით ნებადართულ საჩუქარს და თავიდან ირიდებს ისეთი საჩუქრის მიღებას, რომელმაც შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაზე, ან, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს

მის კეთილსინდისიერებას და ვალდებულს გახდის საჩუქრის მიმცემის წინაშე. საჩუქარი<sup>207</sup> არის საჯარო მოსამსახურისათვის, მათ შორის სოციალური მუშაკისთვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ, ან შედეგათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ან გაწეული მომსახურება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად, ან ნაწილობრივ გათავისუფლება, რომელიც წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს.

სოციალური მუშაკის მიმართ ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. მისი წახალისება ხდება უშუალო ხელმძღვანელის, ან ზემდგომი თანამდებობის პირის წარდგინებით. დაწესებულების ხელმძღვანელი სოციალური მუშაკის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მისი საქმიანობის შეფასებისა და მონიტორინგის შედეგების საფუძველზე.

სოციალური მუშაკის პროფესიული განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი კარიერული წინსვლა, თანამდებობრივი ზრდა. კარიერული წინსვლა აგრეთვე უწყობს ხელს მის პროფესიულ განვითარებას, ზრდის მოტივაციას და კვალიფიციურ პერსონალს ამგვარს საჯარო დაწესებულებაში. ორგანიზაციას ამ მიმართულებით უნდა გააჩნდეს პრაგმატული მიდგომა. „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონმა ცალკე საკითხად გამოყო სოციალური მუშაკის კარიერული წინსვლა. იგი დაუკავშირა სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასებისა და მონიტორინგის შედეგებს. სოციალური მუშაკის კარიერული წინსვლისას გასათვალისწინებელია მისი სამუშაო გამოცდილება, მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგები და მნიშვნელობა ბენეფიციარისა და საზოგადოებისათვის.

სოციალური მუშაკის კარიერული განვითარება ხდება: ა) ქვედა იერარქიული რანგის თანამდებობიდან ზედა იერარქიული რანგის

---

<sup>207</sup> „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი, ხელმისაწვდომია ვებ-ვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550> [22.08.2018].

თანამდებობაზე გადასვლისას; ბ) დაბალი თანამდებობიდან იმავე იერარქიული რანგის მაღალ თანამდებობაზე გადასვლისას.

### 6.3.3. სოციალური მუშაკის დისციპლინური პასუხისმგებლობა

სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასებისა და მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მის მიერ დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში სოციალურ მუშაკს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები დადგენილია „სოციალური მუშაკის შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო დისციპლინური წარმოების პროცედურები, წესები და პრინციპები „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით.

დისციპლინური წარმოების მიზანია დისციპლინური გადაცდომის ფაქტის სწრაფად და სრულად გამოვლენა და დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრა. იგი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) კანონის უზენაესობა და კანონისმიერი დათქმა - არავის არ შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლისა და წესის დაცვის გარეშე.

ბ) არავის არ შეიძლება განმეორებით დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა ერთი და იმავე დისციპლინური გადაცდომისათვის.

გ) პირი არ შეიძლება მონაწილეობდეს დისციპლინურ წარმოებაში, თუ მას აქვს პირადი ინტერესი ან/და თუ არსებობს სხვა გარემოება, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქმის გადაწყვეტაზე.

დ) დისციპლინური წარმოება კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით უნდა მიმდინარეობდეს.

ე) პირი არ ჩაითვლება დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირად მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სოციალური მუშაკის დისციპლინური გადაცდომა შესაძლებელია იყოს მძიმე, ან მსუბუქი. მსუბუქ დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნევა:

ა) სამსახურებრივ მოვალეობათა განზრახ, ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობა - მოიაზრება ყოველგვარი ქმედება – მოქმედება, თუ უმოქმედობა, რომელიც უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას<sup>208</sup> სოციალური მუშაკის ქმედება ასეთ გადაცდომად რომ ჩაითვალოს, უნდა დადგინდეს მისი სამსახურებრივი მოვალეობები (საჯარო დაწესებულების დებულების, საჯარო დაწესებულების შინაგანაწესის, კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის დებულების, სოციალური მუშაკის თანამდებობის საქმიანობის და ფუნქციების აღწერილობის მიხედვით). თუ დგინდება, რომ სოციალურმა მუშაკმა არ შეასრულა სამართლებრივი აქტებით მასზე დაკისრებული მოვალეობები, მიუხედავად მისი სუბიექტური დამოკიდებულებისა (ანუ იყო ეს განზრახი, თუ გაუფრთხილებელი ქმედება), იგი ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად.

ბ) საჯარო დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება, ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების განზრახ, ან გაუფრთხილებლობით შექმნა - სოციალური მუშაკის ნებისმიერი ქმედება, იქნება ეს განზრახი, თუ გაუფრთხილებელი, თუ აზიანებს საჯარო დაწესებულების ქონებას (მოდრავსა, თუ უძრავს) ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად. ქონების დაზიანების საფრთხეში მოიაზრება ისეთი ქმედებები, რომელთა საშიშროება რეალურია და მიუკერძოებელ პირს ჩამოუყალიბებდა საფუძვლიან ეჭვს, რომ აღნიშნული ქმედება რეალურად გამოიწვევდა საჯარო დაწესებულების ქონების დაზიანებას;<sup>209</sup>

გ) ეთიკის ნორმების, ქცევის ზოგადი წესების უგულვებელყოფა, ან დარღვევა, რომელიც მიმართულია საჯარო დაწესებულების

---

<sup>208</sup> საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები, რედ. ეკა ქარდავა, თბილისი, 2018, გვ. 283-284.

<sup>209</sup> იქვე, 284-285.

დისკრედიტაციისაკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურში იგი ჩადენილი, თუ სამსახურის გარეთ.

დისციპლინური გადაცდომა ჩაითვლება მძიმედ, თუ:

ა) მან გამოიწვია დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის რეპუტაციის შელახვა, რაც გამორიცხავს ამ პირის მიერ მომავალში სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას;

ბ) მის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულების რეპუტაციას;

გ) მის შედეგად მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულებას;

დ) მის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულებაში მომუშავე სხვა საჯარო მოსამსახურეს, მესამე პირს, ან საჯარო ინტერესს;

ე) პირმა უარი თქვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეფასებაზე;

ვ) დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონე პირმა ჩაიდინა ახალი დისციპლინური გადაცდომა.<sup>210</sup>

სოციალური მუშაკის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები<sup>211</sup>: ა) გაფრთხილება; ბ) საყვედური; გ) ხელფასის (თანამდებობრივი სარგოს) 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით; დ) სამსახურიდან გათავისუფლება.

სოციალური მუშაკისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ის დაწესებულება, რომელშიც სოციალური მუშაკია დასაქმებული.

---

<sup>210</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098> [22.08.2018].

<sup>211</sup> „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4231958> [22.08.2018].

## თავი 7. სოციალური მუშაობის შესრულების უფლებამოსილი უწყებები

სოციალური მუშაობის სისტემის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაობაზე პასუხისმგებელი უწყებებისა და მათი უფლებამოსილებების, ფუნქციების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა. სოციალური მუშაობის შესრულებაზე უფლებამოსილი უწყებების, მათი კომპეტენციების პირდაპირ დადგენა ხელს უწყობს სოციალური მუშაობის ინსტიტუციურ, დარგობრივ სისტემატიზაციას, პასუხისმგებლობას აკისრებს სოციალური მუშაობის თითოეულ მიმართულებაზე შესაბამის უწყებას და ზრდის სოციალური მუშაობის განმახორციელებელი უწყების ანგარიშვალდებულების ხარისხს. აქედან გამომდინარე, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა უწყებები, რომელთა ფარგლებში სოციალური მუშაობა შეიძლება განხორციელდეს. აღსანიშნავია, რომ კანონმა სოციალური მუშაობის განმახორციელებელი ინსტიტუტების წრეც გააფართოვა. ამასთან, აღნიშნულმა კანონმა თითოეული უწყებისთვის მათი დარგობრივი კომპეტენციიდან გამომდინარე ჩამოაყალიბა სოციალური მუშაობის სფეროები და შექმნა სოციალური მუშაობის ინსტიტუციური სისტემა. ამ კანონით სოციალური მუშაობა, მისი პრინციპები და სტანდარტები ერთიანია, ხოლო სოციალური მუშაობის სფეროები დიფერსიფიცირებული.

სოციალური მუშაობის ინსტიტუციურ სისტემაში შედიან საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები<sup>212</sup>),

---

<sup>212</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს სამართლებრივი აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით, დამო-

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი და მუნიციპალიტეტები. კერძო სამართლის იურიდიული პირი (არასახელმწიფო ორგანიზაცია) არ მოიაზრება სოციალური მუშაობის ინსტიტუციურ სისტემაში, თუმცა, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი მას პირდაპირ ანიჭებს სოციალური მუშაობის განხორციელების უფლებამოსილებას.

სოციალური მუშაკის ფუნქციები, უფლებამოსილებები წინამდებარე სახელმძღვანელოს წინა თავებში იქნა განხილული. ამ ნაწილში საუბარია თითოეული ზემოთ დასახელებული უწყების იმ კომპეტენციაზე, რომელიც ერთი მხრივ, სოციალური მუშაობის სფეროში გააჩნია, მეორე წარმოადგენს ასეთ უწყებაში დასაქმებული სოციალური მუშაკის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს.

### **7.1. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება და საპარლამენტო კონტროლი**

საქართველოს პარლამენტი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, იგი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას. პარლამენტი არის ერთადერთი უწყება, რომელიც იღებს საკანონმდებლო აქტებს (კანონს, ორგანულ კანონს, კონსტიტუციურ კანონს), განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. საქართველოს პარლამენტს გარდა საკანონმდებლო და პოლიტიკის განსაზღვრის ფუნქციისა, გააჩნია ადმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ძალაუფლება.

---

უკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ, ან სხვა საჯარო საქმიანობას.



„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი პარლამენტს სოციალური მუშაობის სფეროში ორ მნიშვნელოვან უფლებამოსილებას ანიჭებს. იგი ერთი მხრივ, განსაზღვრავს სოციალური მუშაობის სახელმწიფო პოლიტიკას, მეორე მხრივ, ახორციელებს საპარლამენტო კონტროლს სოციალური მუშაობის სფეროში.

სოციალური მუშაობის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის თვალსაზრისით საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია ამ სფეროში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე დაადგინოს სოციალური მუშაობის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, როგორც სოციალური მუშაობის მთლიანი სისტემის, აგრეთვე მისი თითოეული სფეროს განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიები და შესაბამის უწყებებს დაავალოს მათი იმპლემენტაცია, განსაზღვროს სოციალური მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპები, სოციალური მუშაკის პროფესიული სტანდარტები და სხვა.

საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია სოციალური მუშაობის სფეროში განახორციელოს კონტროლი. იგი გულისხმობს ერთი მხრივ, სოციალური მუშაობის სფეროში მიღებული საკანონმდებლო აქტების უწყებების მიერ შესრულების კონტროლს, მეორე მხრივ, სოციალურ სამუშაოსთან დაკავშირებული უწყებრივი საქმიანობის კონტროლს. ამ მიზნით, მას უფლება აქვს ყოველწლიურად ყველა შესაბამისი უწყებისგან მოისმინოს სოციალური მუშაობის შესახებ ანგარიში, რომელიც შესაძლებელია გახდეს პარლამენტის მსჯელობის საგანი. გარდა ამისა, პარლამენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ინდივიდუალურად რომელიმე უწყებისგან - სამინისტროსგან ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან მოისმინოს სოციალური მუშაობის შესახებ ანგარიში, მისი სრულყოფის მიზნით გასცეს რეკომენდაციები და ა.შ. საქართველოს პარლამენტის მიერ დაგეგმილია სოციალური მუშაობის განმახორციელებელი უწყებების საქმიანობის კონტროლის სპეციალური ფორმატის შექმნა, რაც ასეთ უწყებებს დააკისრებს წელიწადში ერთხელ, საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე (ე.ი. ყოველი კალენდარული წლის თებერვლის პირველ სამშაბათამდე) საქართველოს

პარლამენტისთვის სოციალური მუშაობის შესახებ წერილობითი ანგარიშის წარდგენას.

საქართველოს პარლამენტისთვის სოციალური მუშაობის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის უფლებამოსილებისა და სოციალური მუშაობის განმახორციელებელი უწყებების საქმიანობის მაკონტროლებელი ფუნქციის მინიჭება მიუთითებს სოციალური მუშაობის, როგორც დარგისა და პროფესიის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, სახელმწიფოს ნებაზე - სოციალური მუშაობის სისტემისთვის შექმნას განვითარების მყარი საფუძველი.

## **7.2. საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებანი**

საქართველოს მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა, რომელიც პარლამენტის მიერ განსაზღვრული მიმართულებების საფუძველზე ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. იგი კოლევგიური ორგანოა და შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან.

სოციალური მუშაობის სფეროში საქართველოს მთავრობა კოორდინაციას უწევს უშუალოდ სამინისტროების საქმიანობას, ხოლო სამინისტროების მეშვეობით საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციონირებას და აკონტროლებს მათ. გარდა ამისა, იგი უფლებამოსილია სოციალურ მუშაობასთან, მის თითოეულ დარგობრივ მიმართულებასთან დაკავშირებით მიიღოს კანონქვემდებარე აქტები და შეიმუშავოს და პარლამენტს წარუდგინოს კანონპროექტები. მთავრობას ეკისრება სოციალური მუშაობის სფეროში მიღებული საკანონმდებლო აქტების აღსრულების, რეალიზაციის ვალდებულება.

საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია საკუთარი დადგენილებით იმ საჯარო დაწესებულებებისთვის, რომელშიც სოციალური მუშაკია დასაქმებული, განსაზღვროს სოციალური მუშაკის ის დამატებითი უფლებამოსილებები, რომლებიც „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონში პირდაპირ არ არის გათავალისწინებული, თუმცა გამომდინარეობს აღნიშნული კანონით

დადგენილი სოციალური მუშაობის პრინციპებიდან, სოციალური მუშაკის უფლებამოსილებებიდან, ფუნქციებიდან და ემსახურება ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის რეალიზაციას.

### **7.3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილება**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამთავრობო დაწესებულებაა, რომელიც უზრუნველყოფს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო მმართველობასა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას.<sup>213</sup>

სოციალური დაცვის სფეროში სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანები უკავშირდება მოსახლეობის მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას, კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური ჯგუფებისათვის შესაბამისი გასაცემლების მიწოდებას, ბავშვებზე ზრუნვას, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობას.<sup>214</sup> ამ ამოცანების განხორციელებისთვის სამინისტროს კომპეტენციაა:<sup>215</sup>

- სოციალური დაცვის მიკუთვნებულ სფეროში კანონმდებლობით დადგენილი წესით სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება და მიღება (გამოცემა);
- სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების მონიტორინგი;

---

<sup>213</sup> „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილების პირველი მუხლი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/12460>, [22.08.2018].

<sup>214</sup> იქვე, მე-2 მუხლი.

<sup>215</sup> იქვე, მე-3 მუხლი.

- სოციალურ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიული გეგმისა და მექანიზმების შემუშავება;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საჭიროებებისათვის გამიზნული სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, განხორციელების კონტროლისა და შედეგების მონიტორინგი;
- მიზნობრივი სოციალური დახმარებით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, განხორციელების კონტროლი და შედეგების მონიტორინგი;
- ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შემუშავება და დამტკიცება; სხვადასხვა სპეციალიზებული დაწესებულების (მაგალითად, დღის ცენტრი, სათემო ორგანიზაცია და სხვა) სტანდარტების შემუშავება და დამტკიცება;
- ბავშვზე ზრუნვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების ზედამხედველობა;
- შვილად აყვანის, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა;
- ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა საადმინისტრაციო დაწესებულებებში განთავსების კოორდინაცია და კონტროლი;
- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და სხვა.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციები სოციალური მუშაობის სფეროში სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტებით იყო განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ სამინისტროს ფარგლებში არ ხორციელდებოდა სოცი-

ალური მუშაობა. აღნიშნული კანონის მიღებით სოციალური მუშაობის სფეროში სამინისტროს უფლებამოსილების სისტემური ფორმით ჩამოყალიბება განხორციელდა და მას დაემატა მნიშვნელოვანი კომპონენტი - სოციალური მუშაობის წესის განსაზღვრა ჯანდაცვის დაწესებულებებში. თუმცა, მიდგომა არ შეცვლილა და იგი ამ მიმართულებით კვლავ ფლობს უწყებრივი პოლიტიკის შემუშავების, კოორდინაციის, ზედამხედველობის განხორციელების ფუნქციებს.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სოციალური მუშაობის სფეროში:

- განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, სტაციონარებსა და ამბულატორიებში სოციალური მუშაკების საჭიროებასა და რაოდენობას, არეგულირებს სოციალური მუშაობის ჩატარების წესს;
- საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, სოციალური მუშაკების მონაწილეობით ზრუნავს სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებასა და შესაბამისი ინიციატივების შემუშავებაზე;

ნიშანდობლივია, რომ სამინისტრო ზედამხედველობას უწევს მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანოს - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმიანობას და ახორციელებს მის სახელმწიფო ზედამხედველობას. სახელმწიფო ზედამხედველობაში მოიაზრება ერთი მხრივ, სააგენტოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლი, მეორე მხრივ, სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის კონტროლი.

სოციალური მომსახურების სააგენტო 2007 წელს შეიქმნა,<sup>216</sup> იგი წარმოადგენს სოციალური სუბსიდირების სააგენტოს უფლებამონაცვლეს. სოციალური მომსახურების სააგენტო მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური, ძირითადი ორგანოა. იგი ერთ-ერთი ის საჯარო დაწესებულებაა, რომლის ფარგლებშიც სოციალური მუშაობა ყველაზე მასშტაბურად ხორციელდება. სოციალური მომსახურების სააგენტოში საჯარო დაწესებულებებს შორის რაოდენობრივად ყველაზე მეტი სოციალური მუშაკია დასაქმებული.<sup>217</sup>

სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკების სამიზნე ჯგუფებია: მზრუნველობამოკლებული ბავშვები, რთული ქცევის მქონე ბავშვები, ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, მიუსაფარი ბავშვები, მოწმე, დაზარალებული, ბრალდებული ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მათი ოჯახები, სოციალურად დაუცველი ხანდაზმული პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები.

სოციალური მომსახურების სააგენტო საკუთარი ფუნქციების განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

- *დისკრიმინაციის აკრძალვა* - სააგენტო ვალდებულია საქმიანობისას გამორიცხოს პირის დისკრიმინაცა მისი სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, ასაკისა და პოლიტიკური შეხედულების მიხედვით;<sup>218</sup>

---

<sup>216</sup> „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/5 ბრძანება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/71380>, [17.08.2018].

<sup>217</sup> *სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი, სოციალურ მუშაკთა ასოციაცია*, თბილისი, 2011, გვ. 9-14.

<sup>218</sup> ამასთან, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება ნებისმიერი ღონისძიებები, რომლებიც გამიზნულია იმ პირთა განსაკუთრებულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც სქესის, ასაკის, ფიზიკური არასრულფასოვნების, ოჯახური ან/და სოციალური მდგომარეობის გათვალის-

- ადამიანის უფლებების პატივისცემა - სოციალური დახმარების სფეროში სააგენტო იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს;
- დამოუკიდებლობა - სააგენტო კანონმდებლობით განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტისას დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად;
- სამართლიანობა და მიუკერძოებლობა - სააგენტო საკუთარ საქმიანობას ახორციელებს სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე, იგი მიუკერძოებელია და მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერი გათვალისწინებით;
- კანონმდებლობის დაცვა და საქმიანობის საჯაროობა - სოციალური მომსახურების სააგენტოს ეკისრება სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების, სტანდარტების, პროცედურების განუხრელად შესრულების ვალდებულება. იგი საქმიანობას წარმართავს საჯაროობის პრინციპის დაცვით, თუმცა, ბენეფიციარის ინტერესიდან გამომდინარე იცავს კონფიდენციალურობის პრინციპს.

სოციალური მუშაობის სფეროში სააგენტოს დამფუძნებელი დებულების მიხედვით, მისი ფუნქციები და უფლებამოსილებებია:<sup>219</sup>

- სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამების განხორციელება;

---

წინებით კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობენ განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების გასაწევ პირებად.

<sup>219</sup> „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანების მე-2 მუხლი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/71380>, [22.08.2018].

- სოციალური დახმარების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, დახმარების დანიშვნა და გაცემის ორგანიზება;
- სოციალური დაცვის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;
- ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად აყვანის, შვილობილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის პროცესის წარმართვა და კოორდინაცია;
- საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ცენტრალური და ადგილობრივი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების უზრუნველყოფა;
- უცხო სახელმწიფოში გაშვილების მიზნებისათვის ცენტრალური მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციის უზრუნველყოფა;
- მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობა, რომელიც გულისხმობს მისი მოვალეობების განხორციელების მონიტორინგს, რომელიც ხორციელდება დადგენილი პერიოდულობით, სააგენტოს/მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს ინიციატივით, შერჩევითი პრინციპით, შემხვედრი აუცილებლობიდან გამომდინარე, როდესაც არსებობს ინფორმაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩარევის აუცილებლობის შესახებ;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების)<sup>220</sup> პროცედურებში ჩართული სუბიექტის მიერ ბავშვზე ძალადობის გა-

<sup>220</sup> ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების მიზანია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის ხელშეწყობა, რეფერირების პროცედურების კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით. დეტალურად იხ.: „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478>, [17.08.2018].



მოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობაზე რეაგირება.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით კიდევ უფრო დაზუსტდა სოციალური მომსახურების სააგენტოს კომპეტენციები სოციალური მუშაობის სფეროში. სააგენტოს ფუნქციებია:

ა) *„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცედურების განხორციელება* - შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სფეროში სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკასა და პასუხისმგებელია ბავშვის უფლებების დაცვაზე. მას ეკისრება შვილად აყვანასთან, მინდობით აღზრდასთან დაკავშირებული რეესტრის წარმოების, სისტემატიზებისა და დამუშავების, შენახვისა და გაცემის ფუნქცია. იგი მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივი შვილად აყვანის პროცედურებში, ორგანიზებას უწევს მინდობით აღზრდის პროგრამაში ბავშვის მონაწილეობას, ზედამხედველობას უწევს მინდობით აღმზრდელის საქმიანობას, ახორციელებს მინდობით აღზრდის მსურველი პირისა და მინდობით აღსაზრდელის, მათი თავსებადობის შეფასებას და ა.შ. საქართველოს მასშტაბით ამ პროცედურებს სააგენტო საკუთარი ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით წარმართავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სააგენტოს როლი, საერთაშორისო შვილად აყვანის პროცესში. საერთაშორისო შვილად აყვანის ურთიერთობებში სააგენტო არის ცენტრალური ორგანო. იგი კოორდინაციას უწევს საქართველოს ყველა სახელმწიფო ორგანოსა და დაწესებულების საქმიანობას საერთაშორისო შვილად აყვანასთან დაკავშირებით. საქართველოს ყველა ორგანო და დაწესებულება, რომლებიც რაიმე ფორმით მონაწილეობენ საერთაშორისო შვილად აყვანის ურთიერთობებში, მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა, ვალდებულია საერთაშორისო შვილად აყვანასთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობის, ან შეუსრულებლობის რისკის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ცენტრალურ ორ-

განოს - სააგენტოს. საერთაშორისო შვილად აყვანის სფეროში მისი უფლებამოსილებაა:

ა) უზრუნველყოს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და ბავშვის უფლებების დაცვა;

ბ) განახორციელოს საერთაშორისო შვილად აყვანის პროცედურები;

გ) კოორდინაცია გაუწიოს ყველა ორგანიზაციას/დაწესებულებას, რომლებიც რაიმე ფორმით მონაწილეობენ საერთაშორისო შვილად აყვანის ურთიერთობებში, მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა;

დ) ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოთა შესაბამის სამსახურებთან და გაუცვალოს მათ ინფორმაცია;

ე) განახორციელოს ამ კანონით და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

სააგენტოს უფლება აქვს, საერთაშორისო შვილად აყვანის სფეროში, თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ჰააგის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს შესაბამის ორგანოსთან გააფორმოს ურთიერთგაგების მემორანდუმი.

ბ) „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონის დადგენილ პროცედურებში მონაწილეობა - იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება პირის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად ცნობისთვის ექსპერტიზა, სოციალური მომსახურების სააგენტო ასრულებს პირის მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის ფუნქციებს.

გ) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ფარგლებში ახორციელებს შესაბამის საპროცესო წარმომადგენლობას - სოციალური მომსახურების სააგენტო როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მონაწილე სუბიექტია და მინიჭებული აქვს მისი საპროცესო წარმომადგენლობის კომპეტენცია. სააგენტო აგრეთვე მონაწილეობს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის (მედიაციის) პროცესში.

დ) *სასამართლო წარმოებისას არასრულწლოვანთა, ან მხარდაჭერის მიმღებთა კანონიერი ინტერესების დაცვა* - სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სათანადო შემთხვევებში (მაგ.: ბავშვის მიკუთვნების შესახებ საქმე, მშობლის უფლების შეზღუდვის, შეჩერების, ან ჩამორთმევის შესახებ საქმე და სხვა) ეკისრება არასრულწლოვანისა და მხარდაჭერის მიმღები პირის ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე წარმომადგენლობის ვალდებულება.

ე) *ბენეფიციარის საჭიროებების შესწავლა* - სოციალური მომსახურების სააგენტო აფასებს ბენეფიციარის მდგომარეობას, გამოავლენს და განსაზღვრავს მისთვის მომსახურების მიწოდების საჭიროებებს, მას უწევს კონსულტაციას და აკავშირებს არსებულ მომსახურებებთან;

ვ) *ბენეფიციარზე ზრუნვის პროგრამების ადმინისტრირება* - მართავს და ზედამხედველობს ძალადობის, მათ შორის, ბავშვთა მიმართ ძალადობის, შემთხვევებს და ბავშვთა დაცვის მიზნით მიმართვიანობის პროცედურებს, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამას;

ზ) *მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირების დახმარება* - სოციალური მომსახურების სააგენტო დახმარებას უწევს მხარდაჭერის საჭიროების მქონე ოჯახებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათ ოჯახებსა და ხანდაზმულებს;

თ) *სოციალური მუშაკების განსაზღვრა* - სოციალური მომსახურების სააგენტო ყოველ ინდივიდუალურ საქმეზე განსაზღვრავს სოციალური მუშაობის ჩატარების უფლებამოსილების მქონე პირებს (სოციალურ მუშაკებს). ამ ფუნქციის განხორციელებისას იგი ითვალისწინებს სოციალური მუშაკის სამსახურებრივი დატვირთვის ხარისხს და პროფესიულ კვალიფიკაციას.

ი) *ბავშვის მიკუთვნების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებაში მონაწილეობა* - სოციალური მომსახურების სააგენტო მონაწილეობს ბავშვის გადაცემასთან, ან შვილთან მეორე მშობლის ან/და ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებას-

თან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.

კ) *მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე ზედამხედველობა* - სოციალური მომსახურების სააგენტო პასუხისმგებელია რეგიონული საბჭოების გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობაზე. რეგიონული საბჭო წარმოადგენს სოციალური მომსახურების სააგენტოს, მისი ტერიტორიული სტრუქტურების სათათბირო ორგანოს. მის შემადგენლობაში შედიან სააგენტოს ცენტრალური ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ერთეულების თანამშრომლები (მაგალითად, ფსიქოლოგი, იურისტი და სხვა), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, სხვადასხვა სფეროს ექსპერტები.

#### **7.4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებები**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სამთავრობო დაწესებულებაა. მას ფართო უფლებამოსილებები გააჩნია, რომელიც ძირითადად უკავშირდება სამართალშემოქმედებით საქმიანობას, საერთაშორისო სასამართლოებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში საქართველოს წარმომადგენლობას, სხვადასხვა პროფესიული საქმიანობის (მაგალითად, სანოტარო) რეგულირებას, საზღვარგარეთის ქვეყნების უფლებამოსილი ორგანოების სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის შესრულებას, სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისათვის წინადადებების მომზადებას და სხვა.<sup>221</sup>

---

<sup>221</sup> „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №389 დადგენილების მე-3 მუხლი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2177616>, [17.08.2018].

2018 წლიდან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გაუქმების შემდეგ იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციათა წრე გაფართოვდა და დაემატა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის კომპონენტები.<sup>222</sup> აქედან გამომდინარე, იუსტიციის სამინისტროს დაევალა სასჯელის აღსრულების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვა, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ორგანიზება და პენიტენციური დაწესებულებების მართვა და ა.შ. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებებიც იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში გადავიდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სოციალურ სამუშაოს უშუალოდ არ ახორციელებს. მისი პრაქტიკული რეალიზაცია სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით (მათ შორის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სფეროში) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - 1. დანაშაულის პრევენციის ცენტრის, 2. აღსრულების ეროვნული ბიუროსა და 3. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ ხდება. იუსტიციის სამინისტროს ეკისრება მათ საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონმა ცალსახად ჩამოაყალიბა დარგობრივი მიმართულებები, რომლის ფარგლებშიც სოციალური მუშაობის კომპეტენცია ამ სამინისტროს მიენიჭა. სოციალური მუშაობის სფეროში იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია ჩაატაროს:

- სოციალური მუშაობა ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის გზით განმეორებითი დანაშაულის

---

<sup>222</sup> „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 05 ივლისის კანონი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4249951> [17.08.2018].

პრევენციის მიზნით, დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ პირთა ჯგუფებთან და აღსრულების მიმართულებით;

- სოციალური მუშაობა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში, იგი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, სოციალური მუშაკების მონაწილეობით ზრუნავს სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებასა და შესაბამისი ინიციატივების შემუშავებაზე.

ზემოთ აღნიშნული კომპეტენციები იუსტიციის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპებს. შესაბამისად, მათი საქმიანობა სულ მცირე ამ მიზნების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს.

სახელმძღვანელოს მომდევნო ნაწილებში განხილულია იუსტიციის სამინისტროს მმართველოს სფეროში მოქმედი ყველა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებამოსილებები, რომლებიც სოციალურ მუშაობას ახორციელებენ.

#### **7.4.1. სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის უფლებამოსილებები**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი დანაშაულის პრევენციის ცენტრი 2014 წელს დაფუძნდა.<sup>223</sup> მისი მიზანია საქართველოში დანაშაულის პრევენცია, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია და მედიაციის ინსტიტუციონალური განვითარება. ამ მიზნების მისაღწევად დანაშაულის პრევენციის ცენტრის საქმიანობა დაკავშირებულია დანაშაულის პირველად პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებასთან, რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებთან მუშაობასთან; ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციასთან და რესოციალიზაციის არსებული პროგრამების ფარ-

---

<sup>223</sup> „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 25 მარტის №16 ბრძანება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2292225>, [17.08.2018].

გლებში რეფერალის სისტემის შემუშავებასთან, დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობასთან; განრიდების პროგრამის მართვასთან და განვითარებასთან; მედიაციის (როგორც ალდგენითი მართლმსაჯულების ინსტრუმენტის) ინსტიტუციონალური განვითარებისათვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებასთან.<sup>224</sup>

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სოციალური მუშაობის სფეროში დანაშაულის პრევენციის ცენტრის საქმიანობა ორ კომპონენტს უკავშირდება: 1. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას და 2. დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ პირთა ჯგუფებთან სოციალური მუშაობას.

სოციალური მუშაობის სფეროში ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიმართულელებით დანაშაულის პრევენციის ცენტრის უფლებამოსილებებია:

- ბენეფიციართა ბიოლოგიური და ფსიქოსოციალური შეფასების საფუძველზე მომსახურების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, მათ საჭიროებებზე მორგებული ფსიქოსოციალური მომსახურების დანერგვა, მოძიება და მიწოდება, მათი რეაბილიტაციის პროცესის მონიტორინგი;
- ბენეფიციართა ოჯახის წევრებთან, ან უახლოეს წრესთან მუშაობის წარმართვა და პრობლემური შემთხვევების მართვა;
- ბენეფიციართა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გადაჭრაზე ზრუნვა;
- ბენეფიციართათვის საჭიროების შესაბამისი არაფორმალური განათლების მომსახურების მიწოდება, მათი პროფესიული გადამზადება და მათი დასაქმების ხელშეწყობა;
- ბენეფიციართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნით სპორტულ-კულტურული და რეკრეაციული ღონისძიებების დაგეგმვა, მოძიება და მიწოდება;

---

<sup>224</sup> იქვე, მე-2 მუხლი.

- კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან ბენეფიციართა რესოციალიზაციის ხელშეწყობა;
- ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ პირთა ჯგუფებთან სოციალური მუშაობის სფეროში ცენტრის კომპეტენციაა:

- დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ ბენეფიციართა ბიოლოგიური და ფსიქოსოციალური შეფასება, მომსახურების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი;
- ბენეფიციართა საჭიროებებზე მორგებული მომსახურებების დანერგვა, ან მოძიება და მიწოდება;
- ბენეფიციართა მიერ დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასება;
- ბენეფიციარებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის კონსულტაციების გაწევა;
- ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის სფეროში მომუშავე სპეციალისტებთან კოორდინირებული მუშაობის წარმართვა, აგრეთვე დღის ცენტრებისა და 24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მომუშავე სპეციალისტებისათვის დანაშაულის მეორე დონის პრევენციისკენ მიმართული სერვისების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა;
- დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ პირებთან მომუშავე სპეციალისტებისათვის რთული ქცევის მართვასთან და დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება და მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელება.



#### 7.4.2. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილებები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი აღსრულების ეროვნული ბიურო 2008 წელს შეიქმნა.<sup>225</sup> მისი ძირითადი მიზანია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი აქტების<sup>226</sup> აღსრულება, ისეთი დამატებითი საქმიანობის განხორციელება, რომელიც მიმართულია პირთა უფლებების დადასტურებისა და დაცვის უზრუნველყოფისაკენ და მიზნად ისახავს მართლმსაჯულების განტვირთვას. ამგვარი მიზნების მიღწევისთვის აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს: გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას მეურვის ან/და გაკოტრების მმართველის უფლებამოსილებას, ასევე, აღნიშნულ საქმეებზე სააუქციონო მომსახურებას; მესამე პირების მომართვის საფუძველზე ქონების შეფასების მომსახურებას; მოვალეთა რეესტრის წარმოებას, სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის აღსრულებას და სხვა.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონმა აღსრულების ეროვნულ ბიუროს დააკისრა აღსრულების პროცესში სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ პირთან სოციალურ მუშაობის ფუნქცია, რაც გამოიხატება:

- სააღსრულებო წარმოების პროცესის ბენეფიციარისადმი კეთილგანწყობილი მიდგომით წარმართვაში;

---

<sup>225</sup> „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 6 მაისის №24 ბრძანება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339719>, [22.08.2018].

<sup>226</sup> მაგალითად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენი ფიზიკური პირისათვის ან/და იურიდიული პირისათვის სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების ან/და ქონების ჩამორთმევის შესახებ და სხვა.

- სააღსრულებო მოქმედებებზე იმ სოციალური მუშაკის დასწრების უზრუნველყოფაში, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მხარეებს კონსულტაციას უწევს და ფსიქოლოგიური სტრესის შემცირებაში ეხმარება;
- არამართლზომიერად გადაადგილებული, ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების საქმეებში მონაწილეობაში.

#### **7.4.3. სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებები**

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია. იგი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შედიოდა, თუმცა, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 05 ივლისის კანონის მიღების შემდგომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გადავიდა.

სააგენტოს საქმიანობის მიზანია სასჯელის აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია (მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია). სააგენტოს შემადგენლობაში შედის ტერიტორიული ორგანოები - პრობაციის ბიუროები, რომლებიც ფუნქციონირებენ საქართველოს ყველა რეგიონში.<sup>227</sup>

---

<sup>227</sup> "საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2018 წლის 30 მაისის №105 ბრძანება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://probation.moc.gov.ge/geo/main/index/28>, [22.08.2018].

სოციალური მუშაობის დანერგვა პრობაციის სისტემაში დაიწყო 2009 წლიდან არასრულწლოვან პრობაციონერებთან მუშაობის მიმართულებით ბავშვთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში.<sup>228</sup> ევროპული სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარება. რეფორმის მიზანია არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში შემუშავდეს სპეციალური მიდგომა, რომელიც განსხვავებული იქნება იმ მიდგომისგან, რაც სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში გამოიყენება.<sup>229</sup>

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო საკუთარ საქმიანობას ორი მიმართულებით ახორციელებს. მისი ამოცანაა 1. არასაპატიმრო სასჯელების აღსრულება; 2. პრობაციის რეჟიმის უზრუნველყოფა.<sup>230</sup>

*არასაპატიმრო სასჯელების აღსრულება* - სააგენტო აღსრულებს სასჯელებს თანამდებობის დაკავების, ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის, გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნის, შინაპატიმრობის დანიშვნის შესახებ და სხვა.

*პრობაციის რეჟიმის უზრუნველყოფა* - სააგენტოს ეკისრება პირობითი მსჯავრის დანიშვნისა და სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ სამართლებრივი აქტების აღსრულების ვალდებულება.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული

---

<sup>228</sup> ბერნჰარდტი, ე., ქელბაქიანი, ა., ნამიჭეიშვილი, ს., ბაროუზი, რ., შეყრილაძე, ი., სამაგლიშვილი, შ.: სახელმძღვანელო კურსისთვის: სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში, თბილისი, 2014, გვ. 90.

<sup>229</sup> იქვე.

<sup>230</sup> „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21610>, [17.08.2018].

ნული სააგენტოს უფლებამოსილებები სოციალური მუშაობის სფეროში გულისხმობს პირის რესოციალიზაციის, რეაბილიტაციისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით:

- სრულწლოვანი/არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულის რისკებისა და საჭიროებების შეფასებას შესაბამისი მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე;
- მონაწილეობას მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობაში ბენეფიციარის ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობის დასადგენად და სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავებს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ გეგმას;
- სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებას;
- მუშაობას პირობით მსჯავრდებულთა ოჯახებთან ოჯახური კონფერენციების მოწყობისა და კონსულტაციის გაწევის საშუალებით;
- მონაწილეობას პირობით მსჯავრდებულთა საჭიროებების შესაბამისი სარეაბილიტაციო ტრენინგმოდულების შექმნაში;
- პირობით მსჯავრდებულების იმ ორგანიზაციებთან დაკავშირებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათ რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას;
- მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიისთვის მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების შესახებ დასკვნის მომზადებას.

სააგენტო აგრეთვე სოციალურ სამუშაოს ახორციელებს განრიდების და განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულ 14-დან 21 წლამდე პირებთან. ამ პროგრამების ფარგლებში იგი ინდივიდუალურად აფასებს განრიდება-მედიაციის პროგრამისთვის მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებული პირის მდგომარეობ-

ას, ხელს უწყობს ბენეფიციარის სოციალურ აქტიურობას, მონიტორინგს უწევს განრიდებული პირის ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ სააგენტო ხელს უწყობს ყოფილ მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვასა და მონაწილეობას. ამ მიზნის მიღწევისთვის სააგენტოში შექმნილია სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფს:

- პრობაციის ეროვნული სააგენტოს იურისდიქციაში მყოფ მსჯავრდებულთა, ასევე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განრიდებულთა კვალიფიციური ინდივიდუალური ბიოფსიქოსოციალური შეფასების ორგანიზებას;
- პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებში ფსიქოსოციალური, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამების მოდელების შემუშავება-ადაპტირებას, განხორციელებას და მართვას;
- სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების პერიოდული პროფესიული გადამზადების ორგანიზებას;
- მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიმართულებით პროფესიული სტანდარტების შემუშავებას და დანერგვას;
- პირობით მსჯავრდებულისათვის გამოსაცდელი ვადის შემცირებისა და პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხის გადასაწყვეტად, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას და სხვა.

#### **7.4.4. პენიტენციური სისტემის უფლებამოსილებები**

სპეციალური პენიტენციური სამსახური პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება<sup>231</sup>, რომელიც 2015 წელს საკა-

---

<sup>231</sup> სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება არის სამინისტროს გამგებლობაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება. იგი შესაძლებელია შეიქმნას კანონით, ან მთავრობის დადგენილებით.

ნონმდებლო აქტით დაფუძნდა.<sup>232</sup> მისი მიზანია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის რეჟიმების აღსრულება, რომელსაც უზრუნველყოფს სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მეშვეობით. სამსახურის ფარგლებში აგრეთვე შექმნილია სოციალური სტრუქტურული ქვედანაყოფები. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ექვემდებარება პენიტენციური დაწესებულებები, რომელთა რაოდენობა 15-ს აღწევს, მათ შორის: ორი სამკურნალო, ერთი არასრულწლოვანთა სპეციალური და ერთი ქალთა სპეციალური დაწესებულება. დაწესებულებების უმრავლესობა წარმოადგენს შერეული ტიპის დაწესებულებას, რომელიც განლაგებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მათი უმეტესობა განთავსებულია აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც 12 დაწესებულებაა, ხოლო 3 დაწესებულება დასავლეთ საქართველოშია.<sup>233</sup>

სოციალური მუშაობა ხორციელდება, როგორც სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში (მის სოციალურ სამსახურებში), აგრეთვე პენიტენციურ დაწესებულებებში.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე პენიტენციურ სისტემაში ხორციელდება შემდეგი სახის სოციალური მუშაობა:

- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა;

---

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების დაფუძნება შეიძლება თავდაცვის, სამართალდამცავ, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურის, ან სხვა სფეროში სახელმწიფოებრივი ამოცანებისა და საჯარო ფუნქციების შესასრულებლად.

<sup>232</sup> „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2835511>, [17.08.2018].

<sup>233</sup> პენიტენციური დაწესებულებების სია დამტკიცებულია „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანებით, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2962334>, [17.08.2018].

- ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის კონსულტაციის გაწევა;
- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ადვოკატირება;
- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პენიტენციური სტრესის შემცირება;
- მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის შეფასება/გადაფასება;
- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ზიანის რისკის შეფასება/გადაფასება;
- რეციდივის აღბათობის დასადგენად მსჯავრდებულის რისკებისა და საჭიროებების შეფასება/გადაფასება;
- გამოვლენილი რისკებისა და საჭიროებების საფუძველზე, მსჯავრდებულის მონაწილეობით სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება;
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მოწყვლად ჯგუფების იდენტიფიცირება მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით;
- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო, პროგრამებში მონაწილეობა და ასეთი პროგრამების განხორციელება;
- მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადების პროგრამებში მონაწილეობა და ამგვარი პროგრამების რეალიზაცია;
- ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და თერაპიის მიმართულებების განსაზღვრა;
- პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა შრომა/დასაქმება;
- ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის დამხმარე პროგრამების, კერძოდ, კულტურული, სპორტული, რელიგიური, შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების განხორციელება;
- მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციისთვის მომზადება;

- მუშაობის წარმართა მოშიშშილე ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან.

## **7.5. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილებები**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამთავრობო დაწესებულებაა, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს. სამინისტროსთვის მინდობილი სფეროებია განათლება, მეცნიერება, კულტურა, კულტურული მემკვიდრეობა, ხელოვნება, სპორტი და ფიზიკური აღზრდა. ამ მიმართულებით სამინისტრო ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოა. სამინისტრო უზრუნველყოფს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის კონსტიტუციური უფლების განხორციელებას.

სამინისტრო უფლებამოსილია ჩაატაროს სოციალური მუშაობა განათლების სფეროში. იგი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, სოციალური მუშაკების მონაწილეობით ზრუნავს განათლების სფეროში სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებასა და შესაბამისი ინიციატივების შემუშავებაზე. განათლების სფეროში სოციალური პოლიტიკის განვითარება სამინისტროს მუდმივი ამოცანაა. მას ამ მიმართულებით ეკისრება არა მხოლოდ სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესების, ასევე კოორდინაციული განხორციელების, ზედამხედველობის ვალდებულება.

სამინისტრო სისტემის ფარგლებში სოციალური მუშაობა პრაქტიკული თვალსაზრისით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ხორციელდება. ზოგადი განათლება არის განათლების ერთერთი საფეხური, რომლის მიზანია პირის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს, რომელსაც აქვს სამი საფეხური: დაწყებითი (6 წე-



ლი), საბაზო (3 წელი) და საშუალო (3 წელი).<sup>234</sup> საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა. ზოგადი განათლების მიღება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში - სკოლაში ხორციელდება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა შეიძლება ფუნქციონირებდეს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (ე.წ. საჯარო სკოლა), კერძო სამართლის სამეწარმეო (მოგებაზე ორიენტირებული) პირი, ან კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი (კერძო სკოლები). სკოლის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო და თვითონ ახორციელებს მის სახელმწიფო კონტროლს. აგრეთვე სამინისტროს კომპეტენციაში შედის სკოლის კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირად დაარსებაც. სკოლას სამეწარმეო იურიდიულ პირად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ქმნის როგორც ფიზიკური, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირი, თუმცა, მას ეკისრება ზოგადი განათლების სფეროში არსებული საკანონმდებლო სტანდარტებისა და პროცედურების უზრუნველყოფის ვალდებულება.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სოციალური მუშაობა გულისხმობს:

- ფსიქოსოციალური პრობლემების, ქცევითი და ემოციური დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის, მათი მშობლები-სათვის, თანაკლასელებისა და მასწავლებლებისათვის ფსიქოსოციალური მომსახურების მიწოდებას;
- მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად და ჩაგვრის აღმოსაფხვრელად მუშაობას;
- სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნით მოსწავლისთვის სოციალურ-პედაგოგიური დახმარების გაწევას;

---

<sup>234</sup> „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248>, [17.08.2018].

- მოწყვლადი მოსწავლეების ან/და მოსწავლეთა ჯგუფების იდენტიფიცირებას და მათ შესაბამის მომსახურებაში ჩართვას;
- ძალადობისა და უგულვებელყოფის ფაქტების იდენტიფიცირებას და მათზე სათანადო რეაგირებას.

### **7.6. სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის უფლებამოსილება**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი 2006 წელს დაფუძნდა. მისი შექმნის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელება. ფონდის სახელმწიფო კონტროლის ვალდებულება ეკისრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.<sup>235</sup>

ფონდი ხელს უწყობს: 1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით, 2. სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის კომპენსაციის გაცემასა და მათ დაცვას, დახმარებასა და რეაბილიტაციას, 3. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა რეაბილიტაციას. ნიშანდობლვია, რომ ფონდის კრიზისული ცენტრის

<sup>235</sup> „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/98404>, [22.08.2018].

მომსახურებებით უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის სავარაუდო მსხვერპლებს. ამასთან, ფონდი ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის ღირსეული ცხოვრების პირობებს.<sup>236</sup>

ფონდი უშუალოდ ახორციელებს სოციალურ მუშაობას. ამ მიმართულებით მისი ფუნქციები და უფლებამოსილებებია:

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა იურიდიული (მათ შორის, კანონიერი ინტერესების დაცვა) და/ან ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებით (რეაბილიტაციით), სამედიცინო მომსახურების მიღებით უზრუნველყოფა, ასევე მისი ოჯახსა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მასხვერპლთა/დაზარალებულთა, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა, მსხვერპლზე/დაზარალებულზე დამოკიდებულ პირებთან ერთად, თავშესაფრით<sup>237</sup>, კრიზისული ცენტრით და სხვა მომსახურებებით (მაგ.: სამართლებრივი დახმარება) და ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებით, სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლთა, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა, სექსუალური ხასიათის ძა-

---

<sup>236</sup> იქვე, მე-2 და მე-3 მუხლები.

<sup>237</sup> მათ შორის, დროებითი სადღეღამისო საცხოვრისით, რაც მოიცავს კვებით, ჰიგიენისა და პირველადი მოხმარების სხვა საშუალებებით უზრუნველყოფას.

ლადობის სავარაუდო მსხვერპლთა, მათზე დამოკიდებულ პირებთან ერთად, კრიზისული ცენტრით და მასში არსებული მომსახურებებით უზრუნველყოფა, მათი სამართლებრივი და ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარება;

- ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, სადღეღამისო მომსახურების ფარგლებში მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება/ორგანიზება;
- სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამების განხორციელება.

### 7.7. მუნიციპალიტეტების უფლებამოსილება

მუნიციპალიტეტი თვითმმართველი ერთეულია. იგი არის დასახლება - თვითმმართველი ქალაქი, რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა - თვითმმართველი თემი, რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი.<sup>238</sup> მუნიციპალიტეტი არის ინსტიტუციური მექანიზმი, რომლის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება. თავის მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობა არის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, გადაწყვიტონ მუნიციპალური მნიშვნელობის საკითხები.<sup>239</sup> მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი ორგანოები (მერია, ან გამგეობა) და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა. მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი

---

<sup>238</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429>, [22.08.2018].

<sup>239</sup> იქვე, მე-2 მუხლის პირველი ნაწილი.

(ექსკლუზიური) და დელეგირებული უფლებამოსილებები. აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაობის ჩატარება არის მუნიციპალიტეტისთვის ცენტრალური ხელისუფლების მიერ დელეგირებული უფლებამოსილება, რომლის განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განახორციელებს.<sup>240</sup>

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო მმართველობის ნებისმიერი სფეროში, რადგან ისინი ინსტიტუციური თვალსაზრისით ყველაზე უფრო ახლოს იმყოფებიან მოქალაქეების ცხოვრებასა და პრობლემებთან. ამ მხრივ, სოციალური მუშაობაც არ არის გამონაკლისი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს სოციალური მუშაობის მკაფიოდ ცენტრალიზებული სისტემა, რაც განპირობებულია სხვადასხვა ობიექტური გარემოებებით<sup>241</sup>, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონმა განსაზღვრა მუნიციპალური საქმიანობის როლი და იგი სოციალური მუშაობის ინსტიტუციური სისტემის შემადგენელ რგოლად საკანონმდებლო დონეზე აღიარა. შეიძლება ითქვას, რომ ამ კანონის მიღებით სოციალური მუშაობის დეცენტრალიზაციის მიმართულებით პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. ქვეყნის მასშტაბით სოციალური მუშაობის სისტემატიზაციისთვის, უნიფიცირებული სტანდარტების უზრუნველყოფისთვის, ეფექტიანად განხორციელებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კომპეტენციათა განსაზღვრა, გამიჯვნა, აგრეთვე, სოციალური მუშაობის ინსტიტუცი-

---

<sup>240</sup> „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4231958>, [22.08.2018].

<sup>241</sup> მაგალითად, მუნიციპალური მმართველობის გამოცდილების არარსებობა, მუნიციპალიტეტების შეზღუდული მატერიალური, ფინანსური რესურსები, სოციალური მუშაობის სფეროში კვალიფიციური ადგილობრივი ადამიანური რესურსის სიმცირე და სხვა.

ური ვერტიკალის დადგენა, რაც ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ სოციალური მუშაობის ტერიტორიული მოწყობის აპრობირებული მეთოდია.<sup>242</sup>

ნიშანდობლივია, რომ კანონი ამკვიდრებს საქართველოში სრულიად ახლებურ მიდგომას, სოციალური მუშაობის ვერტიკალური გადანაწილების მხრივ. სოციალური მუშაობა, რომელიც გულისხმობს ინდივიდთან, თემთან და საზოგადოებთან მუშაობას, საუკეთესოდ შესრულდება ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, რადგან ამ უკნასკნელს გაცილებით უფრო ახლო, და უშუალო შეხება აქვს მოსახლეობასთან ვიდრე ცენტრალურ ხელისუფლებას. შესაბამისად, უფრო მარტივი იქნება, მათ შორის ძალადობის ფაქტების გამოვლენა და პრევენცია და ა.შ.. რაც არის საწყისი უფლებამოსილება ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული სოციალური მუშაკისათვის. თუ იგი დაასკვნის რომ, საჭიროა საქმის რეფერირება, შესაბამისი წესის მიხედვით მოახდენს მის გადამისამართებას, შესაბამის უწყებასთან.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონით სოციალური მუშაობის სფეროში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება გულისხმობს:

- სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების აქტიურ იდენტიფიცირებას, მათი საჭიროებების განსაზღვრასა და შეფასებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებას;
- შესაბამის შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია საფრთხის თავიდან აცილება, ბენეფიციართა სოციალურ მომსახურებებში ჩართვას და ამის შესახებ შესაბამისი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინებას;
- ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებას და მასზე შესაბამის რეაგირებას;

---

<sup>242</sup> Reinhard J. Wabnitz, Grundkurs Recht für die Soziale Arbeit, 3. Auflage. München, 2016, S. 134.

- ბენეფიციარებისათვის შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას და მათში ჩართვის ხელშეწყობას;
- სხვადასხვა ჯგუფებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტაციის გაწევას;
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის ჩატარებას და სხვა.

### **7.8. კერძო სამართლის იურიდიული პირების უფლებამოსილება**

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ უკრძალავს სოციალური მუშაობის განხორციელებას. თუმცა, ბენეფიციარის ინტერესების დაცვის პრინციპიდან, სოციალური მუშაობის ეფექტიანად განხორციელებიდან გამომდინარე, კერძო სამართლის იურიდიულ პირს ეკისრება სოციალური მუშაობისთვის ამ კანონით გათვალისწინებული წესების, პრინციპების, ნორმების დაცვის ვალდებულება. სოციალური მუშაობის განმახორციელებელი კერძო სამართლის იურიდიული პირი შესაძლებელია იყოს, როგორც სამეწარმეო (მოგებაზე ორიენტირებული, მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), ასევე არასამეწარმეო სამართლებრივი ფორმის. თუ კერძო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი კომერციულია, მას უფლება აქვს სოციალური სამუშაოსთვის ბენეფიციარისგან, თუ სახელმწიფოსგან მიიღოს ფულადი სარგებელი მოგების მიღებისთვის. თუკი ასეთი პირი დაფუძნებულია არამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ სუბიექტად, მაშინ ბენეფიციარისგან და სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი მხოლოდ საკუთარი დამფუძნებელი წესდებით გათვალისწინებული მიზნებისთვის უნდა გამოიყენოს.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ განსაზღვრავს სოციალური მუშაობის სფეროებს კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის. ამგვარი რეგულირების პირობებში, კერძო ორგანიზაციებს ენიჭებათ სოციალური მუშაობის ფართო

შესაძლებლობები. შესაბამისად, ასეთი ნორმატიული დანაწესის მიზანია სოციალური მუშაობის სფეროში კერძო სექტორის წვლილის გაზრდა, განვითარების ხელშეწყობა. საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოწვევებთან გამკლავების უნარის მქონე სოციალური მუშაობის საჯარო სისტემის პარალელურად არსებობდეს კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური, ქმედითი სოციალური მუშაობის კერძო სისტემა. გარდა ამისა, სოციალური მუშაობის საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველყოფისთვის საჭიროა სოციალური მუშაობის საჯარო და კერძო სისტემების სინთეზში ფუნქციონირება და კონკურენტული, თანადროული განვითარება.



## ბიბლიოგრაფია

### 1. ქართულენოვანი ლიტერატურა:

**ავტორთა კოლექტივი**, (რედ. ჭანტურია, ლადო), საქართველოს სამოქალაქო კედექსის კომენტარები, თბილისი, 2017;

**ავტორთა კოლექტივი**, (რედ. ტურავა პაატა), საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის კომენტარი, თბილისი, 2013;

**ავტორთა კოლექტივი**, (რედ. ქარდავა, ეკა), საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2018, საქართველო;

**ავტორთა კოლექტივი**, (რედ.იზორია, ლევან), საპოლიციო სამართალი, თბილისი, 2015;

**გვიშიანი, ლელა / ღვინიაანიძე, ლინა**, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) კვლევა, ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება. კანონმდებლობა და პრაქტიკის ანალიზი, 2016;

**ბერნჰარდტი, ენდრიუ / ქელბაქიანი, ანტონ / ნამიჭეიშვილი, სალომე / ბაროუზი, რანდელ / შეყრილაძე, ია / სამაგლიშვილი, შორენა**, სახელმძღვანელო კურსისთვის: სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში, თბილისი, 2014;

**ნამიჭეიშვილი, სალომე / მგელიაშვილი, მაია**, სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები სახელმძღვანელო ბავშვებთან და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის, თბილისი, 2010;

**სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი (CSDC)** სოციალური მუშაობა მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით, საკითხავი სახელმძღვანელო სოციალური მუშაკებისთვის, 2017;

**სამაგლიშვილი, შორენა / შეყრილაძე, ია / შატბერაშვილი, ნინო / მგელიაშვილი, მაია / ნამიჭეიშვილი, სალომე**, სოციალური მუშაობის მეთოდები დაუცველ ჯგუფებთან, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2011;

სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი, თბილისი, 2011;

ტატანაშვილი, ზურაბ / შალაშვილი, მაგული, სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში", თბილისი, 2017;

ქელბაქიანი, ანტონ / ცაგარელი, ნატალია / ტურაზაშვილი, გიორგი, „არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ კვლევის ანგარიში, თბილისი, 2014;

შალაშვილი, მაგული / ნამიჭიშვილი, სალომე, სოციალური სამუშაოს პრაქტიკის სტანდარტები, 2010;

USAID, RTI International და Save the Children International, პრევენციული ინტერვენციის სახელმძღვანელო აივ ინფიცირების თვალსაზრისით მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებთან სამუშაოდ, 2013.

## 2. უცხოენოვანი ლიტერატურა

**Androff, David**, Practicing Human Rights: Human Rights-Based Approaches to Social Work Practice, Routledge London, 2016;

**Bärwald, Christoph**, Soziale Arbeit als Menschenrechtsprofession: Menschenrechte als Leitlinie der sozialen Arbeit? Paperback – 15. Nordersterdt, 2014;

**Bauer, Thomas / Ertl, Andreas**, Recht für Sozialberufe, Brigitte Loderbauer, (Herausgeber), 4. Auflage, Wien 2016;

**Benz, Benjamin / Boeckh, Jürgen / Mogge-Grotjahn, Hildegard** (Hrsg.) Soziale Politik - Soziale Lage - Soziale Arbeit, Springer-Verlag. 2011;

**Dani, Ahmad, / Arjan, Haan** (eds.), Inclusive states: social policy and structural inequalities. World Bank Publications, Washington, USA, 2008;

**Deutscher Verein für öffentliche und private Fürsorge** – (Hrsg.), Fachlexikon der Sozialen Arbeit, 3. Auflage, Berlin, 1993;

**Embacher, Willfried / Ekert, Julia**, Recht für Sozialberufe, 4. Auflage. Brigitte Loderbauer, (Herausgeber), Wien, 2016

**Engel, Heike**, Sozialpolitische Grundlagen der Sozialen Arbeit (Grundwissen Soziale Arbeit, Band 3, 2011;

**Epping, Volker**, Grundrechte, Springer, Berlin, 2014;

**Frings, Dorothee**, Sozialrecht für die Soziale Arbeit (Grundwissen Soziale Arbeit, Band 4) 2014;

**Hartmann-Netzer, Danae / Kämpfer, Horst-Dieter**, Recht und Verwaltung in der sozialpädagogischen Theorie und Praxis, Theorie und Praxis, 7. Auflage, 2014;

**Ife, Jim**, Human Rights and Social Work: Towards Rights-Based Practice, 3<sup>rd</sup> ed. Cambridge University Press, New York, 2012;

**Ipsen, Jörg**, Staatsrecht, II. 15. Neu bearbeitete Auflage, München, 2012;

**Labonté-Roset Christine**, Soziale Arbeit als Menschenrechtsprofession, Vortrag an der, Alice Salomon-Hochschule Berlin. am 15. April 2016 in Dresden;

**Leuthardt, Kathrin**, Menschenrechtsdiskurs und berufsethische Prinzipien – Eine Herausforderung fuer die soziale Arbeit: Analyse eine stationaeren Kinder- und Jugendhilfeeinrichtung, Diplomarbeit, erfurt, 2009;

**Loderbauer, Brigitte**, (Hrsg.), Recht für Sozialberufe, 4. Aufl. Lexis Nexis Verlag, Wien, 2016;

**Metz, Karl**, Die Geschichte der sozialen Sicherheit, Stuttgart, 2008;

**Mogge-Grotjahn, Hildegard / Boeckh, Jürgen**, Lexikon der sozialen Arbeit, Bochum 2002;

**Münder, Johannes / Meysen, Thomas / Trenczek, Thomas** (Hrsg.), Frankfurter Kommentar SGB VIII, Kinder-und Jugendhilfe, Nomos Kommentar, 7. Auflage, Baden-Baden, 2013;

**Nodes Wilfried / Stark-Angermeier Gabriele / Leinenbach Michael**, (Hrsg.) Grundlagen für die Arbeit des DBSH e.V Deutscher Berufsverband für Soziale Arbeit e.V. 2009;

**Puch, Hans-Joachim**, Einführung in die Geschichte der sozialen Arbeit;

<http://www.pantucek.com/seminare/200609polizei/geschichteskript.pdf>,  
Nürnberg, 2005;

**Reinhard, J. Wabnitz**, Grundkurs Recht für die Soziale Arbeit, 3. Auflage. München, 2016;

**Reinhard, J. Wabnitz**, Grundkurs Recht für die Soziale Arbeit, Berufsethik der DBSH in Forum Sozial 4/2014;

**Sting, Stephan**, Historische und aktuelle Entwicklungen der Sozialpädagogik in Österreich, Jurnal of Contemporary Educational Studies, 3/2014;

**Stock, Christof / Schermaier-Stöckl Barbara / Klomann, Verena / Vittr, Anika**, Soziale Arbeit und Recht: Lehrbuch, 2016;

**Tannenbaum, Nili / Reisch, Michael**, From Charitable Volunteers to Architects of Social Welfare: A Brief history of Social Work, Ongoing, Michigan, USA. 2001;

**Thole, Werner**, (Hrsg.) Grundriss Soziale Arbeit: ein einfuehrendes Handbuch 4. Aufl VS Verlag, Wuerzburg 2012;

**Zavirsek, Darja / Lawrence, Susan**, Regional Perspectives on Social Work: Europe, in: Lyons, Karen, Hokenstad, Terry, Manohar, Pawar, Huegler, Nathalie, Hall, Nigel (eds.): The SAGE Handbook of International Social Work, 2012, London, UK.

### **3. სასამართლოს გადაწყვეტილებები**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები “ახალი მემარჯვენეები” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ";

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის N2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ";

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება 3/2/416 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება „ნ.წ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, (განაცხადი N. 71776/12);

#### **4. ელ. წყაროები**

<https://www.ifsw.org/what-is-social-work/global-definition-of-social-work/> (უკანასკნელად ნანახია: 25.07.2018);

აბრაამ ფლექსნერის მოხსენების ტექსტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://socialwelfare.library.vcu.edu/social-work/is-social-work-a-profession-1915/> (უკანასკნელად ნანახია: 25.07.2018);

„სოციალური მუშაობის“ საერთაშორისო დეფინიციის შესახებ მოსაზრებები იხ. <https://www.sozial.de/nur-eine-frage-der-formulierung-neue-globale-definition-sozialer-arbeit-soll-gemeinsame->

[deutsche-uebersetzung-bekommen-sozialde-fragt-nach.html](http://www.deutsche-uebersetzung-bekommen-sozialde-fragt-nach.html) (უკანასკნელად ნანახია: 10.10.2018);

Puch, Hans-Joachim, Einführung in die Geschichte der sozialen Arbeit,

<http://www.pantucek.com/seminare/200609polizei/geschichteskript.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 10.10.2018);

გერმანიის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის პროფესიული ეთიკის შესახებ, Berufsethik der DBSH in Forum Sozial 4/2014, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

<https://www.dbsh.de/fileadmin/downloads/DBSH-Berufsethik-2015-02-08.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 10.10.2018);

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ინდიკატორების შესახებ, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [http://www.sginetwork.org/docs/studies/SGI11\\_Social\\_Justice\\_OECD.pdf](http://www.sginetwork.org/docs/studies/SGI11_Social_Justice_OECD.pdf) (უკანასკნელად ნანახია: 10.10.2018);

რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, 2013 წ. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია, 2015 წელი. დოკუმენტები ხელმისაწვდომია ვებ. გვერდზე:

<http://www.justice.gov.ge/AboutUs/Council/238> (უკანასკნელად ნანახია: 10.10.2018);

„სოციალური სამუშაო, სოციალური მუშაკების ფუნქციები და სტატუსი“, სოციოლოგიური კვლევა ჩატარებულია დამოკრატის განვითარების სააგენტოს მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

[https://ddaagencyblog.files.wordpress.com/2017/10/fes\\_analysis .pdf](https://ddaagencyblog.files.wordpress.com/2017/10/fes_analysis.pdf) (უკანასკნელად ნანახია: 10.10.2018);

Wettstein, Felix, Prävention im Kontext Sozialer Arbeit, [http://www.avenirsocial.ch/sozialaktuell/sozial\\_aktuell\\_3720\\_3725.pdf](http://www.avenirsocial.ch/sozialaktuell/sozial_aktuell_3720_3725.pdf) (უკანასკნელად ნანახია: 10.10.2018).

## 5. სხვა აქტები

სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი, საქართველო, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, 2011, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

<http://www.gasw.org/index.php/ka/publications/researchs/116-2016-08-11-19-30-11> (უკანასკნელად ნანახია: 25.07.2018);

სოციალური მუშაობის პროფესიული რეგულირების კონცეფცია, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, სამუშაო ვერსია, თბილისი, 2017;

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ზოგადი კომენტარი N1, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, C/GC/1;

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, სახალხო დამცველის კვლევის ანგარიში. ქმედუნარიანობა – საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე კვლევის ანგარიში, 2016.





## დანართი

### საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ

#### თავი I

#### ზოგადი დებულებანი

##### **მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო**

1. ეს კანონი განსაზღვრავს სოციალური მუშაობის ძირითად პრინციპებს, სოციალური მუშაკის სამართლებრივ სტატუსს, სოციალურ გარანტიებს, ფუნქციებს, უფლებებსა და მოვალეობებს, სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

2. ამ კანონის დებულებები ვრცელდება საჯარო დაწესებულებაზე და კერძო სამართლის იურიდიულ პირშიდასაქმებულ, აგრეთვე თვითდასაქმებულ, პრაქტიკული საქმიანობის განმახორციელებელ სოციალურ მუშაკებზე და მათ პროფესიულ ზედამხედველებზე, გარდა ამ კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

##### **მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბენეფიციარი – ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს ამ კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაობის სერვისით ან რომლის მიმართ სოციალური მუშაკი ადგენს ამ კანონით განსაზღვრული სოციალური მუშაობის ჩატარების საჭიროებას;

ბ) ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესი – ბენეფიციარის სოციალური უსაფრთხოების, მისი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის, კეთილდღეობის, განვითარების ან ამ კანონის მიზნებით გათვალისწინებული სხვა ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს;

გ) გადაუდებელი შემთხვევა – მდგომარეობა, რომელიც მეყსეულ საფრთხეს უქმნის ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესს;

დ) ვარაუდის საფუძველი – ფაქტი ან ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს გარემოებათა გათვალისწინებით დასკვნის გასაკეთებლად;

ე) კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი – პირი, რომლის მიმართ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული; პირი, რომლის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი; პირი, რომელიც იმყოფება ისეთ გარემოში ან ავლენს ისეთ ასოციალურ ქცევას, რომელიც ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი ჩაიდენს დანაშაულს (დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი პირი);

ვ) სამართლებრივი აქტი – უფლებამოსილი დაწესებულების მიერ ამ კანონის მიზნებისთვის გამოცემული, შესასრულებლად სავალდებულო აქტი;

ზ) საფრთხე – ვითარება, როდესაც არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ მოვლენების მოსალოდნელი განვითარების შეუფერხებელი მსვლელობის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ზიანი მიადგება ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესს;

თ) სოციალური მუშაკი – პირი, რომელიც ამ მუხლის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სოციალურ მუშაობას ატარებს ბენეფიციართა მიზნობრივ ჯგუფთან და რომელსაც მიღებული აქვს ამ კანონით გათვალისწინებული აკადემიური ან სხვა განათლება;

ი) სოციალური მუშაობა – პრაქტიკულ საქმიანობაზე დაფუძნებული სპეციალობით მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში ინდივიდის თავისუფალ განვითარებას, მისი ინტეგრაციის ხელშეწყობას და ინდივიდის გაძლიერებით ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას;

კ) სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ჯგუფი – ჯგუფი, რომელშიც შედის ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე ან/და აზარტულ თამაშობაზე დამოკიდებული პირი, სოციალურად დაუცველი პირი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ხანდაზმული, არას-

რულწლოვანი, მრავალშვილიანი ოჯახი, მარტოხელა მშობელი, იძულებით გადაადგილებული პირი, უსახლკარო პირი, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი, ჯანმრთელობის მიმე მდგომარეობის მქონე პირი, მხარდაჭერის მიმღები, ძალადობის მსხვერპლი, სხვა პირი, რომელიც გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლებელია იყოს ზემოთ აღნიშნული ჯგუფის მსგავს საფრთხეში;

ლ) ხანდაზმული – ფიზიკური პირი 65 წლის ასაკიდან.

### **მუხლი 3. კანონის მიზნები**

ამ კანონის მიზანია სოციალური მუშაობის იმგვარი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ემსახურება:

ა) ინდივიდის მიერ თავისი ცხოვრების წარმატებით წარმართვას, თვითდახმარებისა და თვითგანვითარების გზით მისი დამოუკიდებლობისა და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას;

ბ) ინდივიდის საზოგადოებაში მდგრად ინტეგრაციას, მისი ფართო პირადი ავტონომიის შენარჩუნებას და მის მიერ საზოგადოებრივი სიკეთით სრულფასოვნად სარგებლობას;

გ) ისეთი სტრუქტურული ცვლილებების დანერგვას, რომლებიც ხელს უშლის მარგინალიზაციასა და სოციალურ დაყოფას;

დ) სოციალური უსაფრთხოების ხელშეწყობას;

ე) ოჯახისა და საზოგადოების გაძლიერებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

### **მუხლი 4. სოციალური მუშაობის სამართლებრივი საფუძვლები**

1. სოციალური მუშაობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, ეს კანონი, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და მათ საფუძველზე გამოცემული სხვა სამართლებრივი აქტები.

2. სოციალურ მუშაკზე ვრცელდება ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებები.

3. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკზე ვრცელდება ამ კანონის დებულებები, თუ პატიმრობის კოდექსით, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონითა და აღნიშნული კანონების საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

## თავი II

### სოციალური მუშაობის ძირითადი პრინციპები

#### **მუხლი 5. სოციალური მუშაობის პრინციპების სავალდებულოობა**

1. სოციალური მუშაკი ვალდებულია სოციალური მუშაობის ჩატარებისას გაითვალისწინოს შემდეგი პრინციპები: ადამიანის უფლებების პატივისცემა, სოციალური სამართლიანობა, თანასწორობა, დარგობრივი კომპეტენცია, თანაზომიერება, ინდივიდუალიზაცია, კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის დაცვა და სოციალური მუშაობის სისტემურობა.

2. სოციალური მუშაკის მიერ სოციალური მუშაობის პრინციპების დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

#### **მუხლი 6. ადამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპი**

1. სოციალური მუშაობა ეფუძნება თითოეული ადამიანის ღირსებისა და სხვა ძირითადი უფლებების პატივისცემას.

2. სოციალური მუშაკი არა მხოლოდ თავად არ უნდა არღვევდეს ადამიანის უფლებებს, არამედ ხელს უნდა უწყობდეს ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებას.

### **მუხლი 7. სოციალური სამართლიანობის პრინციპი**

1. სოციალური მუშაკი ემსახურება საზოგადოებრივ ურთიერთობებში სოციალური სამართლიანობის მიღწევას.
2. სოციალური მუშაკი ხელს უწყობს საზოგადოებაში სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრას და სოციალურ პროგრესს.

### **მუხლი 8. თანასწორობის პრინციპი**

1. სოციალური მუშაობა ეფუძნება თანასწორობის პრინციპს.
2. პროფესიული უფლებამოსილების განხორციელებისას დაუშვებელია დისკრიმინაციული მოპყრობა რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

### **მუხლი 9. დარგობრივი კომპეტენციის პრინციპი**

1. სოციალური მუშაკი სოციალურ მუშაობას ატარებს დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით. დარგობრივი კომპეტენციის მიღება შესაძლებელია პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში.
2. აკადემიური ან სხვა საგანმანათლებლო კურსები უზრუნველყოფს სოციალური მუშაკის მიერ დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით განათლების მიღებას და შემდგომ მის გაღრმავებას.

### **მუხლი 10. თანაზომიერების პრინციპი**

1. სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელი ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის დაცვას. შერჩეული ღონისძიება უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული.
2. სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელი ღონისძიება არის გამოსადეგი, თუ ის შესაძლებელს ხდის ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის დაცვას.

3. სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელი ღონისძიება არის აუცილებელი, თუ ვერ იქნება გამოყენებული სხვა საშუალება, რომელიც ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის დაცვისას უფრო ნაკლებ ზიანს მიაყენებდა როგორც ქმედების ადრესატს, ისე სხვა პირს.

4. სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული ღონისძიება არის პროპორციული, თუ კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის მიყენებული ზიანი არ აღემატება იმ სიკეთეს, რომლის დასაცავადაც ის განხორციელდა.

### **მუხლი 11. ინდივიდუალიზაციის პრინციპი**

1. სოციალური მუშაობა ორიენტირებულია ინდივიდზე.

2. სოციალური მუშაკი ახდენს ბენეფიციარის ინდივიდუალური სოციალური საჭიროების მხარდაჭერას, სოციალური პრობლემის მიზეზის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრისკენ მიმართული ქმედებების განხორციელების ხელშეწყობას.

### **მუხლი 12. კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის დაცვის პრინციპი**

1. სოციალური მუშაკი სოციალურ მუშაობას ატარებს ამ კანონის მიზნების, ღირებულებებისა და ეთიკური პრინციპების შესაბამისად.

2. სოციალური მუშაკი მოქმედებს კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ მოვალეობას.

3. სოციალური მუშაკის პროფესიული ეთიკის ნორმები ეფუძნება კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას, ინდივიდის ღირსების პატივისცემის პრინციპზე დამყარებულ ურთიერთობას, ბენეფიციარის მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლების და მისი თვითგამორკვევის აღიარებას, სოციალური მუშაობის ჩატარებისას ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის უპირატესობის აღიარებას.

### **მუხლი 13. სოციალური მუშაობის სისტემურობის პრინციპი**

სოციალური მუშაობა მიმდინარეობს სისტემურად, სამ დონეზე: ინდივიდუალურად – მიკროდონეზე, საზოგადოებრივად – მეზოდონეზე, სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის – მაკროდონეზე.

### **თავი III**

#### **სოციალური მუშაკის ფუნქციები**

#### **მუხლი 14. სოციალური მუშაკის ძირითადი და დარგობრივი ფუნქციები**

1. სოციალურ მუშაკს აქვს ძირითადი და დარგობრივი ფუნქციები.
2. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს სოციალური მუშაკის მიერ სოციალური მუშაობის ჩატარების ყველა ძირითადი და რამდენიმე შესაბამისი დარგობრივი უნარის შეძენას.

#### **მუხლი 15. სოციალური მუშაკის ძირითადი ფუნქციები**

1. სოციალური მუშაკის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა პრევენციული სოციალური მუშაობის ჩატარება.
2. სოციალური მუშაკის სპეციალიზაციის მიუხედავად, მისი ძირითადი ფუნქციებია:
  - ა) სოციალური მუშაობის ფარგლებში განახორციელოს ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;
  - ბ) იზრუნოს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის დაცვაზე, მათ შორის, მისი უფლებების დაცვაზე;
  - გ) იზრუნოს ბენეფიციარის კეთილდღეობაზე, განახორციელოს მისი ადვოკატირება და დაიცვას მისი უფლებები;
  - დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაცია გაუწიოს ბენეფიციარს, თავიდან აიცილოს კრიზისი და დროულად ჩაერიოს მასში, მოახდინოს ბენეფიციარის მხარდაჭერა;

ე) ბენეფიციარის უშუალო მონაწილეობით დაგეგმოს და განახორციელოს სოციალური მუშაობის პროცესი;

ვ) იმუშაოს სოციალურ საკითხებზე;

ზ) მოახდინოს სოციალური კეთილდღეობის სფეროში არსებული პრობლემის იდენტიფიცირება, შეიმუშაოს პროფესიული ინიციატივები და მოიძიოს პრობლემის გადაჭრის გზები;

თ) ითანამშრომლოს სოციალურ სფეროში დასაქმებულ სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, აგრეთვე კერძო და საჯარო დაწესებულებებთან;

ი) მოახდინოს სასიკეთო ცვლილებების ინიცირება და განახორციელოს ისინი;

კ) გაააქტიუროს ინდივიდების, ჯგუფების, ორგანიზაციებისა და საზოგადოების მისწრაფება სოციალური განვითარებისკენ;

ლ) განახორციელოს პროფესიული საქმიანობის თვითმეფასება, აგრეთვე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ზედამხედველობის პროცესში.

## **მუხლი 16. სოციალური მუშაობა ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის და მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის სფეროში**

1. ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის და მეურვეობის/მზრუნველობის/ მხარდაჭერის სფეროში სოციალური მუშაობა გულისხმობს:

ა) ბავშვის შვილად აყვანის პროცესში მონაწილეობას;

ბ) ბავშვის მხარდაჭერას, მისი საუკეთესო ინტერესის დაცვას, მის მეურვეობას, მზრუნველობას და საპროცესო წარმომადგენლობას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მეურვეობის/მზრუნველობის დაწესების/მხარდაჭერის დანიშვნის პროცესში მონაწილეობას, მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობის ზედამხედველობას, სამეურვეო/სამზრუნველო პირის ქონებრივი უფლების განკარგვის საკითხზე რეკომენდაციის გაცემას;

დ) ბავშვის ძალადობისა და უფლებებელყოფისგან დაცვის მიზნით ზომების მიღებას;



ე) მიუსაფარი ბავშვისა და მისი ოჯახის საჭიროებების განსაზღვრას;

ვ) ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას და მათ მონიტორინგს;

ზ) ოჯახის მხარდაჭერას, პრევენციას, პირის სპეციალიზებული დაწესებულებიდან რეინტეგრაციას და მისი მდგომარეობის მონიტორინგს, 24-საათიანი ზრუნვის სისტემასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას;

თ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, ძალადობის მსხვერპლთა, მათ შორის, ბავშვების, სათანადო მომსახურებაში ჩართვის ხელშეწყობას;

ი) ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობაში დახმარების გაწევას;

კ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის საზოგადოებაში ინტეგრაციისა და ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებას;

ლ) ბავშვის ძალადობისგან, პირის ოჯახში ძალადობისგან და ქალთა ძალადობისგან დაცვის მიზნით ზომების მიღებას, მათ რეაბილიტაციაზე ზრუნვას, საზოგადოებაში ინტეგრაციას და მონიტორინგს;

მ) ხანდაზმულისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის დღის ცენტრისა და გრძელვადიანი თავშესაფრის, შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას და მათში ჩართვის ხელშეწყობას;

ნ) დედებისა და ბავშვებისათვის თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობაში დახმარების გაწევას;

ო) ბავშვის 24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვის (მათ შორის, მინდობით აღზრდის) მიზნით განთავსებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას და მათ მონიტორინგს;

პ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ოჯახური დავების ან მშობლის უფლების შეზღუდვის/ჩამორთმევის დროს სასამართლო პროცესებში მონაწილეობას

არასრულწლოვანთა კანონიერი ინტერესების დაცვის და სათანადო დასკვნის გაცემის მიზნით;

ჟ) სამეურვეო/სამზრუნველო და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისათვის სოციალური და სამედიცინო მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას და მათი შესაბამის დღის ცენტრსა და თავშესაფარში განთავსების ხელშეწყობას;

რ) შესაბამისი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში სხვა ფუნქციების შესრულებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ვრცელდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკზე.

## **მუხლი 17. სოციალური მუშაობა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან**

კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან სოციალური მუშაობა გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპეტენციის ფარგლებში:

ა) საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული ბრალდებულისა და მსჯავრდებულისთვის კონსულტაციების გაწევას, მოწყვლადი ჯგუფების გამოვლენას და მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობას;

ბ) მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით მასთან დაკავშირებული რისკებისა და მისი საჭიროებების შეფასებას, ინდივიდუალური გეგმის შედგენას, მისთვის სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებას, მისი რეაბილიტაციის პროცესის ზედამხედველობას, კრიზისული შემთხვევების მართვას;

გ) კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სოციალური გარემოს, უნარებისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლას, მის შესახებ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით ინფორმაციის მიღებას, განრიდების პროგრამების ფარგლებში მისი ინდივიდუალური საქმის მართვას;

დ) დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ პირთან რეფერალის სისტემის შესაბამისი დახმარების გაწევის მიზნით მუშაობას;

ე) მსჯავრდებული არასრულწლოვნისა და სრულწლოვნის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხელშეწყობას;

ვ) პატიმრობის კოდექსით, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ და „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებითა და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული უფლებების განხორციელებას და მოვალეობების შესრულებას.

### **მუხლი 18. სოციალური მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სოციალური მუშაობა გულისხმობს:

ა) მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას, ჩაგვრის შემთხვევების შემცირების მიზნით პრევენციულ მუშაობას და მათ მართვაზე ზრუნვას, მათ შორის, მოსწავლეთა მშობლებთან, ოჯახთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან მუშაობას;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული სოციალური პრობლემების, კანონთან კონფლიქტში მყოფი, ქცევითი და ემოციური პრობლემების, აგრეთვე ინკლუზიური და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების იდენტიფიცირებას და მათთვის სოციალური მომსახურების მიწოდებას, მათ შორის, მოსწავლეთა რთული ქცევის მართვას, მათი ოჯახებისთვის კონსულტაციის გაწევას;

გ) მოსწავლის ზოგადი განათლების, ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესებში

მონაწილეობის უზრუნველყოფას და მისი სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობას;

დ) ძალადობისა და უფლებებელყოფის ფაქტების იდენტიფიცირებას და მათზე შესაბამის რეაგირებას.

## **მუხლი 19. სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში**

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სოციალური მუშაობა გულისხმობს ბენეფიციართან სოციალურ მუშაობას მისი ჯანმრთელობის დაცვის პროცესში, მათ შორის, მისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მიწოდების პროცესში, კერძოდ:

ა) ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასებას, მისი საჭიროებების განსაზღვრას და მათ დაკმაყოფილებაზე ზრუნვას;

ბ) ბენეფიციარისთვის კონსულტაციისა და საგანმანათლებლო დახმარების გაწევას, მათ შორის, მისი ჯანსაღი ქცევის მხარდაჭერას/წახალისებას მკურნალობისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, კრიზისულ ინტერვენციას, ბენეფიციარის ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას და რეაბილიტაციას.

## **მუხლი 20. სხვა ფუნქციები**

1. სოციალური მუშაკი ასრულებს საქართველოს კანონმდებლობითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების ფარგლებში შესასრულებელ იმ სპეციალურ ფუნქციებს, რომლებიც ამ კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, მაგრამ გამომდინარეობს ამ კანონით დადგენილი პრინციპებიდან, უფლებამოსილებებიდან და ფუნქციებიდან და ემსახურება ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული სოციალური მუშაკისათვის განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, ხოლო კერძო სამართლის იურიდიულ პირში დასაქმებული სოციალური მუშაკისათვის – დამსაქმებელი.

## თავი IV

### სოციალური მუშაკის უფლებები და მოვალეობები

#### მუხლი 21. სოციალური მუშაკის საქმიანობის მხარდაჭერა

1. სოციალურ მუშაკს უფლება აქვს, ჰქონდეს სოციალური მუშაობის ეფექტიანი ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალური, ტექნიკური, ინფრასტრუქტურული, საინფორმაციო და უწყებრივი მხარდაჭერა იმ დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, რომელშიც დასაქმებულია იგი.

2. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული სოციალური მუშაკისთვის აუცილებელი სახელმწიფო მხარდაჭერის ფარგლები და მისი უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება იმ დაწესებულების სამართლებრივი აქტით, რომელსაც ექვემდებარება სოციალური მუშაკი.

3. სოციალური მუშაკი პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს მომსახურების მიწოდების დადგენილი პროფესიული სტანდარტით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.

#### მუხლი 22. დამოუკიდებლობა

1. სოციალური მუშაკის დამოუკიდებლობაზე გავლენის მოხდენა დაუშვებელია.

2. სოციალური მუშაობის პრინციპებიდან და ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში სოციალური მუშაკი ბენეფიციართან ერთად განსაზღვრავს მისაწოდებელი მომსახურების ტიპს და მის ხელმისაწვდომობას, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც მრავალმხრივი ან დისციპლინათშორისი თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება.

### **მუხლი 23. ბენეფიციარისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება**

1. სოციალური მუშაკი ვალდებულია სოციალური მუშაობა ჩატაროს ბენეფიციარისთვის ღიად, მისთვის ინფორმაციის მიწოდებით და მისი თანხმობით. გადაუდებელი შემთხვევის დროს ბენეფიციარის თანხმობა აუცილებელი არ არის.

2. სოციალური მუშაკი ვალდებულია ბენეფიციარს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია საჭირო მომსახურების, არსებული რისკისა და დაბრკოლების შესახებ.

### **მუხლი 24. სასამართლოში წარმომადგენლობა**

1. სოციალური მუშაკი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების საფუძველზე.

2. ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, სოციალურ მუშაკს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სასამართლო მედიაციის პროცესში.

3. სოციალური მუშაკი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში და უზრუნველყოს სასამართლოსთვის შემთხვევის ან ბენეფიციარის შესახებ ობიექტური ფსიქოსოციალური დასკვნის მომზადება.

### **მუხლი 25. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება**

1. სოციალურ მუშაკს ეკისრება იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სოციალური მუშაობის ჩატარებისას.

2. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება სოციალური მუშაკის საქმიანობაზე არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ბენეფიციარი ათავისუფლებს სოციალურ მუშაკს ამ ვალდებულების შესრულებისგან და ინფორმაციის გაცემა არ დააზიანებს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესს. თუ ბენეფიციარი არასრულწლოვანია, იგი სოციალურ მუშაკს აღნიშნული ვალდებულების

შესრულებისგან ათავისუფლებს ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით;

ბ) სოციალურ მუშაკს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულება ინფორმაციის გაცემას აკისრებს;

გ) სოციალური მუშაკისთვის ცნობილი ინფორმაციის გაუცემლობა ზიანს მიაყენებს უფრო ღირებულ სამართლებრივ სიკეთეს.

3. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება სოციალურ მუშაკზე ვრცელდება სოციალური მუშაობის დასრულების შემდეგაც.

### **მუხლი 26. ინფორმაციის გაცემის ვალდებულება**

1. დაწესებულება, რომელშიც დასაქმებულია სოციალური მუშაკი, ვალდებულია ბენეფიციართან დაკავშირებული მის ხელთ არსებული ინფორმაცია გააცნოს ბენეფიციარს, მის წარმომადგენელს ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირს.

2. ინფორმაციის გაცემის წესი, მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები და მათ გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები განისაზღვრება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

### **მუხლი 27. დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულება**

1. სოციალური მუშაკი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს ბენეფიციარის პირადი საქმე და დოკუმენტაცია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია უნდა ასახავდეს ბენეფიციარის შესახებ მონაცემებს (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბენეფიციარს არ აქვს იდენტიფიცირებისათვის საჭირო დოკუმენტაცია), ღონისძიების გამოყენების საფუძველს, მისი გეგმის დეტალურ აღწერას, ღონისძიებაში მონაწილე მხარეებს, ღონისძიების მიმდინარეობას ეტაპების მიხედვით, შუალედურ დასკვნებს, ღონისძიების ხანგრძლივობას, შედეგს და დასკვნით შეფასებას.

3. სოციალური მუშაკი სოციალური მუშაობის დასრულების ან სხვა სამსახურში გადასვლის შემთხვევაში ვალდებულია ბენეფიციარის შესახებ მონაცემები გადასცეს მის შემცველს ან თავის უშუალო ხელმძღვანელს.

4. დოკუმენტაციის წარმოების წესი და ფორმა განისაზღვრება იმ დაწესებულების სამართლებრივი აქტით, რომელშიც დასაქმებულია სოციალური მუშაკი.

5. სოციალური მუშაკის დამსაქმებელი ვალდებულია დამუშავებული დოკუმენტაცია შეინახოს სოციალური მუშაობის მიმდინარეობისას და მისი დასრულების შემდეგ გონივრული ვადით, რომელიც აუცილებელია სოციალური მუშაობის ჩასატარებლად, ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის დასაცავად და დაწესებულებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად. დოკუმენტაციის შენახვის ვადას განსაზღვრავს აღნიშნული დაწესებულება.

### **მუხლი 28. მრავალმხრივი და დისციპლინათშორისი თანამშრომლობა**

სოციალური მუშაკი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლოს სხვა სოციალურ მუშაკებთან, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, აგრეთვე იმ პროფესიულ ჯგუფებთან, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ბენეფიციარის მხარდაჭერის პროცესში, და იმ პირებთან, რომლებთან თანამშრომლობაც მიმართულია ბენეფიციარის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ.

### **მუხლი 29. ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესით მოქმედება**



1. სოციალური მუშაკი ვალდებულია სოციალური მუშაობა ჩაატაროს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესისა და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით.

2. სოციალური მუშაკი ხელს უწყობს ბენეფიციარის თვითრეალიზაციას, მისი შესაძლებლობებისა და საკუთარი ინტერესების დაცვის უნარის გაუმჯობესებას.

### **მუხლი 30. მიუკერძოებლობა**

1. სოციალური მუშაკი ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელებისას იყოს მიუკერძოებელი და ხელმძღვანელობდეს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესით.

2. დაუშვებელია, სოციალური მუშაკი იყოს მხარე და მოქმედებდეს სუბიექტური ინტერესებით.

3. სოციალური მუშაკი მისი დამსაქმებლის წინაშე აყენებს თვითაცილების საკითხს, თუ არსებობს გარემოება, რომელიც სოციალურ მუშაკს ხელს შეუშლის, მიუკერძოებლად განახორციელოს საკუთარი უფლებამოსილება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. სოციალურმა მუშაკმა დამსაქმებელს უნდა დაუსაბუთოს თვითაცილების მიზეზი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას მესამე პირს უფლება აქვს, სოციალური მუშაკის დამსაქმებლის წინაშე დააყენოს მისი აცილების საკითხი.

5. სოციალური მუშაკის აცილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მისი დამსაქმებელი.

### **მუხლი 31. ინფორმაციის ანალიზი**

1. სოციალურ მუშაკს უფლება აქვს, არსებული სოციალური პრობლემების შემცირებისა და გადაჭრის, სოციალური სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების და ცვლილებების მხარდაჭერის მიზნით გააანალიზოს ინფორმაცია და ანალიზის შედეგების შესახებ მონაცემები მიაწოდოს თავის უშუალო ხელმძღვანელს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ანალიზის ფორმა და შესაბამისი მოთხოვნები განი-

საზღვრება იმ დაწესებულების სამართლებრივი აქტით, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარება სოციალური მუშაკი.

**მუხლი 32. სოციალური მუშაკის უწყვეტი პროფესიული განვითარება**

1. სოციალური მუშაობის მიზნებიდან გამომდინარე, სოციალური მუშაკი ვალდებულია შეთავაზებულ პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობით განივითაროს პროფესიული შესაძლებლობები, გაიუმჯობესოს უნარები და გაიღრმავოს ცოდნა.

2. დამსაქმებელმა ხელი უნდა შეუწყოს სოციალურ მუშაკს, მონაწილეობა მიიღოს უწყვეტი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.

**მუხლი 33. პროფესიული იდენტობის ხელშეუხებლობა**

სოციალურ მუშაკს უფლება აქვს, შეინარჩუნოს პროფესიული კულტურა, სამუშაოს შესრულების მეთოდი და სამუშაო ინსტრუმენტი, რომლებიც დადგენილია სოციალური მუშაობის პროფესიული სტანდარტებით.

**მუხლი 34. სოციალური მუშაკის პასუხისმგებლობა**

ამ კანონით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის სოციალურ მუშაკს დაეკისრება ამ კანონის 63-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

**თავი V**

**სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელი**

## ღონისძიებები

### მუხლი 35. ღონისძიებები

სოციალური მუშაკის ფუნქციებისა და მოვალეობების შესასრულებლად ხორციელდება ამ თავით გათვალისწინებული ღონისძიებები.

### მუხლი 36. პრევენცია

სოციალური მუშაკი ბენეფიციარს აწვდის შესაბამის მომსახურებას, როდესაც საფრთხე არ არსებობს, თუმცა, ობიექტური დამკვირვებლის თვალით, ყველა გარემოების გათვალისწინებით, ის, დიდი ალბათობით, წარმოიქმნება.

### მუხლი 37. პრობლემის განსაზღვრა

1. საფრთხის არსებობის შემთხვევაში სოციალური მუშაკი განსაზღვრავს დახმარების საჭიროების მქონე პირის პრობლემას.

2. პრობლემა განისაზღვრება დახმარების საჭიროების მქონე პირთან, მისი ოჯახის წევრთან, მის ახლო წრესთან და სხვა შესაბამის პირთან გასაუბრების საფუძველზე, ყველა გარემოების გათვალისწინებით.

3. სოციალური მუშაკი შემთხვევის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე თვითონ აგრძელებს ბენეფიციართან მუშაობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ადგენს ბენეფიციარის მხარდამჭერ შესაბამის სპეციალისტს ან უწყებას და ბენეფიციარს მასთან გადაამისამართებს.

### მუხლი 38. საჭიროების შეფასება

1. სოციალური მუშაკი ბენეფიციარის ინდივიდუალური პრობლემისა და მისი გარემოს შესახებ ამომწურავი ინფორმაციის საფუძველზე სისტემურად შეისწავლის მის მდგომარეობას.

2. სოციალური მუშაკი ითვალისწინებს ბენეფიციარის მხარდამჭერისთვის ხელის შემშლელ ფაქტორებს, მისი მხარდამჭერისთვის

საჭირო რესურსებსა და შესაძლებლობებს და აფასებს ბენეფიციარის საჭიროებებს.

### **მუხლი 39. სოციალური მუშაობის დაგეგმვა**

1. სოციალური მუშაკი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან პრობლემაზე რეაგირებისთვის ბენეფიციართან შეთანხმებით ადგენს სოციალური მუშაობის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას ან განვითარების გეგმას (შემდგომ – გეგმა).

2. გეგმაში განსაზღვრული უნდა იყოს მიზნები, აუცილებელი სტრატეგია და სამოქმედო ეტაპები.

3. გეგმაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია ბენეფიციარის ასაკის და მისი განვითარების გათვალისწინებით, გეგმის განხორციელებაში მონაწილე პირების თანხმობით, დადგენილ ვადაში.

4. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ბენეფიციარი არ ეთანხმება გეგმას ან გეგმის ნაწილს, სოციალურ მუშაკს უფლება აქვს, მისი ნების საწინააღმდეგოდ დაამტკიცოს გეგმა ან გეგმის ნაწილი, თუკი სხვაგვარად საფრთხე შეექმნებოდა ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესს.

5. ამ მუხლის დებულებები არ ვრცელდება კრიზისული ინტერვენციის შემთხვევაზე. საფრთხის შეწყვეტის შემდეგ სოციალური მუშაკი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, შეადგინოს გეგმა.

### **მუხლი 40. მხარდაჭერა**

1. სოციალური მუშაკი მოქმედებს გეგმის განსახორციელებლად და მის შესაბამისად.

2. სოციალური მუშაკი მხარს უჭერს ბენეფიციარის შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად საზოგადოებაში მისი სოციალური კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით.

3. სოციალური მუშაკი გეგმის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, შემთხვევის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე ადგენს ბენეფიციარის მხარდამჭერ შესაბამის სპეციალისტს ან უწყებას და

ბენეფიციარს მასთან გადაამისამართებს და აზუსტებს შემთხვევის მიმდინარეობის სტატუსს.

#### **მუხლი 41. სხვა ღონისძიება**

სოციალური მუშაკი უფლებამოსილია განახორციელოს ისეთი ღონისძიება, რომელიც ამ კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ უზრუნველყოფს ბენეფიციარისთვის საფრთხის თავიდან აცილებას და ემსახურება ბენეფიციარის საზოგადოებაში ინტეგრაციას.

### **თავი VI**

#### **სოციალური მუშაკის პროფესიული კვალიფიკაცია**

**მუხლი 42. სოციალური მუშაკის პროფესიული კვალიფიკაციისათვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები**

1. სოციალური მუშაკი შეიძლება იყოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იგი არის სრულწლოვანი;

ბ) მან იცის სახელმწიფო ენა;

გ) მას აქვს სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი ან ამ კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაკის სერტიფიკატი;

დ) იგი ფლობს ამ კანონის 43-ე მუხლით განსაზღვრულ კომპეტენციებს;

ე) იგი პიროვნული თვისებებით შეესაბამება სოციალური მუშაკის პროფესიას;

ვ) იგი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

2. სოციალური მუშაკი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ

ლი თანამდებობის პირი ან სხვა პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით ეკრძალება სოციალური მუშაობის ჩატარება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან სოციალური მუშაკის უნარების, შესაძლებლობებისა და კომპეტენციების შესაბამისობას ადგენს ის დაწესებულება, რომელსაც უშუალოდ უნდა დაექვემდებაროს სოციალური მუშაკი დასაქმებისას.

4. სოციალური მუშაკის საჯარო დაწესებულებაში მიღებაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებები.

### **მუხლი 43. სოციალური მუშაკის კომპეტენციები**

1. სოციალური მუშაკი ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს:

ა) სტრატეგიული კომპეტენცია – ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, შედეგზე ორიენტირებული მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე საკუთარი საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა;

ბ) მეთოდოლოგიის გამოყენების კომპეტენცია – სოციალური მუშაობის ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, სოციალური მუშაობის მეთოდების და ფსიქოსოციალური კონცეფციების გამოყენებით წარმართვა;

გ) სოციალურ-პედაგოგიური კომპეტენცია – ბენეფიციართა მიზნობრივ ჯგუფებთან პედაგოგიურ- აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება;

დ) სამართლებრივი კომპეტენცია – სამართლებრივ საკითხებზე ბენეფიციარისათვის კონსულტაციის გაწევა და სოციალური მუშაობისთვის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ბაზის გამოყენებით აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოება;

ე) ადმინისტრაციული კომპეტენცია – ბენეფიციარის სპეციალური საჭიროებების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად სამთავ-

რობო ან/და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიზნობრივი და კოორდინირებული მუშაობის წარმართვა;

ვ) პერსონალური კომპეტენცია – საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფისათვის პიროვნული უნარების გაუმჯობესებაზე ზრუნვა;

ზ) კომუნიკაციის კომპეტენცია – ბენეფიციართან სოციალური მუშაობის კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური ფორმების გამოყენებით წარმართვა;

თ) პროფესიულ-ეთიკური კომპეტენცია – სოციალური მუშაობის პროფესიული ეთიკის ნორმებისა და ღირებულებების საფუძველზე წარმართვა;

ი) პროფესიული განვითარების კომპეტენცია – ბენეფიციართან სოციალური მუშაობის სრულყოფისათვის საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კომპეტენციები გათვალისწინებული უნდა იქნეს სოციალური მუშაკის სამსახურში მიღებისას და სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისას, აგრეთვე ამ კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაკის სერტიფიკატის გაცემისას.

#### **მუხლი 44. სოციალური მუშაკის სერტიფიკატი**

1. სოციალური მუშაკის სერტიფიკატი არის სოციალური მუშაკის თანამდებობაზე მიღების მსურველის მიერ აუცილებელი ცოდნის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამ პირს არ აქვს სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი. სერტიფიცირება ხორციელდება პირის მიერ საბაზისო აკადემიური ცოდნის მიღების მიზნით.

2. სოციალური მუშაკის სერტიფიკატი გაიცემა პირის მიერ სერტიფიცირების წარმატებით გავლის შედეგად.

3. სერტიფიცირების გავლის უფლება აქვს პირს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე სოციალურ მუშაკად მუშაობს, ან პირს,

რომელიც არ მუშაობს სოციალურ მუშაკად, მაგრამ აქვს სოციალური მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.

## **თავი VII**

### **სოციალური მუშაკის სოციალური გარანტიები**

#### **მუხლი 45. სოციალური მუშაკისათვის უსაფრთხო და აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნა**

1. სოციალურ მუშაკს უფლება აქვს, ჰქონდეს უსაფრთხო სამუშაო პირობები და მიიღოს ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები იმ დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, რომელშიც დასაქმებულია იგი.

2. ბენეფიციარისთვის სრულყოფილი და ეფექტიანი კონსულტაციის გასაწევად სოციალური მუშაკის დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ადგილის გამოყოფა და სამუშაო გარემოს შექმნა.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს სოციალურ მუშაკთა მიმართ თანაბარ და სამართლიან მოპყრობას ადამიანური რესურსების მართვის, შრომის პირობების, ანაზღაურებისა და სამართლებრივი დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

#### **მუხლი 46. სოციალური მუშაკის უსაფრთხოება**

1. დაწესებულება, რომელშიც სოციალური მუშაკია დასაქმებული, ვალდებულია შეიმუშაოს და დანერგოს სოციალური მუშაობის უსაფრთხოების წესი, რომელიც სოციალური მუშაკის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის რისკებს მინიმუმამდე შეამცირებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უსაფრთხოების წესის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა შესაძლო რისკის წყარო საფრთხის დონისა და შესაძლო შედეგების მიხედვით. აღნიშნული უსაფრთხოების წესი უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის პრევენციულ ზომას.



3. დაწესებულების მიერ დადგენილ შემთხვევის მართვის სტანდარტში გათვალისწინებული უნდა იქნეს სოციალური მუშაობის ჩატარებასთან დაკავშირებით უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი წინასწარი ზომების მიღების პროცედურა, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საჭიროების განსაზღვრის კრიტერიუმები, ფუნქციების გადანაწილება და არსებული საფრთხის აღმოფხვრის მექანიზმი.

4. სოციალური მუშაკი ვალდებულია განუხრელად შეასრულოს მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის დადგენილი, აუცილებლად შესასრულებელი მითითებები.

#### **მუხლი 47. სოციალური მუშაკის სამუშაო დრო და დასვენების დრო, მის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისა და ანაზღაურების წესი**

1. სოციალური მუშაკის სამუშაო დრო და დასვენების დრო, მის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისა და ანაზღაურების წესი დადგენილია ამ მუხლითა და საქართველოს კანონმდებლობით.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტთან ერთად, სოციალური მუშაკის სამუშაოს სირთულიდან გამომდინარე, დადგენილია მიმდინარე საქმეთა (შემთხვევათა) ზღვრული ოდენობა. შემთხვევების რაოდენობა 50-ს არ უნდა აღემატებოდეს. დამატებით მიღებული საქმეებით გათვალისწინებული შემთხვევები არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ ოდენობას ამ ოდენობის ერთი მესამედით.

3. სოციალური მუშაკის მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

4. სოციალური მუშაკის მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება მისი სურვილის შესაბამისად – მისთვის დანამატის ან ზეგანაკვეთური სამუშაოს პროპორციული დამატებითი დასვენების დროის მიცემით.

**მუხლი 48. დახმარება სოციალური მუშაკის დაღუპვისას ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარებისას**

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით სოციალური მუშაკის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთჯერადი დახმარება 10 000 ლარის ოდენობით, მიუხედავად სოციალური მუშაკის დასაქმების ადგილისა.

2. სოციალურ მუშაკს, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიიღო სხეულის დაზიანება, რის შედეგადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად იქნა აღიარებული ან დასახიჩრდა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 5 000 ლარისა, მიუხედავად მისი დასაქმების ადგილისა.

**თავი VIII**

**უფლებამოსილი დაწესებულებები**

**მუხლი 49. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება და საპარლამენტო კონტროლი**

1. სოციალური მუშაობის სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი.

2. საქართველოს პარლამენტი ახორციელებს საპარლამენტო კონტროლს სოციალური მუშაობის სფეროში.

**მუხლი 50. საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებები**

1. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მუშაობის სფეროში შეიმუშაოს საკანონმდებლო აქტებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები.

2. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვროს საჯარო დაწესებულებისთვის ამ კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება.

**მუხლი 51. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილებები**

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სოციალური მუშაობის სფეროში:

ა) განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, სტაციონარებსა და ამბულატორიებში სოციალური მუშაკების საჭიროებასა და რაოდენობას, არეგულირებს სოციალური მუშაობის ჩატარების წესს;

ბ) ზედამხედველობას უწევს მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანოს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომ – სოციალური მომსახურების სააგენტო);

გ) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, სოციალური მუშაკების მონაწილეობით ზრუნავს სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებასა და შესაბამისი ინიციატივების შემუშავებაზე;

დ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სოციალური მომსახურების სააგენტო სოციალური მუშაობის სფეროში:

ა) „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში ახორციელებს

შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცედურებს;

ბ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეშვიდე<sup>4</sup> კარის თანახმად, „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში ასრულებს მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის ფუნქციებს;

გ) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ფარგლებში ახორციელებს შესაბამის საპროცესო წარმომადგენლობას;

დ) სასამართლო საქმეთა წარმოებისას იცავს არასრულწლოვანთა ან მხარდაჭერის მიმღებთა კანონიერ ინტერესებს;

ე) აფასებს ბენეფიციარის მდგომარეობას, გამოავლენს და განსაზღვრავს მისთვის მომსახურების მიწოდების საჭიროებებს, მას უწევს კონსულტაციას და აკავშირებს არსებულ მომსახურებებთან;

ვ) მართავს და ზედამხედველობს ძალადობის, მათ შორის, ბავშვთა მიმართ ძალადობის, შემთხვევებს და ბავშვთა დაცვის მიზნით მიმართვიანობის პროცედურებს;

ზ) მართავს და ზედამხედველობს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამას სხვადასხვა ქვეპროგრამის ფარგლებში;

თ) ზედამხედველობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;

ი) დახმარებას უწევს მხარდაჭერის საჭიროების მქონე ოჯახებს, მზღვადული შესაძლებლობის მქონე პირებს და ხანდაზმულებს;

კ) განსაზღვრავს სოციალური მუშაობის ჩატარების უფლებამოსილების მქონე პირებს (სოციალურ მუშაკებს);

ლ) მონაწილეობს ბავშვის გადაცემასთან ან შვილთან მეორე მშობლის ან/და ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში;

მ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

## **მუხლი 52. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებები**

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია ჩაატაროს სოციალური მუშაობა ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის გზით განმეორებითი დანაშაულის პრევენციის მიზნით, დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ პირთა ჯგუფებთან და აღსრულების მიმართულებით.

2. სოციალური მუშაობის სფეროში ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიმართულებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის ცენტრის (შემდგომ – ცენტრი) უფლებამოსილებებია:

ა) ბენეფიციართა ბიოლოგიური და ფსიქოსოციალური შეფასების საფუძველზე მომსახურების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, მათ საჭიროებებზე მორგებული ფსიქოსოციალური მომსახურების დანერგვა, მოძიება და მიწოდება, მათი რეაბილიტაციის პროცესის მონიტორინგი;

ბ) ბენეფიციართა ოჯახის წევრებთან ან უახლოეს წრესთან მუშაობის წარმართვა და პრობლემური შემთხვევების მართვა;

გ) ბენეფიციართა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გადაჭრაზე ზრუნვა;

დ) ბენეფიციართათვის საჭიროების შესაბამისი არაფორმალური განათლების მომსახურების მიწოდება, მათი პროფესიული გადამზადება და მათი დასაქმების ხელშეწყობა;

ე) ბენეფიციართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნით სპორტულ-კულტურული და რეკრეაციული ღონისძიებების დაგეგმვა ან მოძიება და მიწოდება;

ვ) კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან ბენეფიციართა რესოციალიზაციის ხელშეწყობა;

ზ) ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

3. დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ პირთა ჯგუფებთან სოციალური მუშაობის სფეროში ცენტრის უფლებამოსილებებია:

ა) დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ ბენეფიციართა ბიოლოგიური და ფსიქოსოციალური შეფასება, მომსახურების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი, ბენეფიციართა საჭიროებებზე მორგებული მომსახურებების დანერგვა ან მოძიება და მიწოდება;

ბ) ბენეფიციართა მიერ დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასება;  
გ) საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციარებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის კონსულტაციების გაწევა;

დ) ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის სფეროში მომუშავე სპეციალისტებთან კოორდინირებული მუშაობის წარმართვა, აგრეთვე დღის ცენტრებისა და 24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მომუშავე სპეციალისტებისათვის დანაშაულის მეორე დონის პრევენციისკენ მიმართული სერვისების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა;

ე) დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ პირებთან მომუშავე სპეციალისტებისათვის რთული ქცევის მართვასთან და დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ვ) ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება და მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულების პროცესში სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ პირთან სოციალურ მუშაობას ატარებს შემდეგნაირად:

ა) უზრუნველყოფს სააღსრულებო წარმოების პროცესის ბენეფიციარისადმი კეთილგანწყობილი მიდგომით წარმართვას;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სააღსრულებო მოქმედებებზე იმ სოციალური მუშაკის დასწრებას, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მხარეებს კონსულტაციას უწევს და ფსიქოლოგიური სტრესის შემცირებაში ეხმარება;

გ) მონაწილეობს არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების საქმეებში;

დ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

### **მუხლი 53. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს უფლებამოსილებები**

1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო უფლებამოსილია ჩაატაროს სოციალური მუშაობა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში. იგი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, სოციალური მუშაკების მონაწილეობით ზრუნავს სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებასა და შესაბამისი ინიციატივების შემუშავებაზე.

2. პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკი:

ა) ხელს უწყობს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვას;

ბ) კონსულტაციას უწევს ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს;

გ) ახორციელებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ადვოკატირებას;

დ) ხელს უწყობს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პენიტენციური სტრესის შემცირებას;

ე) მონაწილეობს მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის შეფასებაში/გადაფასებაში;

ვ) ახდენს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ზიანის რისკის შეფასებას/გადაფასებას;

ზ) რეციდივის ალბათობის დასადგენად ახდენს მსჯავრდებულის რისკებისა და საჭიროებების შეფასებას/გადაფასებას;

თ) გამოვლენილი რისკებისა და საჭიროებების საფუძველზე, მსჯავრდებულის მონაწილეობით შეიმუშავებს სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას;

ი) ავლენს პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მოწყვლად ჯგუფებს მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით, ზრუნავს დადგენილი სტანდარტების დაცვაზე;

კ) ხელს უწყობს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობას და ამ პროგრამების განხორციელებას;

ლ) ხელს უწყობს მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადების პროგრამებში მონაწილეობას და ამ პროგრამების განხორციელებას;

მ) განსაზღვრავს ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და თერაპიის მიმართულებებს, ხელს უწყობს მათ განხორციელებას და მათ უწევს ფასილიტაციას;

ნ) ხელს უწყობს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა შრომას/დასაქმებას;

ო) ხელს უწყობს ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის დამხმარე პროგრამების, კერძოდ, კულტურული, სპორტული, რელიგიური, შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების განხორციელებას;

პ) ხელს უწყობს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციისთვის მომზადებას;

ჟ) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში წარმართავს მუშაობას მოშიშმილე

ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან;

რ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაობა წარმართება ამ კანონისა და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – პრობაციის ეროვნული სააგენტო) სოციალური მუშაკი რესოციალიზაციის, რეაბილიტაციისა და დაწინაურების პრევენციის მიზნით:

ა) აფასებს სრულწლოვანი/არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულის რისკებსა და საჭიროებებს;

ბ) მონაწილეობს მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობაში ბენეფიციარის ზიანის რისკისა და დაწინაურების განმეორების ალბათობის დასადგენად და სხვა სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავებს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ გეგმას;



გ) სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის ფარგლებში ბენეფიციარებს აწვდის სარეაბილიტაციო მომსახურებას;

დ) მუშაობს პირობით მსჯავრდებულთა ოჯახებთან ოჯახური კონფერენციების მოწყობისა და კონსულტაციის გაწევის საშუალებით;

ე) მონაწილეობს პირობით მსჯავრდებულთა საჭიროებების შესაბამისი სარეაბილიტაციო ტრენინგმოდულების შექმნაში;

ვ) პირობით მსჯავრდებულებს აკავშირებს იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათ რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას;

ზ) მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს კოორდინირებული საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოფს პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიისთვის მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების შესახებ დასკვნის მომზადებას.

4. განრიდების ან განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულ 14-დან 21 წლამდე პირებთან მომუშავე პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი:

ა) უზრუნველყოფს განრიდება-მედიაციის პროგრამისთვის მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებული პირის მდგომარეობის ინდივიდუალურ შეფასებას შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით;

ბ) ხელს უწყობს ბენეფიციარის სოციალურ აქტიურობას, სერვისების მოძიების მიზნით თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან;

გ) მონიტორინგს უწევს განრიდებული პირის ხელშეკრულების პირობების შესრულებას;

დ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი აშხა-დებს არასრულწლოვანი ბრალდებულის შესახებ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს მისთვის სასჯელის დანიშვნის მიზნით.

#### **მუხლი 54. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილებები**

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია ჩაატაროს სოციალური მუშაობა განათლების სფეროში. იგი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, სოციალური მუშაკების მონაწილეობით ზრუნავს სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებასა და შესაბამისი ინიციატივების შემუშავებაზე.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სოციალური მუშაობა გულისხმობს:

ა) ფსიქოსოციალური პრობლემების, ქცევითი და ემოციური დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის, მათი შშობლებისათვის, თანაკლასელებისა და მასწავლებლებისათვის ფსიქოსოციალური მომსახურების მიწოდებას;

ბ) მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად და ჩაგვრის აღმოსაფხვრელად მუშაობას;

გ) სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნით მოსწავლისთვის სოციალურ-პედაგოგიური დახმარების გაწევას;

დ) მოწყვლადი მოსწავლეების ან/და მოსწავლეთა ჯგუფების იდენტიფიცირებას და მათ შესაბამის მომსახურებაში ჩართვას;

ე) ძალადობისა და უგულვებლყოფის ფაქტების იდენტიფიცირებას და მათზე შესაბამის რეაგირებას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

#### **მუხლი 55. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის უფლებამოსილება**

სოციალური მუშაობის სფეროში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის უფლებამოსილება განისაზღვრება „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

### **მუხლი 56. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები**

1. მუნიციპალიტეტი საკუთარ სამოქმედო ტერიტორიაზე ატარებს სოციალურ მუშაობას, რაც გულისხმობს:

ა) სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების აქტიურ იდენტიფიცირებას, მათი საჭიროებების განსაზღვრასა და შეფასებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია საფრთხის თავიდან აცილება, ბენეფიციართა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალურ მომსახურებებში ჩართვას და ამის შესახებ შესაბამისი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინებას;

გ) ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებას და მასზე შესაბამის რეაგირებას;

დ) ბენეფიციარებისათვის შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას და მათში ჩართვის ხელშეწყობას;

ე) მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტაციის გაწევას;

ვ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის ჩატარებას;

ზ) საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილიდელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში სოციალური მუშაობის ჩატარებას.

2. სოციალური მუშაობის ჩატარება არის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილება, რომლის განხორციელ-

ეზაზე დარგობრივ ზედამხედველობას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს.

3. სოციალურ მუშაობას კოორდინაციას და ადმინისტრირებას უწევს მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეული.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მერიის სტრუქტურული ერთეულის დებულება უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონის მოთხოვნებს, რათა მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნეს სოციალური მუშაობის ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომობა.

### **მუხლი 57. კერძო სამართლის იურიდიული პირის უფლებამოსილება**

1. კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელშიც სოციალური მუშაკია დასაქმებული, უფლებამოსილია თავისი საქმიანობის ფარგლებში განსაზღვროს სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის სფეროების ჩამონათვალი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სფეროების ჩამონათვალი უნდა დამტკიცდეს წერილობითი სამართლებრივი აქტით. იგი წინასწარ უნდა გაეცნოს დასაქმებულს.

## **თავი IX**

### **სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობა, კარიერული წინსვლა, დისციპლინური პასუხისმგებლობა**

#### **მუხლი 58. სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობა**

1. სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობა გულისხმობს სოციალური მუშაკის თვითშეფასებას, აგრეთვე მისი შრომის ზედამხედველობას მისი პროფესიული ზრდის ხელშეწყობის და მის მიერ მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით.

2. სოციალური მუშაკის პროფესიული ზედამხედველი შეიძლება იყოს იმავე დაწესებულების იმავე სტრუქტურულ ერთეულ-

ში დასაქმებული პირი ან ამ ერთეულის ხელმძღვანელი, აგრეთვე მოწვეული პირი.

3. სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების წესსა და პირობებს ადგენს ის დაწესებულება, რომელსაც სოციალური მუშაკი ექვემდებარება.

### **მუხლი 59. სოციალური მუშაკის თვითშეფასება**

1. სოციალური მუშაკი ახორციელებს თვითშეფასებას, რაც მოიცავს მის მიერ სოციალური მუშაობის ჩატარებისას თითოეული გეგმის ფარგლებში და გეგმის მიღმა განხორციელებული საქმიანობის შედეგების შეფასებას.

2. სოციალური მუშაკის თვითშეფასება ობიექტურად უნდა განხორციელდეს. იგი უნდა მოიცავდეს როგორც საქმიანობაში წინსვლას, ისე საქმიანობაში ხარვეზებს, უნდა განსაზღვრავდეს გამოწვევებს და საქმიანობის გაუმჯობესების გეგმას.

### **მუხლი 60. სოციალური მუშაკის შრომის ზედამხედველობა**

1. სოციალური მუშაკის შრომის ზედამხედველობას ახორციელებს ის დაწესებულება, რომელსაც სოციალური მუშაკი ექვემდებარება.

2. სოციალური მუშაკის შრომის ზედამხედველობა ხორციელდება ისეთი კრიტერიუმების საფუძველზე, როგორცაა სოციალური მუშაკის მიერ უფლებამოსილებების განხორციელების მიზნობრიობა და კანონიერება.

3. სოციალური მუშაკის შრომის ზედამხედველობა ხორციელდება კონკრეტული შემთხვევების და სოციალური მუშაკის წლიური საქმიანობის შეფასებით. კონკრეტული შემთხვევების შეფასება ხორციელდება შემთხვევითი შერჩევით ან ბენეფიციარის მიმართვის საფუძველზე.

4. სოციალური მუშაკის საქმიანობის მონიტორინგის შესახებ ობიექტური დასკვნის მისაღებად გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა გარემოება, მათ შორის, სოციალური მუშაობის შედეგები,

ბენეფიციარის მოსაზრება, უშუალო ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სოციალური მუშაკის დახასიათება.

### **მუხლი 61. სოციალური მუშაკის წახალისება**

1. სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასებისა და მონიტორინგის შედეგების საფუძველზე ის დაწესებულება, რომელსაც სოციალური მუშაკი ექვემდებარება, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას სოციალური მუშაკის წახალისების შესახებ.

2. სოციალური მუშაკის წახალისების ფორმებია:

- ა) მაღლობის გამოცხადება;
- ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა;
- გ) ფასიანი საჩუქრის მიცემა.

3. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული სოციალური მუშაკის წახალისებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებები.

### **მუხლი 62. სოციალური მუშაკის კარიერული წინსვლა**

1. სოციალური მუშაკის კარიერული წინსვლა ხდება სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასებისა და მონიტორინგის შედეგების საფუძველზე.

2. სოციალური მუშაკის კარიერული წინსვლისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი სამუშაო გამოცდილება, აგრეთვე მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგები და მნიშვნელობა ბენეფიციარისა და საზოგადოებისათვის.

3. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული სოციალური მუშაკის კარიერული წინსვლა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **მუხლი 63. სოციალური მუშაკის დისციპლინური პასუხისმგებლობა**

1. სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასებისა და მონიტორინგის შედეგების საფუძველზე სოციალურ მუშაკს შესაბამისი სა-

ფუძვლის არსებობისას შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული სოციალური მუშაკის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებები.

3. სოციალური მუშაკის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია:

ა) გაფრთხილება;

ბ) საყვედური;

გ) ხელფასის (თანამდებობრივი სარგოს) 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;

დ) სამსახურიდან გათავისუფლება.

4. სოციალური მუშაკისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ის დაწესებულება, რომელშიც სოციალური მუშაკია დასაქმებული.

## თავი X

### გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

#### მუხლი 64. გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2019 წლის 1 იანვრამდე დაამტკიცოს ამ კანონის სამოქმედო გეგმა და უზრუნველყოს მისი მონიტორინგი.

2. დაევალოთ საქართველოს მთავრობის შესაბამის უწყებებს, ეტაპობრივად გაზარდონ სოციალურ მუშაკთა შტატების რაოდენობა, რათა 2025 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დასაქმებული სოციალური მუშაკები სრულყოფილად ასრულებდნენ ამ კანონით მათთვის დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს.

3. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში, საქართველოს პარლამენტისა და ამ კანონის VIII თავით დადგენილი

სხვა უფლებამოსილი დაწესებულებების მონაწილეობით შეიმუშაოს სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირებისათვის აუცილებელი გეგმა. სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირება უნდა დასრულდეს 2021 წლის 1 იანვრამდე არაუგვიანეს 3 თვისა.

4. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების სფეროს შესაბამის უწყებებთან ერთად არაუგვიანეს 2019 წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად მისცეს ამ კანონით გათვალისწინებული სერტიფიცირების გავლის შესაძლებლობა ყველა იმ მსურველს, რომელიც ამ კანონით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

5. დაევალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს, 2021 წლის 1 იანვრისათვის უზრუნველყონ ბენეფიციართათვის გადაუდებელ შემთხვევებზე 24-საათიანი რეაგირების მექანიზმის ფუნქციონირება.

6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა 2021 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა:

ა) ამ კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად, სოციალური მუშაკის ორგანიზაციულ-ტექნიკური და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის შესახებ;

ბ) ამ კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, სოციალური მუშაობის უსაფრთხოების წესის დანერგვის შესახებ;

გ) სოციალური მუშაკისთვის სოციალური მუშაობის პროფესიული სტანდარტების დადგენის შესახებ.



7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ადამიანით ვაჭრობის

(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა 2025 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა:

ა) ამ კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, საქმეთა გადანაწილების წესის განსაზღვრის შესახებ;

ბ) ამ კანონის 58-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების წესისა და პირობების დადგენის შესახებ.

8. საქართველოს მთავრობამ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე 2021 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ამ კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებების დელეგირების შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება.

9. ამ კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სოციალური მუშაკის სერტიფიკატთან გათანაბრებულია 2006–2013 წლებში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს სოციალური მუშაობის 60-კრედიტაანი სასწავლო კურსის წარმატებით გავლას.

10. იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონის შესაბამისი მუხლების ამოქმედების თარიღებისათვის სოციალური მუშაკების რაოდენობა საკმარისი არ იქნება, შესაბამისი დაწესებულებები უფლებამოსილი არიან სერტიფიცირების გავლის უფლება მისცენ მომიჯნავე პროფესიების მქონე პირებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ამ კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მო-

მიჯნავე პროფესიების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

### **მუხლი 65. კანონის ამოქმედება**

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი–43-ე მუხლებისა, 44-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 45-ე–63-ე მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი–43-ე მუხლები, 44-ე მუხლის პირველი პუნქტი, 45-ე და 46-ე მუხლები, 47-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტები და 48-ე–63-ე მუხლები ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

3. ამ კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

4. ამ კანონის 44-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები მოქმედებს 2021 წლის 1 იანვრამდე.

5. ამ კანონის 64-ე მუხლის მე-10 პუნქტი მოქმედებს 2023 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

13 ივნისი 2018 წ.

N2519-III

სოციალური მუშაობის ნარმატივისათვის აუცილებელია გარანტირებული წინაპირობების არჩეობა, რომლის მიხედვითაც, მთავარ ამოსავალ წერტილს ადამიანი წარმოადგენს. სოციალური მუშაკების განათლება და საქმიანობა უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ სტანდარტებს, რათა მათ დაინტერესებულ პირებს საუკეთესო ხარისხის მომსახურება გაეწიონ. სწორედ აქ იჩენს თავს სახელმწიფოს ვალდებულება, გამოიყოს საკმარისი რესურსი და შეიმუშავოს შესაფერისი სამართლებრივი ჩარჩო იმისთვის, რომ უზრუნველყოს სოციალური მუშაკების დამოუკიდებლობა და მათი საქმიანობის შალაღი ხარისხი.

**ფელიქს პეტ**

ფრიდრიხ ებერტის ფონდის ხელმძღვანელი  
სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში